

საქს.



# საქსი



3-4

---

2002

# საუნჯე

(119)  
 პიონი  
 აკადემია  
 ერევნის  
 უნივერსიტეტი



## შინაარსი

### პროზა, პოეზია

სომეხსაჲთ შოთხი. ჯიინი, მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ციაღა ხაჩიძემ	3
ხუან რუდოლფო. მოთხრობები. თარგმნა მედეა ზუბადაღაშვილმა	26
ალექსანდრე პუშკინი. უოლტაჲვა. პოემა. რუსულიდან თარგმნა დია ყიფიანმა	44
ჟონ რივიერი. შერკოვო ანდერსონი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა	53
ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი. ეშმაკის ელექსირი. რომანი. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა დია თაკვარელიამ	64

### პირველი ნაბიჯები

ჟან პოლ სარტრი. პეროსტრატე. ფრანგულიდან თარგმნა ნათია ამალდოზელმა	28
მარკრიტ პანი. სანამ სტომაში სავსაა. გერმანულიდან თარგმნა ნინო ზაუტაშვილმა	111
პეტერ როსეგერი. ერთი მოგაღამის სინარუდი და შიში. გერმანულიდან თარგმნა ნონა ფუხაშვილმა	114
ერიხ. ბუთენერ-ზასსუ. წინასწარმეტყველი გერმანულიდან თარგმნა ნონა ფუხაშვილმა	125
მიღღა ენდრიუს-რუსიკა. ბნეღში. ინგლისურიდან თარგმნა რუსუდან ჭიღაშვილმა	135
ურსუდა კ., და ბუინი. ვინც ომედასიდან მიდის. ინგლისურიდან თარგმნა მარიკა აბაშიძემ	147

### წერილები

ბაო სინიანი. დიტეკატუჩის აკსისა და როდის დასაბუთება. თარგმნა იღია ვასვიანმა	153
დვიდა თეთრუაშვილი. დიკაბუღებათა გაგაფასება მიხეილ ჯავახიშვიდთან ანუ კვაში რვინი თანამედროვეა	168
გივი გოჯგუა. რამდენი რამ დარჩა გასაბამთევილი (ფილიპე ბერიძე-70)	170
პეტე კაგუჩგერი. მხატვრული სიტუცია დოგოკა. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ლეინეფაძემ	194



საქართველოს მწერალთა საერთო ერთვნილი  
კავშირის ორგანო  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი  
ბიზლინისუბა

2002, № 3—4

მთავარი რედაქტორი

ნანა ღარჩია-გოლჭვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი

ნანა ახოგაძე

მანანა ამისულაშვილი

ჯემალ აჯიაშვილი

ნანა ბართაია (პ/მგ მღივანი)

გურამ გოგიაშვილი

ნანა გოგოლაშვილი

თამარ ერისთავი

რუსუდან ქეზულაძე

დალი ფანჯიკიძე

ეთერ ყურაშვილი

გივი შაკნაზარი

გივი ქნელაძე.

---

ჩვენი მისამართია: თბილისი, 330026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

---

გად. წარ. 21. 06. 2002 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 06. 2002 წ., ქაღალდის  
ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, სააღრ. თ. 12, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. ფ. ტირ. 300.  
ბეკვ. 415.

---

შ. პ. ს „გამომცემლობა სამსობლოს“ სტამბა.  
თბილისი, მ. კოსტავას 14.





მოთხრობა, ინგლისურიდან

თარგმნა ციარა ხაჩიძემ

ძალიან კარგად მახსოვს ჯეინ ფაულერთან პირველი შეხვედრა. ალბათ იმიტომ, რომ მკაფიოდ ჩამებეჭდა გონებაში ყოველი წვრილმანი იმ წუთიერი გაელვებისა, და მეც სავსებით ვენდობი ჩემს მეხსიერებას, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ როცა წარსულისაკენ ვიხედები, მაინც ძნელად დასაჯერებელი მგონია ყოველივე და ვფიქრობ, ხომ არაფერი მეშლება-მეთქი.

ჩინეთიდან ლონდონს ახლად დაბრუნებული ვიყავი, მისის ტაუერს ფინჯან ჩაიზე რომ ვეწვიე. მისის ტაუერი ერთიანად შთაენტქა ბინის მორთვა-გაწყობას და ქალისათვის დამახასიათებელი უღმობელოებით გაეწირა სავარძლები, რომლებშიც წლების განმავლობაში მოხერხებულად იჯდა, აგრეთვე მაგიდები, ძვირფასი ჭურჭლის რაფები, ჩუქურთმები და სურათები, რომლებზეც, ვინ იცის, რამდენჯერ შეუსვენებია თვალი მას შემდეგ, რაც გათხოვდა, და რომლებიც ასე ახლობელი იყო მისთვის. მისის ტაუერი მთლიანად მინდობოდა ამ საქმის მცოდნეს. სასტუმრო ოთახში აღარაფერი დაეტოვებინა, რაც წარსულს მოავგონებდა ან რასთანაც რაიმე მოგონება აკავშირებდა.

მისის ტაუერმა შინ მიმიწვია, რათა მეხილა ის ნატიფი მშვენიერება, რომლითაც იყო გარემოცული. ბინა ძველებური ნივთებით იყო მორთული, კედლებზეც ძველი ოსტატების ასლები ან მათი მიბაძვით შექმნილი ტილოები ეკიდა. არაფერი იყო უსახური, ყველაფერი ურთიერთ პარმონიას ქმნიდა.

— გახსოვთ, უწინ ეს სასტუმრო ოთახი რა უგემოვნოდ იყო გაწყობილი? — მკითხა მისის ტაუერმა.

ფანჯრებზე მდიდრული, ნატიფი ფარდები ეკიდა, დივანს იტალიური ფარჩა ჰქონდა გადაკრული, ხოლო სკამს, რომელზეც ვიჯექი, ნაქარგი ამშვენიებდა. ლამაზი ოთახი იყო, დიდებული, თანაც სადა, ყოველგვარი ზედმეტი სამკაულის გარეშე, და მაინც თითქოს რაღაც აკლდა. მაშინ, როცა ჩემი ბაგეები აქაურობის ქება-დიდებას წარმოთქვამდა, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რატომ მერჩია ყოველივე ამას მონითულ ქსოვილიანი ძველი, დაწუნებული ავეჯი, ან ჩემთვის ესოდენ ნაცნობი ვიქტორიანული ეპოქის აკვარელით შესრულებული სურათები. ან თუნდაც დრეზდენული ფაიფურის ის ფიგურა, ბუხრის თაროს



რომ ამშვენებდა. მაინტერესებდა, რა იყო ის, რისთვისაც ზურგი შეექციათ და რაც აკლდა ამ სილამაზეს. ალბათ, სული. მაგრამ თბავდ მისის ტაუერი კმაყოფილი ჩანდა.

— არ მოგწონთ ჩემი ალუბასტრის ლამპები? — მან. — ისინი ისე ნაზ შუქს აფრქვევენ.

— ასეთი რამეებისა არაფერი გამეგება, — მივუგე ღიმილით.

— ძნელია ისეთი განათების შერჩევა, რომ მთლად სააშკარაოზე არ ჩანდე, — გაიცინა მისის ტაუერმა.

მასპინძლის ასაკზე წარმოდგენა არ მქონდა. ჯერ მთლად ყმაწვილი ვიყავი, ის რომ უკვე გათხოვილი მანდილოსანი გახლდათ, ჩემზე საკმაოდ უფროსი. ახლა კი თანატოლივით მექცეოდა. მისის ტაუერი სულ იმას გაიძახოდა, ორმოცი წლისა ვარ, დასამალი არაფერი მაქვსო, თან ღიმილით დასძენდა, ყველა ქალი ხუთ წელს მაინც იკლებსო. არ მალავდა, რომ თმას იღებავდა (თმა კი იშვიათი სილამაზის მქონდა: წაბლისფერი, მოწითალო ელფერი). მისის ტაუერი ამას იმით ხსნიდა, რომ ჭალარა შეპარვოდა. როცა სულ გავჭალარავდები, მერე აღარ შევიღებავო.

— მაშინ კი იტყვიან ჩემზე, რა ნორჩი სახე აქვსო.

ასე იყო თუ ისე, მისის ტაუერი თმას იღებავდა, მაგრამ ისე, რომ ვერც კი შეამჩნევდით. ლამაზი, წარმოსადეგი ქალი გახლდათ, ნატიფი გემოვნებით ჩაცმული. ალუბასტრის ლამპების მკრთალ შუქზე ორმოც წელზე მეტს მართლაც ვერ მისცემდით.

— ერთადერთი ადგილი, რომლის განათებასაც დიდი ნათურით ვბედავ, ჩემი ტუალეტის მაგიდაა, — თქვა მან ირონიული ღიმილით. — სადაც სარკე მწარე სიმართლეს მეუბნება, რის გამოსწორებასაც შემდეგ ასე გულმოდგინედ ვცდილობ.

ჩვენ ტკბილად ვსაუბრობდით. გავიხსენეთ ნაცნობ-მეგობრები. სასიამოვნო იყო დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ აგიზგიზებული ბუხრის წინ მოხერხებულ სავარძელში ჯდომა ჩაის ლამაზი სერვიზით გაწყობილ მშვენიერ მაგიდასთან და მომხიბლავ ქალთან საუბარი, რომელიც ისე მევლებოდა თავს, თითქოს უძღები შვილი ვყოფილიყავი.

მისის ტაუერი ამაყობდა თავისი წვეულებებით. საუცხოო კერძების მრავალფეროვნებაზე ნაკლებ როდი ადარდებდა სტუმრების საგანგებოდ შერჩევა. იშვიათად მოიძებნებოდა ლონდონში ვინმე, ვინც დიდ პატივად არ ჩათვლიდა მისის ტაუერის მიწვევას. უახლოეს წვეულებაზე მისვლა მეც მთხოვა, თან მკითხა, ვისთან ვისურვებდი შეხვედრას.

— მართალი გითხრათ, — დაუმატა მან, — ერთი პატარა დაბრკოლება არსებობს. იმ დროს ჯეინ ფაულერი თუ აქ იქნება, წვეულებას გადავდებ.

— ვინ არის ჯეინ ფაულერი? — შევეკითხე.

მისის ტაუერმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— მისის ფაულერი ჩემი ჯვარცმაა.

— როგორ?

— ადრე, გახსოვთ, სასტუმრო ოთახი ჯერ ისევ ძველი ავეჯით რომ იყო გაწყობილი, პიანინოზე ერთი ქალის ფოტოსურათი მედო,



ვიწრო სახელოებიანი ტანზე შემოტკეცილი კაბა ეცვა, გულზე შედა-  
ლიონი ეკიდა, ფართო შუბლიდან თმა უკან სადად ჰქონდა გადავარცხ-  
ნილი და ყურები მოუჩანდა, საკმაოდ მსხვილ ცხვირზე კი სათვალე  
ეკეთა, სწორედ ის გახლდათ ჯეინ ფაულერი.

— წინათ ამ ოთახში იმდენი სურათი იყო, როგორ დაწიბანსოვრებ-  
დი, — ჩავილაპარაკე.

— მათ გახსენებამაც კი ჟრუანტელი მივლის. ერთხელაც დავავლე  
ხელი იმ სურათებს, ერთ დიდ ყავისფერ ქალაქში გავახვიე და სხვენ-  
ზე გადავმალე.

— ერთი მითხარით, ჯინ არის ან რას წარმოადგენს ეს ჯეინ ფაუ-  
ლერი? — ღიმილით შევეკითხე.

— ჩემი მულია, ჩემი ქმრის და. ერთ ჩრდილოელ ფაბრიკანტზე  
იყო გათხოვილი. კარგა ხანია დაქვრივდა. ქმარმა გვარიანი ქონება და-  
უტოვა.

— ამიხსენით, რატომ არის ეგ ქალი თქვენი ჯვარცმა?

— მართალი რომ გითხრათ, პატივსაცემი ქალბატონია, მაგრამ  
უგემოვნო, ნამდვილი პროვინციელი. ჩემზე ოცი წლით უფროსს ჰგავს  
და მაინც პირველსავე შემხვედრს ეუბნება, ჩემი ტოლია, სკოლაში  
ერთად ვსწავლობდითო. რაკი მისი ერთადერთი ცოცხალი ნათესავი  
ვარ, დიდ ერთგულებას იჩენს. ლონდონში რომ ჩამოდის, აზრადაც არ  
მოუვა, სადმე სხვაგან გაჩერდეს, მაშინვე ჩემთან მორბის, გეგონება  
სხვაგან რომ წავიდეს, მეწყინება. ლონდონში სამ-ოთხ კვირაზე ნაკლებს  
არ ჩერდება. ჩემთან რომ დაიბუდებს, აი, მანდ დაჯდება ხოლმე: ხან  
ქსოვს, ხან კითხულობს. ზოგჯერ „კლერიჯში“ შეპატიუება სადილად,  
ძალით წამათრევს ხოლმე. ერთი განახათ, რასა ჰგავს, ნამდვილი სოფ-  
ლელი დედაკაცია. თითქოს ჯიბრზე, მეზობელ მაგიდასთან აუცილებ-  
ლად ვინმე ნაცნობი აღმოჩნდება ხოლმე, თანაც სწორედ ის, ვისაც ყვე-  
ლაზე მეტად ვერიდები. შინ დაბრუნებისას მეტყვის ხოლმე: მინდა,  
ცოტათი მაინც გასიამოვნო, გაგართოო. საკუთარი ხელით მიკერავს  
ჩაიდნისათვის თალფაქებს და მეც იძულებული ვარ, სანამ აქაა, ეს  
თალფაქები ვიხმარო. ხელსახოცებსაც მიქარგავს, მაგიდის შუაგულში  
დასაფენებსაც.

მისის ტაუერმა ცოტა შეისვენა.

— თქვენ ისეთი ტაქტიანი ქალი ხართ, იმედია, მოხერხებულად  
გამოდიხართ ხოლმე ასეთი მდგომარეობიდან.

— იცით, ამას ვერ ვახერხებ. ჯეინი უსაზღვროდ კეთილია, ნამდ-  
ვილად ოქროს გული აქვს. და თუმცა მეტისმეტად მაბეზრებს თავს, ამას  
ოდნავადაც არ ვაგრძნობინებ.

— როდის აპირებს ჩამოსვლას?

— ხვალ.

მისის ტაუერმა სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ ზარის  
ხმა გაისმა და მსახურთუფროსმა იმწამსვე ოთახში ხნიერი ქალი შემო-  
იყვანა.

— მისის ფაულერი! — გამოაცხადა მან.



— ჯეინ! — წამოიძახა მისის ტაუერმა და მაშინვე სავარძლიდან წამოხტა. — დღეს არ გელოდი!

— შენმა მსახურთუფროსმაც იგივე მითხრა. წერილში აქი გატეო-  
ბინებდი, რომ დღეს ჩამოვდიოდი.

— ეგ არაფერი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, — უცბად გონს მო-  
ეგო მისის ტაუერი. — როცა არ უნდა ჩამოხვიდე, ყოველთვის გამიხა-  
რდება. საბედნიეროდ, ამ საღამოს თავისუფალი ვარ.

— ჩემი გულისთვის თავი არ შეიწუხო, სადილად მოხარშულ კვე-  
რცხსაც დაგჯერდები.

წუთით მისის ტაუერს ლამაზი სახე დაემანჭა. მოხარშული კვერც-  
ხით!

— როგორ გეკადრება, ჩვენ გემრიელად ვისადილებთ.

გულში ჩამეცინა. ვერაფრით დავიჯერებდი, რომ ეს ორი მანდი-  
ლოსანი ერთი ხნისა იყო. მისის ფაულერს თამამად მისცემდით ორმოც-  
დათხუთმეტ წელს. საკმაოდ დიდი ქალი იყო. ფართოფარფლებიანი შა-  
ვი ჭილის ქუდი ეხურა, შავი პირბადე უფარავდა სახეს, მხრებზე მანტო  
ქონდა მოსხმული, რომელიც სიმკაცრისა და მოუსვენრობის უცნაურ  
ხაზავს წარმოადგენდა. მალაყელიანი ფეხსაცმელები და ძველმოდური  
გრძელი შავი კაბა ეცვა, ისეთი ფართე, გეგონება, ქვეშ რამდენიმე ქვე-  
დატანი აცვიაო. ეტყობოდა, ახლომხედველი იყო, რადგან დიდი ოქ-  
როსჩარჩოიანი სათვალისა და იცქირებოდა.

— ჩაის ხომ არ დალევ? — შეეკითხა მისის ტაუერი.

— თუ ძალიან არ შეწუხდები. ოღონდ მანტოს მოვიხდი.

ჯერ შავი ხელთათმანები გაიძრო, მერე მანტო მოიხადა, ყელზე  
ოქროს მსხვილი ძეწკვი ეკიდა, რომელსაც ოქროსავე დიდი მედალიონი  
ამშვენებდა. ეჭვი არ მეპარებოდა, ამ მედალიონში გარდაცვლილი  
ქმრის სურათი ექნებოდა. შემდეგ ქუდიც მოიხადა და ხელთათმანებთან  
და მოსასხამთან ერთად დივანის კუთხეში ფაქიზად დადო. მისის ტაუ-  
ერმა უკმაყოფილოდ მოკუმა ტუჩები. სასტუმრო ოთახის მკაცრ, მაგ-  
რამ მდიდრულ სილამაზეს ეს ტანსაცმელი ნამდვილად არ შეეფერებო-  
და. გაოცებული ვიყავი, სად ჯანდაბაში გამოჩხრიკა-მეთქი ეს უცნა-  
ური ტანსაცმელი. არა, არც ძველი იყო და არც იაფფასიანი. გასაოცა-  
რი ის იყო მხოლოდ, რომ მკერავები ჯერაც კერავდნენ მეოთხედი სა-  
უკუნის წინ მოდიდან გასულ კაბებს. მისის ფაულერს შუაზე გაყოფი-  
ლი ჭადარა თმა სადად გადაევარცხნა და ყურები და შუბლი გამოეჩინა.  
ამყარად ჩანდა, რომ მუსიე მარსელის<sup>1</sup> ხელი არ შეხებოდა. მისის ფაუ-  
ლერმა თვალი მოავლო მაგიდას, რომელზეც ჩაის სვამდნენ. ზედ მეფე  
ჯორჯის ეპოქის ვერცხლის ჩაიდანი და ვუსტერული<sup>2</sup> ფაიფურის  
ფინჯნები ელაგა.

1. მარსელ გრატო (1852—1936) სახელგანთქმული ფრანგი პა-  
რიკმახერი.

2. ვუსტერი — ქალაქი ცენტრალურ ინგლისში, ცნობილი უმაღ-  
ლესი ხარისხის ფაიფურის წარმოებით.



— მერიონ, ამას წინათ, რომ ჩაიდნის თაღფაქი გაჩუქე, რა უყავი? — ჰკითხა მისის ტაუერს. — არ ხმარობ?

— როგორ არა, ყოველდღე ვხმარობ, ჯეინ, — აღერსიანად მიუგო მისის ტაუერმა. — სამწუხაროდ, ამ ცოტა ხნის წინ როგორღაც ისე მოხდა, რომ დამეწვა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— მახსოვს, ადრინდელი მოცემულიც დაგეწვა.

— ალბათ გგონია, რომ დაუდევარი ვარ.

— არა უშავს, — გაუღიმა მისის ფაულერმა — დიდი სიამოვნებით შეგიკერავ ახალს. ხვალ ლიბერტიში წავალ და აბრეშუმს ვიყიდი.

მისის ტაუერმა სცადა გადაეთქმევიინებინა.

— მე ეს არ დამიმსახურებია. იქნებ თქვენი მღვდლის ცოლს უფრო სჭირდებოდეს.

— ოჰ, არა, ახლახან შევუკერე, — უთხრა სახეგაბრწყინებულმა მისის ფაულერმა. გაღიმებისას ლამაზად ჩაწიკწიკებული ქათქათა კბილები გამოუჩნდა. ნამდვილად სასიამოვნო სანახავი იყო. ღიმილი ძალიან უხდებოდა.

ვიფიქრე, დროა ეს ორი ქალბატონი მარტო დავტოვო-მეთქი და წამოვედი.

მეორე დილას ადრინად დამირეკა მისის ტაუერმა. ხმაზე შევატყვე, კარგ გუნებაზე იყო.

— გასაოცარი რამე უნდა გითხრათ! — თქვა მან. — ჯეინი თხოვდება!

— რა სისულელეა!

— საქმრო დღეს საღამოს სადილად მეწვევა, ჯეინს უნდა, რომ გამაცნოს. მინდა თქვენც მოხვიდეთ.

— არა მგონია საჭირო ვიყო.

— არა, არა, პირიქით, ჯეინმა თვითონ მთხოვა, მოვიდესო. გთხოვთ, აუცილებლად მოდით. — ამას რომ მეუბნებოდა, თან სიცილით იგუდებოდა.

— საქმრო ვინ არის?

— არ ვიცი, არქიტექტორიაო. ხომ წარმოგიდგენიათ, ჯეინს რო-საქმე არაფერი მქონდა, თანაც მისის ტაუერთან გემრიელი სადიგორი მთხოვნელი ეყოლება.

ღი მელოდა. რომ მივედი, მისის ტაუერი მარტო დამხვდა, საუცხოოდ გამოიყურებოდა მისი ასაკისათვის, ცოტა არ იყოს, ახალგაზრდულ კაბაში.

— ჯეინი ირთვება. ნეტა განახათ, პირდაპირ დაფრინავს, მეცხრე ცაზეა! მისი თქმით, საქმრო აღმერთებს, გილბერტი რქმევია. როცა საქმროზე ლაპარაკობს, ხმა ისე უთრთის, სიცილით მოკვდება ადამიანი.

— საინტერესოა, როგორია?

— ოჰ, წარმომიდგენია, როგორიც იქნება: ალბათ ერთი მელოტი,

3. ლიბერტი — დიდი მალაზია რიჯენტ სტრიკზე.



ზონზროხა კაცია, ღიბზე ჩამოკიდებული ვეებერთელა ოქროს ძეწკვით, წითური, მსუქანი, სუფთად პირგაპარსული და როზროზა ზმიანი.

ოთახში შემოვიდა მისის ფაულერი. შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, ფართო ქვედატანიანი, შლეიფიანი, ოდნავ ამოჭრილი უხამსუფხუხუდი გულთა და იდაყვამდე სახელოებით. ყელს ალმასის ნიჭარს უმშვენებდა. ხელში შავი, გრძელი ხელთათმანები და სირაქლემას ფრთების შავი მარაო ეჭირა. საოცარია, მაგრამ გარეგნულადაც ზუსტად ისეთი ჩანდა, როგორც სინამდვილეში იყო. ასეთი რამ ხომ იშვიათია. შეხედავდით თუ არა, იტყოდით, მდიდარი ჩრდილოელი ფაბრიკანტის ღირსეული ქვრივიაო.

— რა ლამაზი ყელი გაქვს, ჯეინ, — ღიმილით უთხრა მისის ტაუერმა.

შეფეროხილ, ნამზეურ სახესთან შედარებით მართლაც რომ საოცრად ახალგაზრდული, თეთრი, უნაოჭო, სავსე ყელი ჰქონდა. ისიც შევამჩნიე რომ მხრებს კონტა თავი უმშვენებდა.

— მერიონმა გითხრათ ჩემი ამბავი? — მკითხა მისის ფაულერმა იველი მეგობარით და თავისი მომაჯადოებელი ღიმილი შემომაგება.

— ნება მომეცით, მოგილოცოთ, — ვუთხარი მე.

— იქამდე ნუ მომილოცავთ, ვიდრე ჩემს ახალგაზრდა მეგობარს არ გაიცნობთ.

— ძალიან მსიამოვნებს, ახალგაზრდას რომ ექახი, — ღიმილით უთხრა მისის ტაუერმა.

მომეჩვენა, რომ მისის ფაულერს სათვალის შუშების მიღმა თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— ნურავის ეგონება, რომ მიხრწნილი ბებერი მომეწონებოდა, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგას.

მხოლოდ ამის თქმა მოასწრო, საუბარი აღარ დაგვცალდა, რადგან მსახურთუფროსმა ზარზეიმით გამოაცხადა:

— მისტერ გილბერტ ნეიპერი!

ოთახში შემოვიდა კარგად შეკერილ სმოკინგში გამოწყობილი ტანწვრილი, არცთუ მაინცდამაინც მალალი, ქერა, თმადატალღული და ცისფერთვალეა, სუფთად წვერგაპარსული, ასე დაახლოებით ოცდაოთხი წლის ყმაწვილი კაცი. ძალიან ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ ეშხი და მიმზიდველობა ნამდვილად არ აკლდა. ათ წელიწადში შესაძლოა ჩაყვითლებულიყო და ჭკნობა შეპარვოდა, მაგრამ ახლა ჯერ ჭაბუკი იყო, ნორჩი, ფაქიზი და გაფურჩქნილი. თავდაპირველად თავში გამიელვავა, ალბათ საქმროს ვაჟია-მეთქი (რა ვიცოდი, თურმე ქვრივი ყოფილა) და აქ იმისთვის მოვიდა, რომ შეგვატყობინოს, მამას ნიკრისის ქარის შეტევა აქვს და ვერ მოვაო. მაგრამ ყველაფერი ნათელი გახდა, როდესაც სახეგაბრწყინებული მისის ფაულერისკენ გაემართა და ორივე ხელი გაუწოდა. მისის ფაულერმაც მოკრძალებული ღიმილით შეავება ხელები, მერე კი მის ცოლს მიუბრუნდა.

— აი, ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, მერიონ.

სტუმარმა ხელი გაუწოდა მისის ტაუერს.

— მისის ტაუერ, ვიმედოვნებ, არ დამიწუნებთ, — მიმართა მან. — ჯეინმა მითხრა, თქვენს მეტი ნათესავი არა ჰყოლია.



საოცარი სანახავი იყო მისის ტაუერის სახე, აღტაცებით შეგუ-  
რებდი ზედ აღბეჭდილ გაბედულ ბრძოლას, ზრდილობამ და თავდაჭე-  
რილობამ რომ გაუმართეს ბუნებრივ ქალურ ინსტიქტებს. წამით დაუ-  
ფლებული გაოცება და შეცბუნება უმაღლესი გაუქრა და მისის ტაუერის  
სტუმართმოყვარე, ალერსიან დიასახლისად იქცა, მაგრამ საჩუქრებს  
კარად ვერ პოულობდა. არც ის იყო გასაკვირი, რომ გილბერტს თავი  
უხერხულად ეგრძნო. მეც ვდუმდი. ვშიშობდი, ვაითუ სიცილი ამიყარ-  
დეს-მეთქი, და ლაპარაკისთვის არ მეცალა. მხოლოდ მისის ფაულერი  
ანარჩუნებდა სიმშვიდეს.

— ვიცი, მერიონ, გილბერტი მოგეწონება. დიდი გურმანია, მასზე  
უკეთ არავინ იცის კარგი სადილის ფასი. — მერე საქმროს მიუბრუნ-  
და: — მერიონის სადილ-წვეულებები განთქმულია.

— დიახ, ვიცი, — გაცისკროვნებული ღიმილით უპასუხა მან.

მისის ტაუერმა რაღაც ჩაილაპარაკა პასუხად და ჩვენც სასადილო  
ოთახისაკენ გავემართეთ.

არ დამავიწყდება ამ სადილზე გათამაშებული მშვენიერი კომედია.  
მისის ტაუერი გაოგნებული იყო: რაღაცას ხომ არ მეხუმრებიან, ან  
ჯეინმა განგებ ხომ არ დამიძალა საქმროს წლოვანება, რომ ასეთ სუ-  
ლელურ მდგომარეობაში ჩავეყენებინო. მაგრამ ჯეინმა არ იცოდა და-  
ცინვა, ადამიანის მასხრად აგდება. მისის ტაუერი გაოცებულიც იყო,  
შეცბუნებულიც და გაღიზიანებულიც, მაგრამ თავს მალე მოერიდა და  
ჩვეული თავდაჭერილობა დაუბრუნდა. ვერაფერი დაავიწყებდა, რომ  
ჩინებული დიასახლისის სახელი ჰქონდა, რომლის მოვალეობაც ისაა,  
წვეულება კარგად ჩაატაროს. მხიარულად ლაპარაკობდა, და მე ვფიქ-  
რობდი, ნეტავ თუ ამჩნევს-მეთქი გილბერტ ნეიპერი გულთაღობის  
ნიღბის ქვეშ მის გამანადგურებელ მზერას. მისის ტაუერი მას ყურა-  
დლებით ათვალთვრებდა, ცდილობდა სულში ჩასწვდომოდა, რომ ამო-  
ეცნო იქ დამალული საიდუმლო. ვხედავდი, გაგულისებული იყო — ფე-  
რუმარილი ვერ ფარავდა მის აღმოდებულ ლოყებს.

— მერიონ, მთლად გაწითლებული ხარ, — უთხრა ჯეინმა და თა-  
ვისი დიდი სათვალღიდან სიყვარულით შეხედა.

— ჩაცმისას ძალიან ვჩქარობდი და ალბათ ფერის წასმა გადა-  
ვამეტე.

— პოო, ეს ფერია? არ ვიცოდი, მე ბუნებრივი სიწითლე მეგონა,  
თორემ ხმასაც არ ამოვიღებდი, — ჯეინმა გილბერტს მორცხვად გაუ-  
ღიმა. — იცით, გილბერტ, მე და მერიონი ერთად ვსწავლობდით სკო-  
ლაში. აბა, შემოგვხედეთ, ხომ წარმოუდგენელია? მაგრამ მე მთელი  
სიცოცხლე მიყრუებულ პროვინციაში ვავატარე.

არ ვიცი, ეს განზრახ თქვა, თუ გულუბრყვილოდ, მაგრამ ნათქვა-  
მმა მისის ტაუერი ისე გააგულისა, რომ თავმოყვარეობა დაივიწყა და  
გესლიანად უთხრა:

— შენცა და მეც, ჯეინ, ორმოცდაათს უკვე დავემშვიდობეთ.

თუ ეს სიტყვები ქვრივის გასანადგურებლად ითქვა, მაშინ მოგას-  
სენებთ, რომ ნათქვამმა მიზანს ვერ მიაღწია.

— გილბერტმა მითხრა, ჩემი ხათრით ორმოცდაცხრაზე მეტს ნუ  
იტყვიო, — უეშპაკოდ თქვა ჯეინმა.



მისის ტაუერს ხელები აუკანკალდა, მაგრამ სიტყვის სასესხებლად სახვასთან არ წასულა.

— ჰო, რა თქმა უნდა, თქვენს შორის ასაკში ცოტაოდენი განსხვავებაა.

— ოცდაშვიდი წელი, — თქვა ჯეინმა. — ეს ბევრი გონია? გილბერტი მეუბნება, შენს წლოვანებასთან შედარებით ბევრად ახალგაზრდა ჩანხარო. აკი გითხარი, მერიონ, ცალი ფეხი სამარეში რომ უდვას, ისეთ ბებრუხანას არ გავყვები-მეთქი.

თავი ვერ შევიკავე და გამეცინა. გილბერტსაც გაეცინა, ალაღად და ბავშვურად. ეტყობა, ჯეინის ყოველი ნათქვამი სიამოვნებას ჰგვრიდა. სამაგიეროდ მისის ტაუერი იყო უკანასკნელ ზღვრამდე მისული და შიშმა ამიტანა, ცოტა თუ არ დამშვიდდა, ვაითუ ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც მისი წრის მანდილოსანს არ ეკადრება-მეთქი.

უსიამოვნება რომ გამეფანტა, ვთქვი:

— ახლა ალბათ საქორწინო სამზადისში იქნებით ხომ?

— არა, — მითხრა ჯეინმა, — მინდოდა, კაბები ლივერპულში შემეკვთა მკერავისათვის, ვისთანაც მას შემდეგ ვიკერავ, რაც პირველად ვიქორწინე. მაგრამ გილბერტი არ მანებებს, ეგ საქმე მე მომანდო. მართლაც ბრწყინვალე გემოვნება აქვს.

ჯეინმა ნაზად, მოკრძალებით გაულიმა საქმროს, თითქოს ჩვიდმეტი წლის ქალიშვილიაო. მისის ტაუერი მთლად გაფითრდა. ფერუმარილმაც კი ვერ დაფარა მისი სიფერმკრთალე.

— თაფლობის თვეს იტალიაში გავატარებთ. გილბერტი რენესანსის ეპოქის არქიტექტურას შეისწავლის, ადრე ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, არადა, არქიტექტორისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გზად პარიზში შევჩერდებით და ტანსაცმელსაც იქ შევიძენ.

— დიდი ხნით მიემგზავრებით?

— გილბერტს ექვსი თვის შვებულება აქვს. ვფიქრობ, მოგზაურობა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს. ადრე ხომ ორ კვირაზე მეტ ხანს არასოდეს ყოფილა შვებულებაში.

— რატომ არ ყოფილა? — ცივად იკითხა მისის ტაუერმა.

— ჩემო კარგო, ამის სახსარი თუ საშუალება არასოდეს ჰქონია.

— აჰა! — წამოიძახა მისის ტაუერმა მრავალმნიშვნელოვნად.

შემოიტანეს ყავა. მერე ქალები ზევით ავიდნენ. მე და გილბერტმა საუბარი ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ასეა, როცა ადამიანებს არაფერი აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი. კიდევ კარგი, ორიოდ წუთში მსახურთუფროსმა მისის ტაუერის ბარათი გადმომცა: „სასწრაფოდ ზევით ამოდით და გამოგვემშვიდობეთ. ჯეინს ახლავე უნდა დაველაპარაკო, თორემ გავგიჟდები!“

ტყუილის მოგონება არ გამჭირვებია.

— მისის ტაუერს თავი ასტკივდა და უნდა დაწვეს. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წავიდეთ.

— რა თქმა უნდა, — დამეთანხმა გილბერტი.



ზევით ავედით და ქალებს გამოვეთხოვეთ. ხუთ წუთში უკვე ქუჩაში ვიყავით. მე ტაქსი დავიჭირე და გილბერტს შევთავაზე, ვანტ-მეტჩი.

— არა, გმადლობთ, — მითხრა მან. — კუთხემდე ფეხები ვიწვინო და მერე ავტობუსში ჩავჯდები.

როგორც კი ჩვენს უკან სადარბაზო კარი მიიხურა, მისის ტაუერი ჯეინს მივარდა.

— გაგიჟდი, ჯეინ?! — წამოიძახა მან.

— არა, იმათზე მეტად არა, საგიჟეთში რომ არ არიან გამომწყვდეული და თავისუფლად დადიან გარეთ, — მიუგო მან ნაზად.

— შეიძლება გავიგო, მაგ ყმაწვილკაცს რატომ მიჰყვები? — ჰკითხა მისის ტაუერმა ნაძალადევი თავაზიანობით.

— ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩემგან უარის გაგონება არ უნდა. უკვე ხუთჯერ მთხოვა ხელი და მეც დავიღალე ამდენი უარის თქმით.

— მერე, როგორ გგონია, ასე მოწადინებული რატომაა, ცოლად შეგირთოს?

— იმიტომ, რომ მოვწონვარ, ჩემს გვერდით ყოფნა უხარია.

გალიზიანებულმა მისის ტაუერმა შესძახა:

— ეგ უნამუსო, მატყუარა! ცოტას გაწყდა, პირში არ მივახალე, რასაც ვფიქრობ.

— ჯერ ერთი, მართალი არ იქნებოდი, და მეორეც, ასეთი საქციელი არ გეკადრება.

— შენ მდიდარი ხარ, ეგ ლატაკია. ტვინი გაანძრიე და მიხვდები, რომ ფულის გულისთვის გირთავს.

ჯეინი სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. აუღელვებლად უყურებდა რძლის ბობოქრობას.

— არა მგონია, მაგისთვის მირთავდეს, — მიუგო ჯეინმა. — ჩემი აზრით, ძალიან ვუყვარვარ.

— შენ ბებრუხანა ხარ, ჯეინ.

— შენი ტოლი ვარ, მერიონ, — გაულიმა ჯეინმა.

— პო, მაგრამ მე ყოველთვის ვუფლიდი თავს. ჩემს ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოვიყურები, ორმოცი წლისაზე მეტის არავის ვგონივარ, მაგრამ გულშიც კი არასოდეს გამივლია, ოცი წლით უმცროსზე გავთხოვილიყავი.

— ოცდაშვიდი წლით უმცროსზე, — შეუსწორა ჯეინმა.

— მერე, გჯერა, რომ მაგ ასაკის ყმაწვილს შეუძლია დედისტოლა ქალის შეყვარება?

— რა ვიცი, პროვინციაში დიდხანს ვიცხოვრე და ალბათ ადამიანებს ცუდად ვიცნობ, მაგრამ ამბობენ, რომ არის ერთი ავსტრიელი, ვილაც ფროიდი... რომელიც...

მისის ტაუერმა უხეშად შეაწყვეტინა:

— ნუ სულელობ, ჯეინ, თავს ნუ ირცხვენ, ქვეყნის სამასხარაო ნუ ხდები. ყოველთვის ჭკვიან ქალად მიმაჩნდი, რას ვიფიქრებდი, რომ ამ ღლაპს შეიყვარებდი.



— არ მიყვარს და ეს თვითონაც იცის. ვერ ვიტყვი, არ მომწონს-მეთქი, ისე ცოლობაზე არც დავთანხმდებოდი. მაგრამ ვრწმუნდები, პატიოსანი საქციელი იქნებოდა, თუ გულახდილად ვეტყვოდი, რასაც მისდამი ვგრძნობდი და ასეც მოვიქეცი.

მისის ტაუერს ენა დაება, სისხლი თავში აუტარდა და ისევე შეეკრა, და რადგან მარაო ხელთ არა ჰქონდა, უცებ საღამოს გაზეთს დასწვდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაინიაფა.

— თუ არ გიყვარს, რა ძალა გადგას, რატომ მიჰყვები?

— დიდი ხნის დაქვრივებული ვარ, ცხოვრება სიმშვიდეში გავატარე, ახლა რაღაც ცვლილება მინდა.

— თუ ასე გინდა გათხოვება, ადექი და შენს ტოლს გაჰყევი.

— ჩემი ასაკის მამაკაცს ხუთჯერ არ უთხოვია ჩემთვის ხელი, თუ მართალი გინდა, ერთხელაც კი არა.

ჯეინს თვითონვე გაეცინა თავის ნათქვამზე. ამან მისის ტაუერი მოთმინებიდან გამოიყვანა.

— ნეტა რა გაციინებს, ჯეინ. ამ სისულელის მოსმენა აღარ მინდა. არა მგონია, გულში შენს საქციელს ამართლებდე.

მისის ტაუერმა თავი ველარ შეიკავა და ატირდა, თუმცა იცოდა, მის ასაკში ტირილი დამლუპველი იყო, თვალები მეორე დღესაც დასიებული ექნებოდა, მაგრამ თავს ველარ მოერიო. მწარედ ქვითინებდა. ჯეინი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მერიონს თავისი დიდი სათვალისა და შეპყურება და ჩაფიქრებული კალთაზე ისვამდა ხელს, თითქოს კაბის ნაკეცებს ასწორებდა.

— თავს იუბედურებ, — სლუკუნით ეუბნებოდა მისის ტაუერი, თან ფრთხილად იმშრალებდა ცრემლებს, რომ წამწამების საღებავით სახე არ მოეთხუპნა.

— არა, ასე არ არის, მერიონ, — მშვიდად, აულელვებლად, ნაზი ღიმილით უპასუხა ჯეინმა, — ყველაფერი საგულდაგულოდ ავწონდავწონეთ. მე ისეთი ადამიანი ვარ, ჩემთან შეგუება და ცხოვრება ადვილია. ვფიქრობ, გილბერტს გავაბედნიერებ, მშვიდ, მყუდრო ოჯახს შევუქმნი. მასზე ხომ არავის უზრუნია. მხოლოდ დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ დაქორწინება და შევთანხმდით, თუ რომელიმე ჩვენგანი თავისუფლებას მოისურვებს, მეორემ არ უნდა შეუშალოს ხელი.

მისის ტაუერმა კვლავ მოიკრიბა მხნეობა და გესლიანად მიახალა:

— რამდენი დაგტყუა?

— მინდოდა წელიწადში ათასი გირვანქა დამენიშნა, მაგრამ გაგონებაც არ ისურვა. ეს რომ შევთავაზებ, ძალიან ეწყინა, მე ჩემიც მყოფნისო.

— იმაზე უფრო ცბიერი ყოფილა, ვიდრე მეგონა, — ღვარძლიანად შენიშნა მისის ტაუერმა.

ჯეინმა ცოტა დააყოვნა და თავის რძალს ალერსიანად, მაგრამ გაბედულად შეხედა.

— ჩემო კარგო, შენ ამას ვერ გაიგებ, — უთხრა მან. — მართალია, ქვრივი ხარ, მაგრამ კარჩაკეტილად არასოდეს გიცხოვრია, განა ასე არ არის?



მისის ტაუერმა შეხედა, ლოყები შეეფაკლა, რადგან თავი ცოტა უხერხულად იგრძნო. მაგრამ ჯეინი მეტად მიაპიტი ადამიანი იყო და ეს განზრახ არ უთქვამს. მისის ტაუერმა ძალა მოიკრიბა, რომ თავი ღირსეულად დაეჭირა.

— ისე აღელვებული ვარ, ახლა დაწოლა მირჩევნია. *სამუშაო მუშაობს*  
 ლისათვის გადავდოთ.

— არა მგონია, ხვალ ლაპარაკი მოვახერხოთ. მე და გილბერტი ხვალ დაქორწინებას ვაპირებთ.

შეცბუნებულმა მისის ტაუერმა ველარაფერი უპასუხა და მხოლოდ ხელები გაასაფსავა.

ქორწინება მერიაში შესდგა. მე და მისის ტაუერი მოწმეებად წავყვევით. მოხდენილ ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი გილბერტი მთლად ნორჩი ჩანდა. იგი აშკარად ღელავდა. ყოველი მამაკაცის ცხოვრებაში ეს სომ ძალზე მძიმე წუთებია. სამაგიეროდ ჯეინი იჩენდა შესაშურ სიმშვიდეს, თითქოს ძალადი წრის ქალი იყო, რომელსაც არაფრად მიაჩნდა კიდევ ერთხელ გათხოვება. მისი ოდნავ შეფაკლული ლოყები თუ ამხელდა გარეგნული სიმშვიდით შენიღბულ მღელვარებას. ეს წუთები ხომ ყოველი ქალისათვის ამაღელვებელია. მას ეცვა ვერცხლისფერი ხავერდის განიერი კაბა, ლივერპულელი მკერავის ხელი რომ ეტყობოდა, მკერავისა, რომელიც წლების მანძილზე უკურავდა. ხოლო თავზე ესურა სირაქლემას ლურჯი ფრთებით მორთული ფართოფარფლებიანი ქუდი. ამას ემატებოდა ოქროსჩარჩოიანი დიდი სათვალეც, რომელიც საოცრად კომიკურ იერს სძენდა.

როდესაც ცერემონია დასრულდა, რეგისტრატორმა (რომელიც გაოცებას ვერ მალავდა მეფე-პატარძალს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო), პატარძალს ხელი ჩამოართვა და ოფიციალურად მიულოცა, ხოლო სახელეწილმა სიძემ ჯეინს ნაზად აკოცა. მერე პატარძალი მე მომაჩერდა მომლოდინე თვალებით. ცხადი იყო, მეც უნდა მეკოცნა. ასეც მოვიქეცი. უნდა გამოვტყდე, რომ ცოტა დავიმორცხვე მერიიდან გამოსულმა, რადგან ქუჩაში მრავლად დაგვხვდნენ სეირის მაყურებლები. მაგრამ როგორც კი მისის ტაუერის მანქანაში ჩავჯექი, შვებით ამოვისუნთქე. ჩვენ ვიქტორიას ვაგზლისაკენ გავემართეთ. ბედნიერი წყვილი პარიზს უნდა გამგზავრებულიყო ორი საათის მატარებლით და ჯეინის დაუინებელი თხოვნით ვაგზლის რესტორანში უნდა გვესაუზმა. იქ უნდა აღგვენიშნა მათი ქორწინება. ჯეინი ამბობდა, ყოველთვის ვნერვიულობ, ვაითუ ბაქანზე გასვლა დამაგვიანდესო. მისის ტაუერს მხოლოდ ძვალ-რბილში გამჯდარი ოჯახური მოვალეობის გრძნობა აიძულებდა აქ ყოფნას, ამიტომაც ჩვეული ლაზათი ვერ დასდო სუფრას. მას არაფერი უჭამია (რისთვისაც არ ვადანაშაულებ — ძალზე უგემური საჭმელი იყო, თანაც მე საუზმეზე შამპანური არ მიყვარს). იგი დაძაბულად ლაპარაკობდა, ჯეინი კი გემრიელად მიირთმევდა.

— გამგზავრების წინ კარგად უნდა დანაყრდე. — განაცხადა მან. ჩვენ ისინი გავაცილეთ. მერე მისის ტაუერიც მივაცილეთ მანქანით სახლამდე.

— თქვენი აზრით რამდენ ხანს გასტანს ეს ქორწინება? — მკითხა მან. — ექვს თვეს?



— იქნებ მეტსაც, — ღიმილით მივუგე.

— სისულელეა, მეტს ვერ გასტანს! ეჭვი ხომ არ გეჭრებათ, რომ მან ფულის გულისთვის შეირთო ჯეინი? რა თქმა უნდა, ვერ გასტანს! იმის იმედითა მაქვს, რომ განქორწინება ჯეინს იმდენ ტკივილს მაინც ვერ მიაყენებს, რამდენსაც იმსახურებს.

მე გამეცინა. ეს თანაგრძნობით სავსე სიტყვები ისეთი კილოთი ითქვა, რომ არავითარ ეჭვს აღარ მიტოვებდა, რას გულისხმობდა მისის ტაუერი.

— თუ მალე გაიყრებიან, ნიშნის მოგებით მეტყვი: აკი გეუბნებოდითო, — ვუთხარი მე.

— სიტყვას გაძლევთ, მაგას არ გეტყვით.

— და თუ არ მეტყვით, კმაყოფილებას ვერ დამალავთ საკუთარი თავდაჭერილობის გამო.

— ჯეინი ხნიერია, თანაც უგემოვნო და სულელი.

— ეგრე გგონიათ? მართალია, ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ სიტყვა კი უჭრის.

— რაც თავი მახსოვს, მაგისგან ერთი მოსწრებული სიტყვაც არ გამიგონია.



მე ერთხელ კიდევ გავემგზავრე შორეულ აღმოსავლეთში და ამჯერად თითქმის ორი წელი დავყავი იქ. ვილბერტი და ჯეინი საქორწინო მოგზაურობიდან რომ დაბრუნდნენ, მე უკვე წასული ვიყავი. მისის ტაუერი ცუდი კორესპონდენტი აღმოჩნდა, ერთხელ ღია ბარათი გავუგზავნე, მაგრამ არ გამომეხმაურა. კვირაც არ იქნებოდა გასული ლონდონში ჩემი დაბრუნებიდან, რომ მისის ტაუერს შევხვდი ერთ წვეულე-ბაზე. ბედად, მის გვერდით აღმოვჩნდი. დიდი წვეულება იყო, ოცდაოთხი კაცი მაინც ვიქნებოდით, მსგავსად იმ ოცდაოთხი შაშვისა ღვეზელში, როგორც ერთ საბავშვო ლექსშია, მე ცოტა დავიგვიანე და შევცბუნდი, ერთბაშად ასეთ თავყრილობაში რომ მოვხვდი. თავიდან ვერ გავარჩიე სტუმრები, მერე კი, როცა გრძელ მაგიდას მივუსხედით და იქაურობას მოვაფლე თვალი, თანამესუფრეთა შორის ბევრი ცნობილი პიროვნება შევნიშნე, რომელთა ფოტოებიც ხშირად მინახავს პრესაში. ჩვენს დიასახლისს, რომელიც გულგრილი არ გახლდათ საბელოვანი ადამიანებისადმი, მართლაც რჩეული საზოგადოებისათვის მოეყარა თავი. მე და მისის ტაუერმა, როგორც კარგა ხნის უნახავმა ორმა ადამიანმა, თავაზიანად რომ მოვიკითხეთ ერთმანეთი, მერე ჯეინის ამბავიც ვიკითხე.

— ძალიან კარგად არის, — რაღაც უხალისოდ მომიგო.

— როგორი გამოდგა მათი ქორწინება?

მისის ტაუერმა პასუხი ცოტა შეაყოვნა და მის წინ დადებული თეფშიდან მარტილიანი ნუში აიღო.

— მგონი, ყველაფერი ჩინებულადაა.

— აბა, შემცდარხართ.



— მე ვამბობდი, ეს ქორწინება ხანგრძლივი არ იქნება-მეთქი, და კვლავაც ამას ვიმეორებ. ეს ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება.

— ჯეინი ბედნიერია?

— ორივე ბედნიერია.

— ეტყობა, იშვიათად ნახულობთ.

— პირველ ხანებში ხშირად ვხვდებოდი, მაგრამ ახლამდღეობის მისის ტაუერმა ტუჩები მოკუმა, ცოტა ხნის მერე კი თქვა:

— ჯეინი ისეთი ბრწყინვალეა.

— რას გულისხმობთ? — გამეცინა.

— თავად ნახავთ, ჯეინი აქ არის.

— აქ?

მე გავოგნდი. მერე ისევ მაგიდას მოვაველე თვალი. ჩვენი დიასახლისი მომხიბლავი, საინტერესო ქალბატონი გახლდათ, და რას წარმოვიდგენდი, რომ ამ საზოგადოების შესაფერისად ჩათვლიდა და სადილად მოიწვევდა ხნიერ, უგემოვნო ქალს, ვილაც უცნობი არქიტექტორის ცოლს. მისის ტაუერმა შეამჩნია ჩემი დაბნეულობა და გამჭოლი მზერით ჩემს აზრებს ჩასწვდა. მან უსიამოვნოდ გაიღიმა.

— ჩვენი მასპინძლის მარცხნივ ზის.

შევხედე. საოცარია, ეს ის ქალი იყო, ვინც ფანტასტიკური გარეგნობით იმწამსვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, როგორც კი ხალხით გაჭედულ სასტუმრო ოთახში შემოვედი. მომეჩვენა, თითქოს მიცნო და თავი ოდნავ დამიკრა. მე ვერ ვიცანი. დარწმუნებული ვიყავი, არასოდეს მენახა. ახალგაზრდა აღარ იყო, ჭაღარაშერეული თმა მოკლედ შეეჭრა და ღამაშ თავზე კულულებად ეყარა. იმას ვერ ვიტყვი, კალმით ნახატი იყო-მეთქი, არც იმას ცდილობდა, თავი ახალგაზრდად მოეჩვენებინა. მისი ქარდაკრული, მზემოკიდებული სახე იმით იქცევდა ყურადღებას, რომ არც ფერ-უმარილი ესვა, არც პუდრი და არც ტუჩები ჰქონდა შეღებილი. სწორედ ბუნებრიობა სძენდა მიმზიდველობას მის სახეს, რომელიც საოცარ კონტრასტს ქმნიდა მისივე ქათქათა მხრებთან. მართლაც რომ საუცხოო მხრები ჰქონდა, ასეთი მხრებით ოცდაათი წლის ქალიც კი მოიწონებდა თავს. ექსტრავაგანტური კაბა ეცვა, თამამი გემოვნებით შეკერილი, რომლის მსგავსიც იშვიათად თუ მინახავს: შავი და ვვითელი ფერების შესამება, ღრმად ამოჭრილი გულისპირი და მოკლე ქვედატანი, როგორიც მაშინ იყო მოდაში. თითქმის სამასკარადო კოსტიუმის შთაბეჭდილებას ტოვებდა და მაინც საოცრად უხდებოდა მას. სხვას რომ სცმოდა, იქნებ მნახველთა აღშფოთებაც კი გამოეწვია, მის ტანზე კი ბუნებრივი და მშვენიერი ჩანდა. სრული წარმოდგენა რომ შეგექმნათ მის ექსცენტრულობაზე, რომელშიც პოზიორობის ნატამალიც კი არ იყო, და ექსტრავაგანტურობაზე, საიდანაც იოტისოდენა თავმომწონეობაც არ გამოსჭვიოდა, დავუმატებ, რომ ჯეინს შავი ზონრით მიმაგრებული მონოკლი ეკეთა.

— მაშ, ეს არის თქვენი მული? — ვკითხე სულშეგუბებულმა.

— დიას, ეგ გახლავთ ჯეინ ნეიპერი, — ცივად მომიგო მისის ტაუერმა.

სწორედ ამ დროს ჯეინი რალაცას ჰყვებოდა. მისკენ მიბრუნებული მასპინძელი წინდაწინ იღიმებოდა, ხელმარცხნივ მჯდარი ჭაღარა, თმა-



შეთხლებული მამაკაციც მისკენ გადახრილიყო და დაკვირვებული, ჭკვიანი სახე მიეპყრო მისთვის, ხოლო წინ მსხდომ ცოლქმნარს ლაპარაკი შეეწყვიტა და გულისყურით უსმენდა მას. ჯეინმა ამხავი/დაასრულა თუ არა, სტუმრებმა ხარხარი ატეხეს და ათახთახებულები სკამის საზურგეებს მიეყრდნენ. სუფრის მოპირდაპირე მსწრედიც მისთვის ტაუერს მამაკაცი გამოელაპარაკა (მაშინვე ვიცანი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე).

— თქვენი მული, როგორც ყოველთვის, ენამახვილია.

მისის ტაუერმა გაუღიმა.

— შეუდარებელია, არა?

— თქვენის ნებართვით, ცოტა-ცოტა შამპანურს შევსვამ, თქვენ კი, ღვთის გულისათვის, ყველაფერი მიაბზეთ მის შესახებ, — ვუთხარი მისის ტაუერს.

როგორც მისის ტაუერმა მიაბზო, ახლად დაქორწინებულებს თაფლობის თვე პარიზში გაუტარებიათ. პირველ ხანებში გილბერტს თურმე ნაირ-ნაირ მკერავებთან დაჰყავდა ჯეინი და არ უშლიდა საკუთარი სურვილითა და გემოვნებით შეეძინა კაბები, მაგრამ იმაზე კი დაუყოლიებია, ერთი-ორი კაბა მის მიერ შექმნილი ესკიზით შეეკერინებინა. გილბერტს მართლაც საოცარი ნიჭი აღმოაჩნდა ამ საქმეში. მერე ერთი მარჯვე და ჭკვიანი ფრანგი მოახლევ დაუყენა ჯეინს. ჯეინი კი ამას არ იყო ჩვეული. სანამ გილბერტს მისთვის ვეძებოდა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა, მხოლოდ მაშინ იძახებდა დამლაგებელ ქალს, როცა ძირის-ძირობამდე აპირებდა ბინის დალაგებას. გილბერტის ესკიზებით შეკერილი ტანსაცმელი ძლიერ განსხვავდებოდა იმისაგან, რაც მანამდე ეცვა ჯეინს. თუმცა გილბერტი წინდახედულებასაც იჩენდა, არ ჩქარობდა, ცდილობდა მეტიმეტი არ მოსვლოდა, რათა არ დაეფრთხო ჯეინი. ჯეინმა კი, ქმრისთვის რომ ესიამოვნებინა, საკუთარი გემოვნებით ნაყიდს მის მიერ შექმნილი კაბები ამჯობინა, თუმცა ერთხანს ფრთხილობდა და ყოყმანობდა კიდევ. რალა თქმა უნდა, ამ კაბებქვეშ თავის ფართო ქვედატანებს ვერ ჩაიცვამდა, პოდა, მათაც შეეღია, თუმცა ეს მისთვის იოლი სულაც არ იყო.

— ჰო, მართლა, — თქვა მისის ტაუერმა და გამკიცხავად ჩაიფრუტუნა, — ამ ასაკის ქალი მხოლოდ აბრეშუმის თხელ წინდებს იცვამს. ქალიან მიკვირს, რომ არ ცივდება.

გილბერტს და ფრანგ მოახლეს ჯეინისათვის ტანსაცმლის კოხტად მორგება და მოხდენილი მიხრა-მოხრა უსწავლებიათ. მათდა გასაოცრად, ჯეინს საკმაოდ სწრაფად აუთვისებია ყოველივე. ფრანგი მოახლე ალტაცებულა მისი ლამაზი მხრებით და განუცხადებია, ნამდვილად ცოდვია მათი დამალვაო.

— ცოტა დაიცადეთ, აღფონსინა, — უთქვამს გილბერტს, — ახალი კაბების მოდელებს რომ შევქმნი ქალბატონისათვის, მაშინ ნახეთ, როგორ გაიბრწყინებს იგი.

ყველაზე დიდი საზრუნავი სათვალემ გაუჩინათ. აბა, რომელ ქალს უხდება ოქროსჩარჩოიანი დიდი სათვალე! გილბერტს კუს ბაკნის ჩარჩოიანი სათვალეც მოუსინჯავს, მაგრამ არც ეს მოსწონებია.



— სათვალე გოგონებს უხდებათ, ჯეინ, — უთქვამს მას. — შენი ასაკის ქალს სათვალე აღარ შეეფერება. — მერე უცებ მონოკლი გახსენებია.

— ოჰ, არა, გილბერტ, მაგას ვერ ვატარებ, — იუარა ეჭვიანი ინმა, მაგრამ გილბერტს რომ შეხედა და მისი ალტაცები დაინახა, ალტაცება ნამდვილი ხელოვანისა, გაეღიმა. გილბერტი ისე ნაზად ექცეოდა, რომ ჯეინს სურვილი აღეძრა მისთვის სიამოვნება მიენიჭებინა.

— კარგი, ვცდი, — უთხრა მან.

როცა ოპტიკურ მაღაზიაში შესულან და ჯეინს მონოკლი მოურგია, გილბერტს სიხარულით ტაში შემოუკრავს და გაოცებული გამყიდველის წინ ცოლი გადაუკოცნია.

— რა ძალიან გიხდება!

მერე იტალიაში გაემგზავრნენ და იქ რამდენიმე ბედნიერი თვე გაატარეს, თან რენესანსისა და ბაროკოს არქიტექტურას ეცნობოდნენ. ამასობაში ჯეინი თანდათან შეჩვევია თავის გარეგნობას და, რაც მთავარია, მოსწონებია კიდევ. პირველ ხანებში რესტორანში შესვლისას იქ მყოფნი რომ შემობრუნდებოდნენ და მიაშტერდებოდნენ, კრთებოდა (ადრე ამას ვინ იფიქრებდა!), მაგრამ მერე და მერე აღმოაჩინა, რომ სიამოვნებდა ყურადღება. ქალები ხშირად ეკითხებოდნენ, კაბებს ვის აკერინებთო.

— მოგწონთ? — მორცხვად პასუხობდა ის. — ამ ტანსაცმლის დიზაინერი ჩემი ქმარია.

— თუ წინააღმდეგი არა ხართ, შეიძლება ამ მოდელის გადაღება?

ჯეინი კარგა ხანს ცხოვრობდა განმარტოებით, მაგრამ ქალური ალლო ოდნავადაც არ დასჩლუნგებია და მსგავს თხოვნაზე ყოველთვის მზად ჰქონდა პასუხი.

— სამწუხაროდ, ჩემი ქმარი მეტად თავისებური კაცია, ამის გაგონებაც არ სურს. უნდა, რომ განუმეორებელი ვიყო.

ჯეინს ეგონა, ასეთ პასუხზე გაიცინებდნენ, მაგრამ არა, ისინი უბრალოდ პასუხობდნენ: — რა თქმა უნდა, სავსებით გასაგებია, თქვენ მართლაც განუმეორებელი ხართ.

ჯეინი ხედავდა, რასაც ფიქრობდნენ მის ჩაცმულობაზე და სიხარულის ერთგვარი უღლიდა. მის ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ სხვებისაგან განსხვავებულად ეცვა და ვერ გაეგო, რატომ უნდოდათ სხვებს, რომ მასავით სცმოდათ.

— გილბერტ, — მიმართა ქმარს უჩვეულო საყვედურით: — როცა სხვა დროს ჩემთვის შექმნი ტანსაცმლის მოდელს, ეცადე, ისეთი იყოს, რომ სხვებმა გადაღება ვერ შეძლონ.

— ამისათვის ერთადერთი გზაა — ისეთი მოდელები შეექმნა, შენს გარდა სხვას არავის მოუხდეს.

— მერე, შეგიძლია?

— შეგიძლებ, თუ შენ ერთ რამეს შემისრულებ.

— მაინც რას?

— თმა შეიჭერი.



ვფიქრობ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჯეინი გაჯიუტდა. ჯეინს ხშირი და გრძელი თმა ჰქონდა, რითაც დიდად ამაყოფიერებდა ქალიშვილობაში. თმის შეჭრა ძალზე მკაცრი მოთხოვნა იყო. სინამდვილეში უკან დასახევ გზას უჭრიდა ჯეინს. ეს ბოლო დღეებში ყველაზე ძვირად დაუჯდა, მაგრამ მაინც დათმო („მერიონის დაბრუნების შემთხვევაში ჩამთვლის და აღარც ლივერპულში ჩამესვლება ოდესმე“, — თქვა მან). როდესაც შინ ბრუნდებოდნენ, გზად პარიზში შეჩერდნენ და გილბერტმა ჯეინი, რომელსაც მღელვარებისაგან გამალებით უძგერდა გული, მსოფლიოს საუკეთესო პარიკმახერთან მიიყვანა. მისი სალონიდან ჯეინი მოდური ვარცხნილობით გამოვიდა. მის კოსტა, კაბნიერ, უდარდელ თავს ნაცრისფერი კულულები ამშვენებდა. პიგმალიონმა ფანტასტიკური შედეგრი დაასრულა: გააცოცხლა თავისი გალათქმებული.

— კარგი, ეს ყველაფერი გასაგებია, — ვუთხარი მერიონს, — მაგრამ მაინც ვერ ამიხსნია, როგორ მოხვდა ჯეინი ჰერცოგის მეუღლეების, მინისტრების და სხვათა საზოგადოებაში, ან სუფრაზე მასპინძელსა და ფლოტის ადმირალს შორის რატომ ზის?

— ჯეინის იუმორი მოსწონთ, — მითხრა მისის ტაუერმა, — ვერ შედავთ, მის ყოველ სიტყვაზე მსმენელები ხარხარით ასკდებიან ერთმანეთს.

ამკარად გულნატკენი ჩანდა მისის ტაუერი.

— როდესაც ჯეინმა მომწერა, რომ საქორწინო მოგზაურობიდან ბრუნდებოდნენ, გადავწყვიტე, სადილზე მომეწვია. თუმცა დიდად აღფრთოვანებული არ ვიყავი, მაგრამ რას ვიზამდი, სხვანაირად არ შეიძლებოდა. ვიცოდი, მოსაწყენი წვეულება გამომივიდოდა და არ მინდოდა ის ადამიანები გამეწირა, რომლებსაც დიდ პატივს ვცემდი. მეორეს მხრივ, არც ის მინდოდა, ჯეინს ეფიქრა, რომ მე კარგი მეგობრები არ მყავდა. ალბათ, იცით, რვა კაცზე მეტი არასოდეს დამიპატიჟია, მაგრამ ვიფიქრე, ამჯერად თორმეტს დავპატიუებ, უკეთესი იქნება-მეთქი. მოუცლელობის გამო ჯეინი წვეულებამდე არ მინახავს. სადილზე ჯეინმა ცოტა დაიგვიანა — ეს გილბერტის მოფიქრებული იყო — დაბოლოს, როცა ოთახში ნარნარად შემოსრიალდა, კინაღამ დამბლა დამეცა. იქ მყოფი ყველა ქალი ერთბაშად უგემოვნო პროვინციელად იქცა. თავად მეც უშნოდ მორთულ ფეთხუმად ვიგრძენი თავი.

მისის ტაუერმა ცოტაოდენი შამპანური მოსვა.

— ვერ აგიწერთ, როგორი კაბა ეცვა! სხვას რომ სცემოდა, ალბათ, საფრთხობელას დაემსგავსებოდა, ჯეინი კი გაოცებას და აღტაცებას იწვევდა. ახლა მონოკლი! უსათვალოდ არასოდეს მენახა მანამდე.

— არ იცოდით, ჯეინს კარგი ტანი რომ ჰქონდა?

— საიდან უნდა მცოდნოდა? მუდამ განიერი კაბები ეცვა, ისეთი, როგორითაც გაიცანით. თქვენ კი იფიქრებდით, რომ კარგი ტანი ექნებოდა? მგონი, მშვენივრად ხვდებოდა, რა აღტაცებაც გამოიწვია, და შეიმშვენა კიდევ, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. შვებით ამოვისუნთქე, სადილის ბედი აღარ მაღარდებდა. ცოტა მოუხეშავიც რომ ყოფილიყო ჯეინი, ისეთი გარეგნობა ჰქონდა, ამას არავინ მიაქცევდა ყურადღებას. მაგიდის მეორე ბოლოდან, სადაც ჯეინი იჯდა, ხშირად ისმოდა



სიცილი. მიხაროდა, რომ ყველანი მონაწილეობდნენ საუბარში, ყველანი მხიარულობდნენ. და მაინც გაოცებული დავრჩი, როდესაც სადილის ბოლოს სამი თუ ოთხი მამაკაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა, თქვენი მული განსაცვიფრებელი პიროვნებაა, როგორ ფიქრობთ, ნებას დაგვრთავს, შინ ვეწვიოთ? გაოცებული ვიყავი. მეორე დღეს ჩვენმა დღემ ვანდელმა დიასახლისმაც დამირეკა და მითხრა, თქვენს მულსე ლაპარაკით ყურები გამომიჭედეს, გთხოვთ, სადილად ჩემი მოწვევა გადასცეთო. ამ ქალს საოცარი ყნოსვა აქვს: ერთ თვეში მთელი ქალაქი ჯენსზე ალაპარაკდა. ხოლო მე თუ ამ წვეულებაზე ვარ, იმიტომ კი არა, რომ ოცი წელია ვიცნობ ჩვენს დიასახლისს და ასჯერ მაინც ყოფილა იგი სადილად ჩემთან, არა, მე ჯეინის გამო ვარ აქ, როგორც მისი რძალი.

საწყალი მისის ტაუერი. შეურაცხყოფილი იყო, რადგან სუფრასთან მსხდომთა ყურადღება ახლა სხვისკენ იყო მიმართული. და თუმცა ეს ყოველივე ძალიან მართობდა, ვგრძნობდი, რომ იგი ჩემს თანაგრძნობას იმსახურებდა.

— ადამიანები გარს იმას ეხვევიან, ვინც ამხიარულებს, — შევეცადე მენუგეშებინა.

— მე ვერ მამხიარულებს.

ამ დროს მაგიდის ბოლოდან ხარხარი მომესმა და მივხვდი, ჯეინმა რაღაც იხუმრა.

— გამოდის, რომ თქვენ ერთადერთი ხართ, ვისაც ჯეინი ენამახვილ ქალად არ მიგაჩნიათ? — ვუთხარი ღიმილით.

— თქვენ კი მიიჩნევთ ენამახვილად?

— გამოგიტყდებით, რომ არა.

— ისეთს არაფერს ამბობს, რაც ამ ბოლო ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში არ ეთქვას. სხვებთან ერთად მეც ვიცინი, რომ არა თქვან, ნამდვილი ბაიყუშიაო, თუმცა სულაც არ მეცინება.

— დედოფალ ვიქტორიასი არ იყოს? — ჩავურთე მე.

სულელური თხუნჯობა გამომივიდა და მისის ტაუერმაც არ დააყოვნა მწარე პასუხი. მერე შევეცადე საუბრის თემა შემეცვალა.

— გილბერტი აქ არის? — ვკითხე და სუფრას მოვაველე თვალი.

— გილბერტიც დაპატიჟეს, ჯეინი ხომ უიმისოდ არსად დადის, მაგრამ ამ საღამოს არქიტექტორთა ინსტიტუტია თუ, რა ვიცი, რას ეძახიან, იქ სადილობს.

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა ჯეინთან ნაცნობობის განახლება.

— მერე, სადილის შემდეგ მიდით და გამოელაპარაკეთ, თავის სამშაბათობაზე დაგპატიჟებთ.

— რომელ სამშაბათობაზე?

— ყოველ სამშაბათს სტუმრები ჰყავს. ვის აღარ ნახავთ მასთან — ყველა ცნობილი პიროვნება იქ არის. ლონდონში უკეთეს წვეულებებს ვერავინ მართავს. ერთ წელიწადში იმას მიაღწია, რაც მე ოც წელიწადში ვერ შევძელი.

— პირდაპირ დაუჯერებელია! რანაირად შეძლო ეს?



მისის ტაუერმა ლამაზი, სავსე მხრები აიჩეჩა.

— გამიხარდება, თუ თავად ამიხსნით, — მომიგო მან.

სადილი რომ დასრულდა, ვცადე ჯეინის სავარძლამდე გზა გამეკვლია, მაგრამ ამაოდ, რადგან გარს უამრავი ადამიანი უხვდა. კიდევ კარგი, ცოტა ხნის შემდეგ დიასახლისი მომიახლოვდა და მითხრა:

— დღევანდელი წვეულების ვარსკვლავი უნდა გაგაცნოთ. ვსმენით ჯეინ ნეიპერის სახელი? შეუდარებელი ქალია? ის გაცილებით მეტი იუმორით არის დაჯილდოებული, ვიდრე თქვენს კომედიებშია.

როგორც იქნა, ჯეინამდე მივალწიეთ. ადმირალი, რომელიც სადილზე უმშვენებდა მხარს, ახლაც მის გვერდით იჯდა, ადგილიდან დაძვრას არც აპირებდა. ჯეინმა ხელი ჩამომართვა და ადმირალი გამაცნო.

— გაიცანით სერ რეჯინალდ ფროუბიშერი.

ჩვენ საუბარი გავაბით. იგივე ჯეინი იყო, როგორსაც ადრე ვიცნობდი: სადა, უბრალო, გულწრფელი და უშუალო. მაგრამ მისი არაჩვეულებრივი გარეგნობა ერთგვარ პიკანტურობას ანიჭებდა მის ნათქვამს. მერე უცებ აღმოვაჩინე, რომ ჯეინის ნათქვამზე თავშეუკავებლად ვიცინოდი. რაღაც ჭკვიანური თქვა, მიზანშიც მოახვედრა, თუმცა სასაცილო სულაც არ იყო. მაგრამ ისეთნაირად თქვა და თანაც ისეთი იდუმალი მზერა მესროლა მონოკლიდან, რომ შეუძლებელი იყო, არ გამცინებოდა. თავი ლაღად და ხალისიანად ვიგრძენი. გამომშვიდობებისას კი მითხრა:

— თუ სამშაბათ საღამოს სადმე სხვაგან არ მიდიხართ, მეწვიეთ; გილბერტს გაუხარდება.

— ლონდონში ერთ თვეს რომ დარჩება, მიხვდება, რომ უკეთეს ადგილას ვერსად წავა, — თქვა ადმირალმა.

სამშაბათს უკვე საკმაოდ გვიანი იყო, ჯეინთან რომ წავედი. გამოგიტყდებით, ცოტა გავოცდი, ისეთი თავყრილობა დამხვდა იქ: ცნობილი მწერლები, მხატვრები, პოლიტიკოსები, მსახიობები, მშვენიერი ქალბატონები. მისის ტაუერი მართალი გახლდათ: ეს იყო ბრწყინვალე წვეულება. მე მსგავსი არაფერი მინახავს ლონდონში მას შემდეგ, რაც სტეფორდის დიდებული სასახლე გაიყიდა. მაგრამ განსაკუთრებული მზადება არაფერს ეტყობოდა. ვერ იტყოდით, მდიდრული სუფრააო, თუმცა ყველაფერი საკმაოდ იყო. ჯეინი მხიარულობდა, როგორც სჩვეოდა, წყნარად და უხმაუროდ. თითქოს დიდად არც კვდილობდა სტუმრების გართობას, მაგრამ ისინი თავს კარგად გრძნობდნენ. ეს მხიარული, სასიამოვნო წვეულება ლამის ორ საათამდე გაგრძელდა. ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდი ჯეინს არა მარტო სამშაბათობით მასთან, არამედ სხვაგანაც. იშვიათად თუ წავიდოდი სადმე სადილად ან ვახშმად, რომ იქ ჯეინი არ დამხვედროდა. ვერა და ვერ გამეგო, რაში მდგომარეობდა მისი ენამახვილობის საიდუმლო. მისი ნათქვამის გამეორება უაზრობა იყო, რადგან, ღვინისა არ იყოს, იუმორიც ვერ იტანს ადგილმონაცვლეობას. ჯეინს ეპიგრამების თხზვის ნიჭი არ ჰქონდა, არც განსაკუთრებული მახვილგონიერებით ბრწყინავდა, მის ხუმრობაში არც დაცინვა იყო და არც ღვარძლი. ზოგს ჰგონია, თუ იუმორში უხამსობა არ ურევია, იუმორი არ არის. ჯეინი კი ისეთს არაფერს იტყოდა,



რაც ვიქტორიანულ ლოყას<sup>1</sup> ოდნავ მაინც გააწითლებდა. ასე მგონია, მისი იუმორი თავისთავად იბადებოდა, გაუცნობიერებლად, წინასწარ-განუზრახველად, თითქოს პეპელააო, ყვავილიდან ყვავილზე რომ დაფრინავს, პეპელა, რომელიც მხოლოდ საკუთარ სურვილს ემორჩილება და არ დაგიდევთ არც რაიმე წესსა თუ ხერხს და არც განზრახვას. მის იუმორს თავისებურებას სძენდა ლაპარაკის კილო და გამომეტყველებლობა, ხოლო გამომწვევი, ექსტრავაგანტური გარეგნობა, როგორც გილბერტის წყალობით შეიძინა, სინატიფეს მატებდა. მაგრამ გარეგნობა მხოლოდ ერთერთი ელემენტი იყო იუმორისა. მთავარი ისაა, რომ ახლა იგი გახლდათ მოდის კანონმდებელი და საკმარისი იყო ძირი გაელო, რომ ყველანი სიცილით იჭაჭებოდნენ. უკვე აღარავის უკვირდა, რატომ დაქორწინდა გილბერტი მასზე ბევრად ხნიერ ქალზე. ჯეინს ასაკი ვერაფერს აკლებდა. ყველა ერთხმად ამბობდა: ამ ყმაწვილ კაცს ბედმა გაუღიმაო. ადმირალმა ამის დასტურად შექსპირიდან ციტატა მოიტანა: „მას ვერა სცვლის უამთა ტრიალი და არც გაცვდება უღეველთა მის ნიჭთა ძალა“.

გილბერტი ხარობდა ცოლის წარმატებით. ახლოს რომ გავიცანი, იგი ძალიან მომეწონა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ის არც თაღლითი იყო და არც მზითვევზე მონადირე. ცოლი გულწრფელად უყვარდა და მისით ამაყობდა. ისეთი სინაზითა და ყურადღებით ექცეოდა, გული ავიჩუყდებოდათ. გილბერტი უანგარო, კეთილშობილი ახალგაზრდა იყო.

— აბა, ჯეინზე რა აზრის ხართ? — მკითხა ერთხელ ყმაწვილური თავმოწონებით.

— აღარ ვიცი, რომელი უფრო გასაოცარი ადამიანი ხართ, თქვენ თუ ის, — ვუპასუხე.

— ოჰ, მე რას წარმოვადგენ!

— ეგ რამ გაფიქრებინათ. განა ისეთი ბეცი ვარ, ვერ დავინახო, რომ თქვენ და მხოლოდ თქვენ შექმენით ჯეინი.

— ჩემი ერთადერთი დამსახურება ისაა, რომ ის დავინახე, რაც შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავი იყო, — მიპასუხა მან.

— ჯეინში რომ არაჩვეულებრივი გარეგნობის ქალი დაინახეთ, მაგის გაგება შემიძლია, მაგრამ, ერთი ეს ამიხსენით, ენამახვილად როგორღა აქციეთ?

— მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ რასაც ჯეინი ამბობდა, სასაცილო იყო. მას მუდამ ჰქონდა იუმორის გრძნობა.

— ალბათ თქვენ იყავით ერთადერთი, ვინც ასე ფიქრობდა.

მისის ტაუერმა სულგრძელად აღიარა, რომ გილბერტის შეფასებაში შეცდა. ის თანდათან იხიბლებოდა ამ ახალგაზრდა კაცით. მიუხედავად ამისა, მაინც იმ აზრზე იდგა, რომ მათი ქორწინება დიდხანს არ გასტანდა. მე უნებურად მეცინებოდა.

1 იგულისხმება წესიერება და მეტისმეტი თავდაჭერილობა, რაც დამახასიათებელი იყო დედოფალ ვიქტორიას ეპოქის (1837-1901 წ.წ.) საზოგადოებისათვის.



- მართლა? ასეთ ერთგულ წყვილს არასოდეს შევხვედრივარ.
- გილბერტი ახლა ოცდაშვიდი წლისაა. სწორედ რომ დროა, მის ცხოვრებაში ვინმე მშვენიერი ქალიშვილი შემოვიდეს. ვერ შეამჩნიეთ ამას წინათ ჯეინთან წვეულებაზე სერ რეჯინალდის ქმინა? ჯეინი ორივეს ისეთი ყურადღებით აკვირდებოდა, რომ დაფიქრდებოდა.
- არა მგონია, ამქვეყნად ჯეინს ვინმეს მეტოქეობა აშინებდეს.
- ცხოვრება წინაა, ვნახოთ, — თქვა მისის ტაუერმა.
- თქვენ ამ ქორწინებას ექვსი თვის ვადას აძლევდით.
- ახლა სამ წელს ვაძლევ.

როცა ვინმეს ეჭვიც არ ეპარება თავის სიმართლეში, გინდა, რომ ცდებოდეს. ასეთია ადამიანის ბუნება. მისის ტაუერს მართლაც არ ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ რამდენიც არ უნდა ემეორებინა, მართალი ვარო, ნე საპირისპირო აზრი შექონდა.

ერთ დღეს მისის ტაუერმა თავისთან დამიბარა, მთხოვა, დაუყოვნებლივ მოდითო, მეც არ დავახანე, მაშინვე გავეშურე. როგორც კი ოთახში შევედი, მისის ტაუერი სავარძლიდან წამოხტა და, თითქოს ლეოპარდია, რომელიც მსხვერპლს ეპარებაო, სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯით გამოემართა ჩემკენ. აშკარა იყო, რაღაცას ძლიერ შეეშფოთებინა.

— გილბერტი და ჯეინი ერთმანეთს ეყრებიან! — სწრაფად მომახალა.

— რას ამბობთ, აბა, თქვენი ვარაუდი გამართლებულა.

მისის ტაუერმა რაღაც უცნაურად შემომხედა.

— საწყალი ჯეინი, — ჩავიბუტბუტე.

— საწყალი ჯეინი! — ისე დამცინავად გაიმეორა, რომ ადგილზე გავქვავდი.

მერე, როგორც იქნა, მისის ტაუერმა ენის ბორძიკით მიაშპო ყოველივე. გილბერტის წასვლისთანავე ტელეფონს მივვარდი, რომ თქვენთვის დამერეკაო. გილბერტი ოთახში რომ შემოვიდა, ისეთი გაფითრებული და შეშლილი სახე ჰქონდა, წამსვე ვიეჭვე, რომ რაღაც ცუდი ამბავი იყო, და მივხვდი, რაც უნდა ეთქვაო.

— მერიონ, ჯეინმა მიმატოვა.

მისის ტაუერმა ნაზად გაულიმა და ხელი მოჰკიდა ხელზე.

— ვიცოდი, ჯენტლმენივით მოიქცეოდით. საშინელება იქნებოდა, ხალხს ეფიქრა, ქმარმა მიატოვაო.

— თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ვიცი, თანამიგრძნობთ.

— ოჰ, სულაც არ გამტყუნებთ, გილბერტ, ეს ხომ გარდაუვალი იყო.

გილბერტმა ამოიოხრა.

— მეც ეგრე მგონია. არასდროს არ მქონდა იმის იმედი, რომ ბოლომდე შევინარჩუნებდი. ის საოცრებაა, მე კი ერთი უბრალო ახალგაზრდა კაცი ვარ.



მისის ტაუერი ხელზე მიეფერა, მართლაც რომ ღირსეულად იქცეოდა გილბერტი.

— ახლა რას აპირებთ?

— ჯეინი განქორწინებას ითხოვს.

— ჯეინი სულ იმას ამბობდა, თუ გილბერტი ახალგაზრდა გილბერტის მოისურვებს დაქორწინებას, წინ აღარ გადაველობებო.

— ნუთუ გგონიათ, — წამოიძახა გილბერტმა, — რომ ჯეინის მე-რე ვინმეს შევირთავ?

მისის ტაუერს თავგზა აებნა.

— განა თქვენ არ ეყრებით ჯეინს?

— მე? არასოდეს, არაფრის გულისთვის!

— აბა, ის რატომ გეყრებათ?

— სერ რეჯინალდ ფროუბიშერზე თხოვდება. როგორც კი ოფიციალურად განქორწინდებით, მას გაჰყვება.

მისის ტაუერმა გაოცებისაგან შეჰკივლა და ისე ცუდად გახდა, საყნოსავი მარილი დასჭირდა მოსასულიერებლად.

— რამდენი სიკეთე უყავით და ასე გადაგიხადათ?

— მე არაფერი გამიკეთებია.

— ნუთუ ნებას მისცემთ, ასე უგვანოდ მოგექცეთ?

— ჩვენ ქორწინებამდე შევთანხმდით, ერთმანეთისათვის ხელი არ შეგვეშალა, თუ რომელიმე ჩვენგანი განქორწინებას მოითხოვდა.

— შეთანხმდით? მერე, შეთანხმება თქვენი გულისთვის დაიდო, იმიტომ რომ ოცდაშვიდი წლით უმცროსი ხართ.

— რა ვუყოთ, შეთანხმება მას გამოადგა, — ნალვლიანად თქვა გილბერტმა.

რამდენს არ ეცადა მისის ტაუერი, დაერწმუნებინა გილბერტი, ჯეინს არ დაეთანხმო, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია. გილბერტი დაჟინებით იმეორებდა, ისე უნდა მოვიქცე, როგორც ჯეინს სურსო. მერე თვითონ წავიდა, ქალი კი სასოწარკვეთილი დატოვა. გულზე მხოლოდ მაშინ მოეშვა მისის ტაუერს, როცა დაწვრილებით გადმოძცა ეს საუბარი. ნასიამოვნები დარჩა, რომ მეც მასავით გავოცდი, და თუ ჯეინზე ისე არ აღვშფოთდი, როგორც თავად იყო აღშფოთებული, ეს ჩემი სქესისათვის დამახასიათებელ ზნეობის დანაშაულებრივ უქონლობას მიაწერა. ჯერ მღელვარება არც დასცხრომოდა, რომ კარი გაიღო და მსახურთუფროსმა თავად ჯეინი შემოიყვანა. ჯეინს შავ-თეთრი კაბა ეცვა, რომელიც უდავოდ ესადაგებოდა მის, ცოტა არ იყოს, ორჭოფულ მდგომარეობას. მაგრამ ისეთი ორიგინალური კაბა იყო და შლაპაც ისეთი გამაოგნებელი ეხურა, რომ გაოცებისაგან, ვეფიცვებით, პირი დავადე. თვითონ ჯეინი კი, როგორც ყოველთვის, თავდაჭერილი და თავაზიანი იყო. მისის ტაუერისკენ წამოვიდა საკოცნელად, მაგრამ ეს უკანასკნელი ცივად და ამაყად გადგა განზე.


— ახლახან გილბერტი იყო აქ, — უთხრა ჯეინს.

— ვიცი, — ღიმილით უპასუხა ჯეინმა, — მე ვურჩიე, რომ შენთან შემოევლო და ენახე. ამაღამ პარიზში მივემგზავრები, გთხოვ, ჩემს დაბრუნებამდე ყურადღება არ მოაკლო. ვიცი, პირველ ხანებში გაუჭი-



რდება, უჩემოდ მოიწყენს, ჰოდა, ცოტა მშვიდად ვიქნები, თუ დამპირ-  
დები, რომ უპატრონებ.

მისის ტაუერმა ხელები გადააჭდო ერთმანეთს.

— გილბერტმა რალაც დაუჯერებელი მითხრა: იმიტომ მშორდება, რომ სერ რეჯინალდ ფროუბიშერს მიჰყვებაო ცოლად  ~~ვიქნება~~

— მერე აქ რა არის დაუჯერებელი? სულ იმაზეა საკითხი, რომელია მისი ასაკის მამაკაცს გაჰყევი ცოლადო? ადმირალი ორმოცდაცამეტი წლისაა.

— ჰო, მაგრამ შენ გილბერტს უნდა უმადლოდე ყველაფერს, — აღშფოთებით უთხრა მისის ტაუერმა, — უიმისოდ შენ არარა ხარ! რა გეშველება, ვილა შექმნის შენთვის კაბების მოდელებს?

— ოჰ, ეგ არაფერია. გილბერტი დამპირდა, სიამოვნებით მოგაწვდი ახალ-ახალ მოდელებსო, — დაუდევრად მიუგო ჯეინმა.

— უკეთეს ქმარს ვერ ინატრებს ქალი, რა მზრუნველი, რა ყურადღებიანი იყო შენს მიმართ.

— ჰო, ძალიან ნაზი და ყურადღებიანია.

— მერე, შენ რატომ ექცევი ეგრე უგულოდ?

— იცი, რა გითხრა, გილბერტი არასოდეს მყვარებია, — თქვა ჯეინმა, — ეს არაერთხელ მითქვამს მისთვის. ახლა ვგრძნობ, რომ ჩემი ასაკის მამაკაცი მჭირდება. მე თუ მკითხავ, ჩემი და გილბერტის ქორწინება საკმაოდ დიდხანსაც კი გაგრძელდა. ერთმანეთთან სალაპარაკოდ აღარაფერი გვაქვს, — მერე ცოტა ხანს შეჩერდა და ორივეს მომხიბლავად გაგვიღიმა. — რა თქმა უნდა, მასთან ნაცნობობას არ შევწყვეტ და ეს რეჯინალდსაც ვუთხარი. ადმირალს ერთი ძმისწული ჰყავს, სწორედ გილბერტის შესაფერისი. როგორც კი ვიქორწინებთ, ირივეს მალტაში დავპატიყვებთ — ხომ იცი, რეჯინალდმა ხმელთაშუა ზღვის ფლოტს უნდა უხელმძღვანელოს, — ეჭვი არ მეპარება, ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდებათ.

მისის ტაუერმა დამცინავად ჩაიფრუტუნა:

— იქნებ ადმირალსაც წინასწარ მოელაპარაკე, რომ ერთმანეთს ხელს არ შეუშლით, თუ რომელიმე თქვენგანი განქორწინებას მოითხოვს?

— ეს წინადადება შევთავაზე, — სრულიად მშვიდად მიუგო ჯეინმა. — მაგრამ გაგონებაც არ ისურვა: სხვის შერთვას არასოდეს არ ვიფიქრებ, თუ სხვამ მოინდომა შენი შერთვა, მე ვიცი, როგორც მოვუვლი, ფლაგმანის გემზე რვა ქვემეხია ჩემს განკარგულებაში, ვისაც გული ერჩის, შემებრძოლოსო, — ამის თქმისას ჯეინმა ისე გამოგვხედა თავის მონოკლიდან, რომ გამეცინა, მისის ტაუერის რისხვისაც კი აღარ შემშინებია.

— ეტყობა, ადმირალი ძალზე ფიცხი კაცია.

მისის ტაუერმა დაბღვერილმა შემომხედა.

— შენი ენამახვილობა არასოდეს შემინიშნავს, ჯეინ, — თქვა მან. — ვერ გავიგე, ამ ხალხს რა აცინებს შენს ყოველ პირის გაღებაზე?

— არ ვიცი, მეც მიკვირს, მერიონ, — გაიღიმა ჯეინმა და თავისი ღამაში, ქათქათა კბილები გამოაჩინა. — კიდევ კარგი, ლონდონიდან



მალე მივდივარ, თორემ, ვინ იცის, იქნებ ბევრმა გაიზიაროს შენი აზრი.

— როგორ მინდა გამანდოთ თქვენი გასაოცარი წარმატების სა-  
დუმლო, — ვუთხარი მე.

ჯეინმა თბილად გამიღიმა.

— აი, რა გითხრათ. როდესაც გილბერტს გავყევი ცოლად და ლონდონში დავსახლდით, აღმოვაჩინე, რომ ხალხი ჩემს ლაპარაკზე იცინოდა. ამან ყველაზე მეტად თვითონ მე გამაოცა. განა მთელი ოცდაათი წლის მანძილზე სულ ასე არ ვლაპარაკობდი, მაგრამ ადრე ეს სასაცილოდ არავის მოსჩვენებია. თავდაპირველად ვიფიქრე, ეს ალბათ ჩემი ტანისამოსის, ან მონოკლის, ან შეიძლება მოკლედ შეჭრილი თმის ბრალია-მეთქი. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, იმიტომ იცინოდნენ, რომ სიმართლეს ვამბობდი, ხოლო სიმართლის თქმა იმდენად უჩვეულოა, ენამახვილობად ჩამითვალეს. მალე ალბათ სხვაც აღმოაჩენს ამ საიდუმლოს და მაშინ სიმართლე ენამახვილობად აღარავის მოეჩვენება.

— რატომაა, რომ შენს ნათქვამზე მხოლოდ მე არ მეცინება? — იკითხა მისი ტაუერმა.

ჯეინმა ოდნავ დააყოვნა, რომ შესაფერი პასუხი მოეძებნა.

— ალბათ იმიტომ, ჩემო მერიონ, რომ შენ ვერ ხვდები, სადაა სიმართლე, — მიუგო მან გულკეთილად.

ბოლო სიტყვა ჯეინს დარჩა. ასე მგონია, ბოლო სიტყვა ყოველთვის მისი იქნება. ის ხომ საოცარი ქალია.







თარგმნა მადეა ზუბადალაშვილმა

### ყველაფერი იმის გრალია, რომ ღარიბები ვართ

ცუდად ვცხოვრობთ, ისე ცუდად, უარესი არ შეიძლება. წინა კვირას დეიდა ხასინტა გარდაიცვალა, შაბათს კი — ჯერ მისი დასაფლავება და გონს მოსვლაც ვერ მოგვესწრო, რომ წვიმები დაიწყო. კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მამაჩემი სიმწრისაგან თმას იგლეჯდა, რადგან უკანა ეზოში გასაშრობად გატანილი ქერი დაგვრჩა. თავსხმა ანაზდეულად დაიწყო — წვიმა ისე უცბად წამოვიდა, ერთი მარცვლის გადარჩენაც ვერ მოვასწარით. ყველანი დერეფანში შევქუჩდით და ვუყურებდით, ციდან თქემად მოვარდნილ ცივ წყალს როგორ მიჰქონდა სულ ახლახან აღებული ჩვენი ოქროსავით ქერი.

გუშინ კი, როცა ჩემს დაიკო ტაჩას თორმეტი წელი შეუსრულდა, გვითხრეს, თქვენი ძროხა, მამამ დაბადების დღეზე ტაჩას რომ აჩუქა — წყალმა წაიღო.

მდინარემ სამი დღის წინათ განთიადიდან დაიწყო ადიდება. მკვდარივით მეძინა, მაგრამ მდინარე ისე ბობოქრობდა, ხმაურმა გამომღვინა. საწოლიდან წამოვხტი, საბანი შემოვიხვიე და ილღიებქვეშ ამოვიტანიე. ნამძინარევი ვერ გავრკვეულიყავ, მეგონა, თავზე სახურავი გვექცევა-მეთქი. მერეღა მივხვდი, მდინარე მძვინვარებდა. დავწექი და კვლავ ძილს მივეცი თავი. მართალია, მდინარე ბობოქრობდა, მაგრამ მისი თანაბარი ხმაური ნანასავით ჩამესმოდა.

დილით ავდექი და რასა ვხედავ, ზეცა ღრუბლებითაა დაფარული, ეტყობა, ღამე გადაუღებლად წვიმდა. მდინარე კი ადრინდელზე უარესად ღრიალებს, სულ ახლოს, ღამის ხელისგაწვდენაზე. თან აყროლებული, შმორის სუნი ასდის. შლამმა იცის ასეთი სუნი, თუ აამღვრევ.

ქუჩაში რომ გავედი, მდინარე უკვე ნაპირებიდან იყო გადმოსული. წყალი მთავარ ქუჩაზე სულ ზევით და ზევით იწევდა. ვხედავ, დეიდა კასრის — ეს მისი მეტსახელია — მთელი კარ-მიდამო წყლითაა დაფარული, ტალღები ღობეში აღწევს და ჭიშკრიდან დგაფუნით გადმო-



დის. დეიდა კასრი კი წყლით სავსე ეზოში დაჭყაპუნებს და ქათმებს სა-  
ქათმიდან ქუჩაში ერეკება, იქნებ თავი ისეთ ადგილას შეაფარონ, წყალ-  
ვერ მისწვდეთო.

მეორე მხარეს გაუიხედე, ადრე მდინარე რომ უხვევდა. იქ, დეიდას  
ხასინტას ეზოში თამარინდი ედგა; ვხედავ, არავითარი თამარინდი  
რა ჩანს, ეტყობა, მდინარემ ძირიანად მოთხარა და წაიღო. აფსუს,  
ეს თამარინდი ხომ ერთადერთი იყო ჩვენს სოფელში. ჰოდა, ახლა ხალ-  
ხი ამბობს, რაკი წყალმა ეს ხეც არ დაინდო, მაშასადამე, სწორედაც  
რომ ასეთი წყალდიდობა დიდი ხანია არა ყოფილაო.

დღისით მე და ჩემი და ისევ წავედით ადიდებული მდინარის სა-  
ნახავად. წყალია და რა წყალი! არც თავი უჩანს და არც ბოლო. თა-  
ხაც სულ მატულობს და შავ ფერს იღებს. იქ, სადაც ადრე ხიდი იყო, ახლა  
ტალღები დანავარდობენ. ველარ გაარჩევ, იყო ხიდი თუ არა. ვდგა-  
ვართ და მივჩერებივართ. შეიძლება ერთი საათი ვიდექით ასე, შეიძ-  
ლება ხუთი. ასეთ დროს რამდენიც გინდა უყურო, ცქერით ვერ გაძლე-  
ბი. მერე ფერდობზე ავედით, გაგვეგო, ხალხი რას ლაპარაკობდა. და-  
ბლიდან არაფერი გვესმოდა — მდინარე ისე თქაფუნობს — მარტო  
ისა ჩანს, ხალხი პირს რომ ალებს, ოღონდ რას ლაპარაკობენ — არ გე-  
სმის. ჰოდა, ჩვენც ზევით ავედით გორაკზე. აქ აუარებელი ხალხი და-  
გვხვდა. ყველა მდინარეს მისჩერებია, დანაკარგს ანგარიშობენ. სწო-  
რედ აქ გვითხრეს, თქვენი ჭრელა წყალმა წაიღოო, სწორედ ის, მამა-  
ჩემმა ტაჩას დაბადების დღეზე რომ აჩუქა. ერთი ყური თეთრი ჰქონ-  
და, მეორე — მოწითალო, თვალები — ლამაზზე ლამაზი.

ერთი რამ ვერ გამიგია, რად მოუვიდა თავში ჭრელას მდინარის  
გადაცურვა? ვერ ხედავდა, მდინარე სხვანაირი რომ იყო და გაღმა  
ვერ გადავიდოდა? ჩვენი ჭრელა ხომ ჭკვიანი იყო, ყველაფერს ხვდე-  
ბოდა. მე მგონი, წყალმა ნამძინარევს მოუსწრო, თორემ ის ასე სამარ-  
ცხვინოდ არ დაილუპებოდა. ძილი კი, იცოცხლე, უყვარდა. რამდენჯერ  
ყოფილა, მივდივარ დილით ბოსლის გასაღებად, იმას კი სძინავს. რომ  
არ გამელვიძებინა, მთელი დღე ადგილიდან ფეხს არ მოიცივლიდა, რო-  
დის-როდის ამოისუნთქებდა — ძილში ძროხები ასე სუნთქავენ.

ჰოდა, დარწმუნებული ვარ, ეძინა. ეტყობა, წყალი რომ მოადგა  
და ფერდებში მოუტლაშუნა, მაშინლა გაელვიდა. ალბათ შეეშინდა და  
შინისკენ გამოიქცა. მდინარეს კი ველარ გადმოვიდოდა: ცივი წყალი  
ალბათ მკერდზე სცემდა, ფეხებს გაშმაგებით უსვამდა. საშინელი, შა-  
ვი, ამღვრეული, დაუნდობელი წყალი მოძრავ ქვიშასა ჰგავს. ჭრელა,  
უეჭველია, ბლაოდა, შველას ითხოვდა, ღმერთო ჩემო, ალბათ როგორ  
ბლაოდა საცოდავი, როგორ იხვეწებოდა შველას.

მე იმ ძიას გამოვკითხე, ვინც ნახა, ჩვენი ძროხა წყალს რომ მიჰ-  
ქონდა, ხბოც თან ხომ არა ჰყავდა-მეთქი. ჭრელას ხბოცა ჰყავდა. ის კი  
მეუბნება — შეიძლება თანაც ჰყავდა, რა ვიცი, მე არ დამინახავსო,  
ჭრელა კი სულ ახლოდან დავინახე, ზურგზე მიცურავდა, ფეხები მალ-  
ლა ჰქონდა ამვერილი, ცოტა ხნის შემდეგ გადმობრუნდა, მერე აღარც  
რქები და აღარც ფეხები აღარ გამოჩენილაო. მდინარეს ფესვებიანად  
დაგლეჯილი ხეები მოჰქონდა და იმ ძიაკაცს ის ხეები ნაპირზე გამოჰ-



ქონდა თურმე, ჰოდა, მაგის საყურებლად აღარ მეცალა, მდინარეს რა ძიპქონდა, ხბო, ხეები თუ სხვა რამეო.

ასე რომ, არ ვიცით, ხბო ცოცხალი გადარჩა თუ წყალმა ჭრელასთან ერთად წაიღო. ან იქნებ წყალმა ორივე წაიღო, მაგრამ ცოცხლები გადარჩნენ. ღმერთო, უშველე და გადაარჩინე ორივე!

შინ ყველა გულდამძიმებულები ვართ. რა ეშველება ჩემს დას ტაჩას. ახლა აღარაფერი აბადია. მამაჩემი მუშაობისაგან წელებზე ფეხს იდგამდა. ოღონდ ძროხის საყიდლად ფული მოეგროვებინა; ჭრელა ხბო იყო, როცა მოიყვანა და ჩემი დის სამზითვოდ გაზარდა. არ უნდოდა ტაჩაც ჩემი უფროსი დებივით გზას ასცდენოდა.

მამა ამბობს, ამ ორმა თავი იმიტომ დაიღუპა, რომ მშობლებს არ გვიჯერებდნენ, არაფრად გვაგებდნენო. გვქონდა თუ არა, იმათთვის სულერთი იყო — მაინც თავისას თხოულობდნენ. პატარაობიდანვე ასე იყო, არ მოსწონდათ სიღარიბეში ცხოვრება, დაქალდნენ თუ არა, ბიჭებში დაიწყეს ყიალი, თანაც ხელიდან წასულ ბიჭებთან. იმათაც ათასი სიგლაზე ასწავლეს, იქამდე, რომ ჩემი დები იმათ სტვენაზე სულ მზად იყვნენ. საყვარლები შუალამისას სტვენით უხმობდნენ ქუჩაში. მერე დღისითაც დაიწყეს შინიდან გაძრომა, ვითომცდა მდინარეზე წყლისთვის გარბოდნენ. ხანაც შეხვიდოდი ფარდულში და შიშით გული გაგისკდებოდა, ჩემი დები მიწაზე ტიტვლები ეყარნენ, ზემოდან კი კაცები მოქცეოდნენ.

მამაჩემმა ორივე სახლიდან გააგდო. თუმცა უცებ არა. თავდაპირველად, რამდენადაც შეეძლო, ითმენდა, მაგრამ მერე აევსო მოთმინების ფიალა და სახლიდან გაყარა. აიუტელუში წავიდნენ, იქნებ სხვაგანაც, რა ვიცი, საბოლოოდ აიღეს თავზე ხელი.

მამაჩემი ამიტომაც დარდობს, ეშინია, ტაჩაც უფროსებივით არ წავიდეს ხელიდან. ახლა ხომ ამასაც აღარაფერი აბადია. რაკი ძროხა წყალმა წაიღო, ტაჩა ქალიშვილის საკადრისად ველარ შეიმოსება, ის კი სულ მალე დაქალდება. ახლა კარგ საქმროსაც ველარ იშოვის, ისეთს, რომ დაქორწინდეს და მთელი სიცოცხლე უყვარდეს. ძროხა რომ ჰყავდეს, მაშინ სხვა საქმეა. მაშინ საქმროებისაგან მოსვენება დაკარგული გექნებოდა, ჭრელა ხომ ძალზე ლამაზი იყო და ამისთანას ვინ სულელი არ წაიყვანდა სახლში.

მთელ იმედს ახლა იმაზე ვამყარებთ, იქნებ ხბო მაინც გადარჩა ცოცხალი-თქო. ნუთუ ისიც ჭრელას შეჰყვებოდა წყალში? ღმერთმა დაიფაროს! ხბოც თუ დაიხრჩო — მაშინ სამშველი აღარ ყოფილა, ტაჩაც წავა ხელიდან. დედას კი ეს არ უნდა.

დედაჩემი ამბობს, ვერაფერი გამიგია, რა ცოდვა მაწევს ამისთანა, რომ ორ-ორი ქალიშვილი გზიდან გადამიცდაო. მთელი ჩვენი საგვარეულო ბებიიდან პატიოსანი და დამოუკიდებელი ვიყავითო. ყველა ღვთის შიშით დავიზარდეთ, გამგონენი და თავდაჭერილები, ერთი ცუდი სიტყვა არავისზე არა თქმულაო. ესენი კი... საოცარია, ჩვენს ოჯახში ცუდი საიდან შეითვისეს, ამის მსგავსი არაფერი მახსოვს, მთელ ცხოვრებას გონების თვალთ ვჩხრეკ, და მაინც არ მესმის, ისეთი რა ცოდვა მიმიძღვის,



რომ ასე დავისაჯეო: ორ-ორი ქალიშვილი ამისთანა თავდაუშვრელი გამოძვიდაო, არადა, არ მახსოვს ჩემს სიცოცხლეში რაიმე ცუდი წყმედინოსო.

მაგრამ მაინც, როგორც კი დედა ჩემს დებზე ფიქრს დაიწყო, მკვლელ ტირის და ერთი და იგივეს იმეორებს: ღმერთო, შენ შეიწყალე და ისინი ისინიო.

მამა კი ეუბნება: იმათთვის ახლა აღარავითარი ხსნა არ არსებობს, ტაჩა უნდა ვიხსნათ, იმიტომ, რომ ეგ ახლა ფიჭვის ნერგსა ჰგავს, ყოველდღე კი არა, ყოველ საათს იზრდება, ხედავ, უკვე ძუძუსთავეები გამოებერა, მოხედვასაც ვერ მოასწრებ, მკერდი დააჩნდება, მკერდი კი მაგასაც თავის დებივით მალალი და აქეთ-იქით გაქცეული ექნება და ყოველ ნაბიჯზე ისე დაუწყებენ ტოკვას, ბიჭები თვალს ვეღარ მოწყვეტენო.

— ჰო, — ამბობს მამა, — სადაც არ უნდა დაინახონ, სამუშაოზე თუ სეირნობისას, თვალს არავინ მოაცილებს. ეს კი უბედურებით დამთავრდება: წინასწარ მითქვამს, უბედურებით დამთავრდება-მეთქი. ჩემთვის ეს დღესავით ნათელია.

ჰოდა, ახლა მამაჩემი ადგილს ვეღარ პოულობს.

ტაჩა კი მთელი დღე ტირის, გული ეუბნება, ვეღარ ნახავს თავის ჭრელას. მდინარემ შეიწირა ჩვენი ჭრელა. ტაჩას ვარდისფერი კაბა აცვია, ფლატეზე გვერდით მიდგას და ტირის, ცრემლები ლოყებზე უგორავს, ჭუჭყს იერთებს და შავად ისე ჩამოსდის დაპალუპით, თითქოსდა ტაჩასთვისაც მდინარის ტალღას გადაევლოს.

მინდა ვანუგეშო, ვეხვევი, ვკოცნი, მაგრამ ამაოდ, უარესად სლუკუნებს, გულამომჯდარი ტირის ჩემი დაიკო, თან ერთიანად ცახცახებს. მდინარე კი ამასობაში სულ ზევით და ზევით იწევს, მისი ჭუჭყიანი ტალღები ტაჩას სველ სახეზე ეშხეფება, აკოკრებული მკერდი კი კაბის ქვეშ ზევით-ქვევით უხტის და მეჩვენება, თითქოს ძუძუები ქალივით უკვე დაბერვია და უნებურად ვფიქრობ, ტაჩინასაც დალუბვა არ ასცდება-მეთქი.

### იმ ღამეს, როცა მარტო დარჩა

— რა ფეხს ითრევთ, ცოტა ცოცხლად! — დაუყვირა ფელისიანო რუელასმა წინ მიმავალთ, — იქნებ ფეხდგომელებს დაგეძინოთ კიდევ. რაო, არ გეჩქარებათ?

— ხვალ განთიადისას ადგილზე ვიქნებით, — უპასუხეს.

ეს უკანასკნელი სიტყვები იყო, რაც ფელისიანომ მათგან გაიგონა. მაგრამ ეს მერე, მხოლოდ მეორე დღეს გაახსენდა.

ისინი სამნი იყვნენ. მიდიოდნენ ფრთხილად, გულდაგულ ამოწმებდნენ ყოველ ნაბიჯს, რადგან ბნელი ღამე იყო, მათ კი არ სურდათ დაყოვნება.

„უკეთესიც არის, რომ ბნელა, ვერ შეგვაჩინევენ“, — ჩაებეჭდა კონებაში მათ მიერ აღბათ წინა ღამეს წარმოთქმული სიტყვები. ზუს-



ტად ვერ გაეხსენებინა, როდის ითქვა ეს, რადგან სიარულისას გზა ფიქრებს ახშობდა.

გზამ ახლაც აღმართზე კვლავ მიიტანა მასზე იერიში ყოველმხრივ შემოუტია, ეძებდა, რა ჰქონდა სხეულის ყველაზე უფრო მძიმე და მძიმე ნაწილი და იპოვა თუ არა, მთელი სიმძიმით დააწვავდა მისი ტარებისაგან ისედაც ჩამოწყვეტილ მხრებზე.

სანამ ველზე მიდიოდნენ, ჩქარობდა, აღმართზე კი უკან ჩამორჩა. თავს ხეირიანად ველარ იმაგრებდა და კინწმომწყვეტილი შენელებულ ნაბიჯთა ტაქტს აყოლებდა თავს. ორმა დანარჩენმა წინ გაუსწრო, ახლა ისინი საკმაოდ შორს იყვნენ, ის კი უკან მიჩანჩალებდა თავის კანტურით.

თანდათან უფრო მეტად და მეტად რჩებოდა უკან. გზას კარგა მანძილზე უწვდენდა თვალს. კარაბინებს ლამის მხრები ჩამოეგლიჯა. ძილი თავს ართმევდა და მიწისკენ ეზიდებოდა.

ჩქარა მიხვდა, რომ აღარ ესმოდა ფეხის ხმა, რომელიც მთელი ლამეების განმავლობაში ედგა ყურებში. თვითონაც არ ახსოვდა, რამდენი ლამე გავიდა, რამდენ ხანს ისმენდა ხან მის გვერდით, ხან სადღაც წინ ქვალორლიან გზაზე ფეხსაცმლის ხმაურს. მაგდალენადან იქამდე ერთი ლამე, იქიდან აქამდე — ორი, ეს უკვე მესამე ლამეა. არც ისე ბევრია, დღისით ცოტა მაინც რომ გამოგვეძინა. იმათ კი არაფრით არ ქნეს, დავიძინებთ თუ არა, შეგვიპყრობენ და აღსასრული დაგვიდგებაო.

— აღსასრული? ვისთვის იქნება აღსასრული? — იკითხა ხმამალლა: მოძალებულმა ძილმა აიძულა თავის თავთან ხმამალლა ელაპარაკა, — მე კი ვეუბნებოდი: მოიცათ, დღეს სული მოვითქვათ, გამოვიძინოთ, ხვალ უფრო მხნედ ვივლით და დაკარგულ დროსაც ავინაზღაურებთ-მეთქი. გაქცეულს ხშირად ძალა გემატება.

თვალეები ებლიტებოდა. შეჩერდა.

— მორჩა, მეტი აღარ შემიძლია, — ჩაილაპარაკა წყნარად, — რა გეჩქარებათ, დიდი-დიდი, ერთი დღის სავალი მოვიგოთ. მერე ეს რას მოგვიტანს, როცა ამდენი დრო ტყუილად დავკარგეთ? ეი, სადა ხართ?! — დაიყვირა სიბნელეში.

და საკუთარ თავს ხმადაბლა უთხრა: „ჯანდაბას, წავიდნენ და წავიდნენ“.

ხეს მიეყრდნო. მიწის სიგრილემ ოფლი ზურგზე უცებ ისე შეაყინა, თითქოს სათლით ცივი წყალი გადაასხესო. უეჭველია, ეს ის მთებია, რომელთა შესახებაც უყვებოდნენ. ქვემოთ, ძირს სითბოა. აქ კი სიცივე პალტოში გატანს. თითქოს პერანგი აეწიოთ და შიშველ ტანზე ყინულივით ცივ ხელებს გისვამდნენ.

იგი ხავსით დაფარულ მიწაზე დაეშვა და ხელები ისე გაშალა, თითქოს უნდოდა გაეზომა, ლამე შორამდე ვრცელდება თუ არაო. ხელის თითები ხის ძროებს ატაკა — გზას მწვანე ნარგავები მიუყვებოდა. სურნელოვანი ფისის სუნის ჩაისუნთქა და გულადმა გადავარდნილი გვრძნობდა, როგორ უბორკავდა ძილი მთელ სხეულს.



დილის სუსხმა და ცვარის სიგრილემ გამოაღვიძა.

თვალი გაახილა და ჩაბნელებულ ხის ტოტებს შორის მღვანელებს ვარსკვლავიანი ლურჯი ზეცა დაინახა.

„ბინდდება“, — გაიფიქრა და ძილი შეიბრუნა.

უცებ წამოხტა. ადამიანთა ყვირილმა და ქვიან გზაზე თქარათქურმა გამოაღვიძა. ცის დასალიერს ყვითელ ზოლად გასდევდა შუქი.

მეჯოგეები თავს წამოადგნენ და შეათვალიერეს.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმნენ ისინი. მას სალამზე არ უბასუხნია.

გაახსენდა, როგორ და რატომ აღმოჩნდა ამ გზაზე. უკვე ინათა. პატრულებს რომ დასხლტომოდა, მთები ღამით უნდა გადაევიდა. გააფრთხილეს, ამ გადასასვლელს განსაკუთრებით გულმოდგინედ იცავენო.

კარაბინები აიღო, ზურგზე მოიკიდა, გზიდან მირი იბრუნა და გეზი ტყით აღმოსავლეთისაკენ აიღო... იგი ხან ზევით მიიწევდა, მთისკენ, ხან ძირს ეშვებოდა, გადადიოდა ბორცვებით მოფენილ ქვალორღიან და ნარვალთან მთებს.

უკვე ელანდებოდა, როგორ აბეზლებდნენ მეჯოგეები: „მას იქ, ზევით შევხვდით. სახეზე ასეთი და ასეთია, ამა და ამ სიმაღლისაა, თან რამდენიმე კარაბინი აქვს“.

კარაბინები გადაყარა, მერე პატრონტაშებიც მოიხსნა და გზაზე ისროლა. ახლა გაცილებით მსუბუქად მიდიოდა, ღამის მირბოდა, თითქოს მეჯოგეების დაწევას ცდილობსო.

„ჯერ სულ ზევით და ზევით უნდა იაროთ. ზეგანს რომ მიაღწევთ, ვარს დაუვლით და ისევ ქვემოთ დაეშვებით“. ასეც მიდის. ყველაფერი ღვთის ნებაა. ცდილობს იმ გზით იაროს, როგორც დაარიგეს. ოღონდ მიდის დღისით და არა ღამით.

გზა ღრმა ხევმა გადაუღობა. ხრამს იქით ნაცრისფერ შორეთამდე გადაჭიმულიყო ვრცელი ვაკე.

„ისინი ალბათ იქით არიან. ისვენებენ, მზეზე თბებიან. მათ ყველაფერი უკან დარჩათ“, — ფიქრობდა იგი.

თავქვე დაეშვა. ფერდობზე მირბოდა, ფეხი უცდებოდა, ყირამაღა გადადიოდა, ფეხზე დგებოდა და ისევ კოტრიალ-კოტრიალით მიიწევდა ქვემოთ.

„ყველაფერი ღვთის ნებაა“, — ჩურჩულებდა და თან უფრო და უფრო ხშირად ეცემოდა.

ყურებში კი მეჯოგეების ხმა ედგა. „დილა მშვიდობისა!“ შეაჩინია, რომ მეჯოგეებმა ეჭვის თვალთ შეათვალიერეს, ისინი ალბათ პირველსავე პატრულს შეატყობინებდნენ: „ჩვენ ის აქა და აქ ვნახეთ და ჩქარა ალბათ გამოჩნდება კიდევცო“.

უეცრად ადგილზე გაშეშდა.

— ჩვენთან არს ღმერთი! — აღმოხდა უნებურად, — იესო ქრისტე, მეუფე ცისა და მიწისა! — დაიყვირა კინალამ ხმამაღლა, მაგრამ ყვირილი ყელში გაეჩხირა. რევოლვერი ბუდიდან ამოიღო და ხალათის



ქვეშ ქამარში გაირჭო; ასე უფრო იმედინად იქნებოდა. მუცელზე მიკრულმა ფოლადის იარაღმა გულდაჯერებულობა შემატა. ახლა წინ კატასავით ჩუმად და უხმაუროდ მიძვრებოდა. მიდიოდა ქვეშით, აგუასარკის რანჩოსკენ, თან თვალს არ აშორებდა მის ფრცველ უსოებს, ეზოებში აბრიალებულ კოცონებს, რომელთაც სალდათები მიფრცხვებოდნენ. სალდათები კი ძალზე ბევრნი იყვნენ.

აი, ფარეხის ალიზის ლობეც. აქედან ყველაფრის დანახვა შეეძლო. უცებ იმათ სახეებს მოჰკრა თვალი. არა, მათი სახეები სხვისაში არ შეეცვლებოდა. ნამდვილად ისინი იყვნენ: ბიძამისი ტანისი და ძია ლიბრადი. კოცონის ახლოს სალდათები ირეოდნენ, ის ორნი კი შუა ეზოში მესკიტის ტოტებზე ქანაობდნენ. კოცონიდან ადენილი კვამლით ავსებოდათ შუშადქცეული თვალები, სახეები ჭვარტლით დაფაროდათ, მაგრამ მათთვის უკვე სულერთი იყო ყველაფერი.

აქ დიდხანს დგომა და ყურება აღარას არგებდა. ლობის ძირ-ძირ გაცოცდა და კედლის კუთხის შვერილთან გაიტრუნა. კუნთები მოადუნა და რამდენიმე წუთს ასე იწვა, რათა სხეულისათვის ცოტა შვება მიეცა, სადღაც შიგნით, გულისკოვზთან საძაგელი სიცვიე იგრძნო.

— რაღას ველოდებით, ჩამოვხსნათ, — მოისმა მის თავს ზემოდან ვილაციის ხმა.

— მესამეს დაველოდოთ. ამბობენ, სამნი იყვნენო, მაშასადამე, ჩამომხრჩვალიც სამი უნდა იყოს. მესამე თურმე სულ ბავშვია. შენ ბავშვი უძახე და იმის ჭკუა კი ეყო, რომ ლეიტენანტი პარე ალყაში მოემწყვდია და მთელი მისი ხალხი ამოეფუჟა. არა უშავს, ისიც მოაკითხავს ბუნავს. ესენი უფროსები იყვნენ და ეშმაკობაც თითქოს მეტი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მაინც ხომ მოვიდნენ? მაიორმა თქვა: ორ დღეს — დღესა და ხვალეც კიდევ მოვიცადოთ და, თუ არ გამოჩნდება, პირველივე აქ მომსვლელი ჩამოგვიდოთო; ნაბრძანებია — სამნი ჩამოახრჩვეთო.

— მოსაძებნად რატომ არ გვგზავნიან? აქ გულხელდაკრეფილ ჯდომას ჯობდა საძებნელად წავსულიყავით. უფრო სახალისო იქნებოდა.

— ძებნა რად უნდა. ვერსად წავგვივა. თავისით გაეძებება მახეში. ისინი ყველანი ახლა მთებში, კომანხის ქედისკენ „მეთოთხმეტე რაზმში“ ეშურებიან. სავარაუდოა, ეს სამნი უკანასკნელები იყვნენ. მე თუ მკითხაკ, ჯობდა ესენი გაგვეშვა, წასულიყვნენ თავიანთ რაზმში და თვითონვე კარგად შეახურებდნენ.

— ჰო, არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ ბოლოს შეიძლება იქ ჩვენ გავგეზავნეთ და ჩვენი თავსამტვრევი გამხდარიყო ყველაფერი.

ფელისიანო რუელასი ორიოდე წუთს კიდევ დაყოვნდა თავის სამალავში და, როცა გულისკოვზთან საძაგელმა ღიტიანმა გაუარა, პაერი ღრმად ჩაისუნთქა — როგორც წყალში გადახტომის წინ, მიწას გაეკრა და ხოხვით გასცილდა იქაურობას.

ნაკადულს რომ მიაღწია, ფრთხილად წამოსწია თავი, ერთი კი მიიხედ-მოიხედა და მოკურცხლა, გზას სანაპიროს მოყელყელავებულ ბალახებში იკაფავდა. მირბოდა უკანმოუხედავად და შეუსვენებლივ, სანამ არ შეამჩნია, რომ ნაკადულმა ვაკეზე გაიყვანა. მაშინ კი შეჩერდა და ცახცახატანილმა როგორც იქნა სული მოითქვა.



გ ა ხ ს ო ვ ს ?

ურბანო გომესი გახსოვს? დონ ურბანოს შვილი. დიხასის შვილიშვილი, პო, აი, იმისი, დღესასწაულებზე სანახაობებს რომ გვიწყობდა. სიკვდილის წინაშე არ მოიშალა თავისი და დიდის ამხრობის რებდა: „გასკდი შურისგან, სატანავ“. არ გახსოვს? ინფლუენციის დროს იყო. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. თხუთმეტ წელიწადზე ნაკლები არამც და არამც არ იქნება. როგორ არ გახსოვს, „ბაბუას“ ვეძახდით, იმიტომ, რომ მის მეორე ვაჟიშვილს, ფიდენსიო გომესს ორი გოგო ჰყავდა. ვაჰ, რა კეკლუცები იყვნენ! ერთი შავგვრემანი იყო, დაბალი ტანისა და ხალხმა ცუდი მეტსახელი, „კალთაწამოხდილი“ შეარქვა, მეორე მაღალი იყო, გრძელფეხება და ცისფერთვალეა, ამ მეორეზე ამბობდნენ, მისი შვილი არ უნდა იყოსო. ავადმყოფობდა ეს გოგო. მგონი, ბნედა სჭირდა. არ გახსოვს, ეკლესიაში შუა მესის დროს უცებ მოადენდა ხოლმე ზღართანს, გულყრა ემართებოდა. მთელი წირვა, რაღა თქმა უნდა, აირ-დაირეოდა, ის კი, ვერ მისვდებოდა, ტიროდა თუ იცინოდა. ხანდახან იქამდე არ დამშვიდდებოდა, სანამ სადმე არ გაიყვანდნენ და ტკბილ წყალს არ დააღვინებდნენ. მერე ლუსიო ჩიკოზე გათხოვდა, პლანტაცია რომ აქვს. იცი შენ ეს პლანტაცია, ადრე ლიბრადოს ეკუთვნოდა, არ გახსოვს? მდინარის აღმა, ტედოლუსების სელის ზეთის სახდელ საწარმოსთან იყო.

ურბანოს დედას ჩვენში „უფალო მიუტევეს“ ეძახდნენ. აყალმაყალის ოსტატი იყო, ვისაც არ იქნება, აეტორლიალებოდა, აეტორლიალებოდა და მუდამ სარგებლით რჩებოდა — ღმერთი ხან ბიჭს გამოუგზავნიდა, ხან გოგოს. ამბობდნენ, ბლომა ფული იშოვაო, მაგრამ რად გინდა, მთელი ფულები დასაფლავებებს მოანდომა. შვილები არ რჩებოდა; დაბადება და დასაფლავება ლამის ერთი იყო. თან ყველას მუსიკით ასაფლავებდა, დაკრძალვაზე ბერებს ქირაობდა, რომლებიც მთელ გზაზე „იდიდე უფალო“-ს და „ოსანა“-ს გალობდნენ. კიდევ იმას, როგორაა: „მიიღე, უფალო, სული ჩვილისა ანგელოზთა დასში“. ძვირად უჯდებოდა ეს დაკრძალვები და აკი გალატაკდა კიდევ. სულის მოსახსენიებულ ქეიფსაც ხომ ფული სჭირდებოდა, მარტო ორი ბავშვი გადაურჩა — ურბანო და ნატალია. ისინი უკვე სიღარიბეში დაებადნენ. მათი გაზრდა აღარ დასცალდა, მეორე ბავშვის დაბადების მერე მიიცვალა. მაშინ უკვე სულ ბებრუხანა, ორმოცდაათს მიღწეული იქნებოდა.

არ შეიძლება არ გახსოვდეს. ანჩხლი და მოჩხუბარი იყო. ბაზარში თუ წავიდოდა, აუცილებლივ უნდა წაკიდებოდა მეწვრილმანე ქალებს: ტომატს ცოტა ძვირს თუ დაუფასებდნენ, აურზაურს ატეხდა, „ტყავს გვაძრობთო“, და შეიქნებოდა ერთი ალიაქოთი. ბოლოს, ფული რომ შემოეღია, მთელი დღე სანაგჯიებსა და სანარეცხე ორმოებს შორის დაჰყოლოდა. კრეფდა, რაც მოხვდებოდა: ხახვი იქნებოდა, ლობიო თუ შაქრის ლერწმის ჩამონაჭრები; ბავშვებმა ტკბილს გემო მაინც გაუსინჯონო. ბავშვები კი, როგორც ვთქვი, ორიღა დარჩა. მერე სული უფალს მალე მიაბარა.



ურბანო გომესი დაახლოებით ჩვენი კბილა იქნებოდა. შეიძლება ექვსიოდეთ თვით უფროსიც ყოფილიყო. ოსტატურად თამაშობდა ჩილი-კაობას. დიდი გაქნილი და თაღლითი, ნამდვილი არტისტი იყო — გახსოვს, ბომბაქსებს ჰყიდდა და ჩვენც, სულელები, ვყიდულობდით. კაცმა რომ თქვას, რატომ ვყიდულობდით? ხომ შეგვეძლო ჩვენი უღიარო ტყუილი და ჩვენ თვითონ შეგვეგროვებინა. სკოლის ეზოში მანგროს ხე იზრდებოდა. ხანდახან მოკრეფდა მკვასე მანგროს და ჩვენ გვასალებინებდა. ზოგჯერ სკოლის დარაჯისაგან ფარდულში ორ სენტავოდ ფორთოხალს ან წიწაკას იყიდდა, ჩვენ კი ხუთად გვაძლევდა. სკოლის ჩანთაში რაღას არ ინახავდა: ფერად-ფერად ქვებს, ბზრიალებს, საყვირებს, მწვანე ციციანათელებს, რომლებსაც ფეხებზე ძაფს აბამდა, შორს რომ არ გაფრენილიყვნენ. ყველა ამ ხარახურით ლატარეას გვეთამაშებოდა და ჩვენს ხარჯზე მდიდრდებოდა. პა, კიდევ ვერ გაიხსენე?

მისი და ნატალია ნაჩიტო რივეროს გაჰყვა ცოლად. ქმარი ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჭკუაზე გადაცდა. ნატალიამ, როგორმე თავი რომ ერჩინა, დიდ გზატკეცილზე, ბენზინის გასამართ სადგურთან ხილის არყით დაიწყო ვაჭრობა. ნაჩიტო კი ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა და მანდოლინას აჩხაკუნებდა, მანდოლინას სადალაქოში დონ რეფუხიოსგან თხოულობდა — დადიოდა და უკრავდა ყურთასმენის წამლებად.

ურბანო ხშირად გვეპატიუებოდა თავის დასთან თითო ჭიქის გადასაკრავად. ჩვენც ვსვამდით იმის ხარჯზე, რადგან ჯიბეში გროში არ გვიჭყაოდა. ბოლოს ურბანო სულ მარტოდმარტო დარჩა. მეგობრები შემოეცალნენ, ჩვენც ქუჩაში შორიდან თვალს მოვკრავდით თუ არა, მოვკურცხლავდით, ემანდ ძველი ვალები არ გაგვიხსენოსო.

შეიძლება ამან გააბოროტა, შეიძლება დაბადებიდან იყო ეგეთი, არ ვიცი.

მეოთხე კლასის მერე სკოლიდან გააგდეს: თავის ბიძაშვილთან, „კალთაწამოხდილს“ რომ ეძახდნენ, საპირფარეოსო უკან ცარიელ ცისტერნაში ცოლქმრობანას თამაშობდა. მთელი სკოლა, გოგოებიცა და ბიჭებიც, ჯგუფ-ჯგუფად ვდგავართ და არის ერთი ხორხოცი და ყიჟინი. უფრო მეტად რომ შეერცხვინათ, ყური აუწიეს და ასე გამოატარეს ჩვენს მწკრივებს შუა. ის კი მოდის თავაწეული და თან მუშტებით გვემუქრება — ვითომცდა, დამაცადეთ, მალე ამოვალ თქვენს ოხტშიო.

მერე გოგო გამოიყვანეს. ვხედავ, სლუკუნებს, თვალი მიწისთვის ვერ მოუშორებია, თითქოსდა ფეხქვეშ კაფელის ფილებს ითვლისო. კარებთან კი თავი ველარ შეიკავა და ცრემლი ღვარად წამოუვიდა. ჯერ ყურთასმენის წამლებად აღმუვლდა, მერე მთელი დღე მიკიოტივით გაჰკიოდა.

აჰ, არაფრად გვარგია მეხსიერება. თუ ეგრეა, რაღა გემახსოვრება.

მერე ჰყვებოდნენ, ურბანო ბიძამისმა ფიდენსიომ, იმ ზეთის სახდელის პატრონმა, ისე სცემა, ცოტაც და, ბიჭი შეიძლება სულ დახეიბრებულიყო. ისიც ადგა გაბრაზებული და ქალაქს გაეცალა.



მერე თითქოს ცამ ჩაყლაპაო, აღარაფერი გვსმენია, სულ აღარ გამოჩენილა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ვხედავთ, დაბრუნდა. პოეტურად გამომცხვარი მოგვევლინა. თანაც ისე ეჭირა თავი, თითქოს ველარავის გვცნობდა. ზის დილიდან საღამომდე საპოლიციო უბნის წინა მოედანზე, მუხლებშუა კარაბინი ჩაუდვია და ხალხს ქვეშევრდობა რებს. თვალეში კი საშინელი სიძულვილი ჩაგუბებია. არც არავის ელაპარაკება, არც ესალმება, თუ ვინმე გამოეცნაურა, თავს ისე მოიკატუნებს, თითქოს მის დღეში არ ენახოს.

სწორედ მაშინ გააფრთხობინა სული თავის სიძეს, აი, იმას, მანდოლინაზე რომ უკრავდა. საწყალ ნაჩიტოს თავში აზრად მოსვლია თავისი ცოლისძმისთვის სერენადა ემღერა. საღამოხანს მოხდა ეს. მეცხრე საათი იწყებოდა, ის-ის იყო მწუხრის ზარებმა დარეკეს. უცებ ქუჩაში ყვირილი გაისმა. რაც კი ეკლესიაში ხალხი იყო, სულ კარს ეცა და მოედანზე გამოცვივდა. ხედავენ, ნაჩიტო მიწაზე გულაღმა გდია და ურბანოს ფეხებითა და მანდოლინით იგერიებს, ის კი თავზე დასდგომია და კარაბინის კონდახს რაც ძალა და ღონე აქვს ურტყამს. ხალხს უნდა შეაჩეროს, რაღაცას უყვირის, იმას კი თავი ისე უჭირავს, თითქოს მას არ ეხება. გამხეცებული და გაცოფებულია. ამ დროს ერთი ყმაწვილი — მგონი, აქაური არ უნდა ყოფილიყო — ხალხიდან გამოვარდა, ეცა, კარაბინი გამოსტაცა და კონდახი ბეჭებში სთხლიშა. ურბანო ამოტრიალდა, მუცლით ბალის სკამს დაასკდა და ეგრევე დარჩა.

ახლოს არავინ მისულა. მთელი ღამე თურმე სკამზე ცოდვილობდა, დილით კი, მზის ამოსვლამდე, გაპარულიყო. ამბობენ, ეკლესიაში შესულა და მღვდლისთვის შენდობა უთხოვნია, მაგრამ მღვდელს უარი უთქვამსო.

გზაზე დაუპატიმრებიან. ცალი ფეხით კოჭლობდა თურმე. ძლივს-ძლივით მიჩლახუნობდა, დასასვენებლად ჩამომჯდარა და სწორედ მაშინ უტაციათ ხელი. არ გაძალიანებია. მერე ამბობენ, ვითომც ყულფში თავი თვითონვე გაეყოს. ის კი არა, ჩამოსახრჩობი ხეც თვითონ ამოირჩიაო.

კიდევ ვერ გაიხსენე? ჩემზე უკეთ შენ იცნობდი. სკოლაში ხომ ამხანაგები ვიყავით?

### მიწები ღაბვირიბას

უკვე რამდენი საათია მივდივართ, ირგვლივ კი არც ხე ჩანს, არც ბუჩქი და არც ბალახის ნასახია სადმე.

მაგრამ აი, სადღაც შორს ძალღი აყუფდა.

ჩვენ კი გზა უსასრულო გვეგონა. მივდიოდით, მივდიოდით და ღამის ეჭვიც კი შეგვეპარა, ნეტა სად მივყავართ ამ გზას, იქნებ არც არაფერი დაგვხვდეს ამ გზის დასასრულს-თქო. ანდა რა უნდა დაგვხვდეს — მიწა სიცხისაგან დახეთქილა და ნაკადულიც დამშრალა. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არის იქ რაღაცა. იქნებ სოფელი? აი, ისევ ატეხეს ძაღლებმა ყუფა, პაერშიც კვამლი ამოიზღაზნა. დასახლების სუნიც იგრძნობა. პაერს ღრმად ვისუნთქავთ, ვცდილობთ კვლავ და



კვლავ შევიგრძნოთ ეს სურნელება, რომელიც ჩვენთვის დაპირება და იმედია.

მაგრამ სოფლამდე ჯერ კიდევ შორია, სოფელს ჯერჯერობით ქარი გვაახლოებს.

ჩვენ განთიადისას დავადექით გზას. ახლა კი ნამსუსადღესია. ოთხი საათია. ცაზე უძრავად დაკიდებულ მზეს რომელიღაც თვალმოჭუტული ახედავს და გვაუწყებს:

— ოთხ საათზე ნაკლები არ იქნება.

ეს მელიტონია. მაგის გარდა კიდევ სამნი ვართ. ფაუსტინო, ესტებანი და მე. სულ ოთხნი ვართ. წყვილ-წყვილად მივდივართ. ორი წინ, ორი — უკან. მე უკან ვიყურები. თითქოსდა კიდევ ერთხელ მივინდა დავრწმუნდე, რომ ჩვენ უკან მომავალი წყვილის შემდეგ მართლა აღარავინ არის. ნამდვილად აღარავინაა. „ოთხნი ვართ“, — ვბუტბუტებ ჩემთვის. სულ ახლახან, დილის თერთმეტ საათზე ორათეულზე მეტნი ვიყავით. მაგრამ ორ-ორი, სამ-სამი კაცი ნელ-ნელა სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდა და ოთხი კაციღა დავრჩით.

— ეტყობა, წვიმას აპირებს, — ამბობს ფაუსტინო.

ყველა ერთბაშად მალლა ვიყურებით. ჩვენს თავს ზემოთ სულ დაბლა დაცურავენ შავი, საავდრო ღრუბლები. ჩვენც თავს ვიიბედებთ: „იქნებ მართლა მოვიდეს წვიმა“.

მაგრამ ხმამალლა სიტყვა არავის დაუძრავს. სიცხისაგან დიდი ხანია ლაპარაკის ხალისი წაგვერთვა. სადმე ჩრდილში რომ ვისხდეთ, ვითომცდა რატომ არ ვისაუბრებდით. ახლა კი ეს არც ისე იოლია. რაიმეს სათქმელად პირს გააღებ თუ არა, ცხელი ჰაერი სასაში დაგეტაკება და სიტყვები ენაზე შეგაშრება. დაიწყებ სულის მოთქმას და უკანასკნელი სიტყვა ამოსუნთქვასთან ერთად გაქრება. პო, ძნელია გაბმული საუბარი.

გზაზე მსხვილი წვიმის წვეთები ეცემა. წვეთები მტვერში პაწაწინა ორმოებს თხრიან და რალაც მოშავო, ნაფურთხის მაგვარ მასად იქცევიან. ჯერჯერობით თითო-ოროლა წვეთი ეცემა. ჩვენ დაყინებით მივჩერებივართ გზას. ოჰ, როგორ გვინდა წვეთები ერთმანეთის მიჯოლებით წამოვიდეს. ველოდებით, მაგრამ ამაოდ: წვიმა არ მოვიდა. წყლით გატენილი ღრუბლები უკვე შორსაა და აქაურობიდან სადღაც დასაკარგავში მიიჩქარიან. სოფლიდან მონაბერი ქარიც ღრუბლებს სულ უფრო სწრაფად და სწრაფად ერეკება ჩვენ უკან აღმართული მთაგრეხილის ლურჯი ჩრდილისკენ. წყურვილისაგან გამოფიტული მიწა კი უკვალოდ ყლაპავს ძირს სულელურად დაცემულ თითო-ოროლა წვეთს.

ჯანდაბას, ვინ ეშმაკმა მოიგონა ნეტა ეს წყეული ზეგანი, პა? ვინ შექმნა ეს აუარებელი უსარგებლო მიწა?

ჩვენ კვლავ გზას ვადგავართ. სულ ცოტა ხანს შევჩერდით. გვინდოდა გვენახა, როგორ გაწვიმდებოდა, მაგრამ ცამ პირი შეიკრა. და აი, ჩვენც კვლავ წინ მივისწრაფით. უცებ მომეჩვენა, რომ მივდივართ, მივდივართ და ისევ ერთ ადგილზე ვდგავართ. და ამ აზრისათვის თავი ველარ დამილწევია. წვიმა რომ მოსულიყო, შეიძლება მაშინ სხვა



ფიქრები გამჩენოდა, რა ვიცი, აბა, ბავშვობიდან მოკიდებული ზეგანზე ერთხელაც არ მინახავს წვიმა, ისეთი, რასაც, რომ იტყვიან, ნამდვილი წვიმა ჰქვია.

არა, კაცი მთიანეთიდან ხეირს ისევე არ უნდა ელოდეს, როგორც ვაცისაგან — რძეს. აქ კურდღელი რა არის, კურდღელიც კი არ მხვდებოდა არც ფრინველი დაფრინავს სადმე. აქაურობა უდაბნოსა ჰგავს. მხოლოდ ათად თუ მოჰკრავ თვალს გადახრუკულ მიწაზე მომწვანო ლაქას, ეს აჯაგრული, უხეში, ფოთლებდაგრებილი საკატეა, ანდა კასიას ეულად მდგარი დამჭკნარი ჯაგები.

ჰოდა, მივდივართ აი, ამ უდაბნოში. გზას ფეხით მივუყვებით. თავდაპირველად ცხენები გვყავდა, და თითოეულ ჩვენგანს უნაგირის გვერდზე კარაბინი გვეკიდა. მაგრამ არც ცხენები შეგვარჩინეს და არც კარაბინები.

მე მგონი, კარგი ქნეს, კარაბინები რომ ჩამოგვართვეს; ამ კუთხეში იარაღის ტარება სარისკო საქმეა. აქაურებს არ უყვართ თოფიანი მოხეტიალე კაცი. ნახავენ თუ არა, გაუფრთხილებლად იქვე უგებენ წესს. ცხენები კი დასანანია. ცხენებით რომ გვევლო, აქამდე რაღა დროსია, ნაკადულის ცივ წყალსაც დავლევდით, სოფლის ქუჩებშიც გავისეირნებდით... ჰო, ცხენებით რომ გვევლო... მაგრამ ცხენებიც კარაბინებთან ერთად წაგვართვეს.

ვცდილობ მთაგრესილს მთელ სიგრძეზე მოვაგლო მზერა, თავს ხან ერთ მხარეს ვაბრუნებ, ხან მეორე მხარეს. რა აუარებელი მიწაა! ტყუილად კი ცდება. თვალი შორს მიმირბის, ვერაფერზე შემიჩერებია, ან რაზე უნდა შევაჩერო. ხვრელიდან ხვლიკი თუ გამოძვრა, მაგრამ მზე ისე აცხუნებს, ისიც უმალ სადმე ქვას ეფარება. აქ რანაირად უნდა ვიმუშაოთ? მზეს როგორ უნდა დავეშალოთ? რატომ დავვირიგეს ეს გადახრუკული მიწები? სცადე ერთი და დაამუშავე!

გვითხრეს:

— სოფლიდან მოკიდებული აი, ამ ადგილამდე მთელი ეს მიწები თქვენია.

— ეს ხომ ზეგანია, — გავშტერდით ჩვენ.

— დიახ, ზეგანია, და მთელი ეს დიდი ზეგანი ამიერიდან თქვენ გეკუთვნით.

ჩვენ სახეები ჩამოგვიგრძელდა, გვინდოდა გვეთქვა, რაში გვჭირდება თქვენი ზეგანი, მოგვეცით ნამდვილი მიწა, აი, ის, მდინარის პირას რომაა, ან იმის იქითა ველზე, სადაც ლამაზი ხეები, კაზუარინები, ხარობენ. ჩვენ საძოვრები და ნაყოფიერი სახნავი მიწები გვჭირდება და არა უნაყოფო ზეგანი, ეს რა მიწაა, ეს ხომ გახეშეშებული ხარის ტყავია, თანაც კიდევ მოუთრიმველი.

მაგრამ არც მოგვისმინეს, ეტყობა, რწმუნებული იმიტომ სულაც არ მოსულიყო, ჩვენთან ლაილაი რომ გაება, მფლობელობის ქალაღდი მოგვაჩეჩა და გვეუბნება:

— ნახეთ, რამდენი მიწა ჩამოგიჭერთ! ნურაფრისა ნულა გეშინიათ!

— მაგრამ ეს ხომ ზეგანია, ბატონო რწმუნებულო, ეს...



— მიწას, შეიძლება ითქვას, ვერც კი გაზომავთ, ასობით იუნტია.  
 — წყალი თუ არ იქნა, მიწა რა ჯანდაბად გვინდა. იქ ქათმის და-  
 სალევნი წყალიც არ იშოვება.

— წვიმა რისთვისღაა მოგონილი? არავინ შეგვიჩვენებდა, მიწას-  
 თან ერთად წყალსაც მოგცემთო. სამაგიეროდ, წვიმები რომ დაიწყება,  
 სიმინდი იქ ისე ხელდახელ იზრდება, იფიქრებ, ვინმე ექაჩებაო.

— წვიმა! იქ წვიმა რომ მოდის, ბატონო რწმუნებულო, მიწა ტყი-  
 რპიანით ხდება. იმ გატყირპიანებულ მიწას შერე ვერავითარი გუთა-  
 ნი ველარ მოერევა. ვიცნობთ მაგ ზეგანს. მარცვლელი რომ დათე-  
 სო, ორმოები წერაქვით უნდა ამოამტვრიო, პოდა, რა მოსავალს მოგ-  
 ვცემს? საუკუნეებია უკვე, რაც მანდ არც სიმინდის და არც სხვა რა-  
 მის მოსავალი არ მოსულა და არც მოვა.

— დაწერეთ განცხადება. ახლა კი გეყოთ. შეგიძლიათ წახვიდეთ.  
 პრეტენზიებით მიმართეთ ლატიფუნდების კავშირს, იმათთან იდავეთ.  
 ხელისუფლება აქ არაფერ შუაშია, მადლობელი იყავით, რომ მიწები  
 დაგირიგეს.

— მოგვისმინე, ბატონო რწმუნებულო. ჩვენ ცენტრალური ხელი-  
 სუფლების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. მიწები რომ დაგვირიგეთ,  
 იმ მიწების საწინააღმდეგო კი ნამდვილად გვაქვს. და რაკი ამ მიწის  
 წინააღმდეგნი ვართ, გამოდის, რომ იგი ჩვენი არ არის. ჩვენი რაც არ  
 არის, არ არის. აი, რა გვინდოდა გვეთქვა: მოითმინეთ, ახლავე ავი-  
 ხსნით. ავიღოთ თავდაპირველად, მაგალითად, როგორც მოგახსენებ-  
 დით...

მაგრამ რწმუნებულმა აღარ მოგვისმინა.

ასე მივიღეთ ვერანი ზეგანი. რას დათესავ ამ გავარვარებულ ტა-  
 ფაზე? მაჩვენა ერთი, როგორ გადამწვანდება და აყვავდება აქაურობა.  
 გადამწვანდება არა, ჯანდაბა! აქ ძერებიც კი ვერ გაძლებენ. გამოჩ-  
 ნდება სადღაც მალლა, ზეცაში მფრინავი, გაიელვებს და გაქრება, სად-  
 მე შორს გასწევს ამ გადაკარგული ადგილიდან. რას მოუტანს ეს გა-  
 დამხმარი, მკვდარი უდაბნო. ძალიანაც რომ მოიწადინო, აქ ვერც ცო-  
 ცხალ არსებას დაინახავ, ვერც ქარისაგან ატოკებულ ხის ტოტებს. მი-  
 დიხარ, მიდიხარ და ეგრე გვონია, წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაგიდ-  
 გამს.

— ეს მიწა ახლა ჩვენ გვეკუთვნის, — აცხადებს ანაზდად მელი-  
 ტონი.

— რაო, რა თქვი? — ეკითხება ფაუსტინო.

მე ჩუმად ვარ. მიკვირს, რა სისულელეებს რომავს-მეთქი მელი-  
 ტონი. ეტყობა, ჭკუაზე არ არის, სიცხისაგან ალბათ ტვინი აერია. მზემ,  
 როგორცა ჩანს, შლაპაშიც გაატანა და სიცხემ ტვინი გამოულაყა. რე-  
 ებს მიედებ-მოედება! ჩვენი მიწაო — რა მიწაა ეს, მელიტონ? ეს მიწა  
 კი არა, ცარიელი მტვერიც არაა! ქარი გზაზე ბუქსაც ვერ აყენებს.

მელიტონი კი თავისთვის ანგარიშობს: ამისთანა მიწასაც გამო-  
 იყენებს კაცი რამეში. ცხენები თავისუფლად იქნებიან.

— რა ცხენები? — ვერ მიხვდა ესტებანი.



აქამდე ესტებანისათვის არც კი შემეხედა. ახლა, ხმა რომ ამოიღო, ავხედ-დავხედე, ქურთუკი ეცვა, ქურთუკის საყელოდან რალაც დადევნებულს უჩანდა თავი — ქათამს უნდა ჰგავდეს. ჰო, ასეა. ქურთუკის შიგნით ყვითელი ქათამი უზის. თვალები მიბლეტია, ნისკარტი დაუღლია, თითქოს ამთქნარებო.

გინგლიფსიქა

- ეი, ტებან, სად გიშოვია ეგ ქათამი? — ვეკითხები.
  - არსად, საკუთრივ ჩემია.
  - ადრე რალაც არ შემიმჩნევია, იყიდე თუ რა?
  - რად გიყიდიდი, შინიდან წამოვიყვანე.
  - გამოდის, ცოცხალი ხარჯით წამოსულხარ.
  - ხარჯი რა შუაშია, იმიტომ წამოვიყვანე, შინ მარტო ვერ დავტოვებდი. მარტოდმარტო ვცხოვრობ, წამოვედი და სახლი გამოვკეტე, ამას ვილა მიჭმევდა, წყალს ვინ დააღვინებდა? ჰოდა, ავდექი და თან წამოვიყვანე. სადაც უნდა წავიდე, ყველგან თან დამყავს.
  - ქურთუკში დასცხება, არ მოგეგუდოს, ჰაერზე ამოიყვანე.
- ესტებანმა ქათამი ილლიაში ამოიღო და გაღებულ ნისკარტში სული ჩაბერა. მერე უცებ გვეუბნება:

— ფლატეს ვუახლოვდებით.  
 ის კიდევ რალაცას ამბობს, მაგრამ მე არ მესმის. ჩვენ ერთმანეთის მიყოლებით ვეშვებით ციცაბოზე. მე ესტებანის უკან აღმოვჩნდი. ახლა ფეხებში ხელჩაკიდებული მოჰყავს ქათამი, ხელს ხანდახან მალლა აიქნევს, რომ ქათამი უნებლიეთ ლოდს არ შეახეთქოს.

რაც უფრო ქვემოთ ჩავდივართ, მიწა მით უფრო რბილი ხდება. ფეხები მტვერში გვეფლობა, შორიდან რომ კაცმა შემოგვხედოს, იტყვის, ჯორების ჯოგი მოდისო. მაგრამ ჩვენ მოგვწონს ეს მტვერი. მთელი თერთმეტი დღე მოვდიოდით მთიანეთის გზებით და ახლა მოგვწონს, რომ ფეხქვეშ გვისხლტება და სახეზე გვედება თბილი, მიწის სუნით გაჟღენთილი მტვერი.

მდინარის მალლა, მწვანე კაზუარინების ზემოთ დაფრინავენ მწვანე ჩაჩალაკების\* გუნდი, და ესეც ძალიან მოგვწონს.

ძაღლების ყეფა სადღაც სულ ახლოს გაისმის. ყეფა ყოველი მხრიდან ისმის. ეს ქარის ბრალია, მდინარის ციცაბო ნაპირებიდან ქარი ჩვენამდე აღწევს და ველს სოფლის ხმაურის გამოძახილი ავსებს.

გამოჩნდა პირველი სახლები. ესტებანმა ქათამი ისევ ილლიაში ამოიღო. ალბათ გაუხსნა უკვე მთლად დაბუჟებული ფეხები და წუთის შემდეგ თავის ქათმიანად მესკიტის ღობეს მიეფერა.

- მე აქეთ წავალ, — გამოგვიცხადა მან.
- ჩვენ შუა სოფლისკენ ავიღეთ გეზი.
- მიწები, რომელიც დაგვირიგეს, ზევით, ზურგს უკან დაგვრჩა.

\* გრძელკუდიანი ჩიტები.



მ ა კ ა რ ი ო

ვზივარ თხრილის ახლოს და ვუცდი, როდის გამოჩნდებიან ბა-  
 ყაყები. გუშინ, ვახშობობისას, ისე გაბმულად ყიყინებდნენ, განთიადამ-  
 დე აღარ გაჩუმებულან. ნათლია წამოდგა და თქვა: „მეცაა თქვენი ყიყინმა  
 მთელი ღამე თეთრად გამათენებინა, წავალ, ახლა მაინც წავიძინებ“.  
 მე კი აქ გამომგზავნა და მიბრძანა, თან ფიცარი წამომეღო: ამოხტება  
 ბაყაყი, ვთხლიშავ ფიცარს და მორჩა... ბაყაყები მწვანეები არიან, ყვე-  
 ლაფერი მწვანე აქვთ: თავი, ზურგი, თათები, მარტო მუცელი აქვთ  
 თეთრი. გომბეშოები კი ნათლიის თვალებივით შავები არიან. გომბეშო  
 არ იჭმება, მაგრამ მაგას არ დაგიდევ, მაინც ვჭამ, ბაყაყის გემოსაგან  
 ვერ გაარჩევ. ფელიპა ამბობს, გომბეშოს ჭამა არ არის კარგიო. ფე-  
 ლიპას კატასავით მწვანე თვალები აქვს. სასუსნავს ფელიპა მაძლევს  
 ხოლმე სამზარეულოში. ის ბაყაყების დახოცვას არ მავალებს. რას იზ-  
 ამ, დიასახლისი ჩემი ნათლიაა და, რაკი მიბრძანებს, მოვალე ვარ ბრძა-  
 ნება შევასრულო... ფელიპა უფრო მიყვარს, ვიდრე ნათლია. სამაგი-  
 ეროდ, ფელიპას ნათლია აძლევს ხოლმე ფულს სურსათ-სანოვაგის სა-  
 ყიდლად. ფელიპა მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებს, ჩვენთვის სა-  
 დილს ამზადებს, მთელი დღე თითქმის მარტო ამას უნდება. რაც თავი  
 მახსოვს, სულ ასეა. ჩემი საქმე კი ჭურჭლის რეცხვაა. ღუმელისათვის  
 შეშის მომარაგებაც მე მავალია. ყველაფერს რომ მოვათავებ, ნათლია  
 საჭმელს გვინაწილებს. ჯერ თვითონა ჭამს, რაც დარჩება, თავისი ხე-  
 ლით ორად ჰყოფს — ჩემთვის და ფელიპასათვის. ფელიპა ხანდახან  
 ჭამაზე უარს ამბობს და იმისი ულუფაც მე მრჩება. ამიტომაც მიყვარს  
 ფელიპა. მე ხომ მთელი დღე მშიერი დავდივარ, კუჭი ვერაფრით გა-  
 მიძლია. თუმცა ფელიპა თავის წილს მითმობს, კუჭი შიმშილით მაინც  
 მიხმება. ამბობენ, თუ ნებაზე ჭამ, გაძლებიო. მე კი ვიცი, რამდენიც  
 გინდა ვჭამო, მაინც ვერ ვავძლები, და ეს ფელიპამაც იცის...

ჩვენს ქუჩაზე თურმე ღორმუცელა ცალტვინას მეძახიან, იმიტომ  
 რომ სულ ვჭამ და ვჭამ. ეს ნათლიას გაუგონია მეზობლებისაგან. მე  
 თვითონ ჩემი ყურით არ მომისმენია... ნათლია ქუჩაში მარტო არ მი-  
 შვებს, ძალიან იშვიათად თვითონ ეკლესიაში თუ წამიყვანს მესაზე,  
 მაშინაც გვერდზე მომისვამს და ხელებზე თავის შალის ბოლოებს შე-  
 მომახვევს ხოლმე. რატომ მახვევს ამ შალის ბოლოებს, ვერ გამიგია.  
 ამბობს, ვითომც ჭირვეული ვიყო. მომიგონეს, ვილაც დეიდა კინაღამ  
 დაასრჩეო — უკანიდან მიეპარე და ყელში წაუჭირეო. ამისთანა რამე  
 არ მახსოვს. რას იზამ, რაკი ნათლიამ თქვა, ჭირვეული ხარო, ალბათ  
 ასეა. ნათლია თვითონ ხომ არ მომიგონებდა? ის მუდამ სიმართლეს  
 ლაპარაკობს; საჭმელად თუ დამიძახა, აუცილებლივ მაძლევს ჩემს არ-  
 ჩივს, სხვას კი არა ჰგავს, დაგპატიუებენ, შემოდი, შემოდი, გაგიმასპი-  
 ნძლდებითო, მაგრამ თავს შეყოფ თუ არა, ძალღივით ქვების სროლას  
 დაგიწყებენ. კარგი გამასპინძლებაა! ღმერთს მადლობა უნდა შესწირო,  
 ცოცხალი თუ გამოასწრებ. არა, ნათლიაზე ცუდს ვერ ვიტყვი, მისი  
 ყველანაირად მადლობელი ვარ. რაც მთავარია, აქ ფელიპას გვერდით  
 ვარ. ფელიპას ვეცოდები, ჩემზე ზრუნავს, მეც ამიტომ მიყვარს!



ფელიპას ჩინური ვარდის წვენივით ტკბილი რძე აქვს. თხის რძეც დამიღვია, ღორისაც — გოჭის დინგიდან, მაგრამ რა შედარებაა! ფელიპას რძე ათასჯერ ტკბილია.

აი, ჩვენ ფიცარივით მკერდი გვაქვს, ფელიპას კი ძუძუები ტყვით შებივით უწყვია, და თუ მოინდომა, რძესაც მოიყენებს ხელმეფისადრე მანოვებდა კიდევ! ოლონდ ეს დიდი ხნის წინათ იყო. არ, რძეც იმას ერქვა. იმ რძეზეც კი ტკბილი იყო, რითაც ნათლია კვირაობით საუზმეზე გვიმასპინძლებდა...

ადრე ფელიპა დასაძინებლად ყოველ ღამე მოდიოდა ხოლმე ჩემს პაწია ოთახში. საწოლის კიდეზე დაწვებოდა, მომეხუტებოდა, ხან ზედ დამაწვებოდა და მომცემდა ძუძუს. რძე კი ტკბილზე ტკბილი ჰქონდა, თანაც თბილი, ენაზე სულ ნაკადულივით დამდიოდა...

მე ხშირად ვკრეფ ვარდებს, გამოწუწუნი და თითქოს შიმშილს გიკლავს. ფელიპას რძეც ამ ვარდის წვენივით გემრიელია. ოლონდ ის უფრო მეტად მომწონდა, იმიტომ რომ, როცა ფელიპა მანოვებს, თან მთელ ტანზე მილიტინებს ხოლმე. მერე იძინებს და განთიადამდე სძინავს. მეც მიხარია ფელიპასთან როცა მძინავს, მთბილა, არც მაციებს და არც არაფრის მეშინია, სხვა დროს კი სულ მეშინია. წვეხარ მარტოკა და ხომ შეიძლება ღამე უცებ მოკვდე. უზიარებლად რომ მოკვდე, პირდაპირ ჯოჯოხეთში მოხვდები.

ხანდახან ჯოჯოხეთისა არცთუ ისე მეშინია, ხან კი — ძალიან. ზოგჯერ მომწონს კიდევ, საკუთარ თავს ჯოჯოხეთით რომ ვაშინებ. რაკი ასეთი, რომ იტყვიან, ხისთავა ვარ, ჯოჯოხეთში მოვხვდები. რაც მომხვდება, ყველაფერს თავს ვუხათქუნებ, აბა, თუ მართლა მაგარი თავი მაქვს-მეთქი. მერე შიშისაგან გული მისკდება, ხომ შეიძლება თავი მართლა გავიხეთქო და ჯოჯოხეთში ჩავვარდე-მეთქი. მაშინ კი, როცა ფელიპა ჩემთან ათენებს, შიში მიქრება. თავისებურად უცნაურ ლიტინს რომ დამიწყებს, ჩემი მოუშორებელი შიში — შეიძლება დანდობილა მოვკვდე-მეთქი — უცბად სადღაც ქრება, ისიც კი მავიწყდება, ოდესმე თუკი მეშინოდა...

ფელიპას ჩემთან დაწოლა რომ მოუნდება, მეუბნება, მთელ შენს ცოდვებს ღმერთს მე გავანდობო. უფალი მე მალე წამიყვანს და იქ, ზეცაში ვთხოვ, მოგიტევოს შენი დიდი ცოდვებით. მე კი თავიდან ბოლომდე ცოდვებითა ვარ სავსე... ჰოდა, ფელიპა შენდობასა სთხოვს უფალს, რომ ჯოჯოხეთისა აღარ მეშინოდეს. ამიტომაც დადის ყოველდღე აღსარებაზე. მოსაღამოვდება თუ არა, აღსარებაზე ეშურება. ერთი დღეც არ გამოუტოვებია. მეუბნება, სანამ ცოცხალი ვიქნები, ამ წყალობას არ მოგაკლებო. ამიტომაც მიყვარს ასე ფელიპა.

რაც შეეხება თავს, გვარიანად გამიმართლდა ამისთანა ხის თავი რომ მამია. მირბიხარ გალერეაში და სვეტზე ბახ, ბახ, ბახ; თავი კი ვითომც არაფერიო, ერთხელაც არ გამხეთქია. მიწაზეც მიცდია. ჯერ ნელა დაარტყამ, მერე თანდათან მოუმატებ — ისეთ ხმას გამოსცემს, თითქოს დოღს უბრაახუნებენო. ზუსტად დოღისნაირი ხმა აქვს, დიდი დოღისა, რომლითაც საეკლესიო დღესასწაულებზე ქუჩებში ჩამოივლიან ხოლმე. ზიხარ ხელებშეკრული ნათლიის გვერდით, ქუჩაში კი ბრაგაბრუვი გაუღის დოღს: ბრაგ, ბრუგ.



ნათლია მეუბნება: მიწაზე თავის ბრახუნს თუ არ მოიშლი, საუკუნო ჯოჯოხეთი არ აგცდებო. ტყუილად კი არ არის შენი ბუნაგი სააქაოშიც ბაღლინჯოებით, ტარაკნებით და მორიელეებით საფსეო. მაგრამ მე ხომ მარტო ისა მსურს, მოვუსმინო, ზუსტად დოღვივით როგორ ხმაურობს ჩემი თავი! ამას როგორ ვერ მიმხვდარა შენს ბრახუნობს და გგონია, ეკლესიაში ზიხარ და ერთი სულს ბუნაგის გახვალ ქუჩაში და იმ დოღს შენი თვალით ნახავ. მიკვირს, ნეტა როგორ ხდება, რომ ასე შორს ისმის იმ დოღის ხმა, ლამის მთელ ეკლესიას რომ ეფინება... ამას მარტო ჩვენი მღვდელი არ აგდებს არაფრად, ვითომც არაფერიო, წამდაუწუმ ბუბუნებს: „სიკეთის გზა ნათელია და გარკვეული, ბოროტებისა — ბნელით მოცული“. ჰო, ასე ამბობს ჩვენი მღვდელი...

დილით, დილაბნელზე ვდგები. გამოვდივარ ჩემი ბუნაგიდან და ვგვი ქუჩას. ვცდილობ ისე მოვასწრო, რომ რიყრაყამდე ჩემს ბუნაგში დავბრუნდე, თორემ ქუჩაში ათასი რამ შეიძლება მოხდეს. ზოგი მარტო სეირის საცქერლადაა მომართული, იქნებ ვინმემ ვინმეს თავი გაუტეხოსო. ასეთები ცოტანი როდი არიან! თვალი თუ გამიშტერდა, ქვები სეტყვასავით წამოვა, თანაც პირბასრი, ვეება ქვები. მერე იჯექი და აკერე ხალათი. სახესა და ხელებს ხომ ნულა იკითხავ, რამდენიმე დღეშიც არ მოგიშუშდება. შეხვეული ხელები სულ გაგამწარებს, თუ კი არ შეგიხვიეს, ნაჭრილობევი დაგისკდება, ნაპობებიდან სისხლი წამოვივა. სისხლიც გემრიელია, თუმცა ფელიპას რძესთან ვერ მოვა, მაგრამ მაინც არა უშავს რა...

ჰოდა, მეც ვზივარ შინ. არსადაც არ გავდივარ, გავალ და ქვების სროლას დამიწყებენ. საუზმეს როგორც კი მომცემენ, უმალ ჩემს ოთახში გავრბივარ და კარს ვიკეტავ, რომ ცოდვებმა შიგნით არ შემოაღწიონ. ჩემს ბუნაგში ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან. სხვაფრივ უფრო მშვიდად ვარ. კვარსაც კი არ ვანთებ, რათა არ დავინახო, საიდან მოძვრებიან ტარაკნები. ვწევარ წყნარად თივის ლეიბზე და ვიგრძნობ თუ არა, რომ ტარაკანა თავისი ხორკლიანი ფეხებით კისერზე მიღლავს, ხელს მივიტყაპუნებ და ვიჭერ... არა, კვარს არ ვანთებ, საბნის ქვეშ შემომძვრალ ყველა ტარაკანას კვარით თუ დაუწყე დევნა, ცოდვები მაშინვე დაინახავენ, რომ მათი არსებობა დამავიწყდა და ხელსა მტაცებენ. ტარაკანას რომ გაჭყლეთ, ისეთი ტკაცუნი გაუდის, თითქოსდა კალია გაგეჭყლიტოს. ჭრიჭინას კი როგორი ხმა აქვს, არ ვიცი. ჭრიჭინობელასათვის ჯერ ხელი არ დამიკარებია. ფელიპა ამბობს, ჭრიჭინობელა იმიტომ ჭრიჭინებს შეუსვენებლივ, რომ არ გავიგონოთ, როგორ ყვირიან ცოდვილი სულელები განსაწმენდელშიო. ჭრიჭინობლები წუთითაც რომ გაჩუმდნენ, ხალხი შიშისაგან ერთმანეთს ეცემა, რადგან მიცვალებულთა სულელების ყვირილის გარდა ველარაფერს გავიგონებთო. ჭრიჭინობლები ძალიან მიყვარს, მთელი საათი შემიძლია ვუსმინო მათ ჭრიჭინს. ჩემს ოთახში უამრავი ჭრიჭინობელაა, ყველაზე მეტნი იმ კუთხეში არიან, სადაც მძინავს — საბანსა და ლეიბს შორის ბუდობენ. ტარაკნები ნამდვილად იმდენნი არ იქნებიან, რამდენნიც ჭრიჭინობლები. ჩემთან მორიელეებიც არიან. წუთი არ გავა, ჭერიდან



მორიელი არ დამეცეს. ამ დროს სუნთქვაშეკრული თუ იწვები, მშვი-  
დად გადაგირბენს ზედ და ძირს, იატაკზე ჩაცოცდება. თუ შეტოვდი ან  
ხელ-ფეხი გაანძრიე, წასულია შენი საქმე. — ჩაგასობენ ნესტარს. აჰ!  
რა ტკივილი იცის! ერთხელ ფელიპას უკბინა უკან, ზედ ღუნდუნდუნდუნ  
ფელიპამ ლამის, ლამის კი არა, იტირა. თან ტირის, ყველაფერს  
უჩუმრად, და ღვთისმშობელ დედას შესთხოვს, ცოცხალი გადამარჩინეო.  
მე კი ნაკბენს, სადაც ნესტარი ჩარჩა, ენით ვულოკავდი. მთელ ლამეს  
ვულოკავდი, თან ფელიპასთან ერთად ვლოცულობდი. ვხედავ, ნერწყ-  
ვმაც აღარაფერი უშველა, ავდექი მეც, მხარი ავუბი და ტირილი მოვ-  
რთე.

ქუჩაში სიარულს მაინც ჩემს ბუნაგში ჯდომა მირჩევნია. ქუჩაში  
ქვების სროლით არ მოგასვენებენ. შინ კი არავინ ხელს არ მაკარებს.  
ნათლიამ რომც დამინახოს, როცა ჩინურ ვარდს, ბროწეულის ყვავილს  
ან მურტის ფოთლებს ვკრეფ, არ მიჯავრდება, იმიტომ რომ იცის,  
დიდიდან სალამომდე სულ ჭამა მინდა, იცის, სულ მშიერი დავდივარ.  
შიმშილი ვერაფრით მომიკლავს, მუცელი ვერ გამიძლია. თუმცა მთე-  
ლი დღე მარტო იმას ვფიქრობ, რა მოვწყვიტო და პირისკენ რა გავა-  
ქანო-მეთქი. იმან ყველაფერი იცის: იცის, რომ დამბალ ბარდასაც ვი-  
პარავ, ნასუქი ღორებისათვის როცა მიმაქვს საჭმელად, და გამხმარ  
სიძინდსაც, როცა სუქებაზე დაყენებულ ღორებს ვუყრი გეჯებში, იცის,  
რომ შიმშილი მაწამებს, რომ მშიერი ვწვები და მშიერი ვდგები... ამი-  
ტომაც სანამ მის სახლში მაჭმევენ, აქედან არსად წამსვლელი არა ვარ.  
მთელი დღე რომ არაფერი ვჭამო, ეგრე მგონია, მოვკვდები-მეთქი.  
თუ მოვკვდები, პირდაპირ ჯოჯოხეთში ამოვყოფ თავს, ეს ნამდვილად  
ასეა. იქიდან ვერავინ ველარ დამიხსნის, ფელიპაც კი, თუმცა ვუყვარ-  
ვარ. ვერც ავგაროზი მიშველის რამეს, ნათლიამ რომ მიყიდა და ყელ-  
ზე ჩამომკიდა.

ჯერჯერობით კი ვზივარ თხრილის ახლოს და ვყარაულობ, რო-  
დის გამოჩნდებიან ბაყაყები. ამდენი ამბის მოყოლაში ერთი მაინც გა-  
მოჩენილიყო. კიდევ თუ ასე გაგრძელდა, ძილის დროც მოვა, დაგეძი-  
ნება და სულს ველარც ერთს ველარ გააფრთხოვინებ. ისინი კი ატეხავენ  
ყიყინს, ნათლია გაიგონებს და ისევ გაუტყდება ძილი, მაშინ კარგი  
დღე არ დამადგება, ნათლია გაბრაზდება და რომელიმე თავის წმინ-  
დანს — ოთახში რომ ჰყავს ჩამწკრივებული — შეეხვეწება, ეშმაკებს  
მიპვარონ ჩემი სული, ეშმაკებიც წამიყვანენ და სამუდამო საწამებლად  
პირდაპირ ჯოჯოხეთში ჩამათრევენ, განსაწმენდელში არც შემახედებენ  
და ველარასოდეს ველარ ვნახავ დედას და მამას, ისინი კი განსაწმენდე-  
ლში არიან... ჰოდა, ჯობია ისევ ვილაპარაკო.

ქვეყნად ისე არაფერი მენატრება, როგორც ფელიპას რძე. რა იქ-  
ნება ერთხელ ერთი ყლუბი კიდევ გამასინჯა: აჰ, რა გემრიელი და  
ტკბილი იყო! ნამდვილ ჩინური ვარდის წვეწვსა ჰგავდა — ყვავილს რომ  
მოწყვეტ და ჯუნწიდან გამოწუწნი...





# კლესანდრ კუპინი

## პოეტაჲ

კოემა.



რუსულიდან

თარგმნა ღია ყიფიაშვილმა

ძალი და დიდება ომისა  
და მისი პატივმოყვარე  
თაყვანისმცემელნი,  
ყოველივე გამარჯვებული მეფის  
სახელს დაესართა.

ბაირონი

## მიძღვნა

გიძღვნი — ო, ვითარ საცნაურ  
იქმნას  
მუზის ხმა იგი, ხმა იდუმალი?  
ძალგის გულისხმა ჰყო ჩემთა  
ფიქრთა?  
შეგწევს ქალური შენი გუმანით  
განწონო სულის ჩემის სივრცენი?  
ოუ ეს შენდამი მოძღვნილი  
ღვაწლიც,  
ჩით ტრფობა, ერთ დროს მე რომ  
გიძღვნი,

კვლავ უპასუხოდ დამტოვებს  
ყმაწვილს?  
და მაინც ისევ გვედრი — ისმინე  
ჰანგი, ერთ დროს რომ გვერიდა  
სიამეს,  
და გწამდეს, ოდენ შენი სიწმინდე  
მიცისკროვნებდა ბნელს და ყიამეთს.  
ოდენ შენი ხმა, ხმა ოდენ შენი,  
ხმა შორეული სევდით დამცხრალი,  
ვით სიყვარულის თეთრი ტაძარი,  
იმედად მიჩნდა მარტოდენ შთენილს.

## სიმღერა პირველი

განთქმული არის ავლა-დიდებით  
დღეს კოჩუბეი მთელს პოლტავაში.  
რემა დაუდის მწვანედ გადაშლილ  
იალალეებზე ნაპატივები,  
თვალუწვდენელი სავარგულები  
ზღვად შემორტყმია ირგვლივ  
სუტორებს,

შინ ხვავ-ბარაქა უვის ულევნი  
და იმდენი აქვს განძი დაფლული,  
თავს ხელმწიფესაც არ გაუტოლებს.  
მაგრამ ნამდვილი მისი სიმდიდრე  
არც ცხენთა რემა გახლავთ  
ზღაპრული,  
ველებზე მრბოლი და მოჯირითე,

\* იბეჭდება მხოლოდ პირველი სიმღერა.



არც ოქრო-ვერცხლი, არც თათრის ხარკი,  
არც სახლი დიდი, არც მიწა ვარგი —  
მისი დიდების თავიც, სასრულიც  
პირმშოა მისი, მისი ასული.

მართლაც პოლტაველ ასულთა შორის  
ვერ მოიძიოს მარიას სწორი:  
ვითარ აპრილში კვირტი ცინცხალი,  
და ნაზი ვითარ მთვარე მიმცხრალი,  
და ტანი მისი — წყლისპირ ჩინარი,  
და მიხრა-მოხრა მოქნილი წელის —  
გედის ნარნარი ტბის თუ მდინარის  
მჭვირვალე პირზე, ან უწყინარი  
ნავარდი ველზე გაჭრილი შველის.  
თლილი ხელები და თეთრი

მკერდი —  
თოვლი სპეტაკი, თუ ქაფი თეთრი,  
მხრებს დაფენილი დაღალთ უკუნი,  
ვითარ მუქარა საავდრო ღრუბლის,  
ბაგე — ცისკრისას ვარდის კუკური,  
თვალ-წარბ-წამწამი — ხავერდი  
ქუფრი.

და განა ოდენ მშვენიერება  
(დრო რომ უღმობლად დაასამარებს)  
მიჰმადლა დიდმა ღმერთმა, არამედ  
სულიც შემკული, რაც უბერებლად  
თან გვდევს, სხეულში ვსუფევთ  
სანამდეც.

სწორედ ამიტომ სასიძოები  
გამორჩეული მოდგმის და გვარის  
ხშირად არღვევენ მის მყუდროებას  
და თუმც არ ითქმის მათზე აუგი,  
უკან აბრუნებს ცივი უარით  
ქალი და თითქმის ყველას გაურბის  
და ჰა, ჰეტმანის შუამავალიც  
ეწვიათ ბოლოს დიდის ამალით.

წლების უღელმა სძლია მაზეპას  
და თუმც ვერ მზეობს მზე  
გადახრილი,

ჭალარა გული ისევ აღზევდა,  
კვლავ აგისვიზდა ტრფობის  
სახმილი.

ასე იყო და იქნება მიწყვი:  
ვერ მოიხელთებ ჭაბუკურ ვნებას,  
წამით გეწვევა, წამითვე სხლტება/  
ტრფობის გენია, მწველი და ფეცნი,  
მაგრამ სულ სხვაა, როგორც დროის  
ნავლით

დაფარულ დადარს ტრფობა  
შთაბერავს  
სულს, და სიცოცხლეს, თითქოსდა  
განვლილს,  
აღმოაბრწყინებს კვლავ ათასფერად.  
კარი გაულო რაკი ეღეშა,  
მოხუცის ვნება არ განელდება,  
გაქვავებული გული ვარვარებს,  
თუ გაანელებს, ოდენ სამარე.

ვითარ ქურციკი არწივის ფრთეთა  
მსუილზე გარბის, ვინძლო  
გადარჩეს,  
თრთის პატარძალიც — რა ელის  
ნეტავ,  
როგორს არგუნებს ბედი განაჩენს...

სახე შეშლილი შემოდის დედა,  
დღეაქამომდე მშვიდს და უწყინარს  
მოთმენის ძაფი რამ გაუწყვიტა —  
მეტის ღელვისგან ისედაც  
ფერმკრთალ,  
აკანკალებულ შიშით ქალიშვილს  
მკლავებში სწვდა და ამბობს: —  
რას ბედავს

ეგ უსინდისო — უკვე დაბერდა,  
ძლივსლა გააწევს ორ პარასკევსაც,  
მაგრამ თავისას მაინც არ იშლის.  
ამ სიბერეში რამ ააცეტა,  
რამ მოაფიქრა, როგორ დაუშვა,  
რატომ აგვიგდო ასე აბუჩად,  
თუ სხვა რამ უდევს გულში ავაზაკს,  
რომ ნათლულს ქმრობა

შემოგთავაზა?!  
მარია გაშრა, გახევდა იქვე,  
წამით შეეხო თითქოს სიკვდილი  
და მოწყვეტილი დაეცა პირქვე,  
ჩამოვარდნილი ხიდან ჩიტვივით.



მოსულიერდა. მიწისფერ სახეს  
ისევ დააჩნდა სიცოცხლის ნიში,  
მაგრამ არ იძვრის, აღარც თვალს  
ახელს,

არ ეყურება ვაი და ვიში.  
რალაც იაზრა, დაცხრა, დადუმდა,  
ვერა გაუგეს რა, ნამეტნავად  
შვილის შეყურე შფოთავს  
დედ-მამა,

თავს დასტრიალებს ყველა,  
სათუთად  
ეაღერსება, ტკბილად უღიმის,  
ვინძლო განქარდეს მისი წუხილი.  
მაგრამ ამაოდ. ორმა დღემ განვლო,  
საშველი არ ჩანს, მარია

ნაღვლობს,  
არც საჭმელ-სასმელს არ ეკარება,  
არ ეკიდება არც თვალზე ძილი,  
დგას საათობით დახშულ კარებთან  
და სადღაც გაქრა მესამე დილით.

ვერვინ გაიგო, როდის და როგორ  
გამოეპარათ სახლიდან გოგო,  
მხოლოდ მეთევზე ღამით

წისქვილთან  
გამოაფხიზლა ცხენის ჭიხვინმა,  
თითქოს ჩურჩულიც მოესმა ქალის,  
მოდსაც აჩნდაო ფლოქვების კვალი.

სად დაიბუდებს ქალის ოცნება,  
მართლაც, ვინ უწყის, როცა  
ჭაბუკსაც,  
მქრქალი ღინღლით რომ შეემოსება  
სადაფის დაწვი, იგდებს აბუჩად,  
ხოლო შევერცხლილ, დაღარულ  
სახეს,

მიუძღვნის გულსა და ქალურ  
ზრახველს?!

საბედისწერო მოვიდა ცნობა:  
ქალი უმწიკვლო, ნანინანატრი,  
ხასა გამხდარა დღეს მოლალატის,  
დაჰყოლიაო უწმინდურ გრძნობას.  
წუხილს გადაჰყვეს დედ-მამა ღამის,

ტანჯვას მათი ყოველი წამი.  
იქნებ სიკვდილი სჯობდა უვიმატი,  
ასეთ შერცხვენას მიწურვილ გზაზე,  
გვიან გაცხადდა მამბებუნ-სიძმართლე,  
გვიანღა ჩასწვდნენ მაროას აზრებს—  
სულ გაურბოდა მშობლებს და  
ოჯახს,

თითქოს წვალობსო, ან რალაც  
პბოჭავს,  
არვის უმხელდა თავის გულისთქმას  
და მოარშიყე ჭაბუკებს ისეთ  
ურიდალ სიტყვას ჰკადრებდა  
მყისვე,

შეურაცხყოთ თითქოს უღირსმა.  
ეხლალა მიხვდნენ, მხიარულ სუფრას  
პირმოქუფრული რად უჯდა უბრად,  
ან რატომ იყო, მხოლოდ მაზეპას  
ნაფიქრ აზრებს რომ იზიარებდა.  
თავდავიწყებით, თითქოსდა განგებ  
რად ღიღინებდა მხოლოდ იმ ჰანგებს,  
ბიჭობაში რომ თხზავდა მაზეპა?  
(ეს ის დრო იყო, მწირ და საცოდავ  
ყმაწვილს რომ ქვეყნად არვინ არ  
ცნობდა).

ჟამი-ჟამ რალაც გაიტაცებდა:  
ქალს რომ არ შვენის, იმგვარის  
ჟინით  
მოინატრებდა ხმას დაფდაფების,  
აღფრთოვანებდა ჟღარუნი რკინის  
და მოსისხართა გმირთა ამბები.

არ დასჭირდება ხვეწნა-ვედრება,  
სიტყვა ერთი და მყის ამხედრდება  
მთელი პოლტავა მაზეპას კართან,  
გაუკვალავენ გზას სისხლის  
ღვართქავს

და მოეგება გონზე სანამდი,  
ჭერს დაამხობენ თავს მოლალატეს.  
შურისძიება არ დააყოვნებს,  
კისერს გამოჭრის როგორც  
საქონელს,  
მაგრამ სხვა აზრი, გზა სულ  
სხვაგვარი  
აქვს კორუბეის აწ გასაკვალი.



იღგა რუსთათვის უამი კვიმატი —  
ხმალჩაუგებელ ბრძოლებში  
მტერთან.

მის მეუფება პეტრესთან ერთად  
იკვერებოდა ნიჭიც იმათი.  
ქონდათ კი განა ძალა თავს იჭით?  
უტევდა შვედი და გაკვეთილიც  
ასწავლა რუსებს ბევრჯერ სასტიკი,  
მაგრამ საქმეც ჰყო ბოლოს კეთილი:  
როგორც უროს ქვეშ იმსხვრევა  
თიხა

და იჭედება ხმალი ფოლადის,  
გაკაედნენ რუსნი და ხმლის  
ღირსებაც  
შეინარჩუნეს ბრძოლით ბოლომდე;  
და ყოყლოჩინა შეედ პალადინებს  
ცხვირიდან ბოლოს ძმარიც ადინეს.

ეფემერული შარავანდედით,  
უფსკრულის უვალ გზებს  
თავალებით  
მოჰკვება მეფე შვედეთის —  
კარლოს,  
ყველგან იმისი გრგვინავს სახელი,  
სისხლიან მხერას მიაპყრობს  
მოსკოვს,  
რაც რამ წინ დახვდა, როგორც  
რომ კალო,  
გაღეწა, ნაცრად აქცია, მოსპო.  
სიტყვას მოჰყვა და ამ გზას  
ახლახან,

კვალი არინა მტერმა ახალმა,  
ოდეს ძლეული რუსთა მიწიდან  
ძუნძულ-ძუნძულით უკუმიიქცა.

რა ჩოჩოლია უკრაინაში?  
კარგა ხანია ღუის ღადარი  
და კაზაკობა უკვე მზად არის  
ხმა აღიმალლოს რუსის წინაშე.  
მობეზრდათ ცეცხლთან კანტური  
თავის

და დაჟინებით სთხოვენ მაზეპას  
სისხლით შეკრული ჩაშალოს შავი,  
დე, ხმაღმა იწყოს გააღმასება.  
გაიძახიან — დროა, დავიძრათ!  
და გაიხადონ ლამის საფიცრად

გადამთიელი შვედი კარლოსი,  
ხოლო პეტმანი ჰყუჩობს  
დალოცვილს

ხალხის გნიასი არც კი აღელვებდა  
მან ხომ შეჰფიცა, კუბოს ცხელი  
არც გაიფიქროს პეტრეს ღალატი  
და ვერ აიშლის ომის საღერღელს.

ბჭობენ: — არა იქმს საქმეს  
მოსაწონს  
ჩვენი პეტმანი — ვინძლო დაბურდა,  
კვესს ნაპერწკალი ვით გამოსტაცოს  
უამგადასულმა ფუჭმა აბედმა.  
ვით შვენის ხმალი ხელს

მოცახცახეს,  
ან გამხმარ მხარ-ბეჭს რკინის  
აბჯარი,  
როგორ მიაღწევ კაცი საწადელს,  
წინ თუ მიგიძღვის ბერი  
ჩანჩალით?!

სად გაქრნენ ძველი ატამანები —  
მოსკოვზე ჯიქურ გავილაშქრებდით,  
ძველ წყლულებს სისხლით  
დავიამებდით  
და დადგებოდა ჩვენი საშველიც.  
აქ, მხართუძოზე ვწევართ ნებისად,  
ფეხქვეშ კი მიწა უნდა გვეწვოდეს,  
რომ თანამოძმე ტყვედქმნილ  
მებრძოლებს  
ხუნდების აყრა ჯერ ვერ  
ელირსათ...

იქადნებოდა ათასნაირად  
უწვერულვამო ახალგაზრდობა,  
დრო წინაპართა მას არ ახსოვდა,  
ფერფლად ქცეული როს უკრაინა  
მკვდრეთით აღდგა და წელში  
გასწორდა.

დავიწყებოდათ დრონი ბოგდანის,  
ჭორს აპყოლოდნენ ქარით  
მოტანილს.

არც ის იცოდნენ, რომ ფეხაკრეფით  
დადის სიბერე, ბნელი ზრახვეები  
აქვს მიმალული, როგორც რომ  
ვაჭარს



ოქრო და ვერცხლი, ნაძარცვ-  
ნაკრები,  
ისე რომ არსად კვალიც კი არ ჩანს.  
როგორ განწონოს სული მზაკვარი  
კაცის გონებამ, რომ ოკრობოკრო  
სიცრუის ღრეში მივდებულ  
ოქროს —  
სიმართლეს მისცეს სწორი

გზა-კვალი?  
იქ — საუფლოში ბნელი ზრახვების,  
დულს ბოროტების შავი ნალველი,  
ამაყი გულით ნასათუთევი  
შუშდება ქვენა ვნებების პირმშო,  
ჟინს იოკებს და სურვილებს იხშობს  
ვიდრე ჩამოჰკრავს მისი წუთები.

შეხედავ პეტმანს — არხენია,  
არის მოწყალეც, სათნოც და

მშვიდიც —  
თითქოს ცხოვრება მხოლოდ  
ლხინია —

მაგრამ მით მწვავედ უღვივის  
შიგნით  
ბოლმა, რაც უფრო გულუხვად  
აკმევს

წყალობას მისი მრუმე ბუნება  
და თავის ბნელ და ვერაგულ საქმეს  
აკვარახჭინებს დია უვნებლად.

სწვათა სატკივარს ჩახვდება უმაღ —  
წვეულებებზე მსცოვნებთან ერთად  
ქებას მოჰყვება წარსულის დღეთა,  
ვით დარბაისელს შეჰფერის

სტუმარს,  
იქ ხოტბას ასხამს თავისუფლებას,  
აქ ბრიყვებს ბრძნულად ესაუბრება,  
ხელისუფლებას ლანძღავს ურჩებთან  
და თვალზე ცრემლიც

წარმოუჩნდება.  
მაგრამ ვინ უწყის მისი  
თვალთმაქცი

სულის სიმართლე, თუნდაც  
მცირედი,  
არვის დაინდობს — ხერხი

თავდაცვის  
და შურისგების ერთი ილეთიც  
არ მიაჩნია მას სათაკილოდ,  
ოღონდ მოიგდოს ხელში საკბილო.

გაჩენის დღიდან არც ერთი წყენა,  
თუ დაცდენილი აუგი ენას  
არ ავიწყდება, შორეულ ხიშმანს  
უმიზნებს მისი ვერაგი თვალი,  
მზად არის სისხლმწიფებლის

შინგ-მწიფებლის  
ქვიშა,  
თავისუფლებას ფასს ადებს ჩალის,  
არც მოწყალეა, არც ღვთისმოსავი,  
არც ხატი აქვს და არც სალოცავი.

კარგა ხანია გარს დასტრიალებს  
საზარელ ფიქრებს ბებერი ძერა,  
მაგრამ ამაოდ — მისი სიამე  
ამოიტაცა გამჭოლმა მზერამ.

„არა, პირუტყვო, ლუკმავ  
ავსულის —

ველარ ელევა ფიქრს კოჩუბეი, —  
არ ხელვეყოფ სამანს შენი სუფევის,  
სად მხევლად გიზის ჩემი ასული.  
შენ არ განგგმირავს ხმალი კაზაკის,  
სულ სხვას გიმზადებს ბედი

გასაგისს:  
იქ, მოსკოველი ჯალათის ფერხთით  
ოდეს სულთმოპრძავს დაგტოვებს  
ღმერთი,

ასხმარტალდები სისხლის გუბეში  
და წარგეცლება ბოლო ნუგეშიც,  
იმ დღეს და იმ წუთს დასწყევლი  
მაშინ,

ნათლით აღიქვი როს ჩვილი ბავშვი,  
იმ წუთს დასწყევლი, ოდეს ნადიმზე  
საძმო სამწდუო ღვინით აგივსე,  
არ მოგასვენებს ის დღე არც

მკვდრეთით,  
ოდეს დაკორტნე უბიწო მტრედი“.

დრო იყო, ხალხში ჰყვებოდნენ  
ამბად

კოჩუბეის და მაზეპას ძმობას,  
ტოლად იყოფდნენ ჭირ-ვარამს,  
სწამდათ,

ზიარი ჰქონდათ აზრიც და  
გრძნობაც.

ტყვიის ქარბუქში თამაშ-თამაშით



გვერდიგვერდ მათი ცხენებიც  
 ჰქროდნენ  
 და ერთურთისთვის ცხარე კამათშიც  
 აუგი სიტყვაც არ უთქვამთ ოდენ.  
 ნიადაგ ურჩი, დაუდგრომელი  
 მაზეპა ხშირად მძიმე დროების  
 მოახლოებას ვარაუდობდა,  
 გრძელ საუბრებში ერთობ  
 ბუნდოვანს  
 ურთავდა აზრებს და გულში  
 წლობით  
 ჩამარხულ ზრახვებს ანდობდა  
 ძმობილს;  
 ვით ერთხორცობა ძმების მარჩბივის  
 ურღვევი იყო მათი კავშირიც.

აჰა, გასრულდა ის დრო ნეტარი —  
 დრო მეგობრობის, დღეს კოჩუბეი —  
 პირმოქუფრული წარღვნის  
 ღრუბელი,  
 ვით შემართული ყალყზე მხედარი,  
 ერთს ჰმონებს სურვილს დღისით  
 თუ ღამით  
 და ამ საწადელს გადაჰყვეს ღამის,  
 სიცოცხლის ფასად დაუჯდეს  
 თუნდაც,  
 პეტმანზე შური იძიოს უნდა.  
 და რაც დრო გადის, ღუის მით  
 უფრო  
 გულში დაფლული ეს საიდუმლო,  
 ხალხში კი ამბობს: „კმარა,  
 ღმერთმანი,  
 თავი და თავი ამ ბოროტების  
 არის მარია, არა პეტმანი,  
 უმწეოს, უძლურს, განა როდემდის  
 უნდა მდიოდეს ცრემლი თვალთაგან,  
 მე აქ შევუნდე ღალატე, ჰოდა,  
 იქ ღვთის წილ იყოს იმისი ცოდვა,  
 ჩემი ცხოვრება უკვე დამთავრდა“.  
 და იმავე დროს მოხუცი მჭევრი,  
 შორითმზირალი თვალებით ქორის,  
 შეუცდომელი ალლოთი მწევრის  
 არჩევს ერთგულებს ერთგულთა  
 შორის.  
 მას მხარში უდგას ძუ ვეფხვის  
 რისხვით

პყრობილი დედა — ერთგული  
 აი, ნაწერი ცრემლით და სისხლით /  
 ვრცელი უსტარი, სად <sup>ცოცხალი</sup> ~~მისხველი~~ <sup>ერქვეყნული</sup> ~~მისხველი~~  
 აღნუსხულია მაზეპას მტრობის  
 ყველა სამხილი. მეუღლე ჩქარობს,  
 თითქოს მწყურვალი მიელტვის  
 წყაროს,  
 და დამხობილი ქმრის სასთუმალზე  
 სწუხს — აჩქარდიო, ნულარ  
 აყოვნებ —  
 და წაქეზებით თითქოს ძალ-ღონეს  
 და გამარჯვების რწმენას უმატებს.

გეგმაც მზად არის და გამარჯვებაც  
 ეჭვგარეშეა! — ძმურად შეიკრა  
 მამაცი ისკრა კოჩუბეისთან  
 და ერთად ბჭობენ: დასტურ მაზეპას  
 განადგურებას დროზე მოვასწრებთ,  
 თუ გაგზავნილი მოსკოვს  
 მსტოვარი,  
 კაცი კერპი და შეუპოვარი,  
 სიმათლის ჩვენის თანამოსაგრე,  
 მიაღწევს მიზანს და მოხერხებით,  
 ანთუ რუდუნით, ანთუ ვედრებით,  
 გადააბიჯებს მეფის კარს რუსთა  
 და კოჩუბეის დაწერილ უსტარს  
 ფერხთით დაუდებს თავად პეტრე  
 დიდს.

იმ უიმედო მიჯნურთა შორის,  
 უიღბლო ასულს რომ სდევდნენ  
 ღანდად,  
 იყო ჭაბუკიც, მარიას ტოლი,  
 რომელსაც თურმე სიყრმიდან  
 ჰკლავდა  
 ამ უკარება ქალწულის ტრფობა.  
 ხშირად ნახავდით ჩამომჯდარს  
 ობლად  
 მდინარის პირზე ხეების ჩრდილში,  
 ქანცგამოცლილი ლოდინით ვაჟი  
 თუ მშვიდდებოდა, მხოლოდღა  
 მაშინ,  
 თვალს თუ მოჰკრავდა დალალებს  
 გიშრის



და ნატიფ სახეს — ის იყო მხოლოდ  
მისი ცხოვრების თავიც და ბოლოც.  
აღარ ჩიოდა დაღლას და ლოდინს,  
გულს მოსწყდებოდა ერთბაშად  
ლოდი.

მაგრამ სიყვარულს არ უმჯღავებდა,  
ასე უთქმელად წვალობდა დიდხანს,  
უარს ეტყოდა ქალი თავნება,  
გრძნობდა და არც რას ელოდა  
მისგან.

და როცა ნორჩი მარიას ირგვლივ  
სასიძოების ჩამოდგა რიგი,  
თითქოს ელოდა რაღაც მიზეზსა,  
ადგა და სადღაც გადაიხვეწა.  
... ჰა, ხმა დაირხა ერთბაშად.

შოკით:  
შეგვირცხვინესო ქალი ნაქები,  
და უმოწყალოდ დაიძრა ჭორი,  
ბრბომ გაიხარა და კაზაკებიც  
ამ მითქმა-მოთქმას სიცილით  
აჰყვნენ,

ვაჟი კი სდუმდა, ყველა უფლება  
სიყვარულის წილ დათმო უკლებლად  
და ისევ გულში ჩქმალავდა ნალველს.  
მაგრამ თუ ვინმე, თუნდაც  
უნებლივ,

გაიხსენებდა ჰეტმანს, მაშინვე  
აემღვრეოდა ყმაწვილს გუნება,  
ვერ იოკებდა ბოლმას საშინელს,  
გაფითრდებოდა უთეთრეს მიტკლის,  
თითქოს წამიერ შეხვდაო  
სიკვდილს.

ვარსკვლავიანი კამკამა ღამით  
მგზავრი მავანი აღვიძებს ყამირს,  
დაუცხრომელი ვისია რაში,  
ან ასე გვიან რა უნდა გზაში?

კაზაკი მიქრის ჩრდილოეთისკენ,  
კაზაკი იგი ჩქარობს მეტისმეტ,  
თავს არ იზოგავს და დასვენება  
არც დღე, არც ღამე ღირს  
გახსენებად.

ქამარ-ხანჯალი თვალს ჭრის  
ბრკიალით,  
უბეში ოქროს გააქვს ჩხრიალი,

ცხენიც კარგი ჰყავს, ფიცხი, ამაყი.  
მაგრამ სულ სხვაა შიშაც ფაფახი.

ცხენი, ხანჯალი და ფუთაც  
ერთად ვერ მჩუქს მსხვერპლადთან,  
ქუდს თუ დავთმობო —  
თავკისრიანა,  
ღმერთს ჰფიცა კაცმა ნამუსიანმა.

რად უღირს ასე ძვირად ფაფახი?  
იმად, რომ შიგნი უძევს თაბახი  
და თეთრ თაბახზე შავით სწერია  
ის, რომ მაზეპა პეტრეს მტერია.

საავდრო ზეცა ბინდდება ნელა,  
სადღაც შორს უკვე გრგვინავს და  
ელავს,  
ამ დროს მაზეპა ძალ-ლონეს იკრებს  
და ისევ ბლანდავს ათასგვარ  
ხრიკებს.

მასთან ერთად კი, თურმე ნუ  
იტყვით,  
ხალხში დაძრწის და ამბოხს  
ამზადებს

ნებამოსილი იეზუიტი,  
რომ ძირგამოთხრილ ტახტზე  
დაბრძანდეს

მაზეპა; და ჰა, ავაზაკურად  
განიკითხავენ, ბჭობენ, დაობენ,  
ინაწილებენ უკვე ნაქურდალს  
და ჭვრეტენ ახალ საცოდაობებს.  
დადგენილია ღალატის ფასი,  
უნივერსალთა რიცხვი და არსი,  
მეფის გვირგვინით ვაჭრობენ

ურცხვად,  
ცრუმოწმეების ხელთა აქვთ ნუსხა.  
სახახლის ირგვლივ გლახაკი ვიღაც  
კარგა ხანია საეჭვოდ დაძრწის,  
იგი ჩუმ-ჩუმად მოჰყავს და  
მიჰყავს

ორლიკს — ის არის ჰეტმანის კაცი.  
მზაკვრობენ, სთესენ შხამსა და  
ბალღამს,

გახელებულმა ავაზაკებმა  
გამოაღწიეს მთლად კაზაკები,



დონსაც დააჩნდა ჰეტმანის დამლა,  
აქ ბულაგინის რაზმი ამხედრდა,  
იქ ბანი მისცა მყისვე სამხრეთმა  
და აყიჟინდა თათართა ურდო,  
შორს გატყორცნილა მაზეპას მზერა,  
ხელთა ჰყავს ყველა და ყველას

ზვერავს,  
მზაკვრობა მისი ყოველგან ბუდობს.  
სულ არ ადარდებს მსხვერპლი,  
ზარალი,

მოსკოვს წაჰკიდა ბახჩისარაი,  
ელის ხელმწიფე მას ვარშავაში,  
ოჩაკოვოში კვერს უკრავს ფაშა,  
მეგობრობს კარლოსს, დაკარგა  
განსჯა,

აღარ ეთმობა ცეცხლთან თამაში,  
და შავი ფიქრი შავს აღძრავს  
ფიქრებს,

და სიძულვილი სიძულვილს ბადებს,  
მით ვერაგობა სრულიქმნას იქნებ,  
იქნებ სრულიქმნას ლალატის ბადეც.

ბოროტი ესე აღზევდა მაშინ,  
როცა ერთბაშად იქუხა ცაში,  
მოულოდნელად მეხი გავარდა  
და პოლტავაში რუსთა თავადთა  
გამოგზავნილი მოართვეს არზა.  
იმა არზაში მუქარის ნაცვლად  
ჰეტმანს აღუთქვეს მტერთაგან  
დაცვა;

ჰეტმანს თვით პეტრე უთვლის  
პირადად,  
რომ უსასტიკეს ზომებს  
მიმართავს —

აღარ დაინდობს — დასჯის  
ულმობლად  
მათ, ვინც ხელს უწყობს  
არეულობას,

კოჩუბეისგან მოწერილ ბარათს  
ყურად არ იღებს არამც და არამც.

რაკილა შურის მსხვერპლი გახადეს,  
მან, ცრემლნარევი ხმით  
მოლაღადემ,

მიმართა მეფეს: „განგებამ იცის,  
არ გამიტეხავს აღთქმული ფიცი

და, აგერ, უკვე წელია ოცი,  
მონა ვარ შენი სულით და ხორცილით,  
და ისიც ვიცი, ჩემი ამაგი  
თუ ვით დაფასდა შენგნით ათმაგად,  
რა დამრჩენია სხვა ამ დასჯის  
ქვეყნად — ორიოდ დღე —

პარასკევი,  
რალა დროსია ლალატი, შულლი,  
არც მკლავი მერჩის, არ მომდევს  
მუხლიც,

მაქვს უზაკველი ოდენ წარსული,  
მაგრამ აწ უკვე ყავლგადასული.  
თუ რამ გამაჩნდა ნიჭი, უნარი —  
მართლაც რომ ბრძაა თვალი  
ბოროტი —

შენ შეგალიე ისიც ბოლომდის,  
ვთქვი უკრაინის ტახტზეც უარი,  
არ ვუმართლებდი შენს მტრებს  
მოლოდინს

და საიდუმლო ბარათებს ჩუმად  
შენკენ ვაფრენდი, მეფეო, უმაღ.  
ახლა როგორი ჭირის ამტანი  
შევიქმენ, როცა თავად სალთანა  
და მასთან ერთად გირეი-ხანი  
მიჩინებდნენ დღითა თუ ღამით  
შენს წინააღმდეგ ომის დაწყებას.  
დავყრუვდი მაშინ მათთვის მაზეპა  
და მთელი ჩემი მოწადინებით,  
მარტოდენ შენთვის — მეფეო,  
მენდე,

ნიადაგ აზრით თუ ძალით ვენთე  
და ვსულდგმულობდი შენის იმედით.  
ახლა კი, როცა მოგტყუდი,  
გავთეთრდი,

შურით აღავსო ჩემმა ბოგინმა  
ვილაც და ღმერთი იყოს თავდები,  
თუ რა სიცრუე მიკიბ-მოკიბა.  
ვინ არის იგი? კაზაკი ისკრა  
და კოჩუბეი, ჩემი ძმობილი,  
ნურც ვიღირს მათი სიტყვები  
მისხლად...“

და ვით ქადაგი, ხელაპყრობილი,  
არწმუნებს მეფეს, ეამს  
განრისხების

მოაშთოს მტრები და ოდენ სისხლით  
ჰყოს საზღაური მისი ღირსების.



უნდა მოიშთოს ის, ვისი პირში მოც  
ნებისად ფშვინავს მის სასთუმალზე?  
მაგრამ გულისხმას იგი უმაღლვე  
უნასი გულის წიაღში იხშობს  
და ამბობს ასე: „თავად გაება  
იგი უგნური თავის ხაფანგში,  
თავად მოიმკა ტანჯვა-ვაება  
უთანასწორო ფუჭი თამაშით.  
უკან დახევას აღარც ინებებს,  
რალაზე აგებს თავის იმედებს?  
იცის, პეტმანი მის ასულს ჰყვარობს,  
ესაა მისი იმედის წყარო.

ცდები, მოხუცო, ნაჯახს აღესილს  
ვერ დააჩლუნგებს ქალის აღერსი,  
პეტმანი სძალავს ჩემს გულში

სატრფოს

და პეტმანობას არასდროს

დავთმობ.

ქალო ქალთაო და მზეო მზეთა,  
ბედი გქონია დია სასტიკი,  
მაგ სალუქ მკერდზე თუ იცი ნეტავ,  
რა შხამიანი გაწევს ასპიტი.

ნეტავ რა ძალამ ამოუხსნელმა  
გადაგიგვარა ზნე და ბუნება,  
სული ნაშენი ასე ფაქიზად,  
ბოროტმა როგორ დაითავისა?  
ნუთუ ყველაფერს აღემატება  
ამ უზაბარი კაცის ხატება?  
რატომ შეჭხარი ასე ძალუმად  
დააბედებულს წლებისგან სახეს?  
გულში იბეჭდავ მზაკვრულ

ნაუბარს —

თამამ გეგმებს თუ ვერაგულ  
ზრახვებს.

დათმე მშობლები და მიაშურე

ავხორცობისთვის გაშლილ  
სარეცელს  
და შენი ბუდე, ყოფა ბავშვური,  
დედ-მამის ცხარე ცრემლით

გაიხსენებ სარეცხე.

სჯულს განდგომილმა ესე მოხუცმა  
მთელი წარსული გადაგავიწყა,  
ისე შეგბოჭა, ისე მოგნუსხა,  
რომ გაგიხდია გველი საფიცრად.  
რწმენაც, ნამუსიც ერთად დაკარგე,  
აღარ გადარდებს ქვეყნის ავ-კარგი,  
ვნების მორევში ურცხვად ნანაობ,  
და სისპეტაკის ნაზი სურნელი —  
ეს რა სენი გჭირს განუკურნელი —  
მიგიჩნევია უკვე ამაოდ.

მარიას აღარც ჰყოფნის სიცილად  
გინა სიწმინდე, გინა სირცხვილი,  
სულსაც გაჰყიდის თუნდაც ათასჯერ  
ოდეს პეტმანის ამაყი თავი,  
დამძიმებული ფიქრით და ჯავრით  
მიესვენება მის თბილ კალთაზე.  
ოდეს მოიხსნის სიბერის უღელს,  
უმეცარ გოგოს გულის კარს უღელს  
და უზიარებს დიდი მომავლის  
გეგმებს ვით მეფე და მეომარი.  
დღე დღეს მიჰყვება, მაგრამ

ხანდისან

თითქოს საავდრო ზეცა გარდისხნა  
სულში უეცრად დაუვლის ელდა  
და უნებლიე ცრემლების მიღმა  
დაელანდება თითქოსდა იღბლად,  
დაბერებული მამა და დედა,  
სევდიან ჰანგებს მღერიან ერთად.  
არა იცის რა ქალმა სრულიად  
ის, რაც იუწყა დღეს უკრაინამ,  
სიმართლე მისგან დაფარულია  
და აღარც ხსნა ჩანს აღარსაიდან.







ჯონ ჩიკერი

პარტოზის სიამოვნებანი

ერთ საღამოს, როცა ელენ გუდრიკი სამსახურიდან თავის ნაქირავებ ოთახში დაბრუნდა, კარზე ფრთხილი კაკუნი მოესმა. აქ, ქალაქ ჩელზაში, თითქმის არავის იცნობდა და არც არავის ელოდებოდა. კარი გააღო თუ არა, დერეფანში ორი პატარა ბიჭი დაინახა. ასე, ათითერთმეტი წლისანი იქნებოდნენ. თხლად ჩაცმულნი სიცივისაგან კანკალებდნენ.

— ფლორენს ველი აქ ცხოვრობს? — იკითხა ერთ-ერთმა.

— ასეთი აქ არავინ მეგულება, მეორე სართულზე სახლის პატრონს ჰკითხეთ.

— ჩვენ ფლორენს ველის ვეძებთ, ამის ბიძაშვილია! — თქვა მეორე ბიჭმა და მეგობარზე მიანიშნა. — ფლორენს ველი აქ ცხოვრობდა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არ ვიცნობ! — მიუგო ქალმა.

— ალბათ სხვაგან გადავიდა. — ჩაილაპარაკა ბიჭმა. — ჩვენ კი შორი გზა გამოვიარეთ.

ელენს იშვიათად ეუფლებოდა უცხო ხალხის მიმართ სიბრალულისა და თანაგრძნობის განცდა, მაგრამ ბიჭები ისეთი შეშინებული და შეციებული ჩანდნენ, რომ დახმარების სურვილი მოეძალა. შეამჩნია, პატარები გაფაციცებული მიშტერებოდნენ ლამბაქზე დაყრილ კანფეტებს და შინ შეიპატიჟა, ტკბილეულიც მიაწოდა. ბავშვებმა დაიმორცხვეს. რატომღაც ქალს მათი ხელში აყვანისა და მოფერების სურვილი აღეძრა. შესთავაზა, კანფეტები შინ წაიღეთო.

— მშვენიერ ადგილას გიცხოვრიათ, ქალბატონო!

ბიჭებს გამხდარი, სერიოზული სახეები და ჩახრინწული ხმა ჰქონდათ.

— პალტო არა გაქვთ, ამ სიცივეში ლამის შიშველები რომ დადიხართ?

ქალმა მათ სახელები და წლოვანება გამოჰკითხა, სრული პასუხიც მიიღო. ბიჭებმა უთხრეს, ისტ-საიდთან ვცხოვრობთო. ელენი კარგად იცნობდა იმ უბანს თავისი ქოხმანებითა და სიბინძურით. თითქმის მთე-



ლი წელიწადი ქალს სახლის პატრონის გარდა შინ არავინ შეუპატიუნია. პატარა სტუმრები სიამოვნებდა და წამდაუწუმ აყრიდა შეკითხვებს. ბოლოს, დაიღალა.

— ახლა კი ჯობს, წახვიდეთ, არა მცალია!

ეროვნული

ბიჭებმა კანფეტებისათვის მადლობა გადაუხადეს და წაიხსენებინ. ამ ნაუცბათევი ვიზიტით მარტოსული ქალი კმაყოფილი დარჩა. იგი დიდ-სულლოვნებით არ გამოიჩინოდა, განმარტოებით ცხოვრობდა ჩელხაში, დაქირავებულ ბინაში. ვინმესთან დამეგობრება უძნელდებოდა. მთელი ათი წელიწადი ნიუ-იორკში ცხოვრებისას მარტოობით იტანჯებოდა, მაგრამ ახლა ეს ტანჯვა თითქოს მიავიწყდა. სამაგიეროდ უმოწყალო გახდა საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ. ერთხელ დედამ წერილი გამოუგზავნა, სთხოვდა, უმცროს ძმას ფული ასესხეო. ელენმა კი უპასუხა, ჯობს, ჰაროლდი თავად გაისარჯოს, მხოლოდ ასე გაიგებს ფულის ყადრსო. მართალია, არც ისეთი ღარიბი ვარ, ბანკში ცოტაოდენი ფული მაქვს გადადებული, მაგრამ ვერ ვასესხებ, უჩემოდაც წავა იოლასო. ჰაროლდს თქვენგან მეტი სიკეთე ახსოვს, ვიდრე მე. მის განათლებაზე შენ და მამამ ხომ უფრო მეტი იზრუნეთ, ვიდრე ჩემსაზეო. მაშინ ელენი ოცდარვა წლისა იყო.

პატარები რომ წავიდნენ, საშინაო ტანსაცმელი გადაიცვა და ვახშამი მოამზადა. ფანჯრებს ცივი ქარი აწყდებოდა. ახლა თბილი ოთახი უფრო სასიამოვნო იყო. ჭურჭელი გარეცხა და წიგნის წასაკითხავად დაჯდა. ყოველ საღამოს თითქმის ასე მეორდებოდა. უხაროდა, რომ კითხვისას მარტოობას აღარ გრძნობდა. მისი გონება ისევ იმ პატარებს დასტრიალებდა. წარმოიდგენდა სიცივით გათოშილ მათ გამხდარ სახეებს და გული სიბრალულით ევსებოდა. ელენის ცხოვრება მდორედ, უხმაუროდ მიედინებოდა, ამიტომ სულ უმნიშვნელო მოვლენაც კი იპყრობდა მის ყურადღებას. განსაკუთრებით ამ შემთხვევითმა შეხვედრამ მოახდინა შთაბეჭდილება მასზე. ერთი კვირის შემდეგ, ზუსტად იმავე დროს, კვლავ გაისმა კარზე კაკუნი. დერეფანში იგივე ბიჭები დალანდა.

— გადავწყვიტეთ, თქვენს სანახავად მოვსულიყავით!

— მოხარული ვარ, რომ კვლავ მესტუმრეთ! — თქვა ელენმა და მიხვდა, რომ მისი ხმა მეზობელ ოთახებში მცხოვრებთაც მისწვდებოდა. ამაში ცუდს გერაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც ეუხერხულეობდა, რომ უცხო ადამიანებს შინ პატიუებდა. ცოტა ხანს შეყოყმანდა.

— მიხარია, რომ მესტუმრეთ! — გაიმეორა და ბავშვები ოთახში შეიყვანა, კოკა-კოლას დავალებინებო, გაიფიქრა, მაგრამ თავი შეიკავა, მეტისმეტიაო. ბიჭები გამოუტყდნენ, იტალიელები ვართო. ქალმა ჰკითხა, როგორ მზადდება ესა და ეს იტალიური საჭმელიო, მაგრამ ბიჭები ბაიბურში არ იყვნენ. სამაგიეროდ სხვა კერძების მომზადება ასწავლეს. უფროსი ბიჭი დაინტერესდა სამხარეულოს ჩუქურთმებიანი მაგიდით. მასპინძელმაც დაათვალიერებინა. უმცროსმა კი ჯიბიდან სიგარეტის ნამწვი ამოიღო და გააბოლა.

— ჯერ ნაადრევი არ არის თქვენთვის სიგარეტი? — შენიშნა ქალმა.



სიგარეტთანმა მეგობარს გადახედა და ორივემ გადაიხარხარა. ელენი მთლად გაფითრდა. მათმა გამომეტყველებამ და ხარხარმა გუნება გაუფუჭა.

— ეს დასარტყმელი ინსტრუმენტებია, — ელენმა ნერვიულად მიუთითა კედელზე დაკიდულ საკრავებზე. — კარიბის მოგზაურობისას ვიყიდე ათას ცხრაას ოცდაცამეტ წელს. იქ მათ ორკესტრში იყენებენ.

სიგარეტის მოწევა რომ არ დაუშალა, ბიჭები კიდევ უფრო გაუშინაურდნენ. ელენს შეეძლო ისინი გარეთ გაეპინტრიშებინა, მაგრამ შეუძლებელი იყო. უმცროსმა სიგარეტის ნამწვი სინზე მოსრისა. ელენმა არაფერი უთხრა. იგი ახლა გაუცნობიერებელი სიამოვნებით ისმენდა მათ ოჯახურ ამბებს, სასაცილოსა და სასეიროს. ნახევარი საათის შემდეგ ბიჭებს სთხოვა, წადითო. ცოტა ხნის წასულნი იყვნენ, როცა ქალმა შეამჩნია საფულე გამქრალიყო. სიბრაზისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. ახლა აქ რომ ყოფილიყვნენ, მოსაკლავად არ დაინდობდა. სკამის საზურგეს ისე მაგრად ჩასჭიდა ხელები, რომ ტკივილმა დაუარა:

— რატომ ჩაიდინეს ეს, რატომ? — ყვიროდა გაშმაგებული. — არ უნდა ჩაედინათ, არა! — საწოლზე დაემხო და აქვითინდა. — ამ სალახანებთან პატიოსნებასა და სინდისზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა.

ქალმა გადაწყვიტა, პოლიციას გამოვიძახებო, მაგრამ როცა წარმოიდგინა, როგორ მოჰყვებოდა მომხდარ ამბავს, გადაიფიქრა, არავინ დაიჯერებსო. სააბაზანოში შევიდა და ნამტირალევი სახე პირსახოცით შეიმშრალა.

— ეს არ უნდა ჩაედინათ! — ჩაილაპარაკა. — არ უნდა ჩაედინათ! თუ ფული უნდოდათ, ეთქვათ და მივაქვავებდი!

დერეფანში ბოლთას სცემდა, თან გაბრაზებული ბუტბუტებდა. დილით გადაწყვიტა, არ ღირს ამაზე ფიქრიო, მირჩევნია, თხუთმეტობი დოლარი დავკარგო, ვიდრე სულიერი სიმშვიდეო. საერთოდ, ადვილად შეეძლო, ყველა საწუხარი დაევიწყებინა, მაგრამ ამჯერად ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. თითქოს გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვაო.

რამდენიმე დღის შემდეგ კარზე კვლავ კაკუნი გაისმა. კარი გააღო და დერეფანში ისევ ის ბიჭები დაინახა. გონებაში ხშირად იმეორებდა იმ სიტყვებს, მათთვის რომ უნდა ეთქვა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ენა დაება.

— შემოდით! — ამოთქვა ბოლოს, — ორივენი შემოდით, თქვენთან სალაპარაკო მაქვს. — და როცა ბიჭები შევიდნენ, განაგრძო, — განსოვდეთ, რომ არ უნდა იქურდოთ. — თანდათან ხმას აუწია, აკანკალდა და ათრთოლებული კედელს მიეყრდნო. — თუ ფული გჭირდებათ, არსებობს მისი შოვნის პატიოსანი გზა. თქვენ საფულე მომპარეთ, როცა აქ ბოლოს იყავით.

— არაფერი მოგვიპარავს, ქალბატონო, ჩვენ ქურდები არა ვართ!

— კარგი, გვეყოფა, უაზრობაა ამაზე დავა. გაეთრიეთ აქედან!

— ხუთი დოლარი მაინც მოგვეცით, ქალბატონო!

— ჩქარა მოუსვით აქედან, თორემ პოლიციას გამოვიძახებ!



ბიჭები ოთახიდან გავიდნენ. ელენმა კარი გადაკეტა, ესმოდა, როგორ ჩადიოდნენ ისინი კიბეზე. იმ ღამეს ეს ამბავი ესიზმრებოდა. აზრი ხუსტად ვერ გამოიტანა, მაგრამ როცა გაიღვიძა, განერვიულებული და შეშინებული იყო.

მთელ კვირას მშფოთვარე ძილი ჰქონდა. პარასკევს მშობლები, შუადღისას სამსახურიდან დაეთხოვა, ბიბლიოთეკიდან წიგნი გამოიტანა და სადილისათვის ბოსტნეული იყიდა. ავად კი იყო, მაგრამ ახლა უფრო ტკბებოდა მარტოობით, ვიდრე სხვა დროს. დაბინდებამდე კითხულობდა. სანამ სინათლეს აანთებდა, ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია. თოვლის ფანტელები ხვავრიელად ეცემოდა ფანჯარას. შემდეგ იბანავა და სიცხიანი ლოგინში ჩაწვა. ძილ-ღვიძილში იყო, როცა კარზე კაკუნი მოესმა. უცებ გაახსენდა, რომ კარი გადარაზული არ იყო. ცოტა ხანს ბიჭები დერეფანში ლაპარაკობდნენ, მერე ისევ დააკაკუნეს და ბოლოს, დაუკითხავად შევიდნენ ოთახში. ლოგინში მწოლიარე ქალი რომ დაინახეს, მიუახლოვდნენ და ხარბად ჩააცქერდნენ.

— ავად ხომ არა ხართ, ქალბატონო?

— მარტო დამტოვეთ, გაეთრიეთ აქედან! — გაისმა მიკნავებული ხმა.

— ფული გვინდა, ქალბატონო!

— ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ავად ვარ! მომწყდით თავიდან, ფული არა მაქვს!

ერთმა მათგანმა მაგიდაზე ხელჩანთას მოჰკრა თვალი, მიუახლოვდა, ჯერ ხურდა ფული ამოიღო, შემდეგ ბანკნოტებიც ამოაცოცა. ელენი საწოლიდან წამოდგა და ბიჭს სილა გააწნა, რომელსაც ფული უკვე მაგრად ჩაებლუჯა. წართმევა სცადა, მაგრამ ამაოდ, ბიჭი ხელიდან გაუსხლტა და მეგობართან ერთად მოკურცხლა. ქალი ღია კარებში იდგა და ყვიროდა:

— მისის დიუვალ! მისის დიუვალ!

არავინ გამოეპასუხა, ქანცმილეული საწოლზე დაემხო. ათ წუთში სახლის პატრონიც გამოჩნდა, იკითხა, რა ამბავიაო. ელენმა იცრუა, დერეფანში უცხო კაცების ხმა შემომესმა და ძალიან შეშინდაო.

სასოწარკვეთილმა დილით გადაწყვიტა, სხვაგან გადასულიყო, თან ეძნელებოდა. ერთმა თანამშრომელმა გოგონამ ურჩია, ბინა ოცდამეჩვიდმეტე ქუჩაზე დაექირავებინა. ბინა იმ სალამოსვე დაიქირავა, მეორე სალამოს კი ტაქსით თავისი ნივთები გადაიტანა. ახალი ოთახი არ იყო ისეთი გულმისავალი, როგორიც წინა, მაგრამ სცადა, რომ შეგუებოდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ახალ ცხოვრებას იწყებდა.

მეორე დღეს სამსახურიდან უკვე ახალდაქირავებული ბინისკენ ფეხით გაეშურა. კოკისპირულად წვიმდა, როცა მედისონ-ავენიუ და ოცდამეჩვიდმეტე ქუჩა გაიარა, დაინახა, რომ ის ბიჭები იმ სახლის წინ იდგნენ, სადაც ბინა იქირავა, და მის ფანჯრებს მისჩერებოდნენ. ოცდამეტოთხმეტე ქუჩაზე ჩაუხვია და იქვე რესტორანში ისადილა. შინ რვა საათზე დაბრუნდა, ბიჭები წასულიყვნენ. ოთახში შევიდა. სველი



ქოლგა დაკეცა და ტანსაცმელი გამოიცვალა. ვიღაცამ დააკაკუნა. კარი გააღო და კვლავ ის ბავშვები შეეფეთნენ.

— საიდან გაიგეთ, რომ აქ ვცხოვრობ? —

— გავიგეთ!

— ერთხელ და სამუდამოდ მარტო დამტოვეთ, გაეთრიხართ თუ არა? —  
 ნუთუ არ შეგიძლიათ? ელენმა ქოლგას ხელი წამოაწყო და მთელი ძალით ჩასცხო უმცროს ბიჭს, რომელიც იატაკზე ჩაიკეცა. ქალი კვლავ გამეტებით ურტყამდა მას, მეორე ბიჭი კი ყვიროდა:

— გვიშველეთ! პოლიცია! პოლიცია! — მისი ხმა მთელ ქუჩაში ისმოდა. მარტოობის სიამოვნებანი დასასრულს უახლოვდებოდა.



### შ ე ხ ვ ე დ რ ა

მამაჩემი უკანასკნელად ნიუ-იორკის ცენტრალურ სატელეფონო სადგურთან ვნახე. ბებიის სახლიდან, რომელიც ედრონდექსის მთებშია, დედაჩემის მიერ ზღვის პირას დაქირავებული კოტეჯისაკენ მივეშურებოდი. მამას სასწრაფოდ შევატყობინე, რომ საათნახევარში დათქმულ ადგილზე ვიქნებოდი, და ვთხოვდი ერთად გვესაუზმა. მისმა ძლივანმა მაცნობა, მამათქვენი შუადღისას შეგხვდებათო. და მართლაც იგი ზუსტად თორმეტ საათზე გამოჩნდა. ცოტა არ იყოს, მეუცხოვა მისი სახე. დედაჩემი მას სამი წლის წინათ გამოვინახე და შემდეგ აღარც მინახავს.

დანახვისთანავე ვიგრძენი, რომ ის ჩემი მამა იყო, ჩემი სისხლი და ხორცი. გავიფიქრე, როცა გავიზრდები, მას დავემსგავსები-მეთქი. იგი მაღალი, ლამაზი კაცი იყო. უსაზღვრო ბედნიერება ვიგრძენი, როცა მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა.

— ჩარლი, ბიჭო! — როგორ მინდა, ჩემს კლუბში წაგიყვანო! მაგრამ თუ დილის მატარებელს უნდა გაჰყვე, გვიჯობს, სადმე ახლოს ვისაუზმოთ. — მხარზე ხელი გადამხვია და უეცრად ვისკისა და ლოსიონის ერთმანეთში არეული მძაფრი სურნელი ვიგრძენი.

მინდოდა, ჩვენი შეხვედრის სამახსოვროდ სურათი გადაგვეღო. სადგურს გავცდით და მეზობელ ქუჩაზე რესტორნისაკენ შევუხვიეთ. ასე ადრინად იქ არავინ იყო. მეზუფეტე ვიღაც ბიჭს ეჩხუბებოდა. სამხარეულოს კართან კი წითელ ფრაკში გამოწყობილი ოფიციანტი ატუხულიყო. სულ მალე მაგიდას შემოვუსხედით. მამამ ოფიციანტს დაუძახა და ეს ძახილი ცარიელ რესტორანში, ცოტა არ იყოს, უადგილოდ გაისმა.

— მოგვხედეთ! — ხმას აუწია მამამ და ხელი ხელს შემოჰკრა, რითაც ოფიციანტის ყურადღება მიიპყრო. იგი ფეხათრევით მოგვიახლოვდა.

— მე მეძახდით? — იკითხა შეცბუნებულმა.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, ბევრი არაფერი გვინდა, გეთაყვა, მხოლოდ მშრალი ვერმუტით შეხავებული კოქტეილი მოგვიტანეთ!

— არ მიყვარს ხელების ტყაპუნით რომ მეძახიან — გაბრაზდა ოფიციანტი.



— ჯობდა, ჩემი სასტვენი წამომეღო, თუმცა იმით მხოლოდ მოხუც ოფიციანტებს ვუხმობ ხოლმე. ახლა კი ჩაიწერე: ორი კოქტეილი.

— იქნებ სხვაგან წახვიდეთ? — ჩაიბუზღუნა ოფიციანტმა.

— შესანიშნავია! მოდი, ჩარლი, აქაურობას გავცილდეთ!

და გეზი სხვა რესტორნისაკენ ავიღეთ. იქ მამამ ჩემს ნარეზულ ჩანდა. სულ მალე სასმელიც მოგვიტანეს. მამამ ბეისბოლის სეზონზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ცოტა ხნის მერე ცარიელი ჭიქა ააწკარუნა და ოფიციანტი მოიხმო.

— თუ შეიძლება, კიდევ ორი მოგვიტანეთ!

— რამდენი წლისაა ეს ბიჭი?

— რა შენი საქმეა! — გაცხარდა მამა.

— უკაცრავად, ბატონო, მაგრამ ბიჭს სასმელს აღარ მოვუტან.

— აქვე, კუთხეში, ახალი რესტორანი გაუხსნიათ, მოდი, იქ წავიდეთ, ჩარლი!

ფული გადავიხადეთ და კვლავ სხვა რესტორნისაკენ გავწიეთ. იქაც ოფიციანტებს წითელი სამოსელი ეცვათ. მაგიდას მივუსხედით და მამამ კვლავ დაიძახა:

— მოგვაქციეთ ყურადღება! ორი ვერმუტით შეზავებული კოქტეილი!

— ორი კოქტეილი? — გაიმეორა ოფიციანტმა ღიმილით.

— ძალიან კარგად იცი, რაც მინდა! — გაბრაზდა მამა, — ორი ვერმუტით შეზავებული კოქტეილი! სწრაფად! ვნახოთ, როგორ კოქტეილს შემოგვთავაზებს ინგლისი...

— ეს ინგლისი არ გახლავთ, ეს ამერიკაა! — თქვა ოფიციანტმა.

— ნუ მედავები, ნუ მასწავლი, სადა ვარ. რასაც გიბრძანებ, კეთილი ინებე და შეასრულე! უზრდელობას ვერ ვიტან!.. წამოდი, ჩარლი, იტალიურ რესტორანში წავიდეთ! — და კიდევ წავედით.

— თუ შეიძლება, ორი ამერიკული კოქტეილი! — დაიძახა იტალიურად მამამ.

— მე იტალიური არ მესმის! — ჩაილაპარაკა ოფიციანტმა.

— ძალიან კარგად გესმით და ისიც იცით, რაც მინდა: ორი ამერიკული კოქტეილი, სწრაფად!

ოფიციანტი წავიდა და აღარც დაბრუნებულა. იგი ეჩურჩულებოდა იქვე მდგომ ადმინისტრატორს, რომელიც სულ მალე ჩვენთან გაჩნდა.

— უკაცრავად, ბატონო, მაგრამ ეს მაგიდა დაჯავშნულია!

... ძალიან კარგი! სხვა მაგიდასთან გადაგვიყვანეთ.

— არც ერთი მაგიდა არ არის თავისუფალი! — დაიჩემა ადმინისტრატორმა.

— ყველაფერი გასაგებია, თქვენ, უბრალოდ, არ გსურთ, რომ მოგვემსახუროთ! ასე არ არის? ძალიან კარგი, ჯანდაბას თქვენი თავი! წავიდეთ, ჩარლი!

— მატარებელზე მაგვიანდება! — ვუთხარი მე.

— ო, როგორ ვწუხვარ, — მომიბოდიშა, მხარზე ხელი გადამხვია და თავისკენ მიმიზიდა.

ასე ვუახლოვდებოდით ახალ-ახალ რესტორნებს, მე კი ვრწმუნდებოდი, რომ მამაჩემს სამუდამოდ ვშორდებოდი.



— ნეტავ დრო გვქონოდა, რომ კლუბში წამეყვანე!

— არა უშავს! — ვუთხარი მე.

შემდეგ იგი ჯიხურთან მივიდა და გამყიდველს მიმართა:

— თუ შეიძლება, შუადღის გაზეთები მოგვეცით.

— მე წავედი, მამა, ნახვამდის! — დავემშვიდობე.

მალე მატარებელში ჩავჯექი და მას შემდეგ მამაჩემი აღარასოდეს

შინახავს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## შერეულ ანდერსონი

### ქალაქის ბურთულა

კაცი, რომელსაც თეთრი წვერი, დიდი ცხვირი და გრძელი ხელები ჰქონდა, ექიმი იყო. იგი ვაინსბურგის ქუჩებში ჯაგლაგი ცხენით დიდოდა. მოგვიანებით ცოლად შეირთო ერთი მდიდარი ქალი, მამამ დიდი და შემოსავლიანი ფერმა რომ დაუტოვა. ეს წყნარი, მაღალი შავგვრემანი ქალი ბევრს ლამაზად მიაჩნდა და უკვირდით კიდევ, როგორ გაჰყვა ცოლად ექიმს. გათხოვებიდან ცოტა ხნის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ექიმს არაჩვეულებრივად გრძელი ხელის თითები ჰქონდა. მოკუმშვისას თითების სახსრები ხის კოჭრებს მოგავიწყებდათ. ცოლის სიკვდილის შემდეგ თავის ცარიელ კაბინეტში აბლაბუდებით დაფარულ ფანჯარასთან იჯდა ხოლმე და ჩიბუხს ეწეოდა. ფანჯარას არასოდეს აღებდა. აგვისტოს ერთ ცხელ დღეს სცადა მისი გაღება, მაგრამ ისე მაგრად იყო ჩაკეტილი, არაფერი გამოუვიდა და არც აღარასოდეს უცდია. ვაინსბურგმა მალე დაივიწყა ეს კეთილშობილი ადამიანი, თავის აბლაბუდებიან კაბინეტში რომ ფუსფუსებდა.

ექიმი რიფი მაღალი კაცი იყო. ათი წელიწადი ეცვა ერთი კოსტიუმი, რომლის საყულოც საკმაოდ გახეხილიყო, მუხლებთან და იდაყვებთან კი გამოგლეჯოდა. კაბინეტში სელის ფართოჯიბეებიან ხალათს იცვამდა. ჯიბეებში გამუდმებით იჩურთავდა ქალაქის ნაგლეჯებს, რომლებზეც რალაც-რალაცებს წერდა და მათ სიმართლის ნატამალებს ეძახდა. რამდენიმე კვირის შემდეგ ეს ნაგლეჯები მრგვალდებოდა და ქალაქის ბურთულებად იქცეოდა, ხოლო როცა ჯიბეები გაიტენებოდა, მოხუცი მათ იატაკზე ისროდა. მთელი ათი წელიწადი მეგობრობდა ერთ ადამიანთან — ჯონ სპენიარდთან. ხანდახან ექიმი რიფი, მხიარულ ხასიათზე ყოფნისას, ჯიბიდან ქალაქის ბურთულებს ამოაცოცებდა და სიმართლის ამ ნატამალებს მეგობარს პირდაპირ სახეში ესროდა.

— ესეც შენ, მორიგი სიმართლე, შე წყულო მოხუცო სენტიმენტალისტო! — ყვიროდა და თან სიცილით იგუდებოდა.

მაღალი, შავგვრემანი ქალისადმი ექიმი რიფის თაყვანისცემა საოცარია, ისეთივე საოცარი, როგორიც პატარა, დაკოჭრილი ვაშლები,



ვაინსბურგის ბაღებში რომ მწიფდება. შემოდგომობით ბაღებში მიწა იყინება, ვაშლს კრეფენ, ყუთებში აწყობენ და ქალაქში გასაყვნიან. ხეებზე რჩება თითო-ოროლა დაკოჭრილი ვაშლი. ისინი ხან თავისით ცვივა მიწაზე, ხანაც ვინმე მოწყვეტს ხოლმე პირეს ვაშლებლად. ჰოდა, ეს ვაშლები წააგავს ექიმ რიფის თითებისგან, მხოლოდ სახსრებს, და თუ გასინჯავთ, ძალიანაც გეტკბილებათ. ვაინსბურგში ცოტამ თუ იცის მათი გემო.

ექიმ რიფისა და მისი მომავალი ცოლის ურთიერთობა ზაფხულის ერთ ცხელ დღეს დაიწყო. ექიმი მაშინ ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, უკვე დაწყებული ჰქონდა სიმართლეების შეგროვება და ჯიბეების გამოტენა ქალაქის ნაგლეჯებით, რომლებსაც საფანტეზივით ისროდა. ეს მაშინ ექცა ჩვევად, როცა ჯაგლაგი, ნაცრისფერი ცხენით სოფლის ორღობეებში დაჩაქჩაქებდა. ქალაქებზე ეწერა სიმართლის დასაწყისი და დაბოლოება. ექიმი რიფის გონებაში იბადებოდა სიმართლე, რომელიც თანდათან იზრდებოდა, და მისი წარმოდგენით, მთელ მსოფლიოს ეფინებოდა, ხოლო შემდეგ ისევ პატარავდებოდა და მის ჯიბეებში კვდებოდა. მერე ისევ იწყებდა სიცოცხლეს და ასე გრძელდებოდა დიდხანს.

მაღალი, შავგვრემანი ქალი ფეხმძიმედ იყო, როცა ექიმი რიფი გაიცნო. დედ-მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით მიღებულმა შემოსავლიანმა მიწებმა მრავალი თაყვანისმცემელი გაუჩინა. ორი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ხვდებოდა სხვადასხვა თაყვანისმცემელს. ორი მათგანის გარდა, ყველა ერთმანეთს ჰკავდა. ისინი ქალს სიყვარულს უხსნიდნენ და დაუოკებელი ვნებით შეჰყურებდნენ. იმ ორიდან ერთი — ახოვანი, გამხდარი ჭაბუკი, ვაინსბურგელი ოქრომჭედლის შვილი — სულ სიქალწულეზე ენაწყლიანობდა, ამ თემას არასოდეს გადაუხვევდა, მეორე კი — დიდყურება, შავთმიანი ახალგაზრდა — საერთოდ, არაფერს ამბობდა, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა, რომ ქალი სიბნელეში მოეხელთებინა და ეკოცნა.

ერთხანს მაღალი, შავგვრემანი ქალი ფიქრობდა, ოქრომჭედლის ვაჟს გაეყვებო. ჩუმად იჯდა და საათობით უსმენდა მის ლაქლაქს, თან რაღაცნაირი შიში ეუფლებოდა. რაკი კაცი წარამარა სიქალწულეზე ლაპარაკობდა, ქალი ხვდებოდა, რომ იგი ვნებიანი სურვილით იფსებოდა. ეჩვენებოდა, რომ ვაჟი მის სხეულს ხელით ეხებოდა. თვალეში ჩასცქეროდა და ზედ აკვდებოდა. ერთი სამჯერ მაინც დაესიზმრა, თითქოს ვაჟს მის კანში კბილები ჰქონდა ჩასობილი. შემდეგ დაფეხმძიმდა მისგან, ვისაც სიტყვაც არ დასცდენია სიყვარულზე.

როცა მაღალმა, შავგვრემანმა ქალმა ექიმი რიფი გაიცნო, ეგონა, ვერაფერი დააშორებდათ. ერთ დღით მის კაბინეტში შევიდა და ექიმი მისვდა, რისთვისაც მივიდა ქალი. კაბინეტში ქალს ვაინსბურგის წიგნის მაღაზიის პატრონი და მისი ცოლი დახვდნენ. როგორც ყველა ძველმოდური მედიკოსი, ექიმი რიფი კბილებსაც იღებდა. წიგნის მაღაზიის პატრონის ცოლს პირზე ცხვირსახოცი აეფარებინა და კვნესოდა. კბილის ამოღებისას ცოლ-ქმარმა თითქმის ერთდროულად შეჰკივლა. ქალს პირიდან სისხლი გადმოსდიოდა და თეთრ კაბაზე ეწვეთე-



ბოდა. მაღალმა, შავგვრემანმა ქალმა მათ ზედაც არ შეხედა. როცა ცოლ-ქმარი წავიდა, ექიმმა გაიღიმა:

— მოდი, გავისეირნოთ! — შესთავაზა მან ქალს.

რამდენიმე კვირა ისინი თითქმის ყოველდღე სვდებოდნენ ერთმანეთს. ექიმთან სიახლოვისას ქალმა დაკოჟრილი, ხეზე შერჩენილი ვაშლის გემო იგრძნო. ისიც იგრძნო, რომ სხვა უკეთეს ვაშლებს ვერც მისწვდებოდა და ვერც გემოს გაუსინჯავდა. შემოდგომაზე ექიმს მის-თხოვდა. მომდევნო ზაფხულს კი გარდაიცვალა. მთელი ზამთარი უკი-თხავდა მას ექიმი ქალაქის ნაგლეჯებზე დაწერილ სიმართლეებს. კი-თხვის დროს იცინოდა და ქალაქდებს ჯიბეებში იჩურთავდა, სადაც ისინი მაგარ, მრგვალ ბურთულებად იქცეოდნენ. ამ სიმართლეების კი-თხვისას გარდაცვლილიყო მაღალი, შავგვრემანი ქალი.

### გ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა

ახალგაზრდა ჯორჯ უაილდერი საწოლიდან დილის ოთხ საათზე წამოდგა. აპრილი იდგა და ხეებზე ნორჩი კვირტები იშლებოდა. ვაინ-სბურგის ქუჩებში ნეკერჩხლებია ჩამწკრივებული. როცა ძლიერი ქარი უბერავს, ფოთლები ძირს ხალიჩასავით ეფინება. ყავისფერი ხელჩან-თით ჯორჯი სასტუმროს კიბეს ჩაუყვავა და მისაღები ოთახისაკენ გას-წია. გასამგზავრებლად მზად იყო. ღამის ორი საათიდან თვალი არ მო-უხუჭავს, სულ გამგზავრებაზე ფიქრობდა, ნეტავ რა შთაბეჭდილებები მელისო. მისაღებ ოთახში, იქვე კართან დადგმულ საწოლზე მორიგე ახალგაზრდა გამხლართულიყო, პირი დაელო და გამალიზიანებლად ხერინავდა. ჯორჯმა ფეხაკრეფით ჩაუარა საწოლს და მთავარ ქუჩა-ზე გავიდა... ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. აღმოსავლეთი წითლად შე-ღებილიყო. ცა მტრედისფრად ნათდებოდა, აქა-იქ კვლავ კიაფობდნენ ვარსკვლავები.

ტრუნინონ-პარკის ბოლოს გადაჭიმულია კენკრით მოფენილი ვრცე-ლი მინდვრები და ხეხილის ბაღები, რომლებიც ქალაქელ ფერმერებს ეკუთვნით. ისინი საღამოობით ამ პარკის გავლით ჭრიალა ფურგონებით შინ ბრუნდებიან. ზაფხულის პაპანაქებაში, გაგანია შუადღეს მიწა მტვრით იფარება, გაზაფხულზე კი სულ სხვა ელფერი ეძლევა. ამ დროს ამწვანებული მიწა ემსგავსება ბილიარდის უზარმაზარ მაგიდას, რომელზეც ნაირ-ნაირი მწერები დაფრინავენ.

ბავშვობაშიც და შემდეგაც ჯორჯი ტრუნინონ-პარკში ხშირად სეი-რნობდა. აქ მოსულა შუა ზამთარშიც, როცა ყველაფერი თოვლით იფ-არება და მაღლიდან მთვარის ქათქათა სხივები იღვრება; მოსულა შე-



მოდგომობითაც, ცივი ქარბუქი ძვალ-რბილში რომ ატანს; გაზაფხულის სალამოსაც, ჭრიჭინობელების სიმღერა მთელ სივრცეს რომ ავსებს. აპრილის ამ დილითაც ისევ მოუნდა პარკში გავლა. დაუფა ვზას, რომელიც ქალაქიდან ორი მილის დაშორებით მორაკრეკუდუდსაკენ მიემართებოდა, და კვლავ უკან გამობრუნდა.

მთავარ ქუჩაზე მოვაჭრეები თავ-თავიანთი მალაზიებისაკენ მიჩქაროდნენ.

— ჰეი, ჯორჯ, რას შვრები, მიემგზავრები? — ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან.

დასავლეთისაკენ მიმავალი მატარებელი ვაინსბურგიდან დილის შვიდ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გადის. მის გამყოლ ტომ ლიტელს რკინიგზელები უდარდელ ადამიანად იცნობენ. მატარებელი კლივლენდიდან მოემართება და შემდეგ ჩიკაგოსა და ნიუ-იორკისაკენ მიმავალ ცენტრალურ სარკინიგზო ხაზზე გადადის. ტომი სალამობით შინ ბრუნდება. შემოდგომასა და გაზაფხულზე კვირა დღეებში ლეიკ-ვარზე თევზაობს. მას მრგვალი, წითური სახე და წვრილი, ცისფერი თვალები აქვს. ტომი ქალაქელებს უფრო კარგად იცნობს, ვიდრე თვით ქალაქელები ერთმანეთს.

დილის შვიდ საათზე უაილდერების სასტუმროდან გამოსულმა ჯორჯმა პატარა ფერდობი ჩაიარა. მისი ხელჩანთა მამამისს — ტომ უაილდერს ეჭირა. შვილი მამას სიმალლეში უსწრებდა. სადგურის ბაქანზე ჯორჯს ყველა ესალმებოდა. იქ აურაცხელი ხალხი ირეოდა. ყველა თავის საწუხარზე ლაპარაკობდა. თვით ზარმაცი და ძილისგუდა უილ პენდერსონიც, რომელიც დილის ცხრა საათამდე ლოგინში ნებივრობს ხოლმე, ადრიანად წამომდგარიყო. ამან ჯორჯი ძლიერ გააოცა. ვაინსბურგის ფოსტის მოხელე — ორმოცდაათი წლის მალაღი, გამხდარი ქალი გერტრუდ უილმოტიც ბაქანზე გამოსულიყო. აქამდე ჯორჯს ზედაც არ უყურებდა, ახლა კი შეჩერდა და ხელიც დაუჭნია. მანაც გაიმეტა ის ორი სიტყვა, ყველა რომ ეუბნებოდა: — კეთილი მგზავრობა! ეს საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვა და თავის გზას გაუდგა.

როცა მატარებელი სადგურში ჩამოდგა, ჯორჯმა თავი მშვიდად იგრძნო. ელვის სისწრაფით გაქანდა და ვაგონში თავისი ადგილი დაიკავა. ელენ უაიტი მეინსტრიტიდან გამორბოდა, რომ ჯორჯს გამომშვიდობებოდა, მაგრამ ამაოდ. მატარებელი დაიძრა თუ არა, ტომ ლიტელმა ბილეთები შეამოწმა. თუმცა ჯორჯს კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, სად მიემგზავრებოდა, მაინც ხმა არ გაუცია მისთვის. ამნაირი მგზავრი ხომ ათასობით შეხვედრია, მშობლიური ქალაქებიდან დიდ ქალაქებში რომ მიეშურებიან. ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ჯორჯმა მიიხედ-მოიხედა და როცა დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, ჯიბიდან საფულე ამოიღო და ფული დაითვალა. ყოველნაირად ცდილობდა გულუბრყვილო გამომეტყველება არ მიეღო. გაახსენდა მა-



მის სიტყვები: ფულს გაუფრთხილდი, ფხიზლად იყავი, არავის აფიქრებინო, რომ გამოუცდელი და მიაძიტი ხარო. ფული რომ დაითვალოს, ფანჯრიდან გაიხედა და გაოცდა: მატარებელი ისევ ვაინსბურგში იდგა! მოჩვენება იყო ეს თუ სინამდვილე?

ეს ახალგაზრდა კაცი მშობლიური ქალაქიდან ახალი თაფგადასავლების შესახვედრად მიემგზავრებოდა. მაგრამ იგი ახლა დიდ და სერიოზულ ამბებზე როდი ფიქრობდა. მისი გონებიდან ამოვარდნილიყო დედის გარდაცვალება, თვით გამგზავრება ვაინსბურგიდან, გაურკვეველი მომავალი, რომელიც დიდ ქალაქში ელოდა. სამაგიეროდ მეხსიერებაში წვრილმანები ამოუტივტივდა: თვალწინ ედგა ლამაზად ჩაცმული მაღალი ქალი, რომელმაც ერთ დროს მამამისის სასტუმროში ღამე გაათია; ზაფხულის საღამოს ვაინსბურგის ქუჩებში მოსიარულე მეფარნე; ელენ უაიტი — ფოსტაში კონვერტზე მარკებს რომ აწებებს...

ვინც კი ამ დაუოკებელი ვნებით სავსე ახალგაზრდას შეხედავდა, ვერაფრით მიიჩნევდა გამჭრიახ და მოხერხებულ ადამიანად. ამ უმნიშვნელო ფიქრებით მოცულმა თვალები დახუჭა. ერთხანს ასე დარჩა და როცა გაახილა, კვლავ ვაგონის ფანჯარაში გაიხედა: ვაინსბურგი გამქრალიყო, ხოლო იქ გატარებულ ახალგაზრდობის წლებს ველარ დაუბრუნებდა ნაოცნებარი თაფგადასავლები.





## გაგრაის ელემსირო



რომანი. ვერმანულიდან

თარგმნა ღია თაკვაჩილიამ

ნაწილი მეორე

პარი მეორე

მონანიება

სულში სასიამოვნო სითბო ჩამელვარა. ძარღვებში რალაც მწიწკნიდა, მილიტინებდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ჩემი სხეული უცნაურად ამოძრავდა, ამუშავდა. ეს შეგრძნება აზრებსაც გადაედო, თუმცა ჩემი „მე“ ათას ნაწილად იყო დაშლილი, დაქუცმაცებული, თითოეული ნაწილი თავისებურად განაგრძობდა დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ არც ერთი მათგანი ფიცის გამტეხი, გაუტანელი ვასალის დარად არ ემორჩილებოდა მთავარ გამგებელს. ჩემს დაშლილ სხეულში ჩაბუდებულმა აზრებმა მანათობელ წერტილებად იწყეს ბზრიალ-ტრიალი. ფიქრების კორიანტელი თანდათან სწრაფი გახდა, მისგან ცეცხლოვანი ბორბალი წარმოიშვა. რაც უფრო იზრდებოდა მოზვავებულ ფიქრთა ნაკადი, მით უფრო აენტო, აელვარდა, ბოლოს კი შედარებით პაწია ცეცხლოვან ბურთულად იქცა და მისი მოძრაობა თანდათან შენელდა, ბოლოს კი მთლად უძრავი გახდა. მან ნათელი, ბრიალა სხივები ამოისროლა და ფერად ცეცხლებად ათამაშდა. გავიფიქრე, ჩემი სხეულის ნაწილები ამოძრავდნენ-მეთქი, და მეც ვიწყე გამოლვიძება ხანგრძლივი ძილისაგან. მაგრამ გამოლვიძებისთანავე უეცრად ტკივილიც ვიგრძენი, ეს ზარების რეკვა ჩამესმოდა ყურში. „უნდა გავიქცე რაც შეიძლება შორს“, — გავივლე გონებაში. „ჩქარა, ჩქარა უნდა გავასწრო აქედან“, — სმამალლა ვიყვირე და ფეხზე წამოვვარდი, მაგრამ ღონემიხდილი დავეშვი საწოლზე. ზარების რეკვა კვლავ ყურში მიწიოდა. ჯერ კიდევ ტყეში მეგონა თავი და როგორ გამიკვირდა, როცა ჩემ გარშემო რალაც ნივთები ვიხილე და საკუთარი თავი დავათვალიერე. პაპუცინთა ორდენის სამოსი მეცვა და უბრალო მაღალჭერიან ოთახში რბილ ლეიბზე ვიწექი გაშოტილი. ოთახში მხოლოდ რამდენიმე ცალი დაწნული სკამი, პატარა მაგიდა და ღარიბული რკინის საწოლი იდგა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ კარგა ხანს ვიყავი აქ გრძნობამიხდილი და მომიყვანეს რომელიღაც მონასტერში, სადაც ავადმყოფებს უვლიდნენ. ალბათ ტანისამოსი დამეხა და დროებით ეს ანაფორა ჩამაცვეს-მეთქი, გავიფიქრე. მეჩვენებოდა, რომ საფრთხე განვლილი იყო. ამის გაფიქრებამ დამამშვიდა. ველოდებოდი, შემდეგ რა მოხდებოდა. ვიცოდი, ავადმყოფს

1. გაგრძელება (დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2, 3-4, 5-6 2001 წ. და № 1-2 2002 წ.).



დიდხანს არ დატოვებდნენ უყურადღებოდ. თავს ძალზე სუსტად ვგრძნობდი, თუმცა ტკივილები არ მქონდა. სრულიად გონსმოსულობა ვავიღვიძე და რამდენიმე წუთს ასე ვიწექი. მერე ნაბიჯების ხმა გავიგონე, გრძელ დერეფანში რომ გაისმა და თანდათან ახლოვდებოდა ჩემი ოთახის კარი გაიღო და ორი მამაკაცი დავინახე. ერთი მათგანს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, მეორეს კი შეწყალების ძმათა ორდენის სამოსი. ისინი მდუმარედ მომიახლოვდნენ. სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმულმა დაკვირვებით ჩამხედა თვალებში, ძალიან გაოცებული ჩანდა. მე კი სუსტი, მიკნავეებული ხმით დაგიწყე:

— ხომ ხედავთ, გონზე მოვედი, ბატონო ჩემო, მადლობა უფაღს, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი კვლავ დამიბრუნდა. ოღონდ ეს მითხარით, სად ვიმყოფები! აქ როგორ მოვხვდი?

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილს ჩემთვის პასუხი არ გაუცია, სასულიერო პირს მიუბრუნდა და იტალიურად უთხრა:

— მართალი ვითხრა, საოცარი რამაა, გამოხედვა საგრძნობლად შეცვლილი აქვს, მეტყველებაც ნათელი გაუხდა, მხოლოდ სისუსტე თუა თვალში საცემი. ეტყობა, ავადმყოფმა კრიზისი გადაიტანა.

— მგონი, მისი საბოლოო განკურნება ეჭვს არ იწვევს. — თავის მხრივ დასძინა მღვდელმაც.

— არა, ეს ჯერაც არავინ იცის. — მიუგო სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა მამაკაცმა. — ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, უახლოეს დღეებში როგორ იგრძნობს თავს. გერმანული ხომ არ იცი, რომ ავადმყოფს გამოელაპარაკო?

— სამწუხაროდ არა, — მიუგო მღვდელმა.

— მე ვიცი იტალიური, — ჩავერიე მათ საუბარში, — გთხოვთ ამიხსნათ, სად ვიმყოფები და აქ როგორ მოვხვდი?!

სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა მამაკაცმა, რომელიც ჩემი შეტყობით, ექიმი უნდა ყოფილიყო, სიხარული ვერ დაფარა.

— ო, ეს შესანიშნავია, — თქვენ, დიდად პატივცემულო ბატონო, იმყოფებით ისეთ ადგილას, სადაც თქვენს კეთილდღეობაზე ჯეროვნად ზრუნავენ და არაფერს გაგიჭირვებენ. სამი თვის წინათ კი ფრიად საეგებიო მდგომარეობაში ჩავარდნილი მოგიყვანეს აქ, ძალიან ავად ბრძანდებოდით, მაგრამ ჩვენი მოვლისა და მზრუნველობის წყალობით ახლა განკურნების გზაზე დგახართ. როცა ბედნიერება გექნებათ და სავსებით განიკურნებით, შეგეძლებათ მშვიდად განაგრძოთ თქვენი მოგზაურობა. რამდენადაც ვიცი, რომში უნდა აპირებდეთ გამგზავრებას.

— ნუთუ ეს ტანისამოსი მეცვა, თქვენთან რომ მომიყვანეს?

— რა თქმა უნდა, ოღონდ ამჯერად ზედმეტი შეკითხვებისაგან თავი შეიკავეთ. თავის დროზე ყველაფერს შეიტყობთ, ახლა მთავარია ვიზრუნოთ თქვენი გამოჯანმრთელებისათვის.

მან მაჯა გამისინჯა, სასულიერო პირმა კი ამასობაში ფინჯანი შემოიტანა და მომაწოდა.

— დალიე, — მითხრა ექიმმა, — იქნებ გამოიცნოთ, რა სასმელია ეს?



ფინჯანი მოვსვი და ვუთხარი:

— ეს არის მაგრად მოხარშული ხორცის ბულიონი.

— კარგია, ძალიან კარგია.



მერე ორივემ დამტოვა. ჩემი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. მე ვიმყოფებოდი რომელიღაც საზოგადოებრივ საავადმყოფოში, სადაც მოვლა-პატრონობამ, ძლიერმოქმედმა წამლებმა და შესანიშნავმა კვებამ სამ დღეში ფეხზე დამაყენა. უკვე თავისუფლად შემეძლო საწოლიდან აღდგომა. მღვდელმა ფანჯარა გამოაღო და ოთახში შემოიჭრა თბილი საამო ჰაერი, რომელიც ხარბად ჩავისუნთქე და რომლის მსგავსი სიცოცხლეში არაფერი მინახავს. საავადმყოფოს შენობას ბალი ეკვროდა. სადაც ხარობდნენ საუცხოო ჯიშის მწვანე ხასხასა ხეები. გალავანს ნებივრად შემოხვეოდა ვაზი, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ვიხილე საოცარი ზეცა, მუქლურჯი ფერისა და ფშვიადი, გეგონებოდა, შორეულ ჯადოსნურ სამყაროს ხედავო. აღტაცებულმა ვიყვირე:

— კი მაგრამ, სადა ვარ, განა უფლის ნებით აღთქმული ქვეყნის ბინადარი გავხდი?

სასულიერო პირმა კმაყოფილებით ჩაიღიმა:

— თქვენ, ჩემო ძმაო, იტალიაში ბრძანდებით, იტალიაში.

ჩემმა გაოცებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მე დაჟინებით ვთხოვე მღვდელს ეთქვა ჩემთვის ამ სახლში ჩემი მოსვლის მიზეზი. თავის მხრივ მან წინადადება მომცა, ექიმისათვის მიმემართა. ექიმი დიდხანს უარს მეუბნებოდა, ბოლოს კი მითხრა, რომ ამ სამი თვის წინ აქ მომიყვანა ვიღაც უცნაურმა კაცმა და გვთხოვა, საავადმყოფოში მოგვეთავსებინეთო. საქმე ის იყო, რომ ამჯერად ვიმყოფებოდი გულმონაწილე ძმათა ორდენის საავადმყოფოში და რაც უფრო ძალ-ღონეს ვიკრებდი და გონზე მოვდიოდი, არ შემეძლო არ შემენიშნა, რომ ორივენი — ექიმიცა და მღვდელიც მრავალფეროვან საუბრებს აწყობდნენ ჩემი თანამონაწილეობით და ამით შესაძლებლობას მაძლევდნენ ხანგრძლივად და ვრცლად მელაპარაკა და საინტერესოდ წარმემართა საუბრები მათი თანდასწრებით. საამისოდ უხვ მასალას მაძლევდა ჩემი ამოუწურავი ცოდნის მარაგი მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. ექიმს არაერთხელ უთხოვნია წერილობით გადმომეცა ჩემი თვალსაზრისი ზოგიერთ საკითხზე, მერე იგი ჩემი თანდასწრებით კითხულობდა ამ ჩანაწერებს, რითაც კმაყოფილი ჩანდა. ისე კი თვალში მხვდებოდა ერთი გარემოება, ნაცვლად იმისა, რომ ჩემი ნამუშევრები მოეწონებინა, გამუდმებით იმეორებდა სიტყვებს: „მართალი გითხრათ, საქმე კარგად მიდის... მე არ შემცდარვარ... საოცარია... საოცარი!“ მალე უფლება მომცეს გარკვეულ საათებში ბალში გავსულიყავი, სადაც ზოგჯერ ვხედავდი საშინლად დამახინჯებულ, მიცვალებულივით ფერგამტკნარებულ, ჩონჩხებად ქცეულ გამოფიტულ ადამიანებს, რომლებიც გულმონაწილეთა ორდენის ძმებს მოჰყავდათ. ერთხელ, როცა ის იყო სეირნობიდან საავადმყოფოში დაბრუნებას ვაპირებდი, შემხვდა ერთი აწოწილი, გამხდარი კაცი, რომელსაც ჟანგამიწისფერი უცნაური პალტო ეცვა, ორ სასულიერო პირს მკლავებში ხელი წაევლოთ და ისე მიჰყავდათ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგი სასაცილო ნახტომებს აკეთებდა და გულის გამაწვრი-



ლებლად სტვენდა. გაოცებული შევჩერდი, მაგრამ ჩემმა თანმხლებმა მღვდელმა სასწრაფოდ იქიდან გამათრია, თანაც მითხრა:

— ჩქარა წავიდეთ აქედან, ჩემო ძვირფასო ძმაო მედარდუს, ახეთი სურათების ცქერა არას გარგებთ.

— ღვთის გულისათვის მითხარით, საიდან იცით ჩემი მსახურის ისე გულშემზარავად ვიყვირე, ჩემი მეგობარი შეცბუნდა.

— რა არის აქ საოცარი და რატომ არ უნდა ვიცოდეთ! — მომიგო მან. — თქვენი სახელი და წოდება იმ კაცმა გვითხრა, აქ რომ მოგიყვანათ. ავადმყოფთა სარეგისტრაციო წიგნში ასე ჩაიწერა: „კაპუცინი მედარდუსი ბ-ს კარტეზიანული მონასტრიდან.“

ცივმა ოფლმა დამასხა და მთელი სხეული ამიკანკალდა. მაგრამ მალე დავმშვიდდი, რადგან გავიფიქრე, ვინც არ უნდა იყოს უცნობი, რომელმაც საავადმყოფოში მომიყვანა, რაც არ უნდა ვრცლად იცოდეს მან ჩემი საშინელი საიდუმლო, მაინც არ შეიძლება ჩემთვის ცუდი უნდოდეს, რადგან იმან ხომ მეგობრულად გამომიწოდა ხელი, ჩემთვის იზრუნა და ახლა თავისუფალი ვარ. ბოლოს და ბოლოს ციხეში ხომ არ ვიყავი, საავადმყოფოში ვიწექი და ესეც დიდი შეღავათი იყო.

ერთხელ ახალგაზვიძებული ფანჯარასთან ვიდექი და მთელი მკერდით ვისუნთქავდი საუცხოო თბილ ჰაერს, რომელიც ძვალსა და რბილში აღწევდა და სიცოცხლის ხალისს მიღვიძებდა, როცა დავინახე ერთი წვრილი, ცეროდენა კაცუნა, წაწვეტებული პაწია ქუდი ეხურა თავზე, ტანზე კი საცოდავად გაცრეცილი და გახუნებული ლაბადა მოესხა და საავადმყოფო სახლის მთავარ ამოსასვლელ კიბეებზე კი არ ამოდიოდა, არამედ მოლასლასებდა, თან უცნაურ ნახტომებს აკეთებდა. როცა დამინახა, ქუდი მალლა ისროლა, ხელით ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა. იგი თითქო მეცნაურა, მაგრამ სახის ნაკვთები კარგად ვერ გავარჩიე. ვიდრე გონს მოვიდოდი, კაცუნა ხეების მიღმა მიიმალა. დიდი ხანი არც იყო გასული, რომ კაკუნი მომესმა. კარი გავაღე და ოთახში ის კაცუნა შემოვიდა, ბალში რომ ვნახე.

— შოენფელდ. — გაოცებულმა შევყვირე, — შოენფელდ. ღვთის გულისათვის მითხარი, აქ საიდან გაჩნდი?

რა თქმა უნდა, ეს იყო ჭკუადამთხვეული დალაქი სავაჭრო ქალაქიდან, რომელმაც ერთხელ უმძიმეს საფრთხეს განმარბდა. კაცუნამ ისე ამოიოხრა, რომ სახე სასაცილოდ დაეღმიჭა, ლამის ატირებულიყო.

— ო, თქვენო ბრწყინვალეზავ, აბა რა გითხრათ, თვითონ იფიქრეთ, აქ რა მომიყვანდა, რომ არა ავი ბედისწერა. იგი ხომ ყველა გენიოსს გამუდმებით დევნის. მკვლელობის გამო დავტოვე იქაურობა, შატონო ჩემო, და აქეთკენ გამოვიქეცი.

— მკვლელობის გამო? — გააფთრებით შევაწყვეტინე.

— ჰო, მკვლელობის გამო, — განავრძო მან, — ერთხელ განრისხებულმა, ქალაქში თავი ველარ შევიკავე და ახალგაზრდა კომერციონელ მრჩეველს მარცხენა ბაკენბარდი მოვაჭერი, ხოლო მარჯვენა ბაკენბარდს სასიკვდილო ჭრილობა მივაყენე.

— მოეშვი ტაკიმასხრობას! შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოუხმე ჭკუას და თქვი რაიმე დალაგებული, ან არადა თავი დამანებე!



— ჰო, საყვარელო ძმაო მედარდუს, — მოულოდნელად ძალიან სერიოზული გამომეტყველება მიიღო. — კარგი ვინმე კი ხარ, ხომ იცი! ახლა, როცა ფეხზე დადები, მაშინ გინდა კარში გამაგდო! სხვათა შორის, ავად რომ იყავი, წუთითაც არ მოგშორებივარ. ~~დღეობდა~~ ვტრი-  
ალეხბდი, შენს საწოლში მეძინა.

— კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — შევყვირე და განცვიფრებისაგან ლამის თვალები გადმომეკარკლა.

— აი, დაათვალიერეთ გეთაყვა, თქვენი ანაფორის მარცხენა კიდე და გაიგებთ, საიდან ვიცი თქვენი სახელი.

ასეც მოვიქეცი და შიშისა და გაოცებისაგან გავხევდი, რადგან სახელი „მედარდუსი“ სწორედ იმ ადგილას იყო ნემსით ამოკერილი. და როცა ყურადღებით დავათვალიერე, დავრწმუნდი, რომ მართლაც ის ანაფორა იყო, რომელიც ბარონ ფ-ის სასახლიდან გამოქცევისას ხის ფულუროში ჩავმაღე. შოენფელდმა შეამჩნია ჩემი შეცბუნება და უცნაურად გაიღიმა. საჩვენებელი თითი ცხვირზე მიიღო, ფეხის წვერებზე აიწია და თვალებში ჩამხედა. ხმა ველარ ამოვიღე. მან კი წყნარი და აუღელვებელი ხმით დაიწყო:

— რატომ გიკვირთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მშვენიერი სამოსი რომ გაცვიათ? სხვათა შორის იგი ძალიან გიხდებათ და არაჩვეულებრივად გადგათ ტანზე. ნება მიბოძეთ ისიც გითხრათ, რომ იგი ბევრად უფრო გშვენით, ვიდრე ნიგეზისფერი სადა ღილებით გაწყობილი კოსტუმი, ჩემმა ბრძენმა და ჭკუით სავსე დამონმა რომ შეგიკერათ, რომელსაც სამართლიანად მიაჩნია თავი დიდ მხატვრად და მკერავ-ხელოვანად. იცოდეთ, რომ სწორედ მე, დევნილმა და უღიარებელმა პიეტრო ბელკამპომ შეგმოსეთ ამ ჩასაცმელით და თქვენი სიშიშვლე დავფარე. იცით, ძმაო მედარდუს, მაშინ თქვენი სხეულის შემოსვაზე არც კი ფიქრობდით. ვერ ვიტყვი, რომ იმ დროს გამორჩეულ მდგომარეობაში იყავით, რადგან პალტოს, შარვლის, ყილეტისა და ინგლისური ფრაკის ნაცვლად მორჩილად კმაყოფილდებოდით საკუთარი ტყავით. მოხდენილ ვარცხნილობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მერე, ეტყობა, მოგეპრიანათ ჩემეულ ხელოვნებაში შემოჭრა და თმის დავარცხნა. ეგ თმა კარაკალას გემოვნებით შეგკრიჭეთ ათკბილა სავარცხლით, რომელიც ხელებში შეგეზარდათ.

— სისულელეებს მოეშვი! — წამოვიყვირე უცბად, — მოეშვი სისულელეებს, შოენფელდ!

— აჰ მე პიეტრო ბელკამპო ვარ, — შემაწყვეტინა გაბრაზებულმა დალაქმა, — ჰო, პიეტრო ბელკამპო, ყოველ შემთხვევაში, იტალიაში ასე მქვია. და შენ, მედარდუს, უნდა იცოდე, რომ მე თვითონა ვარ სისულელე, რომელიც მუდამ ფეხდაფეხ ვდევს, რათა შენს ჭკუა-გონებას შემწეობა აღმოუჩინოს. და გინდ დაინახე, გინდ არა, მაინც ასეა, განკურნებას შენ სისულელეში ჰპოვებ, რადგან მაგ შენი გონება უკიდურესად საცოდავი რამაა, იგი პირდაპირ და მოსწორებულ გზაზე ვერ გატარებს, იგი უძლურია შემწეობა აღმოგიჩინოს, უმწეო ჩვილი ბავშვივით ბანცალებს, სიარული რომ ჯერაც ვერ უსწავლია და უნდა სისულელეს ეწიოს, რომელიც ხელს შეაშველქას, რათა სწორი გზა ნახოს მშობლიური სახლისაკენ მიმავალი. ეს მშობლიური სახლი კი საგიჟეა



და, ჩემო ძამიკო მედარდუს, ჩვენც დავადექით ამ სწორ გზას და ახლა ორივენი ერთად ვიმყოფებით საგიჟეში.

შოენფელდის ნათქვამმა შემძრა და შემაშფოთა. გამახსენდა ის მკრწუნებელი სახის ადამიანები, სეირნობისას ბაღში რომ ვნახე, რეთვე ჟანგამიწისფერ მოსასხამიანი კაცი, რომელიც ყოველთვის გადადგმაზე უცნაურად ხტოდა. უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ შოენფელდი თავისი აბდაუბდად ნათქვამი სიტყვებით სუფთა წყლის სიმართლეს მეუბნებოდა.

— ჰო, ძამიკო მედარდუს, — ხმააწევით და მძაფრი მანჭვა-გრეხით განაგრძო შოენფელდმა, — ჰო, ჩემო ძვირფასო ძამიკო, სისულელე ამ ქვეყანაზე მართლაც ხომ სულის ჭეშმარიტი მეუფეა, ხოლო რაც შეეხება ჭკუა-გონებას, იგი მისი ზარმაცი თანმდგომია და ფეხებზე ჰკიდია, რა ხდება სამეფოს საზღვრებს მიღმა. ზოგჯერ იგი მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად სააღლუმო მოედანზე ჯარისკაცთა სამწყობრო მეცადინეობებს აწყობს, მაგრამ გარედან შემოსულ მტერს ვერც კი გაუმკლავდება, რადგან წესიერად სროლაც კი არ იცის: მაგრამ ეს სისულელე ხალხის ჭეშმარიტი დედოფალია. იმას ყველგან ბუკითა და ნაღარით, დაფდაფების ცემით, სადღესასწაულო ყიჟინითა და ზარზემით ხვდებიან. ვასალები ადგილზე ველარ ჩერდებიან, ფეხზე წამომდგარან და გონების ხმას არად დაგიდევენ, მეტი აღარ უნდათ, მოსწყინდათ იმნაირი დგომა, ჯდომა და წოლა, როგორც ეს ნებავთ პედანტ პოფმარშლებს, რომლებიც ახალ გაზეთებს ათვალთქვნიან და ამბობენ: „ხედავთ, რა უყო სისულელემ ჩემს საუკეთესო მოწაფეებს, ისინი წამოიშალნენ და გაიქცნენ ანუ, ზრდილობიანად თუ ვიტყვით, შეიშალნენ, ჰო. გაგიჟდნენ. შენ ალბათ, ძამიკო მედარდუს, იტყვი, რომ ეს სიტყვათა თამაშია, სიტყვათა თამაში კი არაა, დალაქის გავარვარებული მაშაა, რომელიც აზრებს დრიკავს და თმას მშვენივრად აკულულებს.

— ერთხელ კიდევ გთხოვ, თავი დაანებო ამ უაზრო ლაყბობას. შენ ეს მითხარი, აქ როგორღა მოხვდი, რა იცი ჩემსა და ჩემი ანაფორის შესახებ, ახლა რომ მაცვია? — ამ სიტყვებით შევაწყვეტინე გადარეულ შოენფელდს ლაპარაკი, ხელი ჩავავლე, სკამზე ძალად დავსვი. ამან იგი თითქო შეაცბუნა, თვალები დახარა, ღრმად ამოიოხრა და ძლივს გასაგონი, ძალაგამოცლილი ხმით მითხრა:

— თქვენი სიცოცხლე, რომ იცოდეთ, ორჯერ ვიხსენი სიკვდილისაგან: პირველად მაშინ, როცა საიმპერიო ქალაქიდან გაქცევაში გიმველეთ, ხოლო მეორედ — როცა ამ საავადმყოფოში მოგიყვანეთ.

— ღვთისა და ყველა წმინდანის გულისათვის მითხარით, სად მიპოვნეთ? — ხმამაღლა შევძახე და ჩემდა უნებურად ხელი გავუშვი. იგი წამსვე ფეხზე წამოხტა და თვალთაგან ნაპერწკლები გადმოსცვივდა.

— იცოდე, ძამო მედარდუს, მე რომ არ ვყოფილიყავი და ამ სუსტსა და ტანჩია კაცს ზურგზე არ შემესვი, ახლა ბორბლებზე იქნებოდა შენი სხეული გადამტვრეული.

მე შევცბი და ქანცმილეული სკამზე დავეშვი. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში გაფაციცებით შემოვარდა ჩემი მომვლელი ბერი.



— აქ როგორ შემოსვდი? ვინ მოგცა აქ შემოსვლის უფლება? — ისე გააფთრებით ეძგერა ბელკამპოს, რომ საწყალმა შიშისაგან ლამის ცრემლები აღვარღვარა და მუდარით აღსავსე ხმით უთხრა ბერს:

— ო, მაღალღირსეულო ბატონო ჩემო, როგორ ~~აქ შემოსდი~~ მაგრამ მაინც თავი ვერ დავადწიე უსაზღვრო სურვილს ~~შემოსვლის~~ ხილვისა.

ამასობაში ძალა მოვიკრიბე და მღვდელს მივუბრუნდი:

— მითხარით, ჩემო ძვირფასო ძმაო, მართლა ამ კაცმა მომიყვანა აქ?

მღვდელი შეყოყმანდა, მე კი განვაგრძე:

— მე უკვე ვიცი, სადაც ვიმყოფები. იმასაც ვხვდები, რა საშინელ მდგომარეობაშიც ვიქნებოდი, ალბათ მსგავსი რამ ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ასლა ხომ ხედავთ, რომ სავსებით განვიკურნე, ამიტომაც უფლება მაქვს შევიტყო ყველაფერი, რასაც აქამდე განზრახ მიმალავდით და არას მუუბნებოდით, რადგან ზედმეტი მღელვარება ვნებას მომიტანდა.

მღვდელმა მიპასუხა:

— მართალი გითხრათ, ნამდვილად ამ კაცმა მოგიყვანათ ამ სავადმყოფოში სამი თუ ოთხი თვის წინათ. თან გვითხრა, რომ გიპოვათ სიკვდილის პირას მისული ოცდაათი მილის დაშორებით ტყიდან, რომელიც ჩვენს სამფლობელოს ტიროლისაგან აშორებს, და თქვენში შეიძნო ადრე მისი ნაცნობი კაპუცინი მღვდელი მედარდუსი ბ-ს მონასტრიდან. რომში მომავალმა გზად გაიარეთ ქალაქი, სადაც ეს კაცი ცხოვრობდა. პირველ ხანებში ღრმა აპათიაში იყავით ჩავარდნილი. თუ ვინმე ხელს მოგკიდებდათ და წაგიყვანდათ, წაჰყვებოდით, საკმარისი იყო ხელი გაეშვათ და თქვენ მაშინვე გაჩერდებოდით. მექანიკურად ასრულებდით ყველაფერს, რასაც გიბრძანებდნენ, ჯდებოდით და წვებოდით, მაგრამ ჭამა-სმა საკუთარი ხელით არ შეგეძლოთ, ამიტომაც კოვზით გაჭმევდნენ. გაუგებარ, დანაწევრებულ ბგერებს გამოსცემდით, თვალის ჩინი ლამის დაკარგულთ გქონდათ, თვალებს კი ახელდით, მაგრამ ვერაფერს ხედავდით. ამ ხნის მანძილზე ბელკამპო წუთითაც არ მოგშორებიათ, თავგადაკლულად გივლიდათ და გაბატრონობდათ. დაახლოებით ოთხი კვირის შემდეგ რალაც საშინელი გაშმაგება დაგეწყით. საჭირო გახდა თქვენი გადაყვანა მღელვარე ავადმყოფთათვის განკუთვნილ საგანგებო ოთახში. მაშინ თქვენ გამძვინვარებულ მხეცს უფრო ჰგავდით, ვიდრე ადამიანს. რა საჭიროა წვრილად აღგიწერთ თქვენი იმჟამინდელი მდგომარეობა. ეს უსიამოვნო იქნება თქვენთვის. ერთი თვის შემდეგ გააფთრებამ გადაგიარათ და კვლავ ადრინდელი აპათია დაგეუფლათ, რომელიც დასრულებულ კატალეფსიად გექცათ. მალე მისგანაც განიკურნეთ და ერთ დილით სრულიად ჯანმრთელმა გამოიღვიძეთ.

ვიდრე მღვდელი ამეებს მიაშობდა, შოენფელდი სკამზე მოკალათდა, თავით ხელებს დაეყრდნო და ფიქრებში ჩაიძირა:

— ვიცი, ჩემო ბატონო, რომ ხანდახან უგუნური ბრიყვი ვარ, მაგრამ საგიჟის პაერმა, რაც ასე საზიანოა ჯანმრთელი კაცისათვის, ჩემზე კარგი ზემოქმედება მოახდინა. ამიტომაც საკუთარი თავის განსჯა დავიწყე და ეს ცუდი ნიშანი როდია. მე ვარსებობ მხოლოდ ჩემი ცნო-



ბიერებით და საქმე იქამდეც მიდის, რომ ეს ცნობიერება გონიერ კაცს ზოგჯერ ტაკიმახარის კოსტუმს გააძრობს და სოლიდურ ჯენტლმენად წარმოგიდგება. ო, ღმერთო. განა გენიალური დალაქი ჩემდათავად ჩარი პამპულა არ გამოვდექი? პამპულაობა და ლაზლანდარობა რომ იმისათვის არსებობს, რომ ჭკუიდან არ შეიშალო. და მე გარწმუნებდი დირსპატივეცემულ ბატონო ჩემო, რომ ყველანაირ ამინდში შენთვის გავარჩიო ერთმანეთისაგან ეკლესიის კოშკი და სინათლის ბოძი.

— თუ ასეა, მაშინ მიაშბეთ მშვიდად და საფუძვლიანად, როგორ მიპოვეთ და აქ რანაირად მომიყვანეთ?

— კარგი, შევასრულებ თქვენს სურვილს, თუმცა ბატონი მღვდელ-მსახური სახეს უკმაყოფილოდ ჭმუხნის, მაგრამ ნება მომეცი, ძამიკო მედარდუს, შენობით გელაპარაკო, რადგანაც თავს შენი დამცველისა და მეურვის მდგომარეობაში ვგრძნობ. ხომ წარმოგიდგენია, უცხოელი მხატვარი უკვალოდ გაქრა მეორე დღესვე, მას შემდეგ რაც შენ წინა ღამით ქალაქიდან გაიქცევი. რამდენადაც თავდაპირველად ამ მოვლენამ სენსაცია მოახდინა, იმდენად მალე მიეცა იგი მივიწყებას ათას სხვა ახალ თავგადასავალთა და ფათერაკთა ორომტრიალში. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მკვლელობა ბარონ ფ-ის სასახლეში და სისხლის სამართლის სამძებრომ ყველგან დააგზავნა ბრძანებები დამნაშავე მედარდუსის დაპატიმრების შესახებ ბ-ს კაპუცინთა მონასტრიდან, სწორედ მაშინ გაახსენდა ყველას უცხოელი მხატვრის ნამბობი ღვინის სარდაფში მომხდარი მკვლელობის შესახებ და უმალ იცნეს შენში ძმა მედარდუსი. ჩემში ეჭვი შეიტანეს, რომ მე ხელი შევუწყვე შენს გაქცევას. ეს ერთხელ დაადასტურა კიდევაც სასტუმროს პატრონმა, ვისთანაც შენ ცხოვრობდი. მე არ მომეწონა ჩემდამი გამოჩენილი დიდი ყურადღება. მერე ისიც შევიტყვე, რომ ციხეში ჩასმასაც მიპირებდნენ და სრულიად ადვილად მივიღე გადაწყვეტილება — იქაურობა დამეტოვებინა, სადაც ისედაც სატანჯველი გამხდომოდა ცხოვრება. იტალიაში განვიზრახე წასვლა, აბატთა და თმის კლასიკური ვარცხნილობის ქვეყანაში. გზად მიმავალმა პერცოგ ფ-ის რეზიდენციაში გამოვიარე. აქ ყველას პირზე ეკერა შენი ავრელიასთან ქორწინებისა და სიკვდილმისჯილი მღვდლის ამბავი. მე ვნახე ის მღვდელი. მართალი ვითხრა, ჩვენ შორის დარჩეს და ნამდვილ მედარდუსად შენ გთვლი და არა იმას. ერთხელ გზაში შეგხვდი, მაგრამ გვერდზე ისე ჩამიარე, რომ არც კი შეგიმჩნევივარ. მალე რეზიდენციაც დავტოვე და ჩემს გზაზე წავედი. გამოხდა ხანი და ერთხელ გამთენიისას ულრანი ტყის გავლით გზაშარას მივყვებოდი. ის იყო დილით ამობრწყინებულმა მზემ თავისი მცხრალი სხივები გარშემო დააფრქვია, რომ ბუნქებში რაღაცამ გაიშრილა და იქიდან გამოვიდა თმაწვერაბურძგნული კაცი, ოღონდ უკანასკნელ მოდაზე შეკერილი მოხდენილი ტანისამოსი კი ეცვა, გამძვინვარებული და შერყეული ჩანდა, მზერა ველური და ამღვრეული ჰქონდა. წამით მომელანდა და იქვე გაუჩინარდა, მე კი გზა განვაგრძე და უცებ შევძრწუნდი, როცა ჩემ წინ ტიტველი კაცი დავინახე მიწაზე გაშოტილი. მეგონა, ვიღაცამ მკვლელობა ჩაიდინა, თვითონ მკვლეელი კი გაიქცა-მეთქი. იმ კაცში შენ გიცანი. მალე შევამჩნიე, რომ მკვდარი არ იყავი, წყნარად სუნთქავდი. იქვე შორიანლო, ახლა რომ გაცვია, ის მღვდლის



ანაფორა ეგდო. რის ვაიფაგლახით ჩაგაცვი, მერე ზურგზე შევისვი და წაგათრიე. ღრმა გულყრისაგან გამოიღვიძე, მაგრამ იმხანაში იყავი ჩავარდნილი, წელან ამ პატივცემულმა პირმა რომ გავიწერა. შენი წათრევა ადვილი არ იყო, დიდი ენერჯის ფასად მიჯდებოდა. საღამო ხანს შუა ტყეში მდებარე სამიკიტნომდე ჩამოვალწმენა და ვტოვებ, სადაც კვლავ ღრმა ძილს მიეცი თავი, მე კი სამიკიტნომდე მივსვლი, რომ მესაუზმა და სასმელ-საჭმელი შენთვისაც წამომეღო. იქ რამდენიმე დრაგუნს წავაწყდი, რომლებიც მღვდელს გამოუდგნენ, როგორც ეს სასტუმროს პატრონის ცოლმა მაუწყა, მღვდელი სასწაულებრივ გამოქცეულა საპატიმროდან იმ წუთში, როცა მისი სიკვდილით დასჯას აპირებდნენ ბარონ ფ-ის სასახლეში ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო. ჩემთვის საიდუმლოა, რანაირად მოხვდი პერცოვის რეზიდენციიდან ტყეში, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ იყავი ის მედარდუსი, ვისაც ეძებდნენ, ამიტომაც ჩემს ადამიანურ მოვალეობად ჩავთვალე ყველა ღონე მეხმარა, რომ შენთვის საფრთხე ამეცილებინა, რომელიც ჩემი აზრით, უსათუოდ გელოდებოდა. მთის ბილიკებით საზღვარზე გადაგიყვანე და ბოლოს აქ მოგიყვანე, საავადმყოფოში, სადაც ორივენი მიგვიღეს, რადგან თავი მოვიკალი და განვაცხადე, ამ კაცს ასეთ ყოფაში არ დავტოვებ-მეთქი მარტოს. აქ შენი უსაფრთხოება სრულად იყო უზრუნველყოფილი, რადგან გულმოდგინადად არაფრით არ დაუშვებენ, სისხლის სამართლის სამსჯავროს გადასცენ თავიანთი ავადმყოფი. ვიდრემდე შენს ოთახში ვიყავი, გივლიდი და გპატრონობდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ შენი ხუთი გრძნობა სრულ წესრიგში იყო, ვერც სხეულის გრაციოზული მოძრაობით მოიწონებდი თავს, ყოველ შემთხვევაში ბალეტმაისტერები და აკრობატები უეჭველად დაგიწუნებდნენ: თავი მკერდზე გეკიდა, როცა შენს გასწორებას მოინდომებდნენ, თავი უკან გადაგივარდებოდა წარუმატებლად ნასროლი კეგლივით. ვერც ორატორული ტალანტით დაიკვებხნოდი, პირიქით, იგი უკიდურესად სავალალო დღეში იყო ჩავარდნილი, რადგან მეტისმეტად ლაკონური იყავი გამოთქმებში, მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებს წამოისროდი ხოლმე, მხოლოდ „ჰუ... ჰუ“-სა „მე... მე“-ს გაიძახოდი, რომლის მიხედვითაც ძნელი ხდებოდა შენი აზრებისა და სურვილების ამოცნობა, ეტყობა, გონი და ნებისყოფა გლალატობდა, საკუთარი ნება-სურვილისამებრ სადღაც დაეხეტებოდა. ბოლოს საოცრად მხიარული გახდი. ისეთ ნახტომებს აკეთებდი, ყველა აკრობატს შეშურდებოდა, რის გამოც აღტაცებისაგან ხმამაღლა ღრიალებდი. გარდა ამისა საკუთარი ანაფორა შემოიგლიჯე, ნაფლეთ-ნაფლეთ აქციე, ამით გინდოდა ყველანაირი დამაბრკოლებელი ხუნდი მოგეცილებინა, რაც კი შენს ბუნებას შებოჭავდა, მადა გქონდა ისეთი, ნუ იტყვი.

— გაჩუმდი, შოენფელდ! — სიტყვა შევაწყვეტინე ამ ძრწოლვის-მომგვრელ ხუმარას, — გაჩუმდი! ვიცი, რა დღეში ჩავარდნილი მომიყვანეს აქ, მაგრამ უფლის მარადიული შემწყნარე სულის წყალობით, აგრეთვე ღვთისმშობლისა და ყველა წმინდანის მეოხებით, გადავრჩი.

— თქვენო მაღალღირსებავ! მერე და, რა გამოვიდა აქედან? იქნებ ინებოთ და მიპასუხოთ, რა მოიგეთ იმით, რომ დაგიბრუნდათ სულის საგანგებო ფუნქცია, ცნობიერებას რომ ეძახიან. გამაგებინეთ ერ-



თი, მაინც რა არის ეს ცნობიერება? იგი სხვა არაფერია, თუ არა წყვე-  
ული საქმიანობა ღვთის პირიდან გავარდნილი საბაჟო მოხელეებისა  
თუ უფროსი კონტროლიორების ასისტენტებისა, რომელთაც თავიანთი  
უბადრუკი კანტორა ზედა სართულზე, ერთ პატარა ოთახში აქვთ მოწყ-  
ობილი და ყველა საქონელთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც  
გაგზავნასაც მოინდომებენ, უთუოდ ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ:  
„ჰო, მისი საექსპლოატაციოდ გატანა აკრძალულია... იგი შიგ ქვეყანაში  
რჩება“. ასეა ხოლმე, საუცხოო ძვირფასეულობას მიწაში მარხავენ, ვი-  
თარცა სათესლე მარცვლებს. მათგან მხოლოდ შაქრის ჭარხალი თუ აი-  
ყრის ტანს, გაიზრდება და იხარებს და მისი ათასი ცენტნერიდან გულ-  
მოდგინე დამუშავების შედეგად მხოლოდ მეოთხედი უნცია შაქარი თუ  
გამოვა და ისიც ჭუჭყიანი და მყრალი. ჰო, ჰო, სავაჭრო ურთიერთობე-  
ბი სხვა ქვეყანაში საქონლის გატანით აეწყობა შესანიშნავად, სხვაგვა-  
რად აბა როგორ იქნება. იცოდეთ, რომ საქონლის საზღვრებს გარეთ  
გატანა თუ მოაწესრიგებს სავაჭრო ურთიერთობებს ღმერთის დიდე-  
ბულ ქალაქთან, რომელიც მალა ცაში მდებარეობს და სადაც ყველა-  
ფერი საამაყოა და მშვენიერი. ო, ღმერთო ცათა შინა, მეუფეო ჩემო,  
ყველა ჩემს ძვირად ნაყიდ პუდრებს ა, ლა მერეშალს, ა, ლა პომპადურს  
ანდა რინ დე გოლკონდის მდინარეში გადავყრიდი, თანაც ყველაზე ღრმა  
ადგილს მოვძებნიდი, ოღონდ ტრანზიტული ვაჭრობის საშუალებით  
ერთი ბეწო მზის ბრჭყვიალა მტვერი მივიღო იქიდან ჩვენი დიდად  
განათლებული პროფესორებისა და აკადემიკოსების პარიკთა, უწინა-  
რეს ყოვლისა კი ჩემი საკუთარი თავის შესაპუდრავად. მაგრამ რას ვამ-  
ბობ. ჩემს დამონს რომ თქვენთვის ღირსეულთა შორის უღირსეულესი  
მღვდელმსახურის რწყილისფერი ფრაკი შეეკერა ნაცვლად მზისფერი  
მოსასხამისა, რითაც იმ აღთქმული ქვეყნის მდიდარი და ქედმაღალი  
ბიურგერები ფეხსადგილებში დაიარებიან, მაშინ, რა თქმა უნდა, ყვე-  
ლაფერი სხვაგვარად იქნებოდა ზრდილობისა და ღირსების შესატყვი-  
სად. ახლა კი რა გამოვიდა, მალალი საზოგადოება თქვენ ჩაგთვლით  
უბრალო მოკვდავად, glebae ad scriptus და ამას კიდევ ვინ დაეძებს,  
სულაც ეშმაკთან წილნაყარად, მის ღვიძლად და მოთვისედ.

შოენფელდი წამოდგა და მისთვის ჩვეული ხტუნაობა იწყო. ხე-  
ლებს იქნევდა, სახეს გიჟურად ღრეჭდა, იგრიხებოდა, იკლანკებოდა,  
ოთახის ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა. როგორც კი შევატყვი,  
რომ იგი თავის სტიქიაში იყო და ძველებურად აპირებდა სულელური  
აზრების გადმოფრქვევას, ორივე ხელი დავუჭირე და ვუთხარი:

— ხომ არ გინდა ჩემ მაგივრად ამ დაწესებულებაში ადგილი დაი-  
საკუთრო? იქნებ წუთით მაინც მიატოვო მასხარაობა და გონებას მო-  
უხმო...

პასუხად უცნაურად გაიღიმა და მკითხა:  
— ნუთუ მართლა სისულელეს ვჩიხავ, როცა შთაგონების სული  
მომაკითხავს?

— უბედურება ის არის, რომ შენეულ გიჟურ ხუმრობებს ხშირად  
ღრმა აზრიც უდევს საფუძვლად, მაგრამ ნაირფერ სამოსში ახვევ და  
იმდაგვარი მოიარებით ლაპარაკობ, რომ შენგან გამოთქმული სიბრძ-



ნეც სასაცილო და მიუღებელი ჩანს, ვითარცა ჭრელაჭრულა ძონძებით შეკერილი კაბა. სწორ ხაზს ვერ მიჰყვები, მთვრალივით როგორც როდ დადიხარ, ან მიმართულებას ვერ იცავ...

— ეგ მიმართულება რაღაა ნეტა? — შემაწყვეტინა მღვდელმა მშვიდი, თვინიერი ხმით, თანაც ტკბილმწარე დამცინავი სიტყვებით ზედ მოაყოლა. — ჰო, დიდად ღირსეულო კაპუცინო, რას ჰქვია მიმართულება? მიმართულება ხომ გარკვეულ მიზანს ისახავს და ჩვენც ამ მიზანს მივყვებით. დიდად ძვირფასო მღვდელმსახურო, თქვენ კი დარწმუნებული ხართ, რომ ზუსტად ამ მიზნის მიმართულებით მიდიხართ? ხანდახან იმის შიში ხომ არა გაქვთ, რომ დღემდე ცოტა რაოდენობით მიგირთმევიათ კატის ტვინი? სამაგიეროდ სამიკიტნოში ზომაზე მეტად გამომთვრალხართ, რის გამოც სწორხაზოვნად სიარულის უნარი დაგიკარგავთ. ნუთუ ერთხელ მაინც არ გიფიქრიათ, რომ კოშკის რეტდასხმული გადამხურავის მსგავსად ორ მიზანს ემსახურებით ნაცვლად ერთისა, თანაც ვერაფრით ვერ გაგირკვევიათ, რომელია მათ შორის ჭეშმარიტი? გარდა ამისა ისიც გაიგე, კაპუცინო, რომ ხუმრობა მე ჩემებურად მესმის, ეს არის ესპანური წიწაკისა და ყვავილოვანი კომბოსტოს საამო შენაზავი. ამნაირი ხუმრობის გარეშე თმათა ვარცხნილობის ოსტატი-ხელოვანი წარუმატებელი იდიოტია, რომელიც ტაკიმასხარას პრივილეგიებით ცხოვრობს და ამას საკუთარი სიამოვნებისა და სიხარულისთვის არ აკეთებს, არამედ სხვათა დასამოძღვრად და ჭკუის სასწავლებლად.

იტალიელი მღვდელი ყურადღებით გვათვალისწინებდა ხან მე, ხან სახედალმეჭვილ შოენფელდს. ჩვენი ნალაპარაკებიდან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო, რადგან გერმანულად ვსაუბრობდით, მერე ლაპარაკი შეგვაწყვეტინა:

— მაპატიეთ, ჩემო ბატონებო, და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გთხოვოთ, რომ დაასრულოთ ეს ლაპარაკი, რომელიც არც ერთისათვის არ შეიძლება სარგებლობის მომტანი იყოს. თქვენ, ჩემო ძმაო, ჯერჯერობით მეტისმეტად დასუსტებული ბრძანდებით საიმისოდ, რომ ადრინდელი ცხოვრების მტკივნეული მოგონებები იხსენოთ და გამუდმებით იმაზე ილაპარაკოთ. მხოლოდ მაშინ შეგეძლება თანდათანობით შეიტყოთ ყველაფერი თქვენი მეგობრისაგან, როცა სრულიად გამოჯანმრთელებული დატოვებთ ჩვენს სამკურნალო დაწესებულებას. მეგობარი ხომ ისევ თქვენთან დარჩება და მაშინ გექნებათ შესაძლებლობა ამაზე საუბრისა. გარდა ამისა, ძმაო, (მიმართა მან შოენფელდს) თქვენ მეტად თავისებური მანერა გაქვთ ამბის თხრობისა. ისე ლაპარაკობთ, გეგონება, მსმენელი თვალნათლივ ხედავს იმ მოვლენებს, რომლებსაც საუბრის დროს ესებით. გერმანიაში, ეჭვიც არ მეპარება, რომ ამის გამო გიყად ჩაგთვლიან. ჩვენთან კი იტალიაში თქვენგან ბრწყინვალე ბუფონი გამოვიდოდა. თქვენ შეგიძლიათ კომედიის თეატრში უხარმაზარ წარმატებას მიაღწიოთ.

შოენფელდი დიდხანს უმზერდა ფართოდ გახელილი თვალებით მღვდელს. მერე ფეხის წვერებზე აიწია, თავს ზემოთ ტაში შემოჰკრა და იტალიურად შესძახა:

— ო, სულთა დამნახავო ძმაო, ბედის გამგებელო და წინასწარმეტყველო! ეს ხმა აღმოხდა ამ ღირსსაცნობი ბატონის ბაგეებს ამჯე-



რად და ბედნიერი ვარ ამით. ბელკამპო... ბელკამპო... აქამდე როგორ ვერ შეიცანი საკუთარი შნო და მოწოდება. საქმე გაჩარხულია სუბიან კვიან, ვიდრე არასდროს.

ეს თქვა და მისთვის ჩვეული ხტუნვა-ხტუნვით გარეთ გვეყვებოდა ორე დილით გასამგზავრებლად მზად იყო. წასვლის წინ წაშლულია მხარა:

— შენ, ჩემო ძვირფასო ძმაო მედარდუს, ახლა უკვე ჯანზე ხარ მოსული და ჩემი დახმარება აღარაფერში გჭირდება. მე კი ჩემს გზაზე წავალ, საითკენაც შინაგანი მოწოდება მეძახის. ასე სჯობია. გემშვიდობები, ოღონდ ნება მომეცი, უკანასკნელად ერთხელ კიდევ გიჩვენო ჩემი ხელოვნება, რომელიც ახლა უბადრუკ პროფესიად მუშაობს.

მან ამოიღო დანა, მაკრატელი და სავარცხელი და ღმეჭვალრეჯით და ათასნაირი სასაცილო აბდაუბდის როტვით მოიყვანა წესრიგში ჩემი ტონზურა და წვერი. კაცი, რომელმაც ლამის თავი მანაცვალა, რატომღაც უსიამო ვინმედ მიმაჩნდა, თქვენ წარმოიდგინეთ, და გახარებულად კი ვიყავი, რომ მიდიოდა.

ექიმმა ძლიერმოქმედი სამკურნალო საშუალებებით საგრძნობლად გამომახედა თვალში, ფეხზე დამაყენა, ჯანსაღი ფერი დამიბრუნა, პარკში სუფთა ჰაერზე ხანგრძლივმა სეირნობებმა ჯან-ლონე აღმიდგინა. უკვე დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ფეხით შევძლებდი გზის განგრძობას და ამ იმედით დავტოვე სახლი, რომელიც სულით ავადმყოფთათვის სასურველი ადგილსამყოფელი იყო, ხოლო ჯანმრთელთათვის — უსიამო და ძრწოლვისმომგვრელი. მართალი გითხრათ, რომში სალოცავად წასვლის განზრახვას კიდევაც მომაწერდნენ. მაგრამ იქ წასვლა მე მართლაც განვიზრახე. ამიტომაც, როგორც კი საავადმყოფო დავტოვე, გავუყევი კიდევ გზას მარადიული ქალაქისაკენ. თუმცა სიგიჟემ სრულად გამიარა და სული გამიმრთელდა, მაინც უგრძნობელ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, წარსულის მოგონებები ბუნდოვანების ნისლში ჩაიბურა და ყველაფერი უფერული და ნაცრისფერი გახდა ნაცრისფერ ფონზე. წარსულის მწარე მოგონებები რომ მოვიშორე, ყოველდღიურობის საჭირბოროტოზე ვიწყე ზრუნვა, შორს ეიცქირებოდი, რათა ადგილი მეჩახა, სად შესაძლებელი იქნებოდა შესვლა, რომ სასრულ-საჭმელი და ლამის გასათევი მეთხოვა. და კულით გავიხარე, რაცა დვთისმოშიშმა ადამიანებმა კარგა ბლომად შეაგეს ჩემი მათხოვრის ტომარა და მათარა, როგორც მისაგებელი ჩემგან მათთვის უნებლიეთ წაკითხული ლოცვებისა.

ასე რომ, სულიერი თვალსაზრისით იმდენად დავმდაბლდი, რომ ჩვეულებრივი მოწყალების მთხოვნელი მღვდლის დონემდე დავქვეითდი. ბოლოს და ბოლოს მივალწიე ერთ დიდ კაპუცინთა მონასტერს, რომელიც რამდენიმე მილით იყო დაშორებული რომიდან. ეს მონასტერი სხვა საცხოვრებელი ნაგებობებისაგან მოშორებით განცალკევებულ ადგილას მდებარეობდა, გარშემო ერტყმოდა სამეურნეო მინაშენები. აქ, რა თქმა უნდა, სტუმართმოყვრულად მიმიღებდნენ, როგორც იმავე ორდენის მღვდელს, და კიდევაც განვიზრახე კარგა ხანს აქ დარჩენა, რომ ერთი კარგად დამესვენა და ძალ-ლონე მომიკრიბა. საამისოდ საჭირო



იყო განმეცხადებინა და ეს მიღირდა კიდევაც, რომ გერმანიაში არსებული იგივე მონასტერი გაუქმდა, ხოლო მე ამის გამო ვეწვიე რომს, რათა თაყვანი მეცა წმინდანებისათვის, გარდა ამისა კამუცინთა ორდენის სხვა მონასტრებშიც შემეველო. მართლაც იტალიელ მღვდელმსახურებისათვის ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიმიღეს და მღვდელმსახურებაში მიმასპინძლეს. მერე კი მონასტრის წინამძღვარმა განმიცხადა, თუკი აღთქმა არ მქონდა მიცემული, სხვაგან განმეგრძო მომლოცველობა, შემედლო მონასტერში იმდენხანს დავრჩენილიყავ, რამდენსაც მოვისურვებდი. წირვა ახლოვდებოდა. მღვდლები საგალობლად ქოროში შევიდნენ, მე კი ეკლესიას მივაშურე. ეკლესიის თამამი და დიდებული სტილით ნაგებმა არქიტექტორულმა შენობამ დიდად აღმაფრთოვანა, მაგრამ მიწიერებისაკენ მიდრეკილ ჩემს სულს ამაღლება აღარ შეეძლო, როგორც ეს წინათ მომხდარა ბავშვობის იმ ბედნიერ ხანაში, როცა აღტაცებაში მომიყვანა ხილვამ „წმინდა ცაცხვის“ მონასტრისა. მთავარ სამსხვერპლოსთან მოვილოცე თუ არა, გვერდით დერეფანში გავუხვიე და საკურთხეველთა ხატებთან მივედი, სადაც, ჩვეულებრივ, წმინდანთა წამება იყო ასახული. მერე გვერდით ეგვტერში შევედი, რომლის საკურთხეველი მაგიურად გაენათებინა ფანჯრის ფერად მინებზე გარდატეხილ მზის სხივებს. მინდოდა წმინდა როზალიას ხატი მენახა და საფეხურებს მალლა ავუყევი. წმინდა როზალია, ჩემს მონასტერში ერთ სამსხვერპლოზე დასვენებული საბედისწერო ხატი! ო, მე ვიხილე ავრელია! მოვიხილე მთელი ჩემი ცხოვრება, ათასი ცოდვა და მკრეხელობა, ჩემი ავი საქმენი, პერმოგენისა და ავრელიას მკვლელობები, ყველაფერი ვნახე, რა საშინელებაც წინათ გადავიტანე და თავში ერთმა შემადრწუნებელმა აზრმა გამიელვა, რომელიც გავარვარებულ რკინასავით შეიჭრა ტვინში. უსასტიკესი წამებით გამოწვეულმა გამაცოფებელმა ტკივილმა, რომლის მსგავსიც ძნელად წარმომედგინა, ყველა ძარღვი და ნერვი დამიფლითა. სიკვდილს მოვუხმობდი მხსნელად, მაგრამ არ მოდიოდა. მე დავემხე ხატის წინაშე და გიჟურ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ანაფორა შემოვიგლიჯე, უნუგეშო წუხილით მოცული ვლრიალებდი, ჩემი მოთქმა-გოდება ცას წვდებოდა:

„წყეული და შეჩვენებული ვარ სამარადისოდ, წყეული და შეჩვენებული! ჩემთვის აღარ არსებობს ნუგეში და შეწყალება არც სააქაოში და არც საიმქვეყნო სასუფეველში. ჯოჯობეთსა და ქვესკნელში უნდა ჩავვარდე. სწორედ იქაა ჩემნაირი ცოდვილისა და ავისმქმნელის ადგილსამყოფელი, ვისაც სამუდამო სატანჯველი ერგო წილად!“

ფეხზე წამომაყენეს. მღვდლები წმინდა როზალიას საკურთხეველთან მოგროვდნენ. ჩემ წინაშე იდგა თვითონ წინამძღვარი, ტანმალალი, დიდად ღირსეული მოხუცი. იგი გამოუთქმელად თვინიერი სიღარბაისლით მიცქერდა, ორივე ხელში ხელი ჩამავლო და მომეჩვენა, თითქო თვითონ იგი იყო ერთი წმინდანთაგანი, ზეციური თანაგრძნობით აღვსილი და ხელთ ვუპყრივარ ვითარცა მონანიე ცოდვილი, რომელიც ციცილოვანი უფსკრულის ზემოთ გადმომდგარა და შიგ ჩანთქმას ლამობს.

— შენ ავადა ხარ, ჩემო ძმაო, — მითხრა წინამძღვარმა, — მონასტერში გვინდა წაგიყვანოთ და იქ მოგასვენოთ.



წინამძღვარს ხელზე ვეამბორე, მერე სამოსზე ვემთხვიე, ხმის ამოღება არ შემიძლო, მხოლოდ ღრმა და შიშისმომგვრელი ამოხვერა გათქვამდა ჩემს დაფლეთილ მძრწოლვარე სულიერ მდგომარეობას. მონასტრის სატრაპეზოში წამიყვანეს. წინამძღვარმა აქ მოგროვილ მღვდლებს ხელით ანიშნა, აქაურობა დატოვეთო, და მე მარტრად მტყუნილი წინამძღვართან პირისპირ.

— შენ, ჩემო ძმაო, — დაიწყო მან, — ვატყობ, მძიმე ცოდვას ზიდავ, შენს ქცევაში იხატება დარდგაუქარვებელი სინანული რალაც შემადრწუნებელი დანაშაულის გამო. მაგრამ დიდია ღვთის მადლი და მოთმინება, მოიგონე, რაოდენ დიდი ძალმოსილება აქვს მარადიული მეუფის წინაშე წმინდანთა ქომაგობასა და მოსარჩლეობას. გამენდე, შვილო ჩემო, აღსარება მითხარი. თუკი მოინანიებ, ეკლესია ნუგეშად გექმნება.

ამ წუთში მომეჩვენა, რომ ჩემთან მოუბარი სხვა არავინ იყო, თუ არ მოხუცი მლოცველი, „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში რომ ვიხილე შორეული ბავშვობის ხანაში. იგი ერთადერთი არსება იყო დედამიწის ზურგზე, ვის წინაშეც შემიძლო გამემხილა ჩემი ცხოვრების საიდუმლო, ჩემი ცოდვები და ავკაცობები. ჯერ ხმა ვერ ამომელო, მაგრამ ის კი გავაკეთე, რომ ქედი მოვიდრიკე მის წინაშე. მონასტრის სამლოცველოში ვიქნებო, სადღესასწაულო განწყობით მითხრა წინამძღვარმა და გავიდა. არც შევყოვნებულვარ, საჩქაროდ მისკენ გავემურე, სააღსარებოში შევედი და ის გავაკეთე, რასაც სულ მთხოვდნენ და რისი დაუძლეველი სურვილიც მქონდა. აღსარება ვუთხარი წინამძღვარს, ყველაფერი გავანდე, რა საშინელებებიც გადამხდა თავს. საზარელი იყო ეპიტიმია, რომელიც წინამძღვარმა დამიწესა. ეკლესიისაგან განდგომილი კეთროვანივით გამაძევეს ძმათა საკრებულოდან და მონასტრის მიცვალებულთა მიწისქვეშა სამარხ აკლდამაში დამიდეს ბინა. ჩემი ცხოვრება საწყალობლად ილეოდა, რადგან საკვებად მაძლევდნენ უგემურ, წყალში მოხარშულ მწარე ბალახებს, შოლტებით მცემდნენ და მაწამებდნენ უსასტიკესი საწამებელი იარაღებით, რაც კი შეიძლება კაცის ამოუწურავმა ფანტაზიამ მოიგონოს. ჩემი კვნესა-ჩივილი და საკუთარი თავის მბრალდებელი ხმა ზეცას წვდებოდა. მორჩილებით აღვაკლენდი ლოცვას, რათა თავი მეხსნა ჯოჯოხეთისაგან, რომლის ცეცხლი გულ-მუცელსა და შიგნეულს მიწვაავდა. სისხლი მდიოდა ჭრილობებიდან და ისე მტკიოდა, თითქო მორიელს დავეკბინე. ბოლოს კი ქანცმილეულმა ძილს მივეცი თავი. ძილმა უმწეო ბავშვივით გულში ჩამიკრა, მაგრამ სული ჩემი ძილშიც ვერ აპოვებდა შვებასა და მოსვენებას. საზარელმა სიზმრებმა შემაწუხეს და სიკვდილის მომასწავებელი ახალი სატანჯველი მომივლინეს. თვალწინ გადამეშალა განვლილი ჩემი ცხოვრება მთელი თავისი საშინელებით. შემზარავი ხილვები მაფრთხობდნენ და ხელახლა მაწამებდნენ მომაკვდინებლად. მე ვიხილე ეფემია, რომელიც ნებიერი განსაცხრომელი მშვენებით აღსავსე მომიახლოვდა. ხმამალლა შევძახე: „რა გინდა ჩემგან, წყეულო? იცოდე, ჯოჯოხეთის ძალებს არ შევეპუები!“ მან ტანსაცმელი შემოიგლიჯა და ზარდამცემმა სურათმა ძარღვებში სისხლი გამიყინა. საზარელი სანახავი იყო გაწლობილი, გაძვალტყავებული, ჩონჩხად ქცეული მისი ტანი. მის ჭნაკ, ფიტულისმაგვარ სხეულში იკლავებოდა უთვა-



ლავი გველი, რომელთაც თავები მალლა აეწიათ, წითელი გავარვარებულნი ენები გამოეყოთ და ჩემკენ მოეშვირათ: „თავი დაძანებე... შენი გველები შიგ გულში მკბენენ და ჭრილობისაგან ისედაც დაფლეთილ მკერდს აუტანელი ტკივილით მტკენენ... ჩემი გულის სისხლით უნდათ გაძლომა, მაგრამ მოგკვდები... მოგკვდები და სიკვდილს მანამ არჩენს შენი შურისგებისაგან“. ასე ვღრიალებდი, ეფემიასს შემსახვს სახება კი საზარლად ემუოდა: „ჩემი გველები შენი სისხლით კი გაძლენ, მაგრამ შენ ამას ვერ იგრძნობ, რადგან შენი სატანჯველი ეგ არ არის. შენი სატანჯველი შენშივეა და იგი შენ არ მოგკლავს, შენი სატანჯველია აზრი ბოროტებისა, რომელიც უკვდავია შენში“.

ამის შემდეგ ჩემ წინაშე ვიხილე გასისხლიანებული ჰერმოგენი და ეფემია მისკენ გაექანა. ჰერმოგენმა გვერდით ჩამიქროლა, თანაც მანინიშა კისრის ჭრილობაზე, რომელსაც ჯვრის გამოსახულება ჰქონდა მიღებული. ლოცვა მიხდოდა, მაგრამ გარშემო ატეხილმა ჩოჩქოლმა და ვნიასმა თავგზა დამიბნია. ჩემ წინაშე ირეოდნენ წინათ ნანასი დაღვლანჭული და სახეშეშლილი ადამიანები. ჩემ გარშემო დახოხავდნენ კალიას ფეხებზე შემდგარი გესლიანად ახითხითებული თავები, რომელთაც უშველებელი ყურები ჩამოზრდოდნენ, ჰაერში ფრთხილებდნენ უცნაური ჩიტები, ადამიანური სახის ყვავები, მე ვიცანი კონცერტმაისტერი ბ-დან, რომელსაც თავისი დაც თან ახლდა. იგი თავბრუდამხვევად ცეკვავდა ძმის მიერ დაკრულ მუსიკაზე, მას კი მკერდზე მიედო ხემიანი საკრაფი, რომელიც მერე ვიოლინოდ იქცა. ბელკამპოს ამაზრზენი ხვლიკის თავი ება, ზიზლისმომგვრელ მატლზე შემჯდარიყო და ჩემკენ მოიწევდა, უნდოდა რკინის გავარვარებული სავარცხლით დაევარცხნა ჩემივე თმა, მაგრამ არ გამოუვიდა. ჯოჯოხეთური მოჩვენებები არ მასვენებდნენ, მტანჯავდნენ და მაწამებდნენ დაუსრულებლივ. აქ იყვნენ ნამცეცა ჭიანჭველები და წვრილ ადამიანის ფეხებზე შემდგარნი თავდავიწყებით როკავდნენ, გრძელი აწოწილი ცხენის ჩონჩხს თვალები გაბრწყინებოდა, საკუთარი ტყავისაგან თოქალთო გაეკეთებინა და ზურგზე შეესვა ბრჭყვიალა ჭოტისთავა მხედარი, რომელსაც უძირო მაშრაფა ჩამოეცვა სხეულზე ბექთარად, ხოლო ჩაჩქნად ძაბრი ესურა. და ეს ყველაფერი ერთად აღებული ჯოჯოხეთის მასკარადად წამოიძართა ჩემ წინაშე. თვითონ გაკვივონე, როგორ გავიცინე, მაგრამ ამ სიცოცხლა მკერდი დამიფლეთა, ტკივილი თანდათან სულ უფრო მძაფრი და მტანჯველი გახდა, ჭრილობებიდან სისხლმა ამოხეთქა. მოულოდნელად მშვენიერი ქალის სახება გამოთინათდა, ეშმაკეულმა ნაშიერებმა გზა დაუთმეს და იგი ჩემკენ გამოემართა. ო, ეს ავრელია იყო. „მე ცოცხალი ვარ და შენი ვარ სულით-ხორცამდე“. — მეუბნება მისი სანუკვარი ხატი და ჩემში კვლავ გაიღვიძა შეცოდებამ, ცხოველურმა ვნებამ ლამის ჭკუაზე შემშალა. გაშმაკეებულმა ხელი მოვხვიე და მკერდზე მივიკარი. ვიგრძენი, როგორ დამიბრუნდა სიცოცხლის ძალა და სიძაბუნე სავსებით განმშორდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მკერდზე თურმე გავარვარებული რკინა მიმიკრავს, უხეში ჯაგარიც თვალებსა და სახეს მიფხაჭნის. გამარჯვებული სატანა გესლიანი ხითხითით მეუბნება: „ახლა კი მთლად ჩემი ხარ, გეთაყვა, და ეს არის!“

შემზარავი ღრიალით გამეღვიძა, ძარღვებიდან ნაკადულებივით მოსჩქეფდა სისხლი ეკლიანი შოლტების დარტყმისაგან, თვითონვე გა-



მოვუტანე საკუთარ თავს ასეთი სასტიკი განაჩენი და უნუგემო სასო-  
წარკვეთაშიც ჩავვარდი. ასე თავგამეტებით და სასტიკად იმიტომ მო-  
ვექეცი ჩემს თავს, რომ ორმაგად მიხდოდა გამომესყიდა ცოდვები ცო-  
დვილი აზრებისა და ცოდვილი სიზმრების გამო. უმკაცრესე ეპიტიმია  
ის ვადა მომთავრდა, მიცვალებულთა სამარხი აკლდამიდან დასაწყისში  
ში შემიყვანეს და საგანგებო სენაკი მომიჩინეს ძმათაგან მოშორებით  
და კვლავ უდრტვინველად გრძელდებოდა ჩემთვის დანიშნული უსას-  
ტიკესი სასჯელის მოხდა. თანდათან სასჯელი შემიმსუბუქეს. უკვე უფ-  
ლება მქონდა ეკლესიაში შესვლის და ძმებთან ერთად ლოცვისა. ბოლო  
ხანებში შემოვიზღუდე მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი ყოველდღი-  
ური გაშოლტვით, რომელიც მეტისმეტად სუსტ სასჯელად მიმაჩნდა.  
ჯიუტად ვთქვი უარი შემოთავაზებულ კერძებზე, მთელი დღეები გა-  
შოტილი ვიწევი ცივ მარმარილოს იატაკზე როზალიას ხატის წინ და  
ჩემს განმარტოებულ სენაკში უსასტიკესად ვეწამებოდი, იმედი მქონ-  
და, რომ სხეულის გვემა-ტანჯვით დაგაცხრობდი აუტანელ სულიერ  
ტკივილებს. მაგრამ ჩემი ეს მცდელობა ამაო გამოდგა. ის შემზარავი  
სახეები, ჩემმა ფიქრებმა რომ შობეს, გამუდმებით თან მდევდნენ და არ  
მცილდებოდნენ და მე თავს ვგრძნობდი მსახურად სატანისა, რომელიც  
ბოროტად დამცინოდა, უღმობლად მაწამებდა, მაცდუნებდა, ცოდვის  
ჩადენას ჩამაგონებდა. ბოლოს თვითონ სატანამაც ბედის ანაბარად მი-  
პატოვა. ჩემმა უმკაცრესმა ეპიტიმია, რაიც არნახული სიბეჯითით  
აღვასრულე, მონასტრის მღვდელთა ყურადღება მიიქცია. ისინი შიშ-  
ნარევი მოწიწებით მათვალისწინებდნენ. ხანდახან ისიც გამიგონია, რო-  
გორ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში:

„აი, წმინდანიც ამას ჰქვია!“ ეს სიტყვა ძრწოლვით მავსებდა, რა-  
დგან ცხადად მახსენდებოდა ის უმსგავსი წამი, როცა ბ-ს კაპუცინთა  
ეკლესიაში შემოსულ მხატვარს, რომელსაც დაუინებელი მზერა ჩემკენ  
მოემართა, სიგიჟის საზღვრამდე მისული უტიფრობით მივაძახე: „მე  
წმინდა ანტონიუსი ვარ!“ წინამძღვრის მიერ დაწესებული ეპიტიმის  
ბოლო ეტაპმაც ჩაიარა, მაგრამ მე კვლავინდებურად განვაგრძობდი სო-  
რცთა ჩემთა უსასტიკეს გვემას, თუმცა ამკარა იყო, რომ ჩემს სორციელ  
არსებას უკვე ძალა აღარ შესწევდა აეტანა ეს უმაგალითო მარტვილო-  
ბა. თვალისჩინი დამეკარგა. ჭრილობებით დაღარული ჩემი სხეული  
სისხლიან ჩონჩხად იქცა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ საათობით  
იატაკზე წოლის მერე წამოდგომა აღარ შეეძლო ვისიმე დაუხმარებ-  
ლად. წინამძღვარმა თავისთან მიხმო:

— გრძნობ თუ არა, ძმაო ჩემო, შვებას სულისას ამ უმკაცრესი  
მონანიებით? ჰპოვე თუ არა ნუგეში მალლით?

— არა, წმინდა მამაო, — მივუგე ღრმად სასოწარკვეთილმა.

— ხედავ, ძმაო ჩემო, — ხმას აუწია მოძღვარმა, — რაკი შენ,  
ძმაო ჩემო, შენი ავი საქმენი გამიმხილე და აღსარება თქვი ჩემ წინა-  
შე შენთა უმძიმეს შეცოდებათა გამო, მეც, ეკლესიის კანონთა შესაბა-  
მისად, უმკაცრესი ეპიტიმია დაგიწესე. დამნაშავემ, რომელიც მართლ-  
მსაჯულებას გაექცა და გულმწუხარედ შეიცნო თავისი შეცოდებები  
ღვთის მსახურის წინაშე, თანაც გარეგნული მოქმედებითაც დაადასტუ-  
რა სიწრფელე თავისი სინანულისა, უნდა სული ზეცისაკენ მიიდრიკოს  
და სორცი გვემოს, რათა ამქვეყნიური მარტვილობით გამოისყიდოს



თავისი ბნელი ქმედებებით სატანური გატაცება. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, და ამაში ეკლესიის სახელგანთქმული მოძღვრებებიც დამეთანხმებიან, რა შემადრწუნებლადაც არ უნდა ეწამოს მონანი/ცოდვილი, იგი მისხლითაც ვერ შეამსუბუქებს თავის შეცოდებათა სიმძიმეს, თუკი ზედმეტად დააჯერებს თავს იმაში, რომ მხოლოდ მისი ღვთის წყალობისა და სხვა არავინ. ადამიანის გონი უძლურია ჩასწვდეს, რა წონასა და განზომილებას აძლევს უფალი ჩვენს ქმედებებს, და კაცი, როგორი თავისუფალიც არ უნდა იყოს მძიმე ცოდვებისაგან, სამარადისოდ ეწამება, თუკი უტიფრად დაიჯერებს, რომ სამოთხის ნეტარებას მიიღებს გარეგნული ღვთისმოსაობის დაცვით. დაღუპულია აგრეთვე იმ ადამიანის საქმეც, ვინც ცოდვებს ინანიებს, ეპიტიმიას აღასრულებს, თანაც ჰგონია, რომ ამით ცოდვები მიეტევება. ეს ბრყვული თავდაჯერებულობა კი დასტურია იმისა, რომ მისი მონანიება არ არის წრფელი და სინდისიერი. შენ კი, ჩემო უძვირფასესო ძმაო მედარდუს, ჯერაც ნუგეში და სიმშვიდე ვერ გიპოვნია და სწორედ ეს გარემოება ადასტურებს უმწიკვლოებას შენი სინანულისას. მაგრამ მე მინდა მიატოვო საკუთარი თავის გამუდმებული მათრახით ცემა. ჭაბუ და სვი გემრიელად და ნურც ეკლესიის ძმებთან გაურბი ურთიერთობას. დამერწმუნე, შენი იღუმალე ცხოვრება თავისი უკიდურესად უცნაური ხლართ-წნულებით შენზე უკეთ მე ვიცი. ბედის ქარბორბალას სად გაექცეოდი, იმას სატანა დაეპატრონა და თავისი ცოდვილი ზნე-საქციელით დაგიმორჩილა, დაგიმონა. შენ აქ არაფერ შუაში ხარ, შენ მხოლოდ იარაღი იყავი მისთვის. მაგრამ ისე ნუ წარმოიდგენ, თითქო ნაკლებად ცოდვილი იყო დამბადებლის წინაშე. საიმისო ძალი და ღონე კი შეგწევდა, მედგრად შერკინებოდი სატანას და გაგემარჯვა მასზე. რომელი ადამიანის გულში არ ხდება ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის? ამ ბრძოლას სწორედ სათნოება განაპირობებს. შეცოდება სხვა არაფერია, თუ არ ბოროტების გამარჯვება სიკეთეზე. უწინარეს ყოვლისა ისიც უნდა იცოდე, რომ ერთ-ერთი დანაშაული, რაშიც საკუთარ თავს ბრალს დებ, მხოლოდ ფიქრში გაქვს ჩადენილი და არა რეალურად. ავრელია ცოცხალია. მძვინვარე სიგიჟეში ჩავარდნილმა ავრელიას კი არა, საკუთარ თავს მიაყენე ჭრილობა. შენი ჭრილობიდან ამოხეთქილმა სისხლმა მოგისვარა ხელი. ჰო, ავრელია ცოცხალია. მე ეს დანამდვილებით ვიცი.

მის წინაშე მუხლებზე დავეცი და ზეცისაკენ აღვაბყრე ხელები უსიტყვო ღოცვით. მკერდიდან ღრმა კვნესა აღმომხდა, თვალთაგან ცრემლი გადმომელვარა.

— ესეც იცოდე, — განაგრძო წინამძღვარმა, — ის მოხუცი უცხოელი მხატვარი, აღსარებაში რომ მიხსენე, რაც მახსოვს, სულ ჩვენს მონასტერში დაიარება და იქნებ მალე კიდევაც შემოგვიაროს. მან შესანახად მომაბარა ერთი წიგნი, რომელიც სხვადასხვა ჩანახატებს, უმთავრესად კი ვრცელ მოთხრობას შეიცავს, რომელსაც ყოველი მოსვლისას რამდენიმე სტრიქონს წაუმატებს ხოლმე. მას არვისთვის არ აუკრძალავს ამ წიგნის წაკითხვა. დღეს კი ჩემს უწმინდეს მოვალეობად მიმაჩნია პირველ რიგში შენ გადმოგცე იგი წასაკითხად. მინდა როგორც ვერ არს ისე გაეცნო მას. შენ ამ რვეულით შეიტყობ საკუთარი უცნაური ბედის ტრიალს, რომელიც ხან საოცარი ხილვების უზემთაეს სამ-



ყაროს გაზიარებს, ხანაც ძირს დაგცემს და გაცვეთილი და მდაბალი ყოფის ჭაობში გამოფებს. ამბობენ, თითქოს დედამიწაზე საოცრებები აღარ არიანო, თუმცა ოდესღაც ისინი არსებობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში გაუჩინარდნენ და სამუდამოდ თვალს მიეფარნენ. მე არ მჯერა მათი არარსებობა. საოცრებები კვლავაც არსებობენ, მაგრამ მათ გვინდა საოცრება დავარქვათ იმ უთვალავ მოვლენას, გამოუცხადებელს, გარს გვახვევია ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან ამ მოვლენებს ციკლური წრებრუნვის წესით განვიხილავთ და ხშირად ამ ციკლურ მიმოქცევაში ისეთი ფენომენი ჩნდება ხოლმე, ჩვენს ჭკუა-გონებას რომ აბნევს და განლიგებულს ხდის, ამიტომაც მისი წვდომა აღარ ძალგვიძს და სიჩლუნგით დამყაყებულებს, ველარც გვწამს მისი. ჩვენ ჯიუტად უარვყოფთ შინაგანი თვალით მისაწვდომ მოვლენებს, რადგან ისინი მეტიმეტად გამჭვირვალენი არიან საიმისოდ, რომ ჩვენი გარეთა თვალის უხეშ ბადურაზე აირეკლონ. ხოლო რაც შეეხება, იდუმალ უცხოელ მხატვარს, იგი უჩვეულო ფენომენტთა რიცხვს განეკუთვნება, რაკი ადამიანური გონების მიერ დადგენილ წესებსა და კანონებს არ ემორჩილება. მე ისიც მეეჭვება, მისი სორციელი შესახედაობა რეალური და ნამდვილი იყოს. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ მისი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ფუნქციები არავის დაუნახავს და შეუმჩნევია. არც მე დამინახავს, როდესმე იგი წერდეს ან ხატავდეს, თუმცა წიგნი, რომელსაც ყოველი მოსვლისას გადაიკითხავს ხოლმე, ახალი ჩანაწერებით ივსება. უცნაურია, მაგრამ იმ წიგნში ასახული ამბავი ადრე სიტყვათა უაზრო კრებულად და მოუთოკავი ფანტაზიის გაუგებარ ბოდვად მეჩვენებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც შენ, ჩემო ძვირფასო მედარდუს, აღსარება გამანდე, ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდა. არ ღირს და არც შემეფერება წვრილად გამოვთქვა საკუთარი აზრები და წინათგრძნობები ამ მხატვართან დაკავშირებით. იმედი მაქვს, ჩემზე უკეთ მიხვდები ყველაფერს, ანუ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, საიდუმლო თავისთავად გამოაშკარავდება. წადი, ძალა მოიკრიბე და თვითონ იგრძნობ, რამდენიმე დღეში რაც მოხდება. ჯანზე როცა მოხვალ, ჩემგან მიიღებ იდუმალი მხატვრის წიგნს.

წინამძღვრის ნებას დაჟევი და ეკლესიის ძმებთან ურთიერთობა დავიწყე. თვითგვემა შევწყვიტე, ოღონდ ეს იყო, თავგადაკლულად ვლოცულობდი წმინდა საკურთხეველთან. არა და არ დამიცხრა სულის ტკივილი, რომელიც ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი, მაგრამ საშინელი სიზმარეული მოლანდებები კი გამიქრა, ერთხელ მომაკვდინებელი დაღლილობის უამს მაგარ თავსასთუმლიან საწოლზე ვეგდე და უძილობას ვებრძოდი. თითქოს ანგელოზის ფრთებით მომიბერა ნიავმა და ვიხილე უძვირფასესი ხატება ცოცხალქმნილი ავრელიასი, რომელსაც ზეციური თანაგრძნობის ცრემლი მორეოდა თვალზე და ჩემკენ დახრილიყო. მან ხელი თავს ზემოდან გამომიწოდა, თითქოსდა უხილავ საფრთხეს განმარიდა; დაბლა დავიხედე და გამაბრუებელმა ტკბილმა ძილ-ბურანმა მომიცვა, ძარღვებში სიცოცხლის განახლებული ძალა ჩამიდგა. როცა მოვმავრდი და სულის მხნეობა კვლავ დამიბრუნდა, წინამძღვარმა მხატვრისეული წიგნი ვადმოძე და გამაფრთხილა ყურადღებით წამეკითხა იგი ჩემს სენაკში განმარტოებულს. წიგნი გადავშალე და პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო ესკიზებით მო-



ნიშნული და შემდეგ შუქ-ჩრდილებით შესრულებული ფრესკული ნატები „წმინდა ცაცხვის“ მონასტრისა. ოდნავი გაოცებაც არა მქონია, არც ბეწვისოდენა ნდობა და სურვილი სწრაფად ამოვესსნა საკუთარი ცხოვრების გამოცანა. აქ გასაოცარი და გამოუცნობი არაფერი იყო. წინასწარ ვიცოდი, რაც იქნებოდა ნაამბობი ამ წმინდა მონასტრის ჩემი ოცნებები და წინათგრძნობები, რაც მხატვარს თავის წიგნში აესაჩაძლივს გასარჩევი, სწვადასხვა მელნით აჭრელებული ხელწერით, ოდნოდ ყველაფერს აქ მეტიმეტი სინათლე, სიმძაფრე და სიმკვეთრე გამსჭვალავდა, რისი მსგავსიც ვერასოდეს ვერაფერი წარმომედგინა.

### წიგნზე თანდართული გამოცემლის შენიშვნა

ძმა მედარდუსმა ისე განაგრძო თავისი ნაამბობი, რომ მხატვრის წიგნში ნაპოვნ ჩანაწერზე არც შეჩერებულა, გვიამბო, როგორ დაემშვიდობა წინამძღვარს, ვისაც თავისი საიდუმლო გაუმხილა, როგორ გაემგზავრა რომში სალოცავად, ყველა ტაძარში მოილოცა, იქნებოდა ეს წმინდა პეტრესი თუ წმინდა სებასტიანის თუ ლავრენტისის, წმინდა ჯოვანი ლატერნო თუ წმინდა მარია მაჯიორეს თუ სხვა ტაძრები. იგი ყველა საკურთხეველთან ლოცულობდა, რის გამოც პაპის ყურადღებაც მიიქცია, რადგან მონანიე ცოდვილის მეტი ასე თავგადაკლულად სხვა ვინ აღავლენდა ღვთის წინაშე ლოცვას. და იგი თვითონაც გრძნობდა თავს შეცოდებების მტვირთველად და არც მალავდა ამას და ამიტომ ვიდრე პაპი გამოუტანდა განაჩენს და კანონის ძალით განდევნიდა რომიდან, თვითონ გაეცალა იქაურობას.

მე და შენ კი, მოწყალეო მკითხველო, მეტისმეტად ცოტა გვეცოდინება ძმა მედარდუსის წინათგრძნობებსა და ოცნებებზე, თუკი მხატვრის წიგნს არ წავიკითხავთ, რათა ცოტათი მაინც გავერკვეთ და ნათელი გახდეს მედარდუსის ურთულეს ცხოვრებაში ჩახლართულ-ჩაგრეხილი, ერთმანეთში არეული მოვლენათა ძაფების ერთ კვანძად შეკვრა და გამონასკვა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ჩვენ ხელთ ჯერაც არა გვაქვს ფოკუსი, რომელშიც აირეკლება და ერთიანდება იქიდან გამომკრთალი ნაირფერადი სხივები. კარგა ხნის წინ გარდაცვლილი კაპუცინის ხელნაწერი ძველ გაყვითლებულ პერგამენტში გახვეული აღმოჩნდა. იგი წვრილი, გაურკვეველი ხელწერით იყო შესრულებული. ამ თავისებურმა ხელწერამ იმთავითვე მიიქცია ჩემი ყურადღება. დიდი შრომა-გარჯის შემდეგ როგორც იქნა მივალწიე გავცნობოდი მას იმდენად, როგორღაც გამერჩია ცალკეული ასოები და სიტყვები. ჩემდა დიდად გასაკვირად აღმოჩნდა, რომ სწორედ მხატვრის ამ წიგნში ასახული ამბავი იქნებოდა, რაზეც მედარდუსი ლაპარაკობს. ხელნაწერი ძველ იტალიურ ენაზე იყო შესრულებული, თითქმის შუასაუკუნეობრივი ქრონიკების მაგვარად. მეტისმეტად აფორისტული მისი უცნაური სტილი თანამედროვე გერმანულზე უხეში და ყრუ ელერალობისაა, გატეხილი მინა რომ ხმას გამოსცემს ისეთი. მაგრამ მთლიანობაში რომ გაგვივო მთელი ისტორია, საჭირო იყო მას დართოდა თარგმანი. მე ეს გავაკეთე, რის შემდეგაც დიდი წუხილით მინდა განვაცხადო შემდეგი: ოჯახი, საიდანაც წარმოიშვა ხშირად მოხსენიებული ფრანჩესკო, კვლავ



ცხოვრობს იტალიაში, ასევე ცხოვრობენ შთამომავლები პერცოგისა, რომლის რეზიდენციაშიც ერთხანს მოხვდა მედარდუსი. ამიტომაც უფლება არ მქონდა მოქმედი პირების სახელთა გათქმისა, და მთელ ქვეყანაზე არავინ იყო ისეთ უმწეო და უხერხულ მდგომარეობაში, ვიდრე ამჟამად მომცემელი, რომლის წყალობითაც ეს წიგნი შენს ხელში მოხვდა, რომელიც წყალო მკითხველო, და მას სხვა სახელები უნდა გამოეგონა, ისეთი ლამაზი და კეთილსმოვანი ფერადობისა, როგორც ეს სინამდვილეშია. ამ ძნელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად აღნიშნული გამომცემელი თავდაპირველად ფიქრობდა, მხოლოდ პერცოგების, ბარონების და ა. შ. ტიტულებით შემოზღუდულიყო, მაგრამ რაკი მოხუცი მხატვარი ააშკარავებს თავის ჩანაწერებში ყველაზე იდუმალ და აწეწილ-დაწეწილ დამოკიდებულებებს მოქმედ პირთა შორის, იგი თავისდა უნებურად დარწმუნდა იმაში, რომ ზოგადი აღნიშვნებით ვერ შესძლებდა მკითხველებისათვის გასაგები და ნათელი გაეხადა ყველაფერი. გამომცემელს უნდოდა მრავალნაირი განმარტებებითა და შენიშვნებით, აგრეთვე ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით მოლაპარაკე ფიგურებით დაესლართა და შეენიღბა დიდებული სისადავე მხატვრის საუცხოო ქრონიკა-ქორალისა.

გამომცემლის სახელით უმორჩილესად გთხოვდი, კეთილმოწყალო მკითხველო, კარგად დაიხსომო უპირველეს ყოლისა შემდეგი: ოჯახის გვარის დამფუძნებლად გვევლინება კამილო — პ-ს პერცოგი, საინდანაც წარმოიშვა მედარდუსის მამა. — ფრანჩესკო. ხოლო ვ-ს პერცოგი — თეოდორი — არის მამა ალექსანდრე ფონ ვ.-სი, რომლის სახელში იმყოფებოდა ერთხანს მედარდუსი. მისი ძმა ალბერტი — პერცოგი ფონ ვ. დაქორწინდა იტალიელ პრინცესა ჯიაცინტა ბ-ზე. ბარონ ფ-ის გვარი კარგადაა ცნობილი ტიროლის მთებში, მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ ბარონესა ფონ ფ-ი წარმოშობით იტალიელი იყო, გრაფ პიეტრო ს-ის ასული, გრაფ ფილიპო ს-ის ვაჟიშვილისა. თუკი შენ, კეთილმოწყალო მკითხველო, დაიხსომებ ამ ტიტულებს და ასოებს, სხვა დანარჩენი შესანიშნავად იქნება შენთვის გასაგები. ახლა კი დროებით შეგწყვეტ მედარდუსის ცხოვრებაზე მბობას და შემოგთავაზებთ მოხუცი მხატვრის პერგამენტის გრაგნილზე შესრულებულ ჩანაწერებს.

მოხუცი მხატვრის პერგამენტის ფურცლები

აღვირული კორსარების მიერ ძალუმად შევიწროებულმა გენუის რესპუბლიკამ შემწეობისათვის საზღვაო რაინდულ ბრძოლებში სახელგანთქმულ გმირს პ-ს პერცოგს კამილოს მიმართა და სთხოვა ოთხი კარგად აღჭურვილი იალქნიანი გალიონით მომაკვდინებელი დარტყმა მიეყენებინა თავაგდებული ყაჩაღებისათვის. კამილომ, რომელიც მოწყურებული იყო საქებ-სადიდებელი გმირული ქმედებების ჩადენას, უმაღ წერილი აფრინა თავის უფროს ვაჟიშვილ ფრანჩესკოსთან, რათა ჩამოსულიყო და მამის არყოფნაში ქვეყანა ემართა. ფრანჩესკო მხატვრობას სწავლობდა ლეონარდო და ვინჩის სკოლაში და ისე შეეპყრო ხელოვნების გენიას, სხვა რამეზე ფიქრიც არ შეეძლო. ხელოვნებას იგი ყოველგვარ მიწიურ პატივსა და განცხრომაზე მაღლა აყენებდა, ხოლო



ადამის ძეთა ჩვეულებრივი ჯახირი და ფაციფუცი ამო გარჯად და მტკნარ სისულელედ მიაჩნდა. მას არ შეეძლო მიეტოვებინა ხელოვნება და დიდი ხელოვანი, რომელიც იმხანად მეტად ხანდაზმული იყო და ამიტომაც წერილობით აუწყა მამას, რომ მას ხელეწიფება არა სკიპტრის, არამედ ფუნჯის ხმარება და მისი სურვილია ლეონარდოსთან. ასეთმა პასუხმა ამაყი, ხანში შესული თავადი კამილო დიდად განარისხა, უღირსი ბრიყვი უწოდა თავის ვაჟიშვილს და რომში აფრინა სანდო მონები ურჩი ყმაწვილის ძალით ჩამოსაყვანად. ფრანჩესკომ წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეებს, არასდიდებით არ დაემორჩილა მამის ნებას, თან ქედმაღლურად განაცხადა, რომ ხელისუფალის ტახტი მთელი თავისი სამეფო ბრწყინვალეებით, მისი ჭკუით, საწყალობლად არაფრისმაქნისი სრული არარაობაა გენიალურ ხელოვანთან შედარებით, რომელიც ღვთაებრივი სულის გამონაშუქია და უსაზღვრო ზეციური მადლითაა გაბრწყინებული. გააღმასებულმა ზღვათა დევგმირმა კამილომ სულ ცოფები ყარა და ფიცი დადო, ფრანჩესკოს სამუდამოდ გავაძევებ სამშობლოდან, ხოლო ტახტის მემკვიდრედ მის უმცროს ძმას — ცენობიოს გამოვაცხადებო. ფრანჩესკო კმაყოფილი დარჩა მამის ამ გადაწყვეტილებით და უდრტვინველად მოაწერა ხელი აქტს, რომლითაც მან საზეიმოდ და კანონის ყველა ფორმლობის დაცვით უარი თქვა ტახტისადმი თავის უფლებებზე უმცროსი ძმის სასარგებლოდ. მოხუცი კამილო აღუირებლეთან სასტიკ და სისხლისმღვრელ ომში დაიღუპა. მის შემდეგ ტახტზე ავიდა ცენობიო. ფრანჩესკო კი მხატვარი დარჩა, თავადურ წოდებასა და სახელზე კი უარი განაცხადა, საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, მცირე წლიური გასამრჯელოს ამარა, რომელიც ძმამ დაუნიშნა. ფრანჩესკო ამაყი და ქედუხრელი ჭაბუკი იყო. მხოლოდ ლეონარდოს შეეძლო მოეთრგუნა მისი ბობოქარი ხასიათი. როცა იმან უარი თქვა სამეფო ღირსება-ტიტულზე, ლეონარდოს ერთგული და ღვთისმოსავი შვილობილი გახდა. იგი ეხმარებოდა მოხუც მხატვარს თავისი სწორუპოვარი ქმნილებების სრულყოფაში. ლეონარდოს უღირსეულესი მოწაფე დიდოსტატის სიმაღლეს ეზიარა, სრულყო თავისი ტალანტი და თვითონაც სახელგანთქმული მხატვარი გახდა. მას მიაჩნდეს ეკლესიებსა და მონასტრებში სამსხვერპლო ხატების მოხატვა. მოხუცი ლეონარდო მხარში ედგა თავის მოწაფეს რჩევით თუ საქმით, ვიდრე ბოლოს ღრმა სიბერეში შესული არ მიიცვალა. მაშინ კვლავ ითვთქა ფრანჩესკოს ჩვეულმა, ერთხანს დიდი წვალეებითა და გარჯით მოთოკილმა სიამაყემ და ამპარტავნობამ. მან თავი თანამედროვეობის უდიდეს მხატვრად მიიჩნია და თავისი უზადოდ სრულქმნილი ტალანტი დაუკავშირა რა მისსავე მალაღვაროვნულ წარმომავლობას, კიდევ უფრო გაიფხორა და გადიდგულდა, სამეფო მხატვარი ვარო, დაუინებით იმეორებდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ თავის გენიალურ მოძღვარსაც აგდებით მოიხსენიებდა, განუდგა ლეონარდოს სტილის ღვთაებრივ სისადავეს და სულ სხვა, ახალი, მისგან განსხვავებული მანერა დაამკვიდრა ხელოვნებაში, რაიც მხოლოდ ბრბოს უბრძავებდა თვალებს ლამაზ-ლამაზი სახეებითა და უსაღვრო თვალისმომჭრელი ფერებით. ბრბოს წრეგადასულმა ქება-დიდება მხოლოდ მთლად გადარია, კიდევ უფრო მეტად მზვაობარი და მედიდური გახდა. რომში იგი გარყენილ და თავაშვებულ ყმაწვილთა წრეში მოხვდა.



ყველგან ესწრაფვოდა რა პირველობასა და გამორჩეულობას, აქაც  
 თავი იმით გამოიჩინა, რომ პირველი გადაეშვა ბიწიერებისა და ზნე-  
 დაცემულობის ამოპოქრებულ ზღვაში და ჭეშმარიტების გზიდან გადა-  
 მდგარი წარმართის ყალბ, მაცდუნებელ მშვენიერებას დაეწაფა. გზა-  
 ცდენილმა ყმაწვილებმა, რომელთა გუნდსაც სათავეში ფრანჩესკო  
 ვა, საიდუმლო კავშირი შექმნეს, უტიფრად დასცინოდნენ ქრისტიანო-  
 ბას, ძველ ბერძენთა ცხოვრების წესს ბაძავდნენ, თავაშვებულ გოგონებ-  
 თან ერთად უწმინდურ და ცოდვიან ღრეობებს აწყობდნენ. ამ წრეში  
 უმთავრესად თავი მოეყარა მხატვრებს, უფრო კი ქონდაქარებს, რომ-  
 ლელთაც ანტიკური ხელოვნების ანბანი უნდოდათ ესწავლათ, დასცი-  
 ნოდნენ ყველაფერს,, რასაც ახალი დროის მხატვრები ქმნიდნენ ღვთის  
 სადიდებლად ქრისტიანული რელიგიის ზეშთაგონებით. ფრანჩესკოს  
 ცოდვილი აღმაფრენის ცეცხლი წაეკიდა და უთვალავი სურათი შექმნა  
 იგავთა შეთხზული სამყაროდან. არავის შეეძლო მასავით ცხოველი, ლა-  
 ღი ფერებით დაეხატა ქალის შიშველი სხეულის ვნებიანი სილამაზე და  
 ამის ხორცშესხმას იგი ცოცხალი მოდელების მიბაძვით აღწევდა, ხო-  
 ლო ანტიკური დროის მარმარილოს ქანდაკებებიდან კი სესხულობდა  
 გარეგნულ იერსახესა და აღნაგობას. იმის მაგივრად, რომ ეკლესიებსა  
 და მონასტრებში შეესწავლა ძველი დროის ღვთისმოსიშ ხელოვანთა  
 დიდებული ქმნილებები და სულში ცხოვლად ჩაებეჭდა მათ მიერ შექ-  
 მნილი უბადლო სახეები, იგი გულმოდგინედ ხატავდა ეტიუდებს წარ-  
 მართთა ყალბი ღმერთების ქანდაკებებიდან. მეტადრე ძლიერი შთა-  
 ბეჭდილება მოახდინა მასზე ვენერას ცნობილმა ქანდაკებამ, რომლის  
 ხატი მუდამ სულში ესვენა. წლიური ჯამაგირი, ცენობიომ რომ დაუ-  
 ნიშნა, ერთხელ როგორღაც დროზე ვერ მიიღო, თავისი უთავბოლო  
 ცხოვრების შედეგად ფული მთლად შემოეხარჯა და სრულიად უსახს-  
 როდ დარჩა, არადა, შეჩვეული მოუთოკავი და ლაგამახსნილი ცხოვრე-  
 ბის ყაიდა არ ეთმობოდა, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ქეიფი და  
 დროსტარება. ნივთიერ გასაჭირში ჩავარდნილს მოაგონდა, კარგა ხნის  
 წინათ კაპუცინთა მონასტერმა დიდ საფასურად წმინდა როზალიას ხა-  
 ტი რომ შეუკვეთა. ფრანჩესკო იმზომ მძულვარებას განიცდიდა ყველა  
 ქრისტიანი წმინდანისადმი, რომ თავდაპირველად არც კი უნდოდა შე-  
 ექმნა ეს ხატი, მაგრამ ახლა გადაწყვიტა რაც შეიძლება სწრაფად გა-  
 ესრულებინა იგი მხოლოდ იმიტომ, რომ სანაცვლოდ საზღაური მიეღო.  
 თანაც უნდოდა წმინდანი წაეხილწა, შიშველი დაეხატა იგი, წარმართი  
 ღმერთქალის — ვენერას პირისახითა და აღნაგობით, იმ ქანდაკების  
 სტილში, ასე ღრმად რომ ჩაბეჭვდოდა სულში. ესკიზი ქრისტიანული  
 ეკლესიის წმინდანის ხატისა უსაზღვროდ წარმატებული გამოვიდა. თავ-  
 ვზენელალებულმა და უტიფარმა მეგობრებმა შეუქეს ფრანჩესკოს ცო-  
 დვილი ჩანაფიქრი ქრისტიანი წმინდანის ნაცვლად წარმართთა ღმერთ-  
 ქალი დაეხატა, მაგრამ როგორც კი ფუნჯი მოუსვა, შემოქმედებითი  
 პროცესი ფრანჩესკოს სურვილებისა და ფიქრების საწინააღმდეგოდ წა-  
 რიმართა, წარმართთა ყალბი მშვენიერებით გატაცება უნებლიეთ შეი-  
 ცვალა და იგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა ძლევა მოსილ ძა-  
 ლას, ყველაფერი სხვაგვარად დალაგდა, სხვაგვარად აეწყო. ანგელოსის  
 სახებამ დაბურული ნისლებიდან, ზეციური საუფლიდან იწყო გამონა-  
 თება. იმის შიშით, რომ წმინდანი არ შეეხილწა და უფლის სამსჯავ-



როზე არ მოხვედრილიყო, ვერ გაბედა შიშველი სხეულით წარმოესახა იგი, მას არ შეეძლო ნატიფი, სადანაკეცებიანი სამოსელით არ შემოსა მისი სპეტაკი ტანი — მეწამულისფერი კაბითა და ლაქვარდისფერ-მტრედისფერი მოსასხამით. კაპუცინი მღვდლები, რომლებმაც შეუკვეთეს ფრანჩესკოს წმინდა როზალიას ხატი, წერილობით მოიხსენიებდნენ მისი ცხოვრების სახელდობრ რომელი ღირსსახსოვარი მოვლენა უნდა აესახა მხატვარს, ამიტომაც ფრანჩესკომ თავდაპირველად ტილოზე მხოლოდ წმინდანის სახე მოხაზა, ახლა კი, ზეგარდმო ძალიან საგან შთაგონებულმა, გარშემო სხვა ფიგურებიც შემოუხატა, რათა მთლიანობაში ცოცხლად აესახა წმინდანის მარტვილობა. ფრანჩესკო საგრძნობლად დაშორდა თავის ნახატებს ან უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვოდი, იქცა ძლევამოსილ სულად, რომელმაც მთლიანად მოიცვა მხატვარი, ამოათრია იგი ადრინდელი ცოდვიანი ცხოვრების მორევიდან, მით უფრო იმიტომაც, რომ მას უკვე ძალა აღარ შესწევდა წმინდა წამებულის სახე დაეხატა და ეს იყო მისი ჯოჯოხეთური სატკივარი, ავადმყოფურად რომ შეიჭრა მის არსებაში. მას უკვე აღარც ახსოვდა ვენერას ქანდაკება. ფიქრებში თავის თმადათოვლილ ჭარბავ მოძღვარს — ლეონარდოს ხედავდა, რომელიც სევდიანი თანაგრძნობით უცქერდა, თან ეუბნებოდა: „ძალიან მინდოდა დახმარების ხელი გამომეწოდა შენთვის, მაგრამ არ შემძლია. შენ ჯერ უარი უნდა თქვა ცოდვილ ფიქრებსა და ნდომებზე, მთრთოლვარე გულით ალაველინო ლოცვა, რათა წმინდანმა მოსარჩლეობა გაგიწიოს, რომლის წინაშეც მკრეხელურად შესცოდე“. ყმაწვილებმა, რომელთა საკრებულოსაც ფრანჩესკო კარგა ხანს გაურბოდა, სახელოსნოში იპოვეს იგი და საწოლზე გაშოტილი იხილეს უმწუო მღვდომარეობაში ჩავარდნილი. როცა ფრანჩესკომ მეგობრებს თავისი გასაჭირი შესჩივლა, როგორ გატეხა მისი სული ბოროტმა ძალამ და აღარ შეუძლია წმინდა როზალიას ხატის გასრულება, ბიჭებმა სიცილი დააყარეს: „შენ, ძმაო, რა სნეულეზაც გჭირს, შესანიშნავად ვიცით, ამიტომაც ნება გვიბოძე ესკულაპსა და კაცთა მოსიყვარულე ჰიგიას ღვინო შევწიროთ და ეგ უქეიფობა და უძალობაც გაგივლის“. ჭაბუკებმა სასწრაფოდ მოიტანეს სირაკუზული ღვინო, სასმისები აავსეს და ზედაშეს შეწირვა იწყეს წარმართული ღმერთებისადმი დაუმთავრებელი პორტრეტის წინ, მაგრამ მერე და მერე, როცა ეს საეკლესიო რიტუალი ქეიფსა და ღრეობაში გადაიზარდა და თვითონ ფრანჩესკოსაც შესთავაზეს ღვინით სავსე თასის შესმა, იმან არ ისურვა მზინახეობა გაეწია თავისი ლაგამაწყვეტილი ძმებისათვის, თუმცა მოქეიფებმა მისი სათაყვანებელი ღმერთქალის — ვენერას სადღევრძელოს შესმა სთხოვეს. მაშინ ერთ-ერთმა ძმათაგანმა თქვა: „ეტყობა, ეს შერეკილი მხატვარი მართლა ავადაა სულითა და ხორციით და სასწრაფოდ მკურნალი უნდა მოეუყვანო“.

მან პალტო მოიხურა, ხელში მახვილი აიღო და გარეთ გავიდა. ორიოდ წუთი არც იყო გასული, რომ კვლავ შემობრუნდა. „საოცარია, როგორ არ გამახსენდა, რომ თვითონა ვარ ექიმი და შესაბამისად ძალმიძს განვკურნო ასეთი სნეული“. და ყმაწვილმა სრულიად მოულოდნელად ხანდაზმული ექიმის სახე მიიღო, მუხლები აუკანკალდა, ნორჩ პირისახეს უცნაური ნაოჭები და ნაკეცები გაუჩნდა, მთლად მიხრწნილ



ბებერს დაემსგავსა. ამხანაგები კინალამ სიცილით მოკვდნენ, ეს რომ დაინახეს: „ხედავთ რანაირად დაეღრიჯა სახე, მართლა სწავლული აკვონება“. ექიმი მიუახლოვდა სხეულ ფრანჩესკოს და მკაცრად, თანაც დამცინავად უთხრა: „ო, შე საწყალო, ვიცი, რომ შემიძლია გიხსნა სევდისა და უილაჯობისაგან. ასეთი გაუბედურებული და ფეხმძიმდნის ქალღმერთ ვენერას ნამდვილად არ მოეწონები. ვინ იცის, იყნებ-წყნებ და როზალიამ მოგხედოს, თუკი განიკურნები და ფეხზე დადგები. უნემისდილო მეგობარო, დალიე ჩემი სასწაულმოქმედი წამალი, რაკი წმინდანის დახატვა განგიზრახავს, ჩემი სასმელი უთუოდ გიმგელის, დამიჯერე, იგი წმინდა ანტონიუსის სარდაფიდანაა მოტანილი“. და ვითომ ექიმმა პალტოს ჯიბიდან ბოთლი ამოაძვრინა და გახსნა. იქიდან უცნაური სურნელი ამოვარდა, რამაც ჭაბუკები გააბრუა, ძილ-ბურანი მოგვარა. ყმაწვილებმა თვალები მილულეს და სავარძლებში მიესვენენ. ფრანჩესკო კი მეტისმეტად გაშმაგდა იმის გამო, უილაჯო რა უსუსური რომ დაუძახეს, ექიმს ბოთლი ხელიდან გამოგლიჯა და რამდენჯერმე გადაჰკრა. „ღმერთმა შეგარგოს!“ — იყვირა ჭაბუკმა, რომელმაც კვლავ დაიბრუნა ახალგაზრდული სახე და სიარული. მერე ჩაძინებული მეგობრები გააღვიძა და მათთან ერთად კიბეზე დაეშვა. ამობოქრებული ვეზუვის მთა რომ ამოანთხევს ყოვლისმშთანთქმელ ცეცხლებს საშინელი ამოფრქვევისას, ისე მძვინვარებდა ახლა ფრანჩესკოს სულში აგიზგიზებული ნაღველი. ყველა წარმართული იგავი და ალეგორია, რაც კი ოდესმე დაუხატავს, თვალწინ დაუდგა, ვითარცა ცოცხალი ქანდაკებები, და იღრიალა: „შენც უნდა მოხვიდე ჩემთან, ტკბილო ღვთაებავ, იყავი სამუდამოდ ჩემი, თორემ მიწისქვეშეთის ღმერთებს ვემსხვერპლები!“ ეს თქვა და ვენერა დაინახა, სავარძლის წინ იდგა და ალერსით უხმობდა თავისკენ. ფრანჩესკო საწოლიდან წამოდგა და სასწრაფოდ შეუდგა წმინდა როზალიას ხატის შექმნას. ზედმიწევნით წარმართი ღმერთქალის მსგავსი პირისახე დახატა წმინდანისა, თავდაპირველად თითქო ხელი არ დაემორჩილა, არაგანგებისად რომ ხატავდა წმინდა როზალიას პორტრეტს, ფუნჯი თითქო აუსხლტა ნისლებს, რომლებიც წმინდანს შემობურვოდა თავზე. უნებლიეთ გაასრულა ბარბაროსი მწვალებლების სახეთა ხატვაც, წმინდანს რომ გარს შემოხვეოდნენ. ნისლებიდან გამოკრთა მოწამის ზეციური სახის ნაკვთები. მან ისეთი ცხოველმოსილი სისავსით აღვსილი ლაჟვარდისფერი თვალები მიაპყრო მხატვარს, რომ ფრანჩესკო თავისი ნახატის წინ გულშეღონებული დაეცა, თითქოსდა მეხის დაცემამ სასიკვდილოდ განწირაო. მერე როგორც იქნა გონს მოეგო, რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, მაგრამ ვერ გაბედა შეეხედა სურათისათვის, რამაც ასეთი საშინელება დამართა. თავი დახარა, მაგიდასთან მილასლასდა, რაზეც ექიმის მოტანილი ღვინის ბოთლი იდგა და გადაჰკრა. ღვინომ ჯანზე მოიყვანა და ახლა კი გაბედა შეეხედა პორტრეტისათვის და ნახა, რომ იგი ფუნჯის უკანასკნელ ხაზამდე დასრულებული იყო. სურათიდან მას უცქეროდა არა წმინდა როზალია, არამედ ქალღმერთი ვენერა მწველი, ვნებიანი მზერით. მაშინვე მისადმი ველური, უტიფარი ნდობა აღედრა. ვიჟურმა წადილმა ააღრიალა და გაახსენდა წარმართი მოქანდაკე პიგმალიონი, რომლის ამბავიც ოდესღაც თვითონ დაუხატავს, და მასავით ემუდარე-



ზოდა ქალღმერთ ვენერას, რათა სული ჩაედგა და გაეცოცხლებინა მისი  
 ქანდაკება. სურათი თითქო შეინძრა, მაგრამ როგორც კი მოხვევა მო-  
 იწადინა, კარგად დაინახა, რომ ის ცოცხალი არსება კი არა, უსულო  
 ტილო იყო. მერე სატანისეულმა ბორგვამ და მძვირფარეზებმა შეიპყრო,  
 თმა დაივლიჯა. მესამე დღეს, როცა ქანდაკებასა და განსჯებულ იდგა  
 თავის მიერ შექმნილი ნახატის წინ, კარი გაიღო და კაბის შრიალი გა-  
 იგონა. მოიხედა და რას ხედავს? ორიგინალის ზუსტი მსგავსება, ხორც-  
 შესხმული წმინდა როზალია, ვითარცა გამოუთქმელი მშვენებით აღვ-  
 სილი ცოცხალი ქმნილება, იდგა მის წინაშე. ამის დამნაშავეა კინალამ  
 ჭკუა დაკარგა, მხატვარი ძრწოლვით უცქეროდა თავის ნახატს, რომე-  
 ლიც ზუსტი ანარეკლი იყო უცნობი ქალისა. და ფრანჩესკოს დაემართა  
 იგივე, რაც უცნაური ხილვის გამოცხადებისას ემართება ადამიანს. ხმა  
 ვერ ამოიღო, სიტყვაც ვერ დაძრა, უსიტყვოდ მუხლებზე დაეცა უც-  
 ნობი ქალის წინაშე და თაყვანისცემით გაუწოდა ხელი. უცნობმა ქალ-  
 მა აღერსიანად შეხედა, გაუღიმა, ფეხზე წამოაყენა და უთხრა: ხშირად  
 მინახიხარ ლეონარდო და ვინჩის სამხატვრო სკოლაში; მაშინ პატა-  
 რა გოგო ვიყავი და თქვენდამი გამოუთქმელი სიყვარული მწვავდა; მი-  
 ვატოვე რა მშობლები და ნათესავები, მარტო ჩამოვედი რომში მხო-  
 ლოდ იმისთვის, რომ თქვენ მეხილეთ. შინაგანი ხმა მეუბნებოდა, ფრან-  
 ჩესკოსაც უყვარხარო, გუმანით ვგრძნობდი, რომ თქვენდამი უსაზღვრო  
 ლტოლვა და წადილი უსათუოდ შეგაძლებინებდათ შეგექმნათ უბადლო  
 პორტრეტი ქალისა. ჩემი გუმანი გამართლდა, აკი ვხედავ კიდევაც ყვე-  
 ლაფერს თვალნათლივო. ფრანჩესკომ მიუგო: სწორედ სულთა ურთი-  
 ერთწვდომა და შეცნობაა ძირითადი საფუძველი უცნაური ქალისადმი  
 ჩემი შეშლილი ტრფობისა, რამაც შემაძლებინა საოცარი პორტრეტი  
 დამეხატაო. იგი მგზნებარე ტრფობით აღვსილი მოეხვია ქალს და წამ-  
 სვე უნდოდა ეკლესიაში წაეყვანა, რათა მღვდელმსახურს ჯვარი დაეწე-  
 რა მათზე და წმინდა ღვთიური კანონით შეეკრა ეს ქორწინება. უცნო-  
 ბი ქალი შეძრწუნდა ამის გაგონებაზე; „ო, ჩემო ძვირფასო ფრანჩესკო,  
 აბა, რად გვინდა ჯვრისწერა? განა შენ უშიშარი და ლომგული ხელო-  
 ვანი არა ხარ, ვისაც არასოდეს ბოჭავდა შესაკრავნი და სახიფნი ქრის-  
 ტიანული ეკლესიისა? შენ ხომ სიხარულისმომგვრელ, მარად ახალგაზ-  
 რდა კლასიკურ ძველ ხანას და მის სიცოცხლის მოტრფიალ ღმერთთა  
 სამყაროს ეკუთვნი მთელი არსებით? აბა რა საქმე აქვს ჩვენს კავშირ-  
 თან საწუთროვაცუდებულ ბერს, რომელსაც უსასოო სევდასა და წუ-  
 ხილში ცხოვრება არგუნა ბედმა. მოდი, ლაღად და მხიარულად აღვ-  
 ნიშნოთ დღესასწაული ჩვენი სიყვარულისა“. ქალის სიტყვებმა აცდუნა  
 ფრანჩესკო და თავისი ცოდვილი და ფუქსავატი მეინახეების თანხლე-  
 ბით, რომლებიც თავს მის ძმებად და მეგობრებად რაცხდნენ, იმავე სა-  
 ლამოს გადაიხადა ქორწილი უცნობ ქალთან წარმართული ადათ-წესების  
 დაცვით. ქალმა თან მოიტანა ძვირფასეული განძითა და ფულით ავსე-  
 ბული სკივრიც. ფრანჩესკო დიდხანს ცხოვრობდა მასთან თავაწყვეტილ,  
 უწმინდურ განცხრომაში და ხელოვნებისაგან განმდგარი. ქალი დაორ-  
 სულდა, და კიდევ უფრო თვალისმომჭრელი სილამაზით დამშვენდა, გა-  
 იფურჩქნა, ფრანჩესკო უკვე ველარ უძლებდა მისგან მოგვრილ უსაზღ-  
 ვრო, დამათრობელ ნეტარებას. ერთ ღამეს ყრუ და შიშისმომგვრელმა



კვნესამ გამოაღვიდა. შეშინებული წამოხტა, სანთლით ხელში მივიდა ცოლის საწოლთან და დაინახა, რომ ცოლს პაწია ბიჭუნა გაეჩინა. ხასწრაფოდ გააგზავნა მსახურები მეანი ქალისა და ექიმის მოხაყვანად, იმათ მოსვლამდე კი თვითონ ამოიყვანა ბავშვი დედის წიაღიდან, ქალმა შემადრწუნებლად დაიყვირა, ისე დაიკლაკნა-დაიგროსა, თითქოს ვეღარცა სულისშემსუთველი ძალით ახრჩობდა, ის კი ცდილობდა თავი დაეღწია მისგან. ამასობაში ბებიაქალიც მოვიდა მსახურებთან ერთად, მალე ექიმიც გამოჩნდა. ის იყო მშობიარესათვის შემწეობა უნდა აღმოეჩინათ, რომ შეძრწუნებულებმა უკან დაიხიეს, ქალი ცოცხალი აღარ იყო, სიკვდილს მისი სხეული გაეხევებინა. კისერზე და მკერდზე ზიზღის-მომგვრელი ლაქები აჩნდა, ნატიფი და ნორჩი პირისახე საზარლად დაღმეჭოდა, დანაოჭებოდა, თვალები შემზარავად გადმოეკარკლა. ბებიაქალისა და მოახლის ყვირილზე მეზობლები შემოცვივდნენ. რა ხანია, ამ უცნობ ქალზე უცნაური ხმები დადიოდა. ფრანჩესკოსა და მისი განცხრომით ცხოვრება ყველას უხამს და საძრანის ქცევად მიაჩნდა. ბოლო ხანებში ინკვიზიციის ყურამდეც მისულიყო მისი უკანონო ცხოვრება ფრანჩესკოსთან. როცა მიცვალებულის საშინლად დამახინჯებული პირისახე ნახეს, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ფრანჩესკო დაუკავშირდა ეშმაკს, რომელიც ამჯერად მთლიანად დაეუფლა თავის მსხვერპლს. მისი სილაშაზე ყალბი ცდუნება იყო წყეული ჯადოქრობის მეშვეობით. მიცვალებულთან ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა. ფრანჩესკო მიხვდა, ვისთანაც ჰქონია საქმე, და საშინელმა ძრწოლამ შეიბყრო. თვალწინ დაუდგა ჩადენილი ცოდვები, ღვთის სამსჯავრო მისთვის აქვე მიწაზე დაიწყო, რადგან სულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა.

მეორე დღეს წმინდა ინკვიზიციის მოხელე ეახლა ფრანჩესკოს ჯალათებთან ერთად და მისი დაპატიმრება მოინდომა. ძველებურმა სიამაყემ და სიმამაცემ გაიღვიძა ფრანჩესკოში, დაშნა იშიშვლა, გზა გაინთავისუფლა და გაიქცა. რომიდან კარგა მოშორებით მღვიმე იპოვა და იქ დაიდო ბინა. ქანცმილეულმა და ილაჯგაწყვეტილმა ანგარიშმიუცემლად ახალშობილი შვილი ლაბადაში გაახვია და თან წამოიყვანა. გამოქვაბულში ყოფნისას იმზომ საშინელი რისხვით აღივსო ეშმაკეული ცდუნების ნაყოფისადმი, რომ ლამის ქვებით არ ჩაქოლა შვილი, მაგრამ როგორც კი თოთო ბავშვი ხელში აიყვანა და მისი გულამოსკვნილი ტირილი გაიგონა, გული მოუღბა და თანაგრძნობით განიმსჭვალა მისადმი. ჩვილს ხავსის საწოლი გაუკეთა. ნარინჯის წვენით კვებავდა, თან რომ წამოელო. ფრანჩესკომ მონანიე მეუღაბნოეს დარად რამდენიმე კვირა მღვიმეში გაატარა და ზურგი აქცია რა თავის უწინდელ უტიფარ შეცოდებებს, წმინდანების წინაშე ლოცულობდა, მეტადრე დიდხანს ევედრებოდა პატიებას მისგან სასტიკად წაბილწულ წმინდა როზალიას ხატს, მოსარჩლეობას ემუდარებოდა უფლის საბრძანისის წინაშე. ერთ საღამოს ფრანჩესკო ჩვეულებრივ აღავლენდა ლოცვას მარტოდმარტო უღაბნოში მუსლმოდრეკილი და ანაზღად მზეს შეხედა, იმხანად რომ ზღვაში ჩაეშვა და საღამოს მონაცრისფრო ნისლში ჩაიკარგა. ფრანჩესკომ პაერში მოციმციმე ვარდისფერი სხივი შეამჩნია, რომელმაც თანდათან გამოკვეთილი სახე მიიღო. მან იხილა ანგელოზე-



ბით გარშემორტყმული წმინდა როზალია. იგი მუხლმოდრეკილი იდგა ღრუბლებზე. სალამოს ნიავეა დაჰბერა და ფრანჩესკომ გაიგონა უნაზესი შრიალისა და შარიშურის მსგავსი სიტყვები: „უფალო, შეუხდე ადამიანს, ვინაც უილაჯობისა და უძღურების გამო ვერ შეძლო გამკლავებოდა სატანის ცდუნებებს“. მაშინ ღრუბლებს მიღმა ღრდინის სხივი გაბრწყინდა, ცის კაბადონზე ყრუ გრუხუნი გაისმა და ამ გრუხუნში გაიგონა ხმა: „მისებრ ცოდვილი კაცი ქვეყანაზე არ მოიძებნება! არავითარი შეწყალება და დანდობა მას! საფლავშიც კი ვერ მოისვენებს, ვიდრე სიცოცხლეს განაგრძობს მოდგმა, რომელმაც მკრეხელური ცოდვა ჩაიდინა“.

ფრანჩესკო მუხლებზე დაეცა, რადგან იცოდა, რომ განაჩენი მასზე გამოტანილი იყო, განგებას მისთვის მიესაჯა დედამიწის ზურგზე უსასოო ხეტიალი. ისე გაიქცა, ბავშვიც არ გახსენებია, მღვიმეში რომ დატოვა. არც კი მოფიქრებია, ფუნჯი აეღო ხელში. უკიდურეს სილატაკეში ჩავარდნილი და სრულიად უპოვარი ცხოვრობდა. ხანდახან კი გაჰკრავდა გულში, რომ შესწევდა ძალა შეექმნა დიდებული სურათები ქრისტიანული სარწმუნოების სადიდებლად. თითქოს შეუდგა კიდევაც ჩანახატითა და კოლორიტით გრანდიოზული ნაწარმოებების მოფიქრებას ღვთისმშობლისა და წმინდა როზალიას წამებულ ცხოვრებათა შესახებ, მაგრამ როგორ უნდა შედგომოდა საქმეს, როცა ჯიბეში გროშიც არ ედო ტილოსა და საღებავების საყიდლად და ის საცოდავი ნაწყალობევი, რასაც ეკლესიის კართან ხელგაწვდილს უბოძებდნენ ხოლმე, ძლივს თუ ჰყოფნიდა თავის საწუთროგაარმებულ ყოფის გასათრევად. ერთხელ უცნაური რამ მოხდა: ეკლესიაში იყო თვალგაშტერებული და ფიქრში ხატავდა მის ცარიელ კედლებს. ამ დროს პირსრიდუარებული ორი მანდილოსანი ეახლა. ერთმა ანგელოსის ხმით უთხრა: „შორეულ პრუსიაში ღვთისმშობლის ტაძარი აშენდა იმ ადგილას, სადაც უფლის ანგელოსებმა ცაცხვის ხეზე დაასვენეს მისი სასწაულმოქმედი ხატი. ამ ტაძრის კედლები დღემდე მოუხატავია. წადი იქ, დაე, შენი ხელოვნების გამობრწყინება წმინდა ლოცვად მოგვევლინოს, რაც შენს დაწეწილ სულს საღებავად მოეცხება და ზეციურ შვებას მიაგებს“.

როცა ფრანჩესკომ მანდილოსნებს შეხედა, შეამჩნია, რომ ისინი ნაზად მოციმციმე სხივებში ჩაინთქნენ და ეკლესია აივსო ვარდებისა და შროშანების კეთილსურნელებით. ახლა კი იცოდა ფრანჩესკომ, ვინც იყვნენ ეს ქალები, და მეორე დილითვე უნდოდა შედგომოდა მომლოცველობას. სწორედ იმ სალამოს რის ვაივაგლახით მოძებნა იგი ცენობიოს მსახურმა, რომელმაც დაგვიანებით გადასცა ორი წლის ჯამაგირი, თანაც უთხრა, ძმა სასახლეში გეპატიუებათო. მხატვარმა უარი განაცხადა საბოძვარზე, მხოლოდ მცირეოდენი თანხა დაიტოვა, დანარჩენები კი გლახაკთა და უპოვართ დაურიგა. იგი შორეულ პრუსიაში მიმავალ გზას დაადგა. ჯერ რომში უნდა გაევილო, ამიტომაც მეზობელ კაპუცინთა მონასტერში შეიარა, რომელსაც მის მიერ შექმნილი წმინდა როზალიას ხატი უბოძა. საკურთხეველთან ჩამოკიდებული ხატი კარგად დაათვალიერა და აღმოაჩინა, იგი მისეული ორიგინალის ასლი იყო. როცა მიიკითხ-მოიკითხა ორიგინალის ადგილსამყოფელი — უთხ-







ბის დარღვევა, მაგრამ ფრანჩესკომ დიდად მოიწადინა და ბოლოს და ბოლოს შეძლო კიდევ ეშმაკეული მანქანებით ეცდუნა ქალი, მაცდური ვნებათა ლელვა აღეძრა მასში, თავისდა უნებურად, ქალმაც უმადურება გამოიჩინა და უღალატა თავის კეთილისმყოფელს. ორბევამ შეძლო გრაფი პიეტრო და გრაფის ასული ანჯიოლა, რომელთაც ჭადარაჭილით მამობრივი სინარულით ატაცებული იკრავდა გულში, ამ შეცოდების ნაყოფი იყო, რაც სამუდამოდ დაფარული და უცნობი დარჩა მალალი საზოგადოებისათვის.

შინაგანმა ხმამ შთამაგონა და ჩემს ძმას — ცენობიოს ვეწვიე და ვუთხარი: „მე, ჩემო ძმაო, ტახტზე უარი ვთქვი და სხვაგვარად არც მომავალში ვაპირებ. თუკი უშვილოდ გადაგებული ჩემზე ადრე აღესრულები, მაშინაც ერთი საწყალი და ლატაკი მხატვარი დაფრჩები და მთელ სიცოცხლეს წყნარად განვლევ ლოცვა-მარხვებში და მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებას მივუძღვნი თავს. ოღონდ ჩვენს პატარა ქვეყანას ნუ დავუთმობთ საჯიჯგნად უცხო სახელმწიფოს. ფრანჩესკო, რომელიც გრაფმა ფილიპომ აღზარდა, ჩემი ვაჟიშვილია. მე მივატოვე იგი გამოქვაბულში, სადაც გრაფმა ფილიპომ ნახა. იმ სპილოსძვლის სასმისზე, იქვე რომ იდო, ჩვენი სახელმწიფოს ღერბია ამოტვიფრული, რომელიც ადასტურებს ბიჭის ჩვენი ოჯახიდან წარმომავლობას, ხოლო მისი სახე და გარეგნობა კიდევ უფრო მეტად. იშვილე ეს ბიჭი, ჩემო ცენობიო, და იგი შენი შთამომავალი იქნება“.

ცენობიოს ეჭვი რომ გამექარწყლებინა ამ ბიჭის კანონიერი ქორწინების შედეგად ამქვეყნად მოვლინების შესახებ, მას წარვუდგინე ჩემგან დიდი გარჯის წილ მოპოვებული ბეჭედდასმული და ხელმოწერილი აქტი შეილად აყვანაზე. ასე რომ, ბოლო მოელო ჩემი ვაჟიშვილის ცოდვიან, მრუში ცხოვრების შედეგად მიღებულ წარმომავლობას. მალე მან კანონიერად იქორწინა და გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც პაოლო ფრანჩესკო დაარქვა. ცოდვილმა თესლმა ცოდვილი გზითვე მოასწრო გაღვივება და ფესვის გადგმა. მაგრამ განა ჩემს ვაჟიშვილს არ ძალუძს მონანიებით გამოისყიდოს თავისი მძიმე შეცოდებები? მე ვიდექი მის წინაშე, ვითარცა უფლის სამსჯავრო, რაკი სული მისი სპეტაკი იყო და უცოდველი. სამყაროსაგან დაფარული გამიმხილა სულმა, რომელიც მეტისმეტად მძლავრობდა ჩემში და იმზომ მალლა ამტყორცნა ცხოვრების ბოხოქარ ტალღებზე, რომ სიღრმეში ჩავიხედე, მაგრამ სიკვდილს მაინც არ ვახსოვდი, მაინც არ მიკრავდა გულში, არ უნდოდა თავის საუფლოს მივეზარებინე.

ფრანჩესკოს მოშორებამ გრაფი ს.-ის მეუღლეს სიკვდილი მოუტანა. სწორედ ფრანჩესკოს წასვლის შემდეგ გაიღვიძა ქალში სინდისის ქენჯნამ, მაგრამ ვერ შეძლო გადაეტანა ბრძოლა ცოდვილისადმი სიყვარულსა და ჩადენილი ცოდვის გამო მონანიებას შორის. გრაფმა ფილიპომ ოთხმოცდაათი წელი იცოცხლა და სიკვდილის წინ ბავშვობას დაუბრუნდა. პიეტრო, რომელიც მის ვაჟიშვილად ითვლებოდა, თავის და ანჯიოლასთან ერთად ეწვია ფრანჩესკოს, რომელიც ცენობიოს სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა. სწორედ იმ ხანად გადაიხადეს გრანდიოზული ზეიმით პაოლო ფრანჩესკოს ნიშნობა ჰერცოგ მ-ის



ასულ მარია ვიტორიასთან. პატარძლის ენით უთქმელმა სილამაზემ იმზომ დაარეტიანა პიეტრო, რომ მძვინვარე ტრფობის ალი მოეღო მი-სადმი და არანაირ საფრთხეს არ დაერიდა, ოღონდ ქალს მოწყალე თვა-ლით შეეხედნა და ეთანაგრძნო მისთვის. პაოლო ფრანჩესკოს თვალს გამორჩა პიეტროს ეს კურკური, რადგან თვითონ უგონოდ შეუყვარდა თავისი და ანჯიოლა, რომელმაც გულგრილად უარყო ეს სიყვარული. ვიტორიას საღმრთო აღთქმა უნდა შეესრულებინა, ქორწინების წინ რამდენსამე ხანს უმკაცრეს მარტოობაში ეიკხოვრა, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებოდა იგი სასახლეში. ამას ქორწინებაც მოჰყვებოდა, რის შემდეგაც გრაფი პიეტრო თავის დასთან ერთად მშობლების სახლს დაუბრუნდებოდა. ამასობაში კი პაოლო ფრანჩესკოს სიყვარული ანჯი-ოლასადმი კიდევ უფრო გამძაფრდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ქალისაგან მტკიცე უარი მიიღო, ეს სიყვარული იქცა ველური მხეცის გააფრთე-ბულ ნდომად. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეცხრო თავისი ენება და ავხორცული განაცხრომა ეგემა. ქორწილის დღეს მან სამარ-ცხენო მუხანათობა ჩაიდინა, ღიღრე საპატარძლოს ოთახში შევიდოდა, ანჯიოლას საძინებელში დააცხრა თავს და გონზე მოსვლა არც აცალა, რაკი თრიაქიანი საქორწინო არჩივი ჰქონდა მიღებული, თავისი ბილ-წი სურვილი შეისრულა. როცა ანჯიოლა ამ საძრახმა საქციელმა ლა-მის სიკვდილის პირას მიიყვანა, მაშინ კი შეაწუხა და გაჩანჯა პაოლო ფრანჩესკო სინდისის ჩენჯნამ და აღიარა თავისი უკეთური და უმსგავ-სო საქციელი. მრისხანება პირველად ისე შემოენთო პიეტროს გულზე, რომ იმწამსვე უნდოდა სიცოცხლეს გამოესალმებინა მოღალატე, ხელე-ბი უღონოდ დაუშვა იმის გაფიქრებისთანავე, რომ ამ შემთხვევაში შუ-რისძიება წინ უსწრებდა უკვე მომხდარ გადაცდომას. პატარა პრინცესა გიაცინტა ფონ ბ., რომელიც ვიტორიას დისშვილად ერგებოდა, იყო ნაყოფი პიეტროს იღუმალის კავშირისა პაოლო ფრანჩესკოს საცოლეს-თან. საბოლოოდ პიეტრო ანჯიოლასთან ერთად გაემგზავრება გერმა-ნიაში, სადაც ანჯიოლამ შობა ვაჟიშვილი, რომელსაც ფრანცი დაარქვეს და შესანიშნავი აღზრდაც მისცეს. უცოდველი და უდანაშაულო ანჯიო-ლა ბოლოს დამშვიდდა, თითქოს დაივიწყა კიდევ თავს გადახდენილი სიავე, მაგრამ მისი სილამაზე საოცრად გაიფურჩქნა და აყვავდა. იგი გზნებით შეიყვარა ჰერცოგმა თეოდორ ფონ ვ.-მ. ამ სიყვარულს ანჯი-ოლამ წრფელი გულით მიაგო სამაგიერო. მალე იგი ჰერცოგ თეოდო-რის ცოლი გახდა, იმ ხანებში გრაფი პიეტროც დაქორწინდა გერმანელ გოგონაზე, ვისგანაც ასული ეყოლა, ანჯიოლამ კი ჰერცოგ თეოდორს ორი ვაჟიშვილი აჩუქა. ამ ღვთისმოსავ ქალს სრული უფლება ჰქონდა მშვილად ეგრძნო თავი, რადგან მისი სინდისი სუფთა და უცოდველი იყო. მაგრამ ზოგჯერ შავი ნაღველი შემთაწვებოდა გულზე, როცა მოაგონ-დებოდა, რა ავი საქმე დამართა მას პაოლო ფრანჩესკომ. ზოგჯერ ეჩ-ვენებოდა, რომ ეს ცოდვა, რომელიც მან გაუცნობიერებლად ჩაიდინა, უკვალოდ არ ჩაივლიდა, ამისათვის მის შთამომავლობას უსათუოდ სა-მაგიერო მიეზღვებოდა. ვერც აღსარებები ამშვიდებდა და ვერც სრული განტევება ცოდვებისა. დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ ღვთის წყლო-ბასავით მოევიდინა აზრი იმის შესახებ რომ ყველაფერი ქმრისთვის გა-ემხილა. თუმცა წინასწარ კი გრძნობდა, რა საშინელ რეაქციას გამოიწ-



ვევდა პაოლო ფრანჩესკოს ამ საშინელი ავკაცობის სამზეოზე გამოტანა, მაგრამ მაინც საზეიმო ფიცი დადო, რომ იგი აუცილებლად გადადგამდა ამ ძნელ ნაბიჯს და კიდევაც შეასრულა თავისი აღთქმა. პერცოგი თეოდორი შეაძრწუნა ამ ამბის მოსმენამ, იგი აღაშფოთა პაოლო ფრანჩესკოს უკადრისმა ქმედებამ, გაშმაგდა, აბობოქრდა, მინაგანი რისხვა უდანაშაულო ცოლსაც საფრთხეს უქადდა. მისი ქმნილი რამდენიმე თვეს განერიდა იქაურობას, შიდა სასახლეში განმარტოვდა. გამოხდა ხანი და თეოდორმა როგორღაც დაიოკა მტანჯველი განცდები, ისიც კი ქნა, არა მხოლოდ შეურიგდა მეუღლეს, არამედ ფრანცის აღზრდაზეც იზრუნა. პერცოგისა და მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ გრაფმა პიეტრომ და ახალგაზრდა პერცოგმა ალექსანდრე ფონ ვ-მ იცოდნენ საიდუმლო ფრანცის დაბადებისა. მხატვრის შთამომავალთა შორის ამ ფრანცივით არავინ არ ჰგავდა ჭკუა-გონებითა და განათლებით გრაფი ფილიპოს მიერ აღზრდილ ფრანჩესკოს, იგი საოცარი ჭაბუკი იყო, ზეგარდმო ძალით შთაგონებული, ფიცხი და ჩაუქი. ღმერთმა ქნას, წინაპართა ცოდვა მძიმე ტვირთად არ დააწვეს მხრებზე და ძალა იყოს სატანის ცდუნების გასამკლავებლად. ჯერაც ცოცხალი იყო პერცოგი თეოდორი, როცა მისი ორი ვაჟიშვილი — ალექსანდრე და იოჰანი მშვენიერ იტალიაში გაემგზავრნენ. რომში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. და ამის მიზეზი იყო არა იმდენად უთანხმოებისა და განხეთქილების ჩამოვდება მათ შორის, არამედ განსხვავებული მიდრეკილებები და მისწრაფებები. ალექსანდრე პაოლო ფრანჩესკოს სასახლეს ეწვია და ისე მგზნებარედ შეუყვარდა მისი უმცროსი ასული, ვიტორიასაგან რომ ჰყავდა, მასზე დაქორწინება განიზრახა. პერცოგმა თეოდორმა მძულვარებით თქვა უარი ამ ქორწინებაზე, რაც პერცოგ ალექსანდრესათვის საფსებით გაუგებარი იყო და მხოლოდ თეოდორის სიკვდილის შემდეგ იქორწინა პაოლო ფრანჩესკოს ასულზე. სამშობლოში მიმავალი იოჰანი გზად თავის ძმას — ფრანცს გაეცნო და ისე მოეწონა ჭაბუკი, გვერდიდან ვეღარ იშორებდა, თანაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ნათესაური დამოკიდებულება აკავშირებდა მასთან. ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ. ფრანცმა შთააგონა პრინცი იოჰანს სამშობლოში ანუ ძმის საბრძანისში დაბრუნების ნაცვლად კვლავ იტალიაში წამოსულიყო. ბედისწერის მიწვივ მიუკვლევებელ განრიგებას სწადადა ასე, რომ პრინცი იოჰანი და ფრანცი შეხვედროდნენ ვიტორიასა და პიეტროს ასულს — პრინცესა ჯიაჩინტას და ორივეს თავდავიწყებით შეყვარებოდა იგი. ასეა ხოლმე, შეცოდება მდგრადი არ არის, იგი კვლავ და კვლავ იკეთებს ყლორტებს და ვინ გაუმკლავდება მისგან მოვლენილ ბნელ, სატანურ ძალებს.

ჩემი სიჭაბუკისდროინდელი შეცოდებები და ავკაცობები მართლაც რომ შემაძრწუნებელი იყო, მაგრამ ღვთისმშობლისა და წმინდა როზალიას წყალობითა და ხელშეწყობით გადაჯურჩი მარადიულ წყევლას და ბედად მერგო ცოდვებისათვის ჯოჯოხეთის უკუნეთში კი არ კიტანჯო და ვიმარტვილო, არამედ აქ, სააქაო მიწიურ ყოფაში, ვიდრემდე ცოდვილი თვისლის საგვარეულო ზე არ დაჭკნება, ნაყოთს აღარ მოისხამს, ვიდრემდე ცოდვილთა მოდგმა სამუდამოდ არ გათაშინდება. წინასწარ ვგრძნობ ბუნდოვანი მერმისის საიდუმლოს და მაინც მამრმავებს ცხოვრების მაცთუნებელი ფერების ბრჭყვიალი და თვალის მატყუ-



ებს, მგონია, თითქოს გაურკვეველ სახეებს ვხედავ, რომელთა შორის შინაგანი კავშირი ჩემს თვალთა ხედვას ვერა და ვერ შეუცვნიდა. სწორად იმ ძაფებს ვამჩნევ, ჩემ წინააღმდეგ ამხედრებული ბნელი ძალები რომ ქსოვენ და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ვერ შევძლოთ სულით გადარჩენა. ხანდახან სულელურად ისიც კი მგონია, რომ შემხედვარე სულით შევენო ამ ძაფებს და გავარღვიო ისინი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ მკრეხელური თავისმოტყუებაა და სხვა არაფერი. მაგრამ ჩემი ვალთა მორჩილად ავიტანო რგუნებული სასჯელი და არ შევწყვიტო მონანიება ჩემთა ცოდვათა გამო, რწმენითა და მორჩილებით ავიტანო სატანჯველი, რომლის ფასად შევძლებდი ცოდვების გამოსყიდვას. დროებით მოვახერხე იოჰანისა და ფრანცის დაშინება და ჯიაჩინტასაგან განრიდება. მაგრამ სატანა ფრანცის დალუპვას ამზადებდა, რისგან თავის დახსნაც იმას არ შეეძლო. ფრანცი პრინცთან ერთად ესტუმრა გრაფ პიეტროს, რომელიც მეუღლესთან და ქალიშვილთან — ავრელიასთან ერთად ცხოვრობდა. გოგონას ჯერ თხუთმეტი წელიც არ შესრულებოდა. თავისი ცოდვილი მამის — პაოლო ფრანჩესკოს დარად, რომელიც ანჯიოლას პირველი ნახვისთანავე შეიპყრო მისადმი დაუძლეველმა ცხოველურმა ლტოლვამ, ფრანცსაც, როგორც კი ავრელია იხილა, ავხორციული წადილი მოეძალა. სათნო და ღვთისმოსაჯი ბავშვი უმწეო აღმოჩნდა მაცდუნებლის სატანური ფანდების წინაშე და უბიწო და კდემამოსილმა ასულმა ჯერ სძლია ცდუნებას, თავი ვერ დაიცვა და მთელი არსებით მიწებდა შემცდენელს და მანამ შესცოდა, ვიდრე შეცოდებაზე აზრი გაუჩნდებოდა. როცა უკვე დადუმება აღარ შეიძლებოდა მომხდარი უბედურების გამო, სასოწარკვეთილი გოგო დედას ფეხებში ჩაუვარდა და ყველაფერი უამბო. გრაფი პიეტრო, თუკი მომხდარს შეიტყობდა, უთუოდ გამოასალმებდა სიცოცხლეს ფრანცსა და ავრელიას, თუმცა თვითონაც დანაშაულისა და ცოდვის მზიდავი იყო. დედამ თავისი სამართლიანი რისხვა და წყრომა ფრანცს იმით აგრძნობინა, რომ დაემუქრა, ამ საქრახის საქმეს გრაფ პიეტროს შეეატყობინებო. ამიტომაც ურჩია, გაცლოდა იქაურობას, თვალითაც არ ენახა იგი არც მას და არც მის შეცდენილ ასულს. გრაფის მეუღლემ მოახერხა, რომ ავრელიას შეცოდება მამისათვის არ გაემხილა და სასახლიდან მოშორებულ უჩუმარ ალაგას ავრელიამ გოგო შობა. ფრანცმა კი ვერ ამოიღო გულიდან ძლიერი სიყვარული ავრელიასადმი, ვერ აიტანა მისგან მოშორება. მან შეიტყო მისი ადგილსამყოფელი და საჩქაროდ იქითკენ გაეშურა. ოთახში იმ დროს შევიდა, როცა იმხანად მოახლეების გარეშე დარჩენილი გრაფის მეუღლე თავისი ქალიშვილის საწოლზე იჯდა, ხოლო ჩვილი ბავშვი, რომელიც სულ რვა დღისა თუ იქნებოდა, კალთაში ჩაესვა. გრაფის მეუღლე დაუპატიჟებელი გარეწარი სტუმრის მოულოდნელ დანახვაზე შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო, მერე ფეხზე წამოსტა და შემოსულს უბრძანა, აქაურობას მოშორდი, აქედან დაიკარგე, თორემ შენი დღეები დათვლილია, გრაფმა პიეტრომ ყველაფერი იცის, რა ბოროტებაც ჩაიდინეო. მერე ხელი ჯიკაჯ-ჯიკავით კარისაკენ უბიძგა. ეგონა, ფრანცს შეაშინებდა, მაგრამ ფრანცი სატანურმა გამძვინვარებამ აიტანა, ბავშვი ხელიდან გამოგლიჯა და ქალს გულში მუშტი ჩასცხო. ქალი შებარბაცდა და ძირს დაეცა, თვითონ ფრანცი კი



თავქუდმოგლეჯილი გავარდა სახლიდან. გულშემოყრილი ავრელია ძლივს მოვიდა გონზე, მაგრამ დედამისი უკვე ცოცხალად აღარ იყო, — საფეთქელი მიარტყა რკინის სუნდუკს. ფრანცს მოტაცებული ბავშვის მოკვლაც უნდოდა. ჩვილი ჩვრებში გაახვია და კიბეზე დაეშვა. ის იყო სახლიდან უნდა გამოსულიყო, რომ მოულოდნელად კარგად სართულის რომელიღაც ოთახიდან საწყალობელი ტირილი და ოხვრა მოესმა. უნებურად შეჩერდა, ყური მიუგდო და იმ ოთახს მიუახლოვდა, საიდანაც მოთქმა-გოდება ისმოდა. ოთახიდან გამოვიდა ცხარე ცრემლით მტირალი ქალი. ფრანცმა იცნო ბარონესა ს-ის ბავშვების გამღელი, ვის სახლშიც იგი ცხოვრობდა. ჰკითხა, რა მოგივიდა, რატომ ტირიო. „ო, ჩემო ბატონო, — მოთქვამდა ქალი, — უბედურება დამატყდა თავს, სულ ახლახანს პატარა ეფემია კალთაში მესვა და იმის ჟღერტულს ვისმენდი, უეცრად პაწაწინა თავი ჩამოუვარდა და გათავდა. შუბლზე ლურჯი ლაქები აჩნია და ვიცი, დამაბრლებენ, ხელიდან გაუვარდაო“. ფრანცი სასწრაფოდ შევიდა ოთახში და, როცა მკვდარი ბავშვი იხილა, მიხვდა, განგებას მისი შვილი სასიკვდილოდ არ გაეწირა, რადგან იგი საოცრად ჰგავდა გარდაცვლილ ეფემიას. იქნებ გამღელი არც მთლად უცოდველი იყო ბავშვის სიკვდილში. ფრანცმა გულუხვი საბოძკარი შესთავაზა გამღელს და ისიც დათანხმდა ბავშვის გაცვლაზე. მკვდარი ბავშვი ფრანცმა ჩვრებში გაახვია და მდინარეში გადააგდო. ავრელიას შვილი კი ეფემიას სახელით გაიზარდა, ვითარცა ბარონესა ს-ის ასული და მისი დაბადების საიდუმლო მალალი საზოგადოებისათვის დაფარული დარჩა. უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილი ეკლესიას წმინდა მირონცხების საიდუმლოთი თავის წიაღში არ მიუღია, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბავშვი, ვისი სიკვდილის წყალობითაც მიენიჭა იმას სიცოცხლე ბარონესა ს-ის ასულად, მონათლული იყო. რამდენიმე წლის შემდეგ ავრელია გახდა ცოლი ბარონ ფ-ისა. ამ ქორწინების ნაყოფი იყვნენ ქალ-ვაჟი ჰერმოგენი და ავრელია.

ზეცის მარადიულმა ძალამ ბედად მარგუნა და ნება დამართო პრინცი იოჰანის ფრანჩესკოსთან ერთად (ასე ეძახდა იგი ფრანცს იტალიურ სტილში) თავისი ჰერცოგი ძმის სარეზიდენციო ქალაქში დაბრუნებისას მათ შევხვედროდი და ურთიერთობა დამემყარებინა. მინდოდა ძლიერი მკლავით დამეჭირა გზადაბნეული ფრანჩესკო, როცა იგი ხახადაფჩენილ უფსკრულს მიეახლა და შიგ ჩანთქმას ლამობდა. უმწეო ცოდვილის გიჟური ჩანაფიქრი არ შეიძლება ღვთის სამსჯავრომ შეიწყალოს. ფრანჩესკომ მოჰკლა ძმა, ხოლო შემდეგ ჯიაჩინტასთან შესცოდა მწარედ, რის შედეგადაც გაუჩნდა ვაჟიშვილი, რომელიც ჰერცოგის სასახლეში აღიზარდა გრაფი ვიქტორინის სახელით. მკვლელს კი დაქორწინება ეწადა ჰერცოგის მეუღლის ღვთისმოსავ დაზე, მაგრამ მე შევეცადე წინ აღვდგომოდი მკრეხელურ ქმედებას სწორედ იმ დროს, როცა იგი საკურთხეველთან იდგა და ჯვრისწერისათვის ემზადებოდა.

მიუტევებელ შეცოდებაზე ფიქრით გატანჯული და უმძიმეს სიღუბნეში ჩავარდნილი ფრანცი გაიქცა, რათა ჩადენილი ცოდვები მოენანიებინა. დარდითა და სნეულებით ჯანგატეხილი სად არ დაეხეტებოდა, ბოლოს ერთი გლეხკაცის ოჯახში მოხვდა, სადაც გულთბილად მიიღეს. გლეხის ასული, წყნარი და ღვთისნიერი ქალწული უცხო მამა-



კაცისადმი საოცარმა ტრფობამ შეიპყრო. იგი ზრუნვასა და მოვლა-პა-  
ტრონობას არ აკლებდა სწეულს და როცა ფრანჩესკო გამოკეთდა, ქალ-  
წულის სიყვარულს სიყვარულითვე მიაგო სამაგიერო და ისინი ქორწი-  
ლების წმინდა საიდუმლოთი შეერთდნენ. ფრანჩესკომ თავისი ცოდნისა  
და ჭკუის წყალობით იხეირა, მამის არცთუ მცირე მემკვიდრეობა  
დედ უფრო ამრავლა და მიწიური განცხრომაც იგემა. მაგრამ  
თან შეურიგებელი ცოდვილის ბედნიერება ქვიშაზე ნაგებ კოშკსა ჰგავს.  
ფრანცი კვლავ უკიდურეს სილატაკეში ჩავარდა, მის სულსა და სწეულს  
სასიკვდილო სწეულება შეეყარა. მთელი მისი ცხოვრება ერთ ხანგრძ-  
ლივ მონანიებად იქცა. ბოლოს ზეცამ ნუგეშის სხივი მოჰფინა, „წმინდა  
ცაცხვის“ მონასტერში უნდა ელოცა, ხოლო ვაჟიშვილის დაბადება სა-  
წინდარი იყო ღვთის ზეციური წყალობისა.

ტყეში, „წმინდა ცაცხვის“ მონასტერს რომ ერთყა, შევხვდი მწუ-  
ხარე დედას, რომელიც მწარედ ქვითინებდა თავის უმამოდ დარჩენილ  
ახალშობილ ობოლი ბიჭის ბედზე და სანუგეშო სიტყვა ვუთხარი მას.  
უფლის სასწაულებრივი ლოცვა-კურთხევა ებოძა ბავშვს, რომელიც  
წმინდა ღვთისმშობლის უხვი წყალობითაა მადლცხებული. ხანდახან  
ცხადლივ სტუმრობს ყრმა იესო და მის ბავშვურ სულში ზეციური სიყ-  
ვარულის ნაპერწკალს აღვივებს.

დედამ წმინდა ნათლობის დღეს თავის პირმშოს მამისეული სახელი  
დაარქვა. ო, ფრანცისკუს, წმინდა ტაძარში შობილო, ნუთუ შენი ხვედ-  
რია ღვთისმოსავი ცხოვრებით გამოისყიდო ცდომილი შენი წინაპრის  
შეცოდებანი და სიმშვიდე მიაგო იმას საფლავში? ბიჭი მალალი საზო-  
გადოებისაგან, მისი მიმზიდველი ცდუნებებისაგან შორს იზრდება გან-  
მარტოებით და სული მისი ოდენ ზეციურისაკენ მიიდრიკება. იგი ღვთის-  
მოსავი უნდა გამხდარიყო. ასე უწინასწარმეტყველა დედას წმინდა კაც-  
მა, ვინაც განსაცვიფრებელი სიმშვიდე მიაგო ჩემს სულს. იქნებ წყა-  
ლობითა ღვთისითა მოვლენილი ხარებაა, საკვირველი შუქით რომ გა-  
მასხივოსნა და ნება დამართო ცხადად მომეხილა ცოცხალი ხატი მყო-  
ბადისა.

მე ვხედავ შიშისმომგვრელად იარაღასხმულ, ბოროტ ძალასთან  
მორკინალ ჭაბუკს. იგი დაეცემა ამ ბრძოლაში, მაგრამ ღვთაებრივი  
ბანოვანი გამარჯვების გვირგვინს დაადგამს თავზე. ეს თვითონ წმინდა  
როზალიაა, რომელიც ვაჟს იხსნის და გადაარჩენს. და თუკი ზეცის მა-  
რადიული ძალა ბედად მარგუნებს, მინდა ახლოს ვიყო მასთან და თვალ-  
ყური ვადევნო ბავშვობის, სიჭაბუკის, დაჯაყკაცების წლებში და ფრთე-  
ბით დავიფარო, რამდენადაც საამისოდ ძალ-ღონე მეყოფა. იგი იქნება  
ვითარცა —

გამოცემლის შენიშვნა

ამ ადგილას, მოწყალო მკითხველო, მოხუცი მხატვრის ფერგადა-  
სული ხელნაწერის ამოკითხვა შეუძლებელი იყო. ამიტომაც კვლავ ვუბ-  
რუნდები მედარდუსის — ამ არაჩვეულებრივი კაპუცინის ჩანაწერებს.





შან აოლ სარტრი



## პ ი რ ვ ს ტ რ ა ტ მ

ფრანგულიდან

თარგმნა ნათია ამაღლოზაძე

ხალხის თვალყურება ზემოდანაა ხოლმე კარგი. ოთახში შუქს ვაქრობდი და ფანჯარასთან ვჯდებოდი. ქუჩაში მიმავალნი ვერც კი წარმოიდგენდნენ, ზემოდან ვინმე თუ დაჰყურებდათ. ადამიანი, როგორც წესი, წინა ან უკანა მხარეს აქცევს ყურადღებას. აბა ვინმეს თუ მოსვლია აზრად ზემოდან, მეექვსე სართულიდან დააკვირდეს ჩვეულებრივი ცილინდრის ფორმას? კარგი იქნებოდა თავი და მხრები ნათელი ფერის ტანსაცმლით გაელამაზებინათ, თუმცა მაინც ძნელია დაამარცხო ქვემოთ მიმართული პერსპექტივა — კაცობრიობის ეს უსასტიკესი მტერი. ფანჯარაში ვიხედებოდი და მეცინებოდა. სადღა იყო ადამიანის ყბადაღებული და საამაყო „ვერტიკალური მდგომარეობა“, გამვლულები მხრებიდან გამომავალი ორი მცოცავი ფეხით დაფორთხავდნენ მიწაზე.

კარგი იქნებოდა მთელი ცხოვრება მეექვსე სართულის აივანზე გამეტარებინა. მორალური უპირატესობა ყოველთვის უნდა გაამყარო მატერიალური სიმბოლოთი. აი, მაგალითად, რა უპირატესობა მაქვს მე სხვებთან შედარებით? მდგომარეობრივი, მეტი არაფერი — მე ვდგავარ ჩემში არსებულ ადამიანურზე მაღლა და ვაკვირდები მას. ამის საუკეთესო სიმბოლო კი ნოტრდამის კოშკებია, ეიფელის კოშკის პლატფორმები, საკრეკერო ან თუნდაც დალამბრის ქუჩის სახლში მეექვსე სართულზე მდებარე ჩემი ბინა.

ქუჩაში ჩასვლა მაინც მიხდებოდა, თუნდაც კანტორაში წასასვლელად. სული მეხუთებოდა ხოლმე, როცა ადამიანებთან პირისპირ დგახარ, ძნელია მათი ჭიანჭველებად წარმოდგენა, ისინი ხომ ყოველი მხრიდან გეხებიან. ერთხელ ქუჩაში ვიღაც ტიპი ვნახე მკვდარი. პირდალმა ეგდო. გადმოვაბრუნე. სისხლი სდიოდა, ელამი თვალები ღიად ჰქონდა დარჩენილი. ჩემს თავს ვამხნევებდი, არაფერია, ვითომ ახლად დახატულ ნახატს ვხედავ, უბრალოდ ცხვირი შეუღებეს წითლად, მორჩა და გათავდა, რა არის ამაში ამაღელვებელი-მეთქი. მაგრამ იმ წუთში მთელ



სხეულში რალაც გულისამრევი სიტკბო ვიგრძენი და გონი დავკარგე. იქვე აფთიაქში შემიყვანეს, მხრებზე ხელი მირტყეს და ცოტაოდენი ალკოჰოლი დამალევიანეს. რომ შემძლებოდა, ყველას დავხოცავდი.

ვიცოდი, ადამიანები ჩემი მტრები იყვნენ, ოღონდ თავად ეს არ იცოდნენ. მათ ერთმანეთი უყვარდათ, ხელს ართმევდნენ, მეც რომსმტყმ დაძვებარნენ, რომ თავიანთ მსგავსად მიმიჩნიეს. მაგრამ ოღონდ მათი რომ სცოდნოდათ, რას ვფიქრობდი მათზე, კარგად მიმეყუავდნენ. სხვათა შორის მოგვიანებით ასეც მოხდა. კომისარიატში მიმიყვანეს. როცა ჩემი მოსაზრებები შეიტყვეს, ორი საათის განმავლობაში მირტყამდნენ, მუშტებს მიშენდნენ, ხელიც მომტყეს, შარვალი შემომაფლითეს და ჩემი სათვალე იატაკზე დააგდეს. სანამ მუხლებზე ვფორთხავდი და სათვალეს ვეძებდი, უკნიდან წიხლებს მაზელდნენ. გული ყოველთვის მიტქვამდა, რომ ადრე თუ გვიან გამლახავდნენ. ფიზიკურად ძლიერი არ ვარ და თავდაცვა არ შემიძლია. სულ მეგონა, რომ ჩემზე ძლიერები დიდი ხანია მითვალთვალებდნენ, ქუჩაში განგებ მეჯახებოდნენ, დამცინოდნენ. მე კი თავს ვაჩვენებდი ვითომ არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხვდებოდი. პოდა, როგორც იქნა ხელში ჩამიგდეს. მეშინოდა, ცუდი წინათგრძნობა მქონდა. თუმცა მათი სიძულვილის სხვა, უფრო სერიოზული მიზეზებიც არსებობდა.

საქმე გაცილებით უკეთ წავიდა იმ დღიდან, როცა რევოლვერი ვიყიდე. თუკი თან ისეთი რამ გაქვს, რაც შეიძლება გავარდეს და სმაური ატეხოს, თავს შედარებით ძლიერად გრძნობ. კვირაობით ვიღებდი ამ რევოლვერს, ვიღებდი შარვლის ჯიბეში და ბულვარებში სასეირნოდ მივდიოდი. ვგრძნობდი, კიბორჩხალასავით როგორ მექაჩებოდა იგი შარვალზე. თავიდან ცივი იყო, მაგრამ ტანზე თბებოდა. ცოტა მოუხეშავად დავდიოდი. გეგონებოდათ, ვნებისგან ალგზნებული ვიყავი და ყალყზე შემდგარი ორგანო სიარულს მიშლიდა. ხელს ჯიბეში ვიყოფდი და იარაღს ვსინჯავდი. დროდადრო პისუარში შევდიოდი — იქაც კი ყურადღებით ვიყავი, ხომ შეიძლება ვიღაც ამოგიდგეს გვერდზე! — ვიღებდი რევოლვერს, ხელში ვწონიდი, შევათვალე რებდი ბადისებურად დახაზულ შავ სახელურს და სასხლეტს, ნახევრად დახუჭულ ქუთუთო! რომ წააგავდა. გარედან ჩემს გაჩაჩხულ ფეხებს და ჩახდილ შარვალს ვინც ხედავდა, ეგონა, ვშარდავდი, მაგრამ მე არასოდეს ვშარდავ პისუარში.

ერთ შაბათ საღამოს აზრად მომივიდა ადამიანებისთვის მესროლა. სასტუმროს წინ ერთი ქერა მეძავი იდგა ხოლმე, ღია ერქვა. მის სანახავად წავედი. ქალთან ინტიმური ურთიერთობა არასოდეს მქონია. ასეთ დროს თავს ალბათ გაჭურდულად ვიგრძნობდი. ისინი ხომ გაშმაგებით გილოკავენ მუცელს და თანაც, გამიგონია, ამით თვითონ უფრო მეტ სიამოვნებას იღებენ. მე კი არც არაფერს მოვიტხოვ და არც რამის მიცემა მინდა, თუ მაინცდამაინც ჩემთვის ისეთი გულცივი და უგრძობი ქალი იქნებოდა მისაღები, ზიზლით რომ დამნებდებოდა. ყოველი თვის პირველ შაბათს ღიასთან ერთად სასტუმრო დუკესნში მივდიოდი ხოლმე. ის გაიხდიდა, მე ჩაცმული ვიჯექი და ვუყურებდი. არც კი ვე-



ხეობდი, შარვლის შიგნით თავისთავად მეგზნებოდა ყველაფერი და ხშირად იქვე ვამთავრებდი.

იმ საღამოს ღია თავის ადგილზე არ დამხვდა. ცოტა ხანს შევიცადე და, რომ აღარ გამოჩნდა, ვიფიქრე, ალბათ გრიპი აქვს-მეთქი, იანვრის დასაწყისი იყო და ძალიან ციოდა. გული დამწყდა, ტუნებოდა, ელვებოდა ვარ და ცხადად მქონდა წარმოდგენილი, რა დიდი სიამოვნების მიღება შემეძლო იმ საღამოს. ოდესის ქუჩაზე ერთი წაბლისფერთმიანი ქალი მყავდა შეთვალეირებული, ოდნავ ხნიერი, მაგრამ ძლიერი და სრული. ხნიერი ქალები მომწონს კიდევ. გახდილნი როცა არიან, სხვებთან შედარებით უფრო შიშვლები ჩანან. მაგრამ ჩემი ჩვეულების შესახებ მან არაფერი იცოდა და ასე პირდაპირ ყველაფრის მიხლა ცოტა არ იყოს მეუხერხულებოდა. თანაც ახალ ნაცნობობას გავუბოდი: ხომ შეიძლება ასეთ ქალებს ვინმე ჯიბგირი ჰყავდეთ კარს უკან დამალული და, როგორც კი საქმეს მორჩები, თავზე დაგეცეს და გაგძარცვოს. მადლობა თქვი, კიდევ თუ არ მიგბეგვა. თუმცა იმ საღამოს უჩვეულოდ მომემატა გამბედაობა. გადავწყვიტე სახლში გამევილო, რევოლვერი ამელო და ალაღბედზე გავსულიყავი ქუჩაში.

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ წაბლისფერთმიან მეძავს მივუახლოვდი. იარაღი ჯიბეში მედო და აღარაფრის მეშინოდა. ახლოდან რომ შევხედე, საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა. ჩემ წინ მცხოვრები ზემდეგის ცოლს ჰგავდა და გამიხარდა. უკვე კარგა ხანია ჩემი მეზობელი შიშველი მინდოდა მენახა. როცა ზემდეგი მიდიოდა, ცოლი ღია ფანჯრის წინ იცვამდა. მე ამ დროს ჩემი ფანჯრის ფარდის უკნიდან ვუყურებდი. მაგრამ ქალი ოთახის სიღრმეში იყო და არც მაინცდამაინც კარგად ჩანდა.

სასტუმრო სტელას მეოთხე სართულზე ერთი თავისუფალი ოთახი იყო დარჩენილი. ავედი. ქალი ყოველ საფეხურზე ჩერდებოდა სულის მოსათქმელად. მე კი თავს კარგად ვგრძნობდი, გამხდარი ვარ და მეოთხე სართულზე ადვილად შემიძლია ასვლა. ქალი გაჩერდა, ხელი გულზე მიიღო, მძიმედ სუნთქავდა. მარცხენა ხელში ოთახის გასაღები ეჭირა.

— ცოტა მალაა, — დაიჩივლა მან, თან ცდილობდა გაეღიმა.

გასაღები გამოვართვი და კარი გავაღე. მარცხენა ხელი ჯიბეში რევოლვერზე მეკიდა. მანამ არ გავუშვი, სანამ სინათლე არ აგანთე. ოთახი თითქმის ცარიელი იყო. პირსაბანზე მწვანე საპონი იდო, ზოგიერთებს საქმეს უადვილებს ხოლმე. გამეცინა, მე ხომ ის არაფერში მჭირდებოდა. ქალი ჩემ უკან იდგა და ისე ქოშინებდა. ალგზნება ვიგრძენი. შემოვბრუნდი. მან ტუჩები გამომიწოდა. ხელი ვკარი.

— გაიხადე, — ვუთხარი.

იქვე მდგარ სავარძელში მოვკალათდი. ასეთ წუთებში ვნანობ ხოლმე, სივარეტს რომ არ ვეწევი. ქალმა კაბა გაიხადა, შეჩერდა და ეჭვიანი მზერა მომაპყრო.

— რა გქვია? — ვკითხე და სავარძლის ზურგზე გადავწექი.

— რენე.

— მაშ კარგი, რენე. ოღონდ იჩქარე, გელოდები.



— შენ არ გაიხდი?

— მიდი, მიდი, ჩემზე ნუ სწუხარ.

ქალმა ჯერ საცვალი დაავლო ფეხებთან, მერე ლიფიც გონდა და ორივე კაბაზე გადაფინა.

— აი, შე ზარმაცო, — მომმართა მან, — გინდა ყველაფერი შენ თვითონ გავაკეთო, არა?

ქალი მომიახლოვდა, ხელებით დაეყრდნო სავარძლის სახელოებს და შეეცადა ჩემს ფეხებს შორის ჩამუხლულიყო. მაგრამ უხეშად წამოვაყენე.

— არ გინდა, ეგ არ გინდა.

გაკვირვებით შემომხედა.

— აბა რა გავაკეთო?

— არაფერი, აქეთ-იქით იარე, გაიარ-გამოიარე, მეტს არაფერს მოვითხოვ.

ქალმა ოთახში სიარული დაიწყო, შეცბუნებული ჩანდა. არაფერია ქალისთვის იმაზე მოსაწყენი, ვიდრე შიშველმა უმიზნოდ იაროს. ტერფების სწორად დადგმასაც კი არ არიან შეჩვეულნი. ჩემ წინ მოსიარულე მეძავი ბეჭებში მოხრილიყო და ხელები მძიმედ დაეშვა ძირს. მე ამ დროს კმაყოფილებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი, მშვიდად ვიჯექი სავარძელში, ჩაცმული, ხელთათმანებიც კი მეკეთა, ეს ასაკიანი ქალი კი, სრულიად შიშველი, ჩემს ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდა.

თავი ჩემკენ მოაბრუნა და ზრდილობის გულისთვის კეკლუცად გამიღიმა.

— მოგწონვარ? ჩემი ყურება მოგწონს, არა?

— შენი საქმე არაა.

— კიდევ დიდი ხანი უნდა მატარო ასე? — მკითხა უცებ განაწყენებულმა.

— დაჯექი.

ქალი საწოლზე ჩამოჯდა. ერთმანეთს უხმოდ ვუყურებდით. სორკლიანი კანი ჰქონდა. კედლის მეორე მხრიდან საათის წიკწიკი ისმოდა.

— ფეხები გაშალე, — ვუთხარი უეცრად.

ოდნავ შეყოყმანდა, მაგრამ მაინც დამემორჩილა. ფეხებს შორის შევხედე და ამოვიქშინე. მერე კი ისეთი სიცილი ამივარდა, ცრემლებიც კი მომადგა.

— გესმის, რას აკეთებ? — შევეკითხე სიცილით.

გაოცებული მიყურებდა. საშინლად გაწითლდა და ფეხები შეატყუა.

— არამზადა, — გამოსცრა კბილებში.

მე კი უფრო და უფრო ვუმატებდი სიცილს. მაშინ წამოხტა და ლიფს დაავლო ხელი.

— ეეე, მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია, — შევაჩერე მე. — ორმოცდაათ ფრანკს ახლავე მოგცემ, ოღონდ მომსახურებასაც მოვითხოვ.

მან ნერვიულად აიღო ქვედა საცვალი.



— ყელში ამომივიდა, გასაგებია? არც კი ვიცი, რას მოითხოვ. თუ მარტო იმისთვის ამომიყვანე, რომ დამცინო...

მაშინ რევოლვერი დაფანახე. უცბად დასერიოზულდა და საცვალი უსიტყვოდ დააგდო ძირს.

— იარე, იარე, — ვუბრძანე მე.

ხუთი წუთი დადიოდა. მერე ჯოხი მივეცი და ვუთხარი ევარჯიშა. როცა ვიგრძენი, რომ შარვალი სველი მქონდა, ავდექი და ორმოცდაათი ფრანკის ბანკნოტი გავუწოდე. გამომართვა.

— ნახვამდის, — ვუთხარი მე. — იმედია, ამ ფასად ძალიან არ დაგლალე.

გარეთ გავედი და ოთახში მდგარი შიშველი ქალი მარტო დავტოვე. ერთ ხელში ორმოცდაათფრანკიანი ბანკნოტი ეჭირა, მეორეში — საცვალი. სულაც არ დამნანებია ფული, მე ხომ ქალი გაოგნებული დავტოვე, მეძავის გაოგნება კი არც ისე ადვილია. კიბეზე ჩამოსვლისას გავიფიქრე, სწორედ ეს მინდოდა, ყველა გამეკვირვებინა-მეთქი. ბავშვივით ვიყავი გახარებული. მწვანე საპონი სახლში წავიღე და თბილ წყალში იმდენი ვისვი ხელებზე, სანამ ბოლოს გაწუწუნულ კამფეტს არ დაემგვანა.

ღამე გამელვიძა, თვალწინ ქალის სახე დამიდგა, იარალის დანახვაზე მისი გაკვირვებული თვალები და მუცელი, ყოველ ნაბიჯზე რომ უთახთახებდა.

— რა სულელი ვარ, — ჩავილაპარაკე ჩემთვის და მწარე სინანული ვიგრძენი. — უნდა მესროლა, სანამ იქ ვიყავი, და საცეროვით დამეცხრილა მისი მუცელი.

მომდევნო საღამო ღამე სულ თვალწინ მედგა ჭიპის ირგვლივ ექვსი წითელი ნახვრეტი.

მას შემდეგ რევოლვერის გარეშე სახლიდან აღარ გავდიოდი. დავინახავდი თუ არა ვინმეს ზურგს, მაშინვე წარმოვიდგენდი, როგორ დაეცემოდა ჩემი ტყვიით განგმირული. კვირაობით ჩვეულებად მექცა შატელეს წინ დგომა. ექვსი საათისთვის კლასიკური მუსიკის კონცერტი მთავრდებოდა ხოლმე, მესმოდა, როგორ ირეკებოდა ზარი და როგორ აღებდნენ ვიტრაჟიან კარს. მთავარი სწორედ მაშინ იწყებოდა. ხალხის ბრბო ნებიერი ნაბიჯით გამოდიოდა, თვალები ოცნებით, გული კი მშვენიერი გრძნობებით ჰქონდათ სავსე. ბევრი მათგანი გაკვირვებული იხედებოდა ირგვლივ, თითქოს ერთი სამყაროდან მეორეში გადასულიყვნენ და გონს მოსვლა უჭირდათ. აი, სწორედ ამ მეორეში ვიყავი მე ჩასაფრებული. მარჯვენა ხელი ჯიბეში მედო და მთელი ძალით ვუჭერდი იარალს. გონებაში წარმოვიდგენდი, როგორ ვესროდი ამ ხალხს, კასრებივით დავაგორებდი ქუჩაში, ერთიმეორეზე მივაწვენდი, ვადარჩენილებს კი შიშის ზარი დაეცემოდათ, უკანვე შეცვივდებოდნენ თეატრში, კარებთან შედახორას შექმნიდნენ და ვიტრაჟებსაც ჩაამტვრევდნენ. ამაზე ფიქრი სისხლს მიჩქეფებდა, ხელები მიკანკალებდა. ბოლოს და ბოლოს იძულებული ვხდებოდი დრეეს კაფეში შემეველო და კონიაკი დამეღია, რათა გონს ოდნავ მაინც მოვსულიყავი.



ჯერ კიდევ ყველაფერი არ მქონდა გათვლილი. ჯერ წვრილმანი ამბები უნდა მომეგვარებინა. დანფერ-როშეროს ბაზრობაზე ტირში დავიწყე ვარჯიში. მიზანში ამოღება ცოტა მიჭირდა, თუმცა როცა ადამიანს ესვრი, მით უმეტეს პირისპირ, არა მგონია, ააცილო. შერე, რაც აუცილებლად მიმაჩნდა, ნაცნობებს შორის რაიმეთი თქვას მგონი ჩენა იყო. შევარჩიე ორშაბათი დილა, როცა ყველა ჩემი კოლეგა კაბეტორაში იქნებოდა შეკრებილი. მათთან საგანგებოდ ვიყავი ფრიად თავაზიანი, მიუხედავად იმისა, რომ ხელის ჩამორთმევაც კი მზარავდა. ამ დროს ჩვევად აქვთ ხელთათმანების გახდა. მთელი ეს პროცედურა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ რიტუალს ჰგავს, ჯერ მაჯაზე დილებს იხსნიან, შემდეგ სახელოს გადაიწევენ, ნელა ჩააცურებენ თითებზე და თანდათან გამოაჩენენ შიშველ, მოჭმუჭნულ ხელისგულს. პირადად მე შეხვედრისას ხელთათმანს არასდროს ვიხდი.

ორშაბათობით ბევრი საქმე არ არის ხოლმე. კომერციული ვანყოფილებიდან მდივანმა ქვითრები შემოგვიტანა. ლემერსიე თავაზიანად გაეხუმრა ქალიშვილს და მისი გასვლის შემდეგ დაწვრილებით დაუანალიზა ჩაცმულობის ყველა დეტალი. შემდეგ ლენდბერგზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ძალიან უყვარდათ ეს ლენდბერგი.

— პირადად მე შავი გმირები მიყვარს, — აღვნიშნე მე.

— ზანგები? — დაინტერესდა მასე.

— არა, შავები გადატანითი მნიშვნელობით. ლენდბერგი თეთრი გმირია, ამიტომაც არ მაინტერესებს.

— მან ხომ ატლანტის ოკეანე გადალახა, — შემეკამათა ბუქსენი.

როგორც შემეძლო ავუხსენი, რას ვგულისხმობდი შავ გმირში.

— ე. ი. ანარქისტი, — დაასკვნა ლემერსიემ.

— არა, — მშვიდად მივუგე. — ანარქისტებს თავისებურად, მაგრამ მაინც უყვართ ხალხი.

— აბა მაშინ შეშლილები მოგწონთ ალბათ.

მასე, რომელიც ყველაზე განათლებული იყო, ისევ ჩაერია ლაპარაკში:

— მესმის, როგორ ტიპსაც გულისხმობთ. არსებობდა ეგეთი, ჰეროსტრატე ერქვა. უნდოდა ცნობილი გამხდარიყო და, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ქვეყნიერების ერთ-ერთი საოცრება, არტემიდას ტაძარი დაწვა.

— თუ იცით, რა ერქვა იმ ტაძრის ამშენებელს? — ვკითხე მე.

— არ მახსოვს, — აღიარა მან, — მგონი, ცნობილი არცაა.

— მართლა? ჰეროსტრატეს სახელი კი გახსოვთ, ხომ? მგონი, არცთუ ისე ცუდად გაუთვლია, არა?

საუბარი ამ სიტყვებზე დასრულდა. შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი, თავი უკვე გამოვიჩინე და, როცა დრო დადგებოდა, ჩემს ლაპარაკს გაიხსენებდნენ.

ჰეროსტრატეს ამბავმა გამბედაობა შემმატა. უკვე ორი ათასი წელია გასული და მისი სახელი შავი მარგალიტივით ისევ ბრწყინავს. აქ პირველად მომივიდა აზრად, რომ ჩემი ბედიც ხანმოკლე და ტრაგიკუ-



ლი იქნებოდა. ამ აზრმა ჯერ შემაშინა, მაგრამ თანდათან შევეჩვიე და მომეწონა კიდევ, ტრაგიკულობა ხომ მშვენიერებას და ძალას მატებს წარმავალ წუთს. ქუჩაში გამავალი აქამდე ჩემთვის უცნობ თავდაჯერებულობას ვგრძნობდი. იმის გამო კი არა, ჯიბეში ვარაღი რომ მქონდა, არამედ თვითონ ვგავდი რალაციით მთელ ამ რევოლუციურებს, ჭურვებს და მამხალეებს. ჩემი პირქუში ცხოვრების დასასრულს ალბათ მეც მათსავით აფეთქდებოდი, გავანათებდი სამყაროს ძლიერი და ხანმოკლე ცეცხლის ალით. რამდენიმე ღამე ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავდი. ვითომ ანარქისტი ვიყავი და რალაც ჯოჯოხეთური მანქანით ვუსაფრდებოდი მეფის ამაღლას. დათქმულ დროზე კორტეჟი გამოივლიდა, ბომბი აფეთქდებოდა და ჩვენ ყველას — მეფეს, მე, ოქროს სირმებით შორთულ სამ ოფიცერს — ჰაერში აგვისროდა. ხალხი კი გაჩერდებოდა და შემოგვაცქერდებოდა.

კანტორაში თითქმის აღარ დავდიოდი. ვსეირნობდი ბულვარებში, ჩემს მომავალ მსხვერპლთ ვაკვირდებოდი. ან არადა ოთახში ვიკეტებოდი და გეგმას ვაწყობდი. სამსახურიდან ოქტომბრის დასაწყისში გამათავისუფლეს. რაკი მთლიანად ჩემს საქმეში ვიყავი ჩართული, დიდად არც მინერვიულებია. შევადგინე შემდეგი წერილი, რომელიც მერე ას ორ ეგზემპლარად გადავწერე:

„ბატონო...“

თქვენ ცნობილი ადამიანი ბრძანდებით, ოცდაათ ათასზე მეტი ნაშრომი გაქვთ გამოქვეყნებული. გეტყვით რატომაც — იმიტომ, რომ თქვენ ხალხი გიყვართ. ჰუმანიზმი სისხლში გაქვთ გამჯდარი, ამიტომაც გწყალობთ ბედი. ხალხში თავს ისე გრძნობთ, როგორც თევზი წყალში. როგორც კი თქვენს მსგავს არსებას დაინახავთ, მაშინვე სიმპათია გებადებათ მის მიმართ, თუნდაც არ იცნობდეთ. მოგწონთ მისი აღნაგობა, შესახედაობა, ფეხები, განსაკუთრებით ხელები, მოგწონთ, ხუთი თითი რომ აქვს ხელზე და ცერი სხვა დანარჩენებისგან ცალკე. გსიამოვნებთ თუნდაც უბრალოდ ფინჯნის ალების პირწმინდა ადამიანური მანერა, შეიძლება მაიმუნთან შედარებით ნაკლებ მოქნილი, მაგრამ სამაგიეროდ გონივრული, ხომ ასეა? ყველაფერი ადამიანური მოგწონთ, ამიტომაცაა თქვენთვის მათთან ურთიერთობა ასე ადვილი, იცით, როგორ მიუდგეთ. ხალხი დამშეულივით აწყდება თქვენს წიგნებს, სავარძელში მოკალათებულნი კითხულობენ, ხვდებიან როგორ დიდ, მოკრძალებულ სიყვარულს იჩენთ მათდამი და ეს ამშვიდებთ. აღარ ფიქრობენ იმაზე, რომ უშნონი, მხდალნი, მოტყუებულნი არიან, ავიწყდებათ, რომ საახალწლოდ ხელფასი არ მოუმატეს. დაბოლოს კი ქება-დიდებას ასხამენ თქვენს ნამუშევარს და ტაშს გიკრავენ.

ალბათ გაგიკვირდებათ, რომ არსებობს კაცი, რომელსაც არ უყვარს ადამიანები. ის კაცი მე ვარ, და მე იმდენად არ მიყვარს ადამიანები, რომ ექვსი მათგანის მოკვლასაც კი ვაპირებ. ალბათ იკითხავთ, რატომ მაინცდამაინც ექვსისო? იმიტომ, რომ ჩემს რევოლუციაში მხოლოდ ექვსი ტავია ეტევა. შეშლილი გგონივართ, არა? მით უმეტეს, რომ არავითარი პოლიტიკური განზრახვა არ მაძიძრავებს, უბრალოდ არ შემიძლია მათი სიყვარული. კარგად მესმის, რასაც გრძნობთ, მაგ-



რამ ის, რაც თქვენ გიზიდავთ მათში, მე მეზიზღება. მეზიზღება, როცა ვხედავ, ერთი ხელით როგორ ჭამენ საჭმელს და მეორეთი ჟურნალს ღურცლავენ. ამის დანახვას სელაპების ყურება მირჩევნია. ადამიანის ყოველი მოძრაობა თუ ფიქრი მის სახეზე გრიმასების უბადრუკი თანაშემად იქცევა. თუნდაც სიარულისას აიღეთ, პირი, მართალია, მუხი აქვს, მაგრამ ტუჩის კუთხეები ისე ადი-ჩამოდის სახეზე, ხან სიმშიდღე ალებეჭდება, ხან გაოცება. ვიცი, თქვენ ამას „გონების სიფხიზლეს“ უწოდებთ, მე კი ვუღს მირევს, არ ვიცი რატომ, უბრალოდ ასეთი ვარ და მორჩა.

ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ გემოვნებაში რომ იყოს, თავს არ მოგაბეზრებდით, მაგრამ რატომღაც ისე ჩანს, თითქოს თქვენ მართალი ხართ, მე კი არა, მე სრული ნება მაქვს მიყვარდეს, მაგალითად, ასთაკვის სალათი ამერიკულად, მაგრამ ადამიანები თუ არ მიყვარს ე. ი. უბადრუკი ვარ და ამ სამყაროში ჩემი ადგილი არაა. ადამიანებმა ცხოვრების აზრი მიისაკუთრეს. აგერ უკვე ოცდაცამეტი წელია ჩემ წინაშე მიხურული კარია წარწერით „დაიშვებიან მხოლოდ ჰუმანისტები“. რა არ ვცადე მის გასაღებად, მაგრამ უშედეგოდ. ჩემი ყველა მცდელობა ან აბსურდული და უნაყოფო გამოდგა, ან ჩემ საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა. ჩემი საკუთარი-აზრის ფორმულირებაც კი არ შემეძლო ისე, რომ ძალაუნებურად ადამიანებისთვის გაშიზნული არ გამოსულიყო. გასაგებია რატომაც, აზრის გამოხატვის საშუალება ხომ სიტყვებია, სიტყვები კი ისევ და ისევ ადამიანებს ეკუთვნით. მინდოდა ჩემი საკუთარი სიტყვები მქონოდა, მაგრამ ყოველი მათგანი ჩემამდე უამრავ სხვა გონებაში იყო გამოვლილი და თავისთავად, სხვებთან შეჩვეული თანამიმდევრობით ლაგდებოდა ხოლმე ჩემს აზროვნებაში. ახლაც კი, ამ წერილის წერისას ზიზღით ვიყენებ მათ. მაგრამ იმედი მაქვს, ეს უკანასკნელად ხდება. ასეა, ან უნდა გიყვარდეს ხალხი, ან არადა ცხოვრების სულ მცირე საშუალება თუ მოგცეს, მადლობა თქვა. მე კი არ მინდა ასეთი ცხოვრება. აი, ავიღებ ჩემს რევილვერს, ჩავალ ქუჩაში და ვნახოთ, შევძლებ თუ არა გავუსწორდე ხალხს. მშვიდობით, ბატონო... ვინ იცის, ეგებ ქუჩაში სწორედ თქვენ შეგხვდეთ. რომ იცოდეთ, რა სიამოვნებით დაგახლით მაშინ ტყვიას. თუ არადა წაიკითხეთ ხვალის გაზეთები. იქ ალბათ დაწერენ, რომ ვინმე პოლ ჰილბერი აფექტური განწყობით გამოვიდა სახლიდან და გაშმაგებულმა დახოცა ხუთი გამვლელი ედგარ-კინეს ბულვარზე. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ აფექტური განწყობა აქ არაფერ შუაშია, არც გიჟი ვარ და არც გაშმაგებული. პირიქით, ძალიან მშვიდად გახლავართ და გთხოვთ მიიღოთ ჩემი უღრმესი პატივისცემა.

პოლ ჰილბერი“.

ამ წერილის ას ორი ეგზემპლარი ას ორ კონვერტში ჩავდე, ყოველ მათგანს თითო ფრანგი მწერლის მისამართი დავაწერე და უჯრაში შევიინახე.

მომდევნო ორი კვირის მანძილზე სახლიდან თითქმის არ გავსულვარ. მომავალ მკვლელობაზე ვფიქრობდი. სარკეში ჩახედვისას გამჩ-



ნევდი, როგორ მეცვლებოდა სახე. სათვალის ქვეშ შავი თვალები მეტისმეტად გამფართოებოდა და მოელვარე პლანეტებს წააგავდა. ისინი ერთდროულად მსახიობსა და მკვლელს მოგაგონებდნენ. ასეთი ცვლილება მომწონდა კიდევ, დანაშაულის ჩადენის შემდეგ იმედი მქონდა კიდევ უფრო შევიცვლებოდი. მახსოვს, ერთხელ ერთი ვახლგაზრდა ქალის სურათები ვნახე. მოსამსახურეები იყვნენ, ქალბატონი მოკლეს და გაძარცვეს. ერთი ფოტოსურათი დანაშაულამდე იყო გადაღებული, მეორე — შემდეგ. პირველში მორჩილ და ნაზ ყვავილებს ჰგავდნენ, ირგვლივ პატიოსნებისა და სიწმინდის სურნელს აფრქვევდნენ. ყველაზე საინტერესო კი მათი საოცარი მსგავსება იყო. აშკარად იკვეთებოდა სისხლისმიერი კავშირი, საერთო ნათესაური ფესვები. დანაშაულის შემდეგ ორივეს სახე აწითლებოდა, მთლიანად დაეფარა შიშის და სიძულვილის შემზარავ ნაოჭებს, კანი ისეთი დაკაწრული ჰქონდათ, გეგონებოდა, რომელიღაც მხეცმა ბრჭყალებით დაფხაჭნაო. ყელი ეშაფოტზე დასადებად გამზადებულს მიუგავდათ, თვალები კი ჩემსავით შავი და უძირო გახდომოდათ. მაგრამ, რაც მთავარია, გოგოები ერთმანეთს აღარ ჰგავდნენ. საერთო დანაშაულის განცდა თითოეულს თავისებურად აღბეჭდვოდა. ამ ობოლი გოგოების თითქმის შემთხვევითმა დანაშაულმა მათში ესოდენი ცვლილება თუ გამოიწვია, მაშინ ჩემი ასეთი ორგანიზებული და გაცნობიერებული მკვლელობა რაღას იზამს-მეთქი — გავიფიქრე. ალბათ საბოლოოდ მოსპობდა იმ მახინჯ ადამიანურ გრძნობებს, ჩემში რომ ჯერ კიდევ ბუდობდა. დანაშაული ორად ყოფს ცხოვრებას. იქნებ რაღაც მომენტში მკვლელს მოუნდეს ყველაფრის დავიწყება, ყოველივეს უკან დატრიალება, მაგრამ ის უკვე ჩადენილია და წარსულისკენ გზას უღობავს. სპეციალურად დავაწყვე გეგმა ისე, რომ მკვლელობის შემდეგ ერთი საათი მაინც მქონოდა მარტოდ ყოფნის საშუალება. მინდოდა დავმტკბარიყავი ახალი განცდით, შემეგრძნო კრიმინალის შემადრწუნებელი ძალა. ამისთვის ოდესის ქუჩის ზემო ნაწილი შევარჩიე. როცა გავისვრიდი და ხალხი შეიყრებოდა, არეულობით ვისარგებლებდი და გავიქცეოდი. გავირბენდი ედგარკინეს ბულვარს და დელამბრის ქუჩაზე შევუხვევდი. აქედან ნახევარ წუთში სახლში გავჩნდებოდი. ჩემი მდევრები ამ დროს ჯერ კიდევ ბულვარზე იქნებოდნენ, მხედველობის არიდან დამკარგავდნენ და ერთი საათი მაინც დასჭირდებოდათ ჩემი ძებნა. მე მათ ჩემს ოთახში დაველოდებოდი, დრო მექნებოდა მიღწეული მიზნით დავმტკბარიყავი. როცა კარზე ბრახუნს ატეხდნენ, დავტენიდი რევოლვერს, პირში ჩავიდებდი და გავისვრიდი.

იმ დღეებში ფულს აღარ ვუფროთხილდებოდი. ვავენის ქუჩაზე მდებარე ერთი სასადილოს მეპატრონეს შევუთანხმდი და დილა-სალამოს გემრიელ კერძებს მიგზავნიდა. კარზე რომ დააკაკუნებდა, ჯერ არ ვაღებდი, ვიცდიდი რამდენიმე წუთი, მერე გამოვალდებდი. იატაკზე გრძელ კალათში ჩაწყობილი ცხელი კერძით სავსე თეფშები მხვდებოდა.

ოცდაშვიდ ოქტომბერს, სალამოს ექვს საათზე ფული გადავითვალე. ჩვიდმეტნახევარი ფრანკილა აღმომაჩნდა. რევოლვერი ჯიბეში ჩავიდე, წერილების შეკვრა ავიღე და სახლიდან გამოვედი. კარი სპეცი-



აღურად არ დავეკეტე, მკვლელობის შემდეგ სასწრაფოდ რომ შევვარდ-  
ნილიყავი. თავს მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობდი, ხელები გაყი-  
ნული მქონდა, სისხლი სახეში მაწვებოდა, თვალები მიჭრულდებოდა.  
არგვლივ ველარაფერს ვცნობდი, ვერც იმას ვხვდებოდი კარგად, რო-  
მელ ქუჩაზე ვიყავი. მონპარნასის ბულვარი ხალხით იყო სავსე, შევ-  
ხებოდნენ, ხელს მკრავდნენ. ძალა არ მქონდა წინააღმდეგობა გაძეწია.  
უეცრად ამ ბრბოს შუაგულში საშინლად მარტოდ და უმწეოდ ვიგრ-  
ძენი თავი, თითქოს რომ მოენდომებინათ, სულ ადვილად გამსრესდ-  
ნენ. ცოტა არ იყოს მეშინოდა, მეგონა, მიხვდებოდნენ, ჯიბეში იარაღი  
რომ მქონდა, მკაცრად შემომხედავდნენ, ჩემთვის საძულველ ადამია-  
ხურ თითებს დამკრავდნენ მხარზე და მხიარული გულისწყრომით მე-  
ტყოდნენ: „აბა, აბა, ეგეთები არ იყოს“. დაე, ხალხმა გაასამართლო-  
სო, შესძახებდნენ, შემიგდებდნენ მხრებზე და მარიონეტისავით ამათამა-  
შებდნენ. ცუდად ვიყავი და უფრო გონივრულად ჩავთვალე სხვა დრო-  
ისთვის გადამედო ჩემი ჩანაფიქრი. „კუეპოლში“ წავედი და თექვსმეტ  
ფრანკად ვისადილე. დანარჩენი ფული მდინარეში გადავყარე.

სამი დღე ოთახში ვიყავი ჩაკეტილი. არც მიჭამია, არც მიძინია.  
დარაბები დაშვებული მქონდა, ფანჯარასთან მიახლოებისა და სინათ-  
ლის ანთებისა ც კი მეშინოდა, ორშაბათს კართან რაღაც ხმაური მო-  
მესმა. სუნთქვა შევიკარი და დაველოდე. ზარი დარეკეს. ფეხის წვე-  
რებზე მივედი და გასაღების ნახვრეტში გავიჭვრიტე. იქიდან შავი ნა-  
ჭრისა და ერთი ღილის გარდა არაფერი ჩანდა. უცნობმა ისევ დარეკა,  
მერე კი კიბეზე დაუშვა. არ ვიცი, ვინ იყო. დამე უცნაური ხილვები  
მქონდა. მეჩვენებოდა პალმები, მოჩუხჩუხე წყარო, იისფერი ცა და  
რაღაც გუმბათი, დროდადრო ვდგებოდი და ონკანიდან წყალს ვსვამდი,  
მაგრამ შიმშილი მკლავდა. წაბლისფერთმიანი მეძავიც მესიზმრა, სრუ-  
ლიად შიშველი. ვითომ ქალაქიდან ოცი ლიეს მოშორებით კოსნუარ-  
ზე ჩემ მიერ აგებულ კოშკში მარტონი ვიყავით, რევოლვერით ვაში-  
ნებდი და ვაიძულებდი მუხლებზე დაჩოქილს ევლო, შემდეგ ბოძზე მი-  
ვაბი, დიდხანს ვუხსნიდი, რის გაკეთებას ვაპირებდი, და ბოლოს ტყვი-  
ები დავახალე. ამ ხილვებმა საშინლად ამაღელვა. გაუნძრევლად ვი-  
წექი სიბნელეში. თავი თითქოს აზრებისგან დამეცალა. ღილის ხუთი  
საათი გახდა. რას არ მივცემდი, ოღონდ ამ ოთახიდან გასვლა შემძლე-  
ბოდა, მაგრამ არა, ქუჩაში ხომ საზიზღარი ადამიანები დადიოდნენ.

ნანატრი დღეც დადგა. შიმშილი აღარ მაწუხებდა, მაგრამ სამაგი-  
ეროდ ოფლში ვიწურებოდი, პერანგი სულ სველი მქონდა და უსიამოვნო  
სუნსაც ვგრძნობდი. გარეთ მზე ანათებდა. ჩემთვის გავიფიქრე, სამი  
დღის განმავლობაში კაცი ოთახშია ჩაკეტილი, სიბნელეში, არ უჭამია,  
არ უძინია, ზარი დაურეკეს, კარი არ გააღო, ახლა კი ჩავა ქუჩაში და  
ვინმეს მოკლავს-მეთქი. შიში მიტანდა. საღამოს ექვსი საათისთვის  
შიმშილმა ისევ შემახსენა თავი. სიბრაზეც მომერია. ცოტა ხანს სიბ-  
ნელეში ხელის ფათურით დავდიოდი და ავეჯს ვეხლებოდი, მერე შუქი  
ავანთე ყველგან, საწოლ ოთახში, სამზარეულოში, ტუალეტშიც კი,  
თან მთელი ხმით ვმღეროდი. ბოლოს ხელები დავიბანე და გარეთ გა-  
ვედი. წერილები საფოსტო ყუთში ჩავტენე, რამდენიმე ჩამეჭმუჭნა კი-



დეც. შემდეგ მონპარნასის ბულვარს გავუყევი და ოდესის ქუჩაზე გავედ-  
დი. თეთრეულის მაღაზიის ვიტრინაში ჩავიხედე, საკუთარი სახე დავი-  
ნახე და მივხვდი, რომ სწორედ ამ საღამოს მოხდებოდა ყველაფერი.

ქუჩის ზემო ნაწილში, გაზის სანათურთან ახლოს დავდექი და  
ლოდინი დავიწყე. ორმა ქალმა ჩაიარა, ხელკავი ჰქონდათ. ერთს ნეტზე  
გამოდებული. ერთი ქერა იყო, მეორე წაბლისფერთმიანი.

— ყველა ფანჯარაში ხალიჩები გამოეფინათ, ქუჩებში კი სამასკა-  
რადო მსვლელობა გამართულიყო. არისტოკრატებიც იღებდნენ მონა-  
წილეობას, — ჰყვებოდა ქერა.

— როგორ იკადრეს? — დაინტერესდა მეორე.

— რა კადრება ამას უნდა, დღეში ხუთ ლუიდორად ვინ არ და-  
თანხმდება.

— ხუთი ლუიდორი დღეში?! — წაბლისფერთმიანი, ეტყობა, ძა-  
ლზე გააკვირვა ამ სიტყვებმა. — თანაც, მგონი, იმ კოსტუმების ჩაც-  
მით ერთობოდნენ კიდევ.

ქალები დამშორდნენ. მცოდნა, ოფლიც წურწურით ჩამომდიოდა.  
ერთი წუთის შემდეგ სამმა კაცმა გამოიარა. არ მაწყობდა, ექვსი მინ-  
დოდა ერთად. ერთმა მათგანმა თვალი გამომაყოლა და ენა ააწკლაპუნა.  
მხერა ავარიდე.

რვის ხუთი წუთი იყო, ედგარ-კინეს ბულვარიდან ორი ჯგუფი რომ  
გამოვიდა. ჯერ ქალი და კაცი მოდიოდნენ ორ ბავშვთან ერთად, ოდ-  
ნავ მოშორებით სამი ქალი მოსეირნობდა. უკან დავიხიე. ქალს გაბრა-  
ზებული სახე ჰქონდა და პატარა ბიჭს ეჩხუბებოდა. კაცს, ეტყობა, ნე-  
რვებმა უმტყუნა.

— რა გულის გამაწყალებელია ეს ლაწირაკი, — წარმოთქვა გა-  
ბრაზებულმა.

გული ისე ძლიერ მიცემდა, ტკივილსაც კი ვგრძნობდი. რამდენიმე  
ნაბიჯი გადავდგი და მათ წინ დავდექი. ხელები ჯიბეში მეწყო, თითები  
კი რევოლვერის სასხლეტზე მეკიდა.

— უკაცრავად, — მომიბოდიშა კაცმა და გვერდი ამიქცია.

უეცრად გამახსენდა, რომ ბინის კარი გამოსვლისას ჩავკეტე. ეს  
ცუდი ნიშანი იყო, მობრუნებისას გაღება დროს წამართმევდა. გამვლე-  
ლები დამშორდნენ. მეც შევბრუნდი და მექანიკურად გავყევი უკან,  
თუმცა აღარ მქონდა სროლის სურვილი. ბულვარში შესულნი ხალხის  
ბრბოს შეერივნენ. კედელს მივეყრდენი. საათმა ჯერ რვა დარეკა, მე-  
რე ცხრა. ჩემს თავს ვუმეორებდი, რა საჭიროა ამ ხალხის მოკვლა,  
ისედაც ხომ მკვდრები არიან-მეთქი. სიცილი მინდოდა. ერთი მაწანწალა  
ძალი მომეტყუხა და ფეხების ყნოსვა დამიწყო.

ვიღაც მსუქანმა კაცმა გამოიარა. ფიქრებიდან გამოვერკვიე და  
უკან მივეყევი. პიჯაკის საყელოსა და ცილინდრს შორის კეფის წითელი  
ნაკეცი მოუჩანდა. მძიმედ, ქოშინით მიაბიჯებდა. რევოლვერი ამოვი-  
დე. პრიალა და ცივი იყო, არ მომეწონა, აღარც ის მახსოვდა, რისთვის  
მქონდა თან. ხან იარაღს ვუყურებდი, ხან წინ მიმავალი კაცის კეფას.  
წითელი ნაკეცი მწარედ მომღიმარ ტუჩებს წააგავდა. ცოტა დამაკლდა  
იარაღი ორმოში არ მოვისროლე.



მოულოდნელად კაცი შემობრუნდა და გაღიზიანებული სახით შემომხედა. უკან დავიხიე და თავის მართლება დავიწყე:

— უბრალოდ მინდოდა... მეკითხა...

ეტყობოდა, არც მისმენდა, ჩემს ხელებს ათვალე რეზინის ძლივობით ჩავამთავრე შეკითხვა.

— ხომ ვერ მეტყობდით, სადაა გეტეს ქუჩა?

მსუქანი სახე ჰქონდა და ტუჩები უკანკალებდა. არაფერი უთქვამს, ხელი ისე გაიშვირა. ისევ უკან დავიხიე.

— მე მინდოდა... — დავიწყე ხელახლა.

იმავე წუთს მივხვდი, რომ სადაცაა ყვირილს ავტეხდი, ეს კი არ მინდოდა, რევოლვერი დავუმიზნე და სამი ტყვია დავახალე მუცელში. იდიოტური სახით ჩაიკეცა. თავი მარცხენა მხარზე ჩამოუვარდა.

— არამზადავ, წყეულო არამზადავ! — დავიძახე და გავიქეცი.

გავიგონე, როგორ ამოიხროტიხა. გავიქეცი, უკნიდან ყვირილი და ფეხის ხმა მომესმა. ვილაცამ იკითხა, ხომ არ ჩხუბობენო, მერე კი მიხვდნენ, რაც მოხდა და — მკვლელი დაიჭითო, — აყვირდნენ. ეს ხმა ისეთივე ავბედითად ჩამესმა, როგორც ბავშვობაში სახანძრო მანქანის სიგნალი — ავბედითად და ოდნავ სასაცილოდაც კი. მთელი ძალით გაყრბოდი.

ოღონდ ესაა, საბედისწერო შეცდომა დავუშვი. იმის მაგივრად, ოდესის ქუჩა გამეველო და ედგარ-კინეს ბულვარისკენ გავქცეულიყავი, დაღმართი ჩავირბინე და მონპარნასისკენ ავიღე გეზი. როცა ჩემი შეცდომა შევამჩნიე, გვიანდა იყო. ხალხმრავალ ადგილას ვიყავი და უამრავი გაკვირვებული სახე მიყურებდა (განსაკუთრებით დამამახსოვრდა ფრთებით მორთული მწვანექუდიანი ქალის მეტისმეტად გაბუდრული სახე). ოდესის ქუჩიდან მკაფიოდ მოისმოდა მღევრების ყვირილი. მხარზე ვილაცამ ხელი დამადო. იმ წუთიდან აზროვნების უნარი დავკარგე, არ მინდოდა ბრბოს ჩავექოლე. კიდევ ორი ტყვია გავისროლე. ხალხი ყვირილით გაიფანტა. სირბილით შევვარდი ერთ კაფეში. კლიენტები ფეხზე წამოხტნენ, მაგრამ ჩემი შეჩერება არც უცდიათ. დარბაზი გავირბინე და საპირფარეშოში ჩავიკეტე. რევოლვერში ერთი ტყვია კიდევ მქონდა დარჩენილი.

ერთი წუთი გავიდა. გული ამოვარდნაზე მქონდა, სულს ძლივს ვითქვამდი. ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე იდგა. თითქოს კარს იქით მყოფნი განგებ დუმდნენ. იარაღი თვალეზთან მივიტანე და დავინახე პატარა შავი, მრგვალი ნახვრეტი, ტყვია სწორედ იქიდან გამოვარდებოდა, დენტის კვამლი სახეს ამიწვავდა. ხელი ძირს დავუშვი და დავიცადე. სულ მალე ფეხაკრეფით დაიწყეს მოახლოება. ეტყობა, მთელი ხროვა მოგროვდა კარს უკან. ცოტა ხანს ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, შემდეგ გაჩუმდნენ. მეჩვენებოდა, ჩემი ქოშინი კედელს მიღმაც აღწევდა. ვილაც ნელა მოუახლოვდა კარს და სახელური შეანძრია. თვითონ ალბათ კედელს აეკრა ტყვიისგან თავდასაცავად. მინდოდა ისევ მესროლა, მაგრამ ბოლო ვაზნა ჩემთვის მქონდა გადანახული.



„რას ელოდებიან? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. — კარს ერთბაშად თუ შემომიმტვრევენ, თავის მოკვლის დრო აღარ მექნება და ცოცხალს ამიყვანენ“. მაგრამ არ ჩქარობდნენ, თითქოს განგებ მიტოვებდნენ სიკვდილისთვის დროს. არამზადები! მათ უბრალოდ უნებნოდ მოეწონდათ.

ცოტა ხანში ვილაცის ხმა გაისმა:

— მიდით, გააღეთ, არაფერს დაგიშავენ. — ხმა შეყოვნდა და პერე ისევ განაგრძო:

— თვითონაც იცით, ვერსად გაიქცევით.

არ ვუპასუხე, ისევ სუნთქვა მეკვროდა. ჩემს თავს ვეუბნებოდი, თუ დამიჭერენ, საშინლად მცემენ, კბილებს ჩამილეწავენ, თვალებიც შეიძლება დამთხარონ-მეთქი. მინდოდა ასე მაინც გამემხნეებინა თავი და ის უკანასკნელი ტყვია შუბლში დამეხალა. მაინტერესებდა, ის სქელო მოკვდა თუ არა. ეგებ მხოლოდ დავჭერი... ის ორი დანარჩენი ტყვიაც ეგებ არავის მოხვედრია... გარეთ ხალხი რალაცისთვის ემზადებოდა, რალაც მძიმე საგანი მოაჩოჩეს. რევოლვერის ლულა სასწრაფოდ ჩავიდე პირში და კბილები ძლიერად მოვუჭირე. მაგრამ ვერ გავისროლე, სასხლეტზე თითის დადებაც კი ვერ შევძელი. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მაშინ რევოლვერი გადავაგდე და ხალხს კარი გავუღე.







ვერმან ულიდან

თარგმნა ნინო ზაუტაშვილმა

აფორიაქებული ველოდები ჰამბურგის მატარებელს, რადგანაც ვახშამზე ვარ დაპატიუებული და არ მინდა დამაგვიანდეს. ჩემი მეგობარი მამაკაცები იმ ზომამდე მასადილებენ ხოლმე, სანამ სტომაქი არ გამეფსება და არ დამიმრგვალდება, მერე კი მთელი სიმძიმით მოხერხებულად თავსდებიან ზედ, რათა რხევის დროს თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. ამის გახსენებაზეც კი გული მერევა ყოველთვის.

მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად უნდა მოხდეს. ამჯერად მშვიერი მივდივარ ჰამბურგში. კაცი, რომელიც იქ უნდა დამხვდეს, არცთუ ძალიან მსუქანია და ჩემს ცარიელ მუცელზე დაწოლილი მიხვდება, რომ მართო ვეგეტარიანული საჭმელი არ მეყოფა.

მოულოდნელად ვილაც შემესო ზურგსა და კისერზე. მოვიხედე და არყის სუნით გაუღენთილი მამაკაცი დავინახე.

— სალამი, ლამაზო, საით გაგიწევია?

უსიტყვოდ გავიწიე გვერდზე. ბაქანს მივყვები და მეორე კლასის ვაგონს ვეძებ. ის ლოთიც უკან მომდევს. ერთი სული მაქვს, თავი დავაღწიო. როგორც იქნა, ვიპოვე 265-ე ვაგონი და ავედი, ჩემი ადგილი დავიკავე. მთვრალიც ფეხდაფეხ მომყვება, მეჯახება და ხელებს მიფათურებს.

— თავი დამანებე! — ვულრენ მე.

— ძვირფასო, ძალიან მომწონხარ, — ენის ბორძიკით მეუბნება და თან ბარბაცებს. — საით გაგიწევია?

ჩანთას საბარგულში ვდებ, ის ჩემ წინ იკავეებს ადგილს. ამასობაში სხვა მეზავრებიც ამოდინან. იგი იკრიჭება და თეძოზე მოთათუნებს ხელს. ენერგიულად ვიმორებ და მკაცრად ვეუბნები:

— იქნებ მომეშვათ!

თავს ძლივს ვიკავებ, რომ წიხლი არ ვკრა.

— არ ვუნდივარ, ხედავთ? — სხვების გასაგონად ამბობს იგი. პასუხის გაცემას არავინ აპირებს, რატომღაც სარკმლისკენ იყურება ყველა. ამასობაში მატარებელიც დაიძრა.

— სად მიდის? — მეკითხება, მაგრამ მე ხმას არ ვიღებ. წინ იხრება და ახლა ფეხზე მისვამს. ხელს.



— გეყოფათ! — დავუყვირე ისევ, ის კი ავის მომასწავებლად ცდილობს ხელზე მაკოცოს, რომელიც უკვე მუშტად შეიკრა და საკმაოდ ძლიერ მუშტადაც. სიტუაცია დაიძაბა.

— შენი დახმარება მჭირდება, — მეუბნება *მეჩვენებულ* მჭირდები.

ახლა კი მთლად გადავირიე, მინდა ვიყვირო, თავი დამანებეთ, მომეშვით, არ მიყვარს, როცა ჩემგან რაღაცას მოითხოვენ-მეთქი, მაგრამ ენა მებმის... ისეთ დღეში ჩამაგდო, ლამის გამცილებელს დავუძახო, საავარიო მუხრუჭი მოვქაჩო, დახმარება ვთხოვო მგზავრებს, გავიქცე, ვიყვირო, გადავხტე ან ეს კაცი ვისროლო აქედან თუ ჩანთა ჩავარტყა თავში. აღარ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიშორო.

ჩემდა უნებურად უცბად პაერში ავხტი, ყვირილით ვეძგერე და მუშტი მაგრად ვხეთქე სახეში. ის უკან გადავარდა და სკამზე დაეცა. ყოველი ახალი დარტყმისას უფრო და უფრო ეფლობოდა რბილ სავარძელში. მესმოდა მისი კბილების ღრჭიალი, ვხედავდი, როგორ გადმოდიოდა დუჟი გაზინტლულ შარვალზე.

— აი, ხომ მიიღე დახმარება! — ვყვირი და წვეტიან ქუსლს ისე ღონივრად ვაჭერ ხელზე, სანამ კანი არ უსკდება და სისხლი არ გადმოსდის. ახლა განძრევისა და ხმის ამოღების თავი აღარც აქვს.

მგზავრები ისევ სარკმლისკენ იყურებიან. ერთი კაცი ნიშნისმოგებით ახველებს, მეორე გაზეთს შლის, მხოლოდ ერთი ქალი მილოცავს ხმადაბლა გამარჯვებას.

ხელთათმანებს ვიცვამ, მის კბილებს ვაგროვებ — სულ ოთხი კბილია და ფრთხილად ვდებ სარკმლის ვიწრო რაფაზე.

„ახლა კი შემოდია მშვიდად ვიყო“, — ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ რმის მაგივრად ხმა ჩაეკმინდა, გულისამრევი ოხშივარი ამოაფრქვია და ენის ბორძიკით ჩაიჩლიფინა: — ლამაზო, შენთან მოვდივარ სახლში.

კიდევ კარგი გამცილებელი გამოჩნდა, მალალი, შავთმიანი ოთხკუთხასახიანი მამაკაცი და მკაცრად ამათვალისწინებელი-ჩამათვალისწინებელი. მოულოდნელად მთვრალი წამოხტა, ხელით ჩემზე ანიშნა და თავის მართლება დაიწყო:

— არც ბილეთი მქონდა, არც ფული, ამ ქალმა შემაცდინა და წამომიყვანა. — მერე მე მომიბრუნდა: — ახლა თუ გადამიხდი? ის მაინც მითხარი, სად მიგყავარ?..

სიბრაზისგან ლამის ისევ ავხტი.

— სახლში უნდა წავიდე, — განაკრძო მან, — რა უნდა ნეტა ამ ქალს ჩემგან? — და თან გამცილებელს დაეკიდა მკლავზე.

გამცილებელმა ხელი გაინთავისუფლა. მე დამუნჯებული ვზივარ.

— გამომყევით!, — უთხრა მას გამცილებელმა. ვითომ აღელვებული კაცი უკან მიჰყვა, თან ხელების ქნევით რაღაცას უხსნიდა.

დამშვიდებაც ვერ მოვასწარი, რომ გამცილებელი შემობრუნდა და ღიმილით მითხრა:

— სადილზე გპატიუებთ.



ამან სულ გადაპრია, მაგრამ კარგად ვხედავდი, როგორ მიყურებდა, და ვიცოდი, ეს რასაც ნიშნავდა.

ჩემს ფიქრში უკვე გამეფსო სტომაქი, უკვე შიშველიც ვარ, ვწვარ დალბამოლეული და ვხედავ, როგორ მიახლოვდება იგი და მანჯვება საფსე, მრგვალ და რბილ მუცელზე. მინდა გულახდილი ვიყო, ვუტყდე, რომ პირობა მაქვს მიცემული ჰამბურგამდე არ ვწამო, რომ მხოლოდ იქ უნდა მოკალათდეს ის ერთი კაცი ჩემს მუცელზე.

ათასი ფიქრი მერევა თავში, ვიძებები. მასთან ხომ სულ არაფერი მაკავშირებს და, რაც მთავარია, არანაირ ვნებასაც არ აღძრავს ჩემში. წუწკი თვალებით შემომყურებს. დანარჩენი მგზავრები კი ვითომდა ვერაფერსაც ვერ ამჩნევენ.

არ ვიცოდი, მიმელო თუ არა მისი შემოთავაზება. ყოყმანი რომ შემატყო, მომიახლოვდა, წინ ჩამომიჯდა და თავდაჯერებულმა კბილებში გამოსცრა:

— მეცოდები და ვწუხვარ, რაც დაგაბრალებს. — მერე ხელზე ხელი მომითათუნა, ვითომ ნუგეშის საცემად, მოულოდნელად კი ისე ჩამაჭირა ფრჩხილები, სიმწრისგან ლამის ვიკივლე, მაგრამ თავი მოვთოკე და მოკრძალებით გავუღიმე. ფეხი ისევ შემიტოკდა წიხლის ჩასართყმელად.

— ძალიან მასიამოვნებთ, თუ უარს არ მეტყვით, — მომმართა მკაცრად. ვიფიქრე, ცოტა მაინც გადააყოლებს გულს და ხასიათიც გამოუკეთდება-მეთქი. ის უკან დასახევ გზას არ მიტოვებს — მაიძულებს დავალებული ვიყო მისგან. შექმნილ მდგომარეობას ვაანალიზებ და ცივი ჟრუანტელი მივლის ტანში. და მაინც ვდგები და უხმოდ მივყვები უკან.







გერმანულიდან

თარგმნა ნონა ფუხაშვიძმა

ჩვენს ოთახში ნაცრისფერი თიხით შელესილ ღუმელთან წლების განმავლობაში იდგა ნეკერჩხლისაგან გამოთლილი ტაბურეტი. ის ყოველთვის ბზინავდა, რადგან სხვა ავეჯთან ერთად ყოველ შაბათს იხეხებოდა ნაკადულის წმინდა ქვიშითა და ჩალის პატარა ცოცხით. გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ეს ტაბურეტი განმარტოებით იყო ხოლმე მიყუყული თავის კუთხეში, მხოლოდ შებინდებისას გამოსწევდა ბებია, მუსლმოყრილი დაეყრდნობოდა ზედ და სალამოს ლოცვას აღავლენდა.

დადგა გვიანი შემოდგომა. ღამეებმა იმატა. ყოველი ადვენტის\* სალამოს მოჯამაგირე ბიჭები ოთახში ფიჭვის ჯირკებს აპობდნენ, ხოლო მოსამსახურე გოგოები მატყლსა და სელს ართავდნენ, ასევე დედა და ბებიაც, თან ძველისძველ ზღაპრებს ყვებოდნენ და საეკლესიო სიმღერებს გალობდნენ. მეც გამუდმებით ტაბურეტზე ვიჯექი ღუმელთან და ყურს ვუგდებდი.

ადვენტის გრძელი ღამეები ჩვენთვის ყოველთვის ხანმოკლე იყო. ორი საათის შემდეგ სახლში არეულობა იწყებოდა. ზემოთ სხვენზე მოჯამაგირეები ხმაურობდნენ, საგარეოდ ეწყობოდნენ და მიდი-მოდიოდნენ, მოსამსახურე გოგოები კი ნახერხით ღუმელს აგიზგიზებდნენ, მერე ყველა კალოზე მიდიოდა სალექად.

ჩემი მშობლებიც წასასვლელად ემზადებოდნენ. ჯერ დედა ადგა და სინათლე აანთო, მერე მამა. ისეთი ტანსაცმელი ჩაიცვას, არც სამუშაოდ რომ არ იყო განკუთვნილი და არც სადღესასწაულოდ. შემდეგ დედა ჩემი საწოლის გვერდით მწოლ ბებიას გამოელაპარაკა. ხმაურმა რომ გამაღვიძა, დედამ მითხრა: „ჩუმად იყავი, შვილო, და რკბილად იძინე!“ ჩემმა მშობლებმა ფარანი აანთეს, ოთახში სინათლე გამორთეს და სახლიდან გავიდნენ. მესმოდა კარების ჭრიალი, თოვლში ნაბიჯების ხმა, ძაღლის ჯაჭვის ჩხარუნი და ვხედავდი ფანჯრებზე სინათლის ათინათს. მერე ყველაფერი მიჩუმდა და კალოზე მომუშავეთა დუდუნში მალე ჩამეძინა.

\* ასე უწოდებენ ოთხ კვირადღეს შობის დღესასწაულამდე — პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ადვენტი.



დედა და მამა რამდენიმე საათის სავალი გზით დაშორებულ ეკლესიაში მესაზე წავიდნენ. მეც მიყვებოდი ოცნებით, მესმოდა ეკლესიის ზარების წკრიალი, ორღანის ხმა და ადვენტის სიმღერა: „მარია, კურთხეულ იყავ, შენ, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავო!“ ვხედავდი სანთლებს დიდ საკურთხეველთან და პატარ-პატარა ანგელოზებს, რომლებიც ფრთები რომ გაეშალათ და ეკლესიაში დაფრინავდნენ. ერთი კი მუცლის ხელში იდგა სალოცავ მაგიდასთან. მერე გარეთ გაფრინდა, ტრამალები და ტყეები გადაიარა და სამყაროს მხსნელის მოახლოება ყველას აუწყა.

რომ გამომეღვიძა, მზის სხივები უკვე კარგად ანათებდნენ ოთახს, გარეთ თოვლი ბზინავდა, დედა ისევ ოთახში დადიოდა, საშინაო ტანსაცმელი ეცვა და საქმიანობდა. ბებიას საწოლი უკვე ალაგებული იყო. იგი სამზარეულოდან გამოვიდა და ჩაცმაში მომეხმარა. პირი დამბანა ცივი წყლით, რის გამოც თან ვტიროდი და თან ვიცინოდი. მერე ჩავიმუხლე, ტაბურეტს დავეყრდენი და ბებიასთან ერთად დილის ლოცვა წარმოვთქვი:

შენ უნდა აღსდგე წყალობით ღვთისა,  
და უფლის გზაზე იარო უნდა,  
უფლის მხარეზე იყავი მხოლოდ  
და ღვთიურ მამას ევედრე მუდამ.  
იგი მოგვივლენს ანგელოზს სამსა —  
ერთი გვიჩვენებს უფლისა გზასა,  
მეორე მოგვცემს საზრდოს მადლიანს,  
ხოლო მესამე გვარიდებს ზიანს,  
იგი დაგვიცავს, გაგვიფრთხილდება  
და ცუდი არრა დაგვემუქრება.

ლოცვის შემდეგ სუბი მაჭამეს, შემდეგ კი ბებია თანით ჭარხალი მოიტანა, რომელიც ერთად უნდა გაგვეთალა. ბებიას არ მოსწონდა ჩემი გათლილი, რადგან სქლად გამომდიოდა. თითი რომ გამეჭრა, ტირილი დავიწყე. ბებია აბუზლუნდა: ყოველთვის ხიფათს გვიქმნი, ბიჭო, თოვლში უნდა გადაგაგდოთო, მითხრა, თუმცა ჭრილობა დიდზე დიდი გულმოდგინეობითა და სიყვარულით შემიხვია.

ასე გაიარა ადვენტის საღამოებმა. მე და ბებია ხშირად ვსაუბრობდით შობასა და იესოზე, მალე რომ მოგვევლინებოდა.

რაც უფრო გვიანლოვდებოდა დღესასწაული, სახლში მით უფრო იზრდებოდა ქაოსი. მოჯამაგირეები საქონელს თავლიდან გარეთ ერეკებოდნენ და ბაგაში ახალ თივას ყრიდნენ, მეჯინიბე ხარებს ჯაგრისით ბანდა, ერთი მოჯამაგირე კი ჩვეულებისამებრ თივას ჩალაში ურევდა და საბძელში ზვინად დგამდა, ძროხის მომვლელი გოგოც ესმარებოდა.

კალოზე ლეწვა რამდენიმე დღით ადრე დამთავრდა, რადგან ეგონათ, რომ ხმაურს შეიძლება წაებილწა მოახლოებული სადღესასწაულო დღეები.



სახლში რეცხავდნენ და ხეხავდნენ, ოთახშიც კი შემოდინდნენ მოსამსახურე გოგოები თავიანთი წყლის ტაშტებითა და ჩაღის პატარა ცოცხებით. ყოველთვის მიხაროდა ეს რეცხვა-ხეხვა, რადგან მომწონდა, როცა ყველაფერი დაგვილ-დასუფთავებული იყო. ყველა წმინდანის ხატი მაგიდის კუთხეში ეწყო. რკინისზარიანი ყაჭისტყერი შვარცვალდის საათი და სხვა რამეები, რომლებიც მხოლოდ შორიდან ჩანდა ხოლმე, ქვემოთ იყო ჩამოლაგებული. ამიტომ ახლოდან ვხედავდი და ყველაფერს კარგად ვაკვირდებოდი. ალბათ ნებას არ დამრთავდნენ მათ შევხებოდი, რადგან მეტად მოუხერხებელი და უგერგილო ვიყავი და საგნებს ადვილად დავაზიანებდი. თუმცა იყო დრო, როცა გამალებული რეცხვა-ხეხვის დროს ყურადღებას არ მაქცევდნენ.

ერთხელ სწორედ ასეთ დროს ტაბურეტზე ავცოცდი, იქიდან ხის სკამზე, სკამიდან კი — მაგიდაზე, რომელიც ახლა გადაეადგილებინათ და ზედ შვარცვალდის საათი დაედოთ. საათს მივუჯექი. მისი ქანქარები მაგიდის ზემოთ ეკიდა. საათის პატარა ღია გვერდით კარში შევიჭყიტე და თითბრის ძალზე მტვრიანი უამრავი ბზრიალა დავინახე. რამდენჯერმე შევეხე პატარა ბზრიალებს, მერე კი უფრო დიდსაც. მაინტერესებდა, ამუშავდებოდა თუ არა; მაგრამ არაფერი გამომივიდა. ბოლოს ცოტა გავწიე ხის ღერო და საათი გამაყრუებლად აწკრიალდა. ზოგი ბზრიალა ნელა ტრიალებდა, ზოგი სწრაფად. ერთი ისე გაფრინდა, რომ აღარც ჩანდა. ძალიან შემეშინდა და მაგიდიდან სკამზე, მერე ისევ ტაბურეტზე ჩამოვცოცდი და სველ ჭუჭყიან იატაკზე დავდექი. საათი კი წკრიალებდა და წკრიალებდა. უეცრად დედამ სვიტრზე ხელი წამავლო, სახლიდან გამიყვანა, თოვლში გამაგდო და კარი ჩამიკეტა. განადგურებული ვიდექი. შიგნიდან მესმოდა დედაჩემის ჩხუბი, მოსამსახურე გოგოების სიცილისა და რეცხვის ხმა და საათის შეუწყვეტელი წკრიალი.

დიდხანს ვიდექი და ვქვითინებდი. არავინ მოვიდა, ვისაც შევეცოდებოდი და დამამშვიდებდა. ამიტომაც გავუყევი თოვლში მიმავალ ბილიკს, მინდვრის გაყოლებით ტყისაკენ რომ მიემართებოდა. მივდიოდი, მაგრამ არ ვიცოდი საით.

ტყეში არ ვიყავი შესული, რომ ჩემ უკან მკვეთრი სტვენა გავიგონე. ეს ბეზიაჩემი იყო.

— სად მიდიხარ, შე სულელო, — ყვიროდა იგი, — მოიცადე, თუ ტყეში ირბენ, მეხავსე\* დაგიჭერს. არ წახვიდე!

ამ სიტყვის გაგონებაზე თვალის დახამსამებაში სახლისკენ შემოვტრიალდი, რადგან მეხავსისა ძლიერ მეშინოდა.

სახლში არ შევსულვარ, ეზოში გავჩერდი, სადაც მამასა და ორ მოჯამაგირეს გომურიდან ღორი გამოჰყავდათ დასაკლავად. მის ყურისწამლებ ყვირილსა და სისხლზე, მოსამსახურე გოგო ქოთანში რომ ასხამდა, დამავიწყდა მომხდარი უსიამოვნება და, როცა მამამ სახლის წინ ღორის გატყავება დაიწყო, იქ ვიდექი და კანის კიდე მეჭირა, უშველებელი დანით ქონიდან რომ აცლიდა. შიგნეული რომ გამოიღეს და

\* ასე ეძახდნენ ხავსის შემგროვებელ ქალს.



დედამ ტაშტში წყალი ჩაასხა, მითხრა, იქით გაიწიე, თორემ სულ დასველდებიო. ამ სიტყვებზე მივხვდი, რომ დედა შეშირივდა, ისე რომ ყველაფერი კარგად იყო. ოთახში გასათბობად რომ შევედი, ყველაფერი ძველებურად იდგა თავის ჩვეულ ადგილზე. იატაკი და კედლები ისევე ნესტიანი იყო, მაგრამ სუფთად გალესილი. შვარცვალდის სწავლიდან წიკწიკებდა კედელზე, თუმცა ადრინდელზე უფრო ხმამაღლა, და უფრო ნათლად ჩანდა ახლად გარემონტებულ ოთახში.

რეცხვა, ხეხვა და გაუთოვება რომ მოთავდა, სახლში ყველაფერი მიჩუმდა. და აი შობის საღამოც დადგა. შობის სადილი ოთახის ნაცვლად სამზარეულოში შეიტანეს, სადაც ვერმიშელის ცომის მოსაზელი ხის ფიცარი მაგიდის მაგივრობას გვიწევდა. შემოვუსხედით და უბრალო სამარხვო სადილი მშვიდად, თუმცა მხიარულად მივირთვიით.

ოთახში მაგიდაზე თოვლივით ქათქათა სუფრა ეფარა. მაგიდის წინ კი ჩემი ტაბურეტი იდგა, რომელზეც შებინდებისას ბებია ჩაიმუხლებდა ხოლმე და მშვიდად ლოცულობდა.

მოსამსახურე გოგოები ფეხაკრეფით დადიოდნენ სახლში და სადღესასწაულო კაბებს იმზადებდნენ. დედა ხორციან ქვაბში წყალს უმატებდა და ქურაზე დგამდა. ოთახში ფეხის ცერებზე დავდიოდი და ცეცხლის მხიარული ტკაცატკუცის გარდა არაფერი მესმოდა. ვუყურებდი ჩემს საზაფხულო შარვალს, ქურთუკსა და ფეტრის შავ ქუდს, კედლის ლურსმანზე რომ ეკიდა. მერე კი ფანჯრიდან უკვე შემოპარულ ბინდს გავცქეროდი. თუ გაავდრდებოდა, უფროს მეჯინიბესთან ერთად ეკლესიაში ველარ წავიდოდი. მაგრამ მშვენიერი ამინდი გამოვიდა — როგორც მამამ თქვა: არ აცივდება, იმიტომ რომ მთებზე ნისლი ჩამოწვამ.

უშუალოდ „კურთხევის“ წინ, როცა სახლსა და ეზოში ძველი ტრადიციის მიხედვით ნაკურთხ წყალს აბკურებდნენ და საკმეველს აკმევდნენ, დედამ და მამამ ცოტა წაიკამათეს. მეხავსეც ჩვენთან იყო, ბედნიერი შობა გვისურვა და დედამ მას სადღესასწაულოდ ერთი ნაჭერი ხორცი მიართვა. ამაზე მამა გაბრაზდა. მამა საერთოდ ღარიბების მეგობარი იყო და არცთუ იშვიათად გაუცია იმაზე მეტი, ვიდრე ამის საშუალება გვქონდა, თუმცა გვეუბნებოდა, მეხავსეზე არ უნდა გაიღოთ მოწყალებათ. მეხავსე ქალი იყო, რომელიც ჩვენს სოფელში კი არ ცხოვრობდა, არამედ ტყეებში დაეხეტებოდა, ხავსსა და ფესვებს აგროვებდა, მენახშირეთა ნახევრად დანგრეულ ქოხებში ცეცხლს ანთებდა და იქ ეძინა, სოფელ-სოფელ მათხოვრობდა, ხავსის გაყიდვას ცდილობდა და, როცა ვერ ახერხებდა, ამ ცხოვრებას წყევლიდა. ბავშვებს საშინლად ეშინოდათ მისი. ბევრი მათგანი შიშით დაავადმყოფდა. ძროხებს ისეთ რალაცას უკეთებდა, რომ წითელ რძეს იწველიდნენ.

თუ ვინმე სიკეთეს გაუკეთებდა, ფენდაფენ დაჰყვებოდა და ეუბნებოდა, ათასი მადლი და წყალობა არ მოგაკლოთ ღმერთმაო.

მაგრამ თუ გალანძლავდნენ ან აწყენინებდნენ, წყევლიდა, ღმერთსა ვთხოვ, ჯოჯოხეთში მოხვდეთ.



მეხავსე ხშირად მოდიოდა ჩვენთან და ამ ქალის დანახვაზე განსაკუთრებით გაავებული ჯაჭვით დაბმული ჩვენი ძაღლის ხმაშალი ყეფისა და წრიალის მიუხედავად სიამოვნებით იჯდა ხოლმე მწვანე მოღებზე ან ღობის კიბის ჯვარედინ ფიცარზე. პოდა, იმდენ ხანს უჯდა სახლის წინ, ვიდრე დედა ერთ თას რძეს ან ერთ ნაჭერს ნაჭერს ან ერთივეს ერთად არ გამოუტანდა. დედას უყვარდა, როცა ეს ქალი ათას ლოცვას აღავლენდა ხოლმე ღმერთის მიმართ მისი გულისთვის. მამა კი ამ არსების ლოცვასა თუ წყევლას არავითარ მნიშვნელობას ანიჭებდა.

სოფელში რამდენიმე წლის წინ სკოლა რომ ააშენეს, ეს ქალი ქმართან ერთად მოვიდა და შენებაში ეხმარებოდა, ვიდრე ერთ დღეს კაცი ქვების მსხვრევისას არ დაიღუპა. ამ ამბის მერე ქალი აღარც მუშაობდა და არც სხვაგან მიდიოდა, იქვე ახლომახლო დაეხეტებოდა. არავინ იცოდა, რას აკეთებდა ან რა უნდოდა. იგი სულიერად დაავადდა.

მოსამართლემ რამდენჯერმე გააგდო აქედან, მაგრამ ისევ უკან ბრუნდებოდა. მამა ამბობდა, ამ მათხოვრისთვის წყალობა რომ არავის გამოეჩინა, უკან არ დაბრუნდებოდა, ახლა კი აქ დარჩება და, როცა დაბერდება ან დაავადდება, ჩვენი მოსავლელი გახდება, ეს ჯვარი ჩვენ თვითონ ჩამოვიკიდეთ კისერზეო.

დედა არაფერს ამბობდა ამ სიტყვებზე, მაგრამ მეხავსეს მაინც ჩვეულებისამებრ აძლევდა საჭმელს, დღეს კი უფრო მეტი მისცა ამ დიდი დღესასწაულის სადიდებლად.

სწორედ ამიტომ იკამათეს დედამ და მამამ, მაგრამ მაშინვე გაჩუმდნენ, როგორც კი ორი მოჯამაგირე საკმევლითა და ნაკურთხი წყლით სახლში შემოვიდა.

საკმევლის სუნი ირგვლივ მიმოიფრქვა. მამამ სანთელი მაგიდაზე მიამაგრა. ნამწვები კი სამზარეულოში უნდა გაეტანათ. ვახშამი ოთახში შეიტანეს. უფროსი მეჯინიბე გვიამბობდა ქრისტეშობის ამბებს.

ვახშმის შემდეგ დედამ იმღერა ზეციური მწყემსის საგალობელი. გოველთვის ნეტარებით ვუგდებდი ხოლმე ყურს ამ სიმღერებს, მაგრამ დღეს მხოლოდ ეკლესიაში წასვლაზე ვფიქრობდი და საკვირაო ტანსაცმლის ჩაცმა ძალიან მინდოდა. მითხრეს, რომ ამისი დროც დადგებაო. ჭირვეულობა რომ დავიწყე, ბებია დათმობაზე წავიდა და ჩამაცვა. მეჯინიბე გულმოდგინედ გამოიპრანჭა სადღესასწაულოდ, რადგან შუალამის მესის შემდეგ სახლში კი არ დაბრუნდებოდა, არამედ სოფელში დაუცდიდა გათენებას. დაახლოებით ცხრა საათზე სხვა მოჯამაგირეები და მოსამსახურე გოგოები უკვე მზად იყვნენ და სანთლის ალიდან ჭრაქს მოუკიდეს. უფროს მეჯინიბეს ხელი ჩავკიდე. ჩემმა მშობლებმა და ბებია, რომლებიც შინ რჩებოდნენ, ნაკურთხი წყალი მაპკურეს და მითხრეს, აბა შენ იცი, არ წაიქცე და არ გაიყინოო.

როგორც იქნა, გზას გავუდექით.

უკუნი იყო და ჭრაქი, მეჯინიბეს რომ ეჭირა, დიდ მანძილზე წითლად ანათებდა თოვლს, ღობეს, ბუჩქებსა და ხეებს. ეს წითელი შუქი, რომელსაც ჩვენი უზარმაზარი ჩრდილები კვეთდა, საზარლად მეჩვენებოდა და შიშით ვეკვროდი უფროს მეჯინიბეს. მან გაოცებულმა მი-



თხრა, რა დაგემართა, ქურთუკი არ დამიხიო, თუ გამიფუჭე, მერე რაღა ვქნაო.

ერთ ადგილას ბილიკი ისეთი ვიწრო იყო, რომ ერთიმეორის უკან მივდიოდით. მინაროდა, რომ ბოლო არ ვიყავი, რადგან ისე მერვენი ბოდა, თითქოს უკან ვილაც საშინელი არსება მომყვებოდა. ერთმანეთს დაიწყოთ თოვა, ამოვარდა ქარიც. ჭრაქის ნაპერწკლები დაიშრებოდა ნენ და, როცა ყინულზე ცვიოდნენ, ერთხანს კვლავ ციმციმებდნენ.

ხრიოკი ადგილები გავიარეთ, ბუჩქებსა და ტყეებს გავუყევით. მერე ჩემთვის ნაცნობ ნაკადულთან მივედით, რომელიც იმ მდელზე მიედინებოდა, ზაფხულობით რომ ვთიბავდით ხოლმე. ზაფხულში ლამაზად მოჩხრიალე ახლა გაყინულიყო და დადუმებულიყო. მერე ერთ წისქვილს ჩავუარეთ. მის სახურავზე ნაპერწკლები რომ დაცვივდა, საშინლად შემეშინდა. მაგრამ რისი მეშინოდა ნეტა? სახურავზე ხომ თოვლი იდო და ნაპერწკლები მაშინვე ჩაქრა. როგორც იქნა, ნაკადულს გამოვცდით და ზემოთ მიმავალ გზას დავადექით, რომელიც ტყეში შედიოდა. თოვლი თხლად იდო და აღარც ყინული ჩანდა სადმე.

მერე განიერ ქუჩას გავყევით. ერთიმეორის გვერდით მივდიოდით. აქეთ-იქიდან ციგების სრიალის ხმა ისმოდა. ჭრაქი ისე ჩამწვარიყო, მეჯინიბე ბიჭს ძლივსლა ეჭირა. შემდეგ მეორე აანთო. ქუჩაში დიდი, წითელი მოციმციმე ფარნები ნელ-ნელა ირწეოდნენ, თითქოს შავ პაერში დაცურავენო. მათ უკან უამრავი სახე ამოტივტივდა. ეკლესიაში მიმავალი ხალხი ჯერ ერთმანეთს უერთდებოდა, მერე ჩვენც. მთებზე და გორაკებზე მოციმციმე სინათლეები ისე შორს ჩანდნენ, ვერც კი მივხვდით, იდგნენ თუ მოძრაობდნენ.

გზა განვაგრძეთ. თოვლი ფეხებქვეშ ხრაშუნობდა. მაგრამ სადაც ქარს გადაეხვეტა, შავი სველი მიწა ისე გამაგრებულიყო, რომ ნაბიჯების ხმა ისმოდა. ხალხი ბევრს მხიარულობდა და საუბრობდა. თუმცა ჩემი წარმოდგენით ეს ყველაფერი წმინდა ქრისტეშობის ღამეს არ შეეფერებოდა. მე კი სულ ეკლესიასა და შუალამის საზეიმო მესაზე ვფიქრობდი.

დიდხანს მივყვებოდით ქუჩებს, ხეებსა და სახლებს ჩავუარეთ, მერე მინდვრის გავლით ტყეში შევედით. უეცრად ხის კენწეროდან რეკვა მომესმა. ყური დავუგდე, მაგრამ ხმა შეწყდა. მალე ისევ გაისმა უფრო მკვეთრად, ვიდრე პირველად. ეს იყო სამრეკლოზე პატარა ზარის წკრიალი. სინათლეები, მთებზე და ბარში რომ დავინახეთ, ახლა უფრო მრავლად მოჩანდა და ყველა ეკლესიისკენ მიცურავდა. ფარნების მშვიდი ვარსკვლავნიც აქეთ მისრიალებდნენ. ქუჩას გამოცოცხლება დაეტყო. პატარა ზარის ხმა დიდმა შეცვალა და ეკლესიაში არც შემწყდა. — თურმე მართალი იყო, რასაც ბებიაჩემი ამბობდა: შუალამისას ზარების რეკვა დაიწყება და იმდენხანს გავრძელდება, ვიდრე შორეული ადგილებიდან ბოლო მოსახლეც კი ეკლესიაში არ მოვაო.

ეკლესია არყის ხეებითა და შავი ნაძვებით მოფენილ პატარა გორაზე იდგა, მის გარშემო კი დაბალი მესრით შემოღობილი პატარა სასაფლაო გარინდულიყო. ბარში ცოტა სახლი იდგა.



სალხი ეკლესიას რომ მიუახლოვდა, ჭრაქები თოვლში ჩაურჭეს და ჩააქრეს. მხოლოდ ერთილა ენთო სასაფლაოს ორ ქვას შუა.

ახლა კოშკზე დიდი ზარი აგუგუნდა. ვიწრო მალაღლი სარკმლებიდან ნათელი ეშვებოდა. ეკლესიაში მინდოდა შესვლა, მაგრამ უფროსმა მეჯინიბემ მითხრა, ამისი დროც მოვაო. შემდეგ შეჩერდა და ხიჭებს გაესაუბრა, ბევრი იცინეს. მერე ჩიბუხი დატენა.

ბოლოს ყველა ზარი ერთიანად აგუგუნდა. ეკლესიაში ორლანის ხმა გაისმა და ჩვენც შიგ შევედით.

ახლა ბევრად უფრო ლამაზი იყო ვიდრე სხვა კვირა დღეებში. სანთლები, საკურთხეველთან რომ იწვოდა, წითელი მოციმციმე ვარსკვლავები იყო და მოოქროვილი საკურთხეველი საუცხოოდ ირეკლებოდა. ჩაუქრობელი სინათლის ნათურა წითლად ანათებდა. ეკლესიის ზედა სივრცე ისე ჩაბნელებულიყო, რომ ულამაზესი მოჩუქურთმებული თალი ძლივსღა ჩანდა. ადამიანების მუქი ფიგურები ისხდნენ თუ იდგნენ ერთიმეორის გვერდით. თავსაფრიანი ქალები შიგადაშიგ ჩაახველებდნენ ხოლმე. მათ წინ სანთლები იწვოდა. მათგან ბევრი ქალი გალობდა, ვიდრე ლიტურგია არ დაიწყო.

უფროსმა მეჯინიბემ სკამების ორ რიგს შუა გამატარა და საკურთხეველთან მიმიყვანა, სადაც რამდენიმე ადამიანი იდგა. მერე ტაბურეტზე დამსვა სამი სანთლით განათებულ და ორ ნაძვს შუა მდგარ მინის ყუთთან. მანამდე, როცა მშობლებთან ერთად ეკლესიაში მივდიოდით, ასეთი რამ არ მინახავს. „ახლა შეგიძლია ბაგის ნახვა“, მიჩურჩულა უფროსმა მეჯინიბემ. ცნობისმოყვარეობით დავუწყე თვალღებება. „შვილო, რომ გაიგო, აქ რა არის, ვინმემ უნდა აგისხნას“, მითხრა ერთმა ქალმა ხმადაბლა და ამიხსნა კიდევ ყოველივე, ყუთში რაც იდო.

მარიამ ღვთისმშობლის გარდა, ცისფერი მოსასხამი თავითფეხამდე რომ სწვდებოდა, ყველა არსება ხანშიშესული გლეხებივით იყო ჩაცმული. თვით წმინდა იოსებს მწვანე წინდები და ტყავის მუხლებამდე შარვალე ეცვა. ბაგაში კი შიშველი ყრმა იწვა.

ლიტურგია რომ დამთავრდა, უფროსმა მეჯინიბემ ტაბურეტიდან ჩამომსვა და სკამზე დავსხედით. ეკლესიის მსახური გარშემო დადიოდა და სანთლებს ანთებდა. როგორც ყველამ, უფროსმა მეჯინიბემაც ჩანთიდან ერთადერთი სანთელი ამოიღო, აანთო და თავის წინ სკამზე მიაკრა. ეკლესია ისე გაჩახჩახდა, რომ ულამაზესი ჩუქურთმები თალზე უკვე ნათლად ჩანდა.

ერთმანეთს ენაცვლებოდა ვიოლინოების, ბუკის და დაფდაფის ხმა. საკურთხევლის კართან ზარის რეკვა გაისმა. მორჩილებით გარშემორტყმულმა ბრჭყვიალა წამოსასხამიანმა მღვდელმა მეწამული ხალიჩა გაიარა და საკურთხეველთან მივიდა. ორლანმა იგრიალა.

საკმეველის სუნი ირგვლივ მიმოიფრქვა და სანთლებით განათებული საკურთხეველი კვამლის ბურში გაეხვია. მერე კვლავ გაისმა ჰიმნი, ყოველივე ბრწყინავდა. ლოცვა რომ დაიწყო, ყველა საკრავი მაშინვე დადუმდა, მხოლოდ ორის წკრიალა ხმა ზეციური მწყემსის ტკბილ სიმღერას გალობდა. ლიტურგიის დროს კლარნეტი და ორი ჩასაბერი ინსტრუმენტი ხმადაბლა და ნელა იავნანას უკრავდა. მესის ბო-



ლოს კი გუნდში გუგულისა და ბულბულის ხმა გაისმა, როგორც მზიან გაზაფხულზე.

სულში ღრმად ჩამებეჭდა ქრისტეშობის ღამის დიდებულება, მაგრამ აღტაცებისაგან არ ვცმუკავდი, დინჯად ვიდექი და ვაუშქვებდნენ მევლს.

მუსიკის ხმა კვლავ რომ გაისმა, დედ-მამა და ბებია გამახსენდა, რომლებიც ალბათ მაგიდის ირგვლივ ჩაიმუხლებდნენ ერთადერთი სანთლის შუქზე სალოცავად ანდა ეძინათ.

ოთახიც ჩაბნელებული იქნებოდა. მხოლოდ საათი იწიკწიკებდა. სიმშვიდე დაეუფლებოდა ტყიან მთებს და ხალხი ქრისტეშობის ღამეს მთელ სამყაროში იზეიმებდა.

მესის დასასრულს ეკლესიის მსახური გარშემო უვლიდა იქაურობას და თავისი გრძელტარიანი თუნუქის ხუფით კედლებზე, ხატებზე და საკურთხევლებთან მიმაგრებულ სანთლებს აქრობდა. ირგვლივ ჩამქრალი სანთლების სურნელი იფრქვეოდა, მაგრამ მთავარ საკურთხეველთან ჯერ კიდევ ენთო, ვიდრე უკანასკნელი მხიარული, სადღესასწაულო მარში არ გაისმა და ხალხი ეკლესიიდან არ დაიძრა.

გარეთ რომ გამოვედით, მთებიდან წამოსული სქელი ნისლის მიუხედავად ისე აღარ ბნელოდა, როგორც შუალამისას. მთვარე ამოსულიყო. ჭრაქები აღარსად ენთო. პირველი საათი გახდა, მაგრამ მასწავლებელი უკვე ავე-მარიას აუღერებდა ზარებით ქრისტეშობის დილისათვის. მზერა კვლავ ეკლესიის სარკმლებს მივაპყარი; ზეიმის ყოველგვარი ბრწყინვალება ჩამქრალიყო, ვხედავდი მხოლოდ მარადიული სინათლის ბუნდოვან შუქს.

უფროსი მეჯინიბის სამოსზე ხელი მინდოდა ჩამეჭიდა, მაგრამ ის იქ აღარ იყო. ჩემ გარშემო უცხო ხალხი ტრიალებდა, საუბრობდნენ და სახლებისაკენ მიეშურებოდნენ. ჩემი თანმხლები ალბათ წინ წავიდა-მეთქი, გავიფიქრე და ფეხს ავუჩქარე. სწრაფად ჩავურბინე რამდენიმე ადამიანს, რომ მოჯამაგირეს მალე დავწეოდი. რაც შემეძლო მივრბოდი. უეცრად უღრან ტყეში აღმოვჩნდი, მერე კი მინდორში, სადაც ქარი ისე ძლიერად ქროდა, რომ ცხვირსა და ყურებს ვეღარ ვგრძნობდი. ხალხი ქუჩაში თანდათანობით შორდებოდა ერთმანეთს. უფროსი მეჯინიბე ვეღარ ვიპოვე, მარტოდმარტო დავრჩი. იქნებ ჩემ უკანაა, გამიელვა თავში და გადავწყვიტე პირდაპირ სახლისაკენ წავსულიყავი. მიწაზე აქა-იქ შავი წერტილები ჩანდა უამრავი დანახშირებული დამწვარი კვარისა, ხალხს ეკლესიის გზაზე რომ ეჭირა. არ მინდოდა შემეხედა ბუჩქებისა და ნორჩი ხეებისათვის, ნისლიდან რომ ჩუმად ამოტივტივდებოდნენ ხოლმე, მაგრამ მაინც ვუყურებდი, აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, მოჩვენება ხომ არ მომდევს-მეთქი.

როგორც იქნა, ბილიკს დავადექი, რომელიც ტყის გაღმა ხეობაში მიმიყვანდა. შევუხვიე და გრძელტოტებიანი ხეების ქვეშ სირბილით განვაგრძე გზა. ტოტები შრიალებდნენ. უეცრად საიდანღაც თოვლის უზარმაზარი გუნდა ჩემ გვერდით დაეცა. ადგილ-ადგილ ისე ბნელოდა, რომ კინალამ ხის ტოტებს შევეჯახე. ბილიკი დავკარგე. თოვლი ისე თხლად იდო, რომ მიწა ჩანდა. იგი თანდათანობით ციცაბოდ ეშვებოდა.



თოვლიდან უამრავი სარეველა და მალალი მანანა მოჩანდა. ხეები ჩამწკრივებული კი არ იდგნენ, არამედ გაფანტული, ზოგი გადატრეცილიყო, ზოგს ფესვები ჰქონდა ამოყრილი და მეორეს მიყრდნობოდა, ზოგი აქეთ-იქით გაფარჩხული ტოტებით მიწაზე გართხმულიყო. ეკლესიისკენ რომ მივდიოდი, მაშინ ეს არ შემიმჩნევია. ძალა გამომეღვინა ბურქებისა და ტოტების გავლით ძლივს მივიკვლევდი გზას. ხან თოვლი მეყრებოდა თავზე, ხან მანანას ტოტები მეხებოდა მკერდზე. მივხვდი, რომ სწორი გზა დავკარგე. ბარში რომ ვყოფილიყავი ან ნაკადულთან, არ გამიჭირდებოდა გზის გაგნება. ავუყვებოდი აღმართს და წისქვილამდე მივიდოდი, მერე კი ჩვენს მდელიმდე.

თოვლის დიდი ქულა ახლა ჩანთაში ჩამივარდა. მათოვდა შარვა-ლსა და წინდებზე და წყალი ფეხსაცმელებში შემდიოდა. ცოცვისა და ბურქებში ფორთხვისაგან მოვიქანცე, მაგრამ დაღლილობამაც მალე გამიარა. არ ვუყურებდი თოვლს, არც ბურქებს, უხეშად რომ მიკაწრავდა სახეს, რაც შემეძლო მივიჩქაროდი, ვეცემოდი და ისევ ვდგებოდი. მოჩვენებების ყოველგვარი შიში გამიქრა. ჩემი სახლის გარდა არაფერზე ვფიქრობდი. არ ვიცოდი, რამდენ ხანს უნდა მევლო კიდევ ამ გაუვალ ადგილებში, მაგრამ მაინც ყოჩაღად მივდიოდი. შიშს წინ მივყავდი.

ჰოი, საშინელება! უეცრად უფსკრულთან აღმოვჩნდი. ნაცრისფერ ნისლს მოეცვა იქაურობა. ხანდახან ხის ტოტები ამოტივტივდებოდნენ ხოლმე ჩემ ირგვლივ. ტყე განათებული იყო, მოწმენდილ ცაზე ნახევარმთვარე, პირდაპირ კი სადღაც შორს უცნობი ვეებერთელა მრგვალი მთები ჩანდნენ.

ქვემოთ, სიღრმეში, მგონი, ხეობა და წისქვილი უნდა ყოფილიყო; თითქოს მესმოდა ნაკადულის ჩხრიალი, მაგრამ არა, ეს ხომ გაღმა ტყეებიდან მონაქროლი ქარის შრიალი იყო. ხან მარჯვნივ მივდიოდი და ხან მარცხნივ. ქვემოთ ჩამავალ ბილიკს ვეძებდი და კიდევ ვიპოვე, დაუთოვლავი ღორლისა და ღვიის ბურქნარის გავლით დაბლა რომ ეშვებოდა. ერთ ადგილას სწორედ დროზე მოვეჭიდე ფესვს, თორემ ციცაბო კალთიდან ჩამოვვარდებოდი. ზემოთ ველარ ავედი, დაქანცული მიწაზე დავეცი. შორეულ სიღრმეში ხის შავი ტოტები ნისლით გარემოცულიყო.

ქარის შრიალის გარდა ტყეში არაფერი ისმოდა. არ ვიცოდი, სად ვიყავი. საიდანღაც შველი რომ გამოჩენილიყო, ნამდვილად ვკითხავდი გზას. მსმენია, ქრისტეშობის ღამეს ცხოველებს ლაპარაკი შეუძლიათო.

ავდექი, გზა ხოხვით რომ გამევლო. ქვა-ღორღი ხელს მიშლიდა სიარულში. ხელ-ფეხი მტკიოდა, ჰოდა, გავჩერდი და, როგორც შემეძლო, ხმამალლა დავუძახე უფროს მეჯინიბეს. ჩემი ხმა ხეებსა და კლდეებიდან ყრუ ექოდ გაისმა.

შრიალის მეტი არაფერი გამიგონია. ყინვისაგან მთლად გავითოშე.

კიდევ ერთხელ მთელი ძალით დავუყვირე უფროს მეჯინიბეს. მაგრამ არაფერი ისმოდა ექოს გარდა. შემეშინდა. საშველად ვუხმობდი



ჩემს მშობლებს, ბებიაჩემს, ჩვენს ყველა მოჯამაგირესა და მოსამსახურე გოგოს. მერე საცოდავად ტირილი მოვრთე.

ჩემი სხეული გრძელ ჩრდილად ეფინებოდა ქვებზე. მივუყვებოდი ციცაბო კიდეს და წმინდა იესოს შველას ვთხოვდი მთვარე უკვე ანათებდა ბნელ ცაზე.

ბოლოს ველარც ვტიროდი და ველარც ვლოცულობდი, ველარც ვმოდრაობდი. ცახცახით ჩავიცუცქე ქვასთან და გავიფიქრე: იქნებ ყველაფერი მხოლოდ სიზმარია და, როცა გავიღვიძებ, ან სახლში ვიქნები ან ცაში.

უეცრად ჩემ ზემოთ, ღვიის ბუჩქებიდან ხმაური მომესმა. მალე ვიგრძენი, რომ რაღაც შემეხო და ამწია. ყვირილი მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი, თითქოს ხმაც გამეყინა. შიშისაგან თვალები მაგრად დავხუჭე. ხელ-ფეხიც მომიდუნდა, ველარც ვამოდრავებდი, ასე მეგონა, რომ ყველა მთა ჩემთან ერთად ირწყოდა.

გონზე რომ მოვედი და გავიღვიძე, ჯერ კიდევ ბნელოდა; ჩემი სახლის კართან ვიწექი და ჯაჭვმობმული ძალღი ხმამალლა ყეფდა. ვიდაცამ ყინულზე გამასრიალა, იდაყვით ღონივრად დააბრახუნა კარზე და იქაურობას გასცილდა. მაშინვე ვიცანი, ეს მეხავსე იყო.

კარი გაიღო და ბებია მომვარდა: „ოჰ, წმინდა იესო ქრისტე, როგორც იქნა, გამოჩნდა!“.

ბებია მთბილ ოთახში შემეყვანა, იქიდან კი სახლის წინ გამეყვანა და გობზე დამსვა, მერე კარისკენ წავიდა და გამაყრუებელი სტვენა ატეხა.

იგი მარტო იყო სახლში. უფროსი მეჯინიბე ეკლესიიდან რომ დაბრუნებულა და სახლში არ დავხვედრივარ, სხვებთან მოუკითხივარ. რადგან იქაც არ აღმოვჩნდი, ყველა ტყეში წასულა ჩემს საძებნელად. მერე თურმე ხეობასა და ქუჩებში დამეძებდნენ ყველა მიმართულებით. დედაც მათ გაჰყოლია და მე მეძახდა.

ბებია რომ მიხვდა, აღარაფერი შემუქრებოდა, კვლავ მთბილ ოთახში შემეყვანა და ფეხებზე შეყინული ფეხსაცმელისა და წინდების განხდას შეეცადა. მერე კვლავ გარეთ გავიდა და რამდენჯერმე დაუსტვინა. გარედან ერთი გეჯა თოვლი შემოიტანა და ფეხშიშველი შიგ ჩამაყენა. ფეხის თითებში ისეთი ძლიერი ტკივილი ვიგრძენი, რომ დავიკვნესე. ბებია კი მითხრა, კარგია, რომ გტკივა, ესე იგი ფეხები არა გაქვს გაყინულიო.

მალე გარიჟრაჟმაც შემოაღწია ფანჯარაში. ხალხი ნელ-ნელა ბრუნდებოდა შინ. ყველაზე ბოლოს მამა დაბრუნდა. როცა ელვარე მზის სხივები საძოვრებს მოეფინა და ბებია კიდევ ბევრჯერ ჩასტვინა, დედაც მოვიდა და ჩემს საწოლს მოუახლოვდა. მამაც იქ იჯდა. დედას ხმა ჩახლენოდა.

ახლა დაიძინე, მითხრა დედამ და ფანჯარას ნაჭერი ჩამოათარა, მზეს სახეში რომ არ ეჭვრიტინა. მამა ფიქრობდა, რომ ჯერ არ უნდა დამეძინა. უნდა მეთქვა, როგორ დავშორდი მეჯინიბეს, როგორ ვერ შეამჩნია მან, საით წავედი. მოვუყევი, როგორ დავკარგე ბილიკი და გაუვალ ადგილას მოვხვდი. და როცა მოვარის, ულრანი ტყის, ქარის



შრიალისა და კლდის უფსკრულის ამბავი ვუამბე, მაშინ დედას ხმადაბლა უთხრა: ქალო, ღმერთს მადლობა უნდა შევწიროდ, რომ ჩვენი შვილი ახლა აქ არის. იგი დემონების ტყეში ყოფილაო.

ამ სიტყვების შემდეგ დედამ ჩემდა გასაოცრად კლდესაზე მაკოცა. მერე წინსაფარი სახეზე აიფარა და გავიდა.

— დიახ, შე ჭექა-ქუხილის ბიჭო, როგორ მოახერხე შინ დაბრუნება? — მკითხა მამამ. არ ვიცი, დიდხანს ძილისა და წოლის შემდეგ სახლის კართან როგორ აღმოვჩნდი, ჩემ გვერდით კი მეხავსე იდგამეთქი, ვუპასუხე. მამამ კიდევ ერთხელ გამომკითხა ეს ამბავი და იგივე მოვუყევი.

მერე მითხრა, დღეს ქრისტეშობის დღეა, ეკლესიაში წავალ ღვთისმსახურებაზე, შენ კი დაიძინეო.

ალბათ დიდხანს მეძინა. როცა გავიღვიძე, უკვე ბინდი იყო და ოთახში თითქმის ბნელოდა. ჩემი საწოლის გვერდით თავდახრილი ბებია იჯდა, ხოლო სამზარეულოდან ცეცხლის ტკაცატკუცი ისმოდა.

მოგვიანებით, სავახშმოდ რომ ვისხედით, მეხავსეც ჩვენ გვერდით იჯდა.

ეკლესიის ეზოში ცისკრის ღვთისმსახურების დროს თურმე ქმრის საფლავის ბორცვთან ჩაცუცქულიყო. ლოცვის შემდეგ კი მამაჩემი მასთან მივიდა და სახლში მოიყვანა.

იმ ამბის შესახებ, თითქოს ტყეში იესო იპოვა, სიტყვა აღარ დასცდენია. ერთხელ ჩემს საწოლთან მოვიდა და დამხედა. ძალიან შემეშინდა მისი მზერისა.

ჩვენი სახლის უკანა მხარეს ერთი ოთახი იყო, სადაც ძველი, გამოუყენებელი, ობობას ქსელებით დაფარული ხელსაწყოები ეწყო.

ეს ოთახი მამაჩემმა მეხავსეს დაუთმო საცხოვრებლად და ღუმელი და მაგიდაც დაუდგა.

იგი ჩვენთან დარჩა. ხშირად კედლებს ღებავდა და ხავსი შეჰქონდა ხოლმე ოთახში. მერე ეკლესიაში მიდიოდა და ქმრის საფლავის ბორცვთან დიდხანს იჯდა. აღარ უნდოდა აქედან შორს წასვლა, იქ ხომ ეულად იქნებოდა. მის წარსულზე ახალი ვერაფერი გავიგეთ. ალბათ ეს ქალი ერთდროს ბედნიერი იყო, მაგრამ ქმრის დაკარგვით გამოწვეულმა ტკივილმა გონება დაუბინდა.

ყველა კარგად ვეპყრობოდით. მშვიდად და კმაყოფილი ცხოვრობდა, სულ მცირე დარდსაც არავის უმატებდა. მხოლოდ ჯაჭვმობმული ძალღი დაინახავდა თუ არა მოლზე მოსიარულე ქალს, ყეფდა და მაგრად აჩხარუნებდა ჯაჭვს. ერთხელ უჩვეულო რამ მოხდა: ძალღმა ჯაჭვი გაწყვიტა, მივარდა მეხავსეს, გახარებული შეახტა მაგრდზე და ლოყები აულოკა.





გერმანულიდან

თარგმნა ნონა შუხაშვიდმა

სოფლის შუაგულში მინდვრის ქვით ნაშენი მრგვალსარკმლებიანი ეკლესია დგას, — ასე რომანტიკულად აღწერს მასწავლებელი შრამი. აქვე მოჩანს რამდენიმე კარ-მიდამო, თავიანთ პატრონებს სარჩოთი რომ ამარაგებენ, თუმცა ამაზე მასწავლებელი არაფერს ამბობს. მას გერმანულ-ეროვნულზე საუბარი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია.

ამ სოფელს თავისი წარსული აქვს: ოცდაათწლიანი ომის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ აქ მკვლელობაც კი მოხდა. ხალხი დღეს ისე ლაპარაკობს ამაზე, როგორც გუშინდელ ამბავზე.

ხალხმა წარსული შემოინახა. ყოველთვის ასეა, ამბობს მასწავლებელი შრამი, ყველაფერს აქვს თავისი ისტორია. იგი ბავშვებს უამბობს, რომ გენერალი ლუდენდორფი ფრიდრიხ დიდის შემდეგ გოეთემდე ყველა დროის უდიდესი მოაზროვნე იყო.

ეს სოფელია, აქ ცოცხლობენ, რათა იცხოვრონ და გარკვეული დროის შემდეგ, როგორც წესი, იხოცებიან. შვილები იზრდებიან და ოჯახსა და მეურნეობას უძღვებიან. ზოგი ადამიანი თუმცა მოხუცი კვდება, მაგრამ ისე, რომ ნამდვილი ცხოვრება არც კი უნახავს.

ეზოში სიმშვიდეა. დილით საქონელსა და ღორებს აჭამებს, შუადღით კი ცხენებს შვრია დაუყარეს.

ელზე თავის მეუღლე ერნსტს გაზეთს უკითხავს. მათ აინტერესებთ, რა მოხდა ამ კვირაში. არგენტინაში გვალვაა, მექსიკაში კი ვულკანი ამოიფრქვა. ცოლ-ქმარს უხარია, რომ მათთან არც გვალვაა და არც სახიფათო ვულკანური ამოფრქვევები.

ერნსტი სავარძელში ზის, სიგარეტს აბოლებს და ახლომხედველი თვალებით ელზეს უყურებს. ის სქელმინიანი სათვალე უკეთია, რომლის გარეშეც ვერაფერს ხედავს. ცუდი მხედველობის გამო ჯარში არ გაიწვიეს.

დიახ, სადაც სიყვარულია... ერნსტის გასაბრაზებლად ამბობს სოლმე ელზე, მაგრამ მათ სომ სიყვარული შორს არ უძებნიათ. ისინი დამის შვილები იყვნენ, ერთმანეთთან მშობლებით დაკავშირებულნი. მიუხედავად ამისა საქმე ყოველთვის კარგად ჰქონდათ აწყობილი. ელზე მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ ქმარს იგი არასოდეს დაუნახავს, ვინაიდან სათვალითაც კი საგნების მხოლოდ კონტურებს ამჩნევს.

არასოდეს უნახავს, რომ უსამართლო არა ვარ, ოხრაგდა ქალი და სარკეში იყურებოდა.



ელზემ კითხვა განაგრძო: დიდად პატივცემულ ბატონ პრეზიდენტს ხის ძეგლი დაუდგამს, სადაც ყველას შეუძლია თითო ლუგსმანი ჩააჭედოს. ქება და დიდება იმპერიას!

— მერე? — შეეკითხა ერნსტი.

— ხუთი მარკა ღირს, — მიუგო ელზემ.

— რაც სარფიანია, იმას აკეთებენ, — თქვა კაცმა და სიგარეტი მოქაჩა.

— აი, ახალი რაიხსკანცლერიც დაუნიშნავთ, — წაიკითხა ქალმა.

— ეჰ, ბიჭო, ბიჭო, — ერნსტმა გააბოლა და თავის თავს უთხრა, — შენ შემობრუნებაც კი არ შეგიძლია ისე სწრაფად, როგორც ისინი იცვლებიან.

— არც ისე ნელა ბრუნავ, — უთხრა ცოლმა.

ერნსტი სიამოვნებით უსმენდა ქალს. იგი კარგად მხედველივით ართმევდა თავს სამუშაოს.

— მართალი ხარ, — მიუგო ცოლს და კმაყოფილმა თავი დააქნია.

ელზემ გაზეთის ფურცვლა განაგრძო. რაიხსკანცლერის მისასაღმებელმა სიტყვამ არ დააინტერესა, ისიც სხვების მსგავსი იქნება. ისედაც ხომ გასაგები იყო, რაც ეწერებოდა.

აქ რალაცას აღმოსავლეთის დახმარებაზე წერენ, მიუთითა ქალმა. ერნსტი რომ არ გამოეპასუხა, ცოლმა აუხსნა: ეს დახმარება გლეხებს ნამდვილად წაადგებათ.

ერნსტმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ქალი, მაგრამ დაეთანხმა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო, და სიგარეტი თითებს შუა დაატრიალა.

— მოდი, იქნებ ჩვენც... — წარმოთქვა შიშით ელზემ, — ჩვენ ხომ ბოლო ხანებში...

— რა? — გააწყვეტინა ქმარმა, — გლეხებს დავესმართ? ვალეები არ გვჭირდება, თანაც ამ დროს, როცა საქმე ცუდადაა! — ერნსტმა თავი გააქნია, მერე სიგარეტი ისევ გააბოლა. თუ დღეს ათასმარკიანი გიდევს სალაროში, მომავალ კვირას მხოლოდ ას მარკიანილა დაგრჩება.

— მე მაინც ვფიქრობ, იქნებ მოგვიანებით გველაპარაკა ამაზე! — უთხრა ქალმა.

ერნსტმა სიგარეტი პირში დაატრიალა და თქვა:

— არა და არა, ამ გაჭირვებულ დროს ეს არ გამოვა.

სოფელში არცთუ ისე ცუდად იყო საქმე, როგორც ქალაქში.

ელზემ და ერნსტი ყოველწლიურად სამ ღორსა და ერთ მსუქან ცხვარს კლავდნენ. ერნსტს ყველაზე მეტად უყვარდა მწვანე ლობიოს სუპი ცხვრის დუმით. კვირაობით კი ქათამი იხარშებოდა.

— ჩემი ბრალი ხომ არ არის, ქალაქში საჭმელი რომ არა აქვთ, — ერნსტმა მარჯვენა ხელი მუცელზე მოისვა.

— ვალეები აღარ გვინდა; ვალი დაღუპვის დასაწყისია, ეს მამაჩემისგან მსმენია.

— ერნაზეც უნდა ვიფიქროთ, — თქვა ქალმა, — გაზეთი დაკეცა და სხვა აიღო.



მათი ცხრამეტი წლის ქალიშვილი ერნა ზემოთ თავის ოთახში იჯდა და მონოგრამებს აქარგავდა სამზითვო თეთრეულს.

დედამისი მას უკვე საქმროს ურჩევდა.

— მასწავლებელი შრამი შეეფერება, — ჩაიურჩულა ელზემ და თან დაუმატა: — უშვილო ქვრივია!

ერნსტმა თავი გააქნია:

— იგი მეტიხმეტად პოლიტიკურად მეჩვენება.

— ეჰ, ბიჭისთვის ასეთი დიდი არჩევანი არ გვექნება, — ამოიხრა ელზემ. თითქმის ათი წლის ბიჭი ეზოში, თავის სათამაშო გალიაში იჯდა, ფიგურებით თამაშობდა და მუხლებზე დახობავდა.

ელზემ გაზეთში კვლავ რაღაც მოხაზა, თან ოხვრა დააყოლა.

— რა იპოვე? — ერნსტმა თვალები მოჭუტა.

— ბიჭის დარდი მკლავს, — ხელი ჩამოისვა სახეზე ქალმა.

— სულ ამაზე ნუ ფიქრობ, — უთხრა ერნსტმა, — ამით ვერაფერს შეცვლი.

ელზემ იცოდა, რომ ქმარი მართალი იყო და გამჭრიახიც, მაგრამ მაინც უთხრა:

— შენ რა გენაღვლება, შენ ხომ მხოლოდ მამა ხარ!

ერნსტმა თავი მოიქექა და, სამწუხაროაო, — გაიფიქრა.

— რა იცი, რა ხდება, — თქვა ქალმა და გულში გაიფიქრა: თურამე მოხდება, შეიძლება შვილთან ერთად საგიჟეთში მიკრა თავი და ჩამოგვიშორრო!

არავინ იცოდა, რა სჭირდა ბიჭს, და არც ვინმეს უნდოდა გაეგო, რით უშველიდნენ. მხოლოდ საუბრობდნენ და დიდძალ ფულს ხარჯავდნენ. ერთმა ცნობილმა ბერლინელმა პროფესორმა ახლახან უთხრა ელზეს: ჩემო კარგო, ცოტა ხანს კიდევ მოითმინეთო! არადა, როდემდე უნდა ეთმინა ქალს, ექიმი ვერ ეუბნებოდა.

ერთ დროს ელზე და ერნსტი ბედნიერი წყვილი იყო, როცა ათი წლის ქორწინების შემდეგ ნანატრი ვაჟი შეეძინათ, ცისფერთვალემა ლამაზზე ლამაზი ბიჭი. დედა ამაყობდა თავისი შვილით, ხანდახან რომ გაასეირნებდა ხოლმე დორფშტრასეზე.

ოთხი წლისა რომ გახდა, ბიჭი ავად გახდა. კვირეების მანძილზე უგონოდ იწვა სიცხიანი, მერე მეტყველებაც წაერთვა. ელზე თავისი ხელით აჭმევდა და ყველგან თან დაჰყავდა.

სხვა პროფესორმა ურჩია ქალს:

— ბავშვთა სახლში მიაბარე, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, ჩემო კარგო ქალბატონო!

— მე არა ვარ თქვენი კარგი ქალბატონი.

ელზე გაოგნებული დარჩა ამ სიუხემით და ბრაზიანად შეჰკივლა:

— ბატონო დოქტორო, ის ხომ ჩემი შვილია!

პროფესორმა გულგრილად აიჩეჩა მხრები. ქალი მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა, შვილი ხელში აიყვანა და მისაღები ოთახი დატოვა.

ელზე ქალბატონ ბრანდჩესთანაც კი იყო, ვისზედაც ყველა ამბობდა, მოსეს წიგნები აქვსო.

— ეკლესიისკენ რომ წახვალ, — ურჩია მან, — გზაში მოაგროვე ძალღის გამხმარი განავალი, მხოლოდ გამხმარი. შეახვიე სუფთა ცხვირ-



სახოცში და სამჯერ მოიყარე მუხლი საკურთხევლის წინ. სახლში რომ მიხვალ, წვრილად დაფშვენი და სუპში შეურიე.

ელზე ისე მოიქცა, როგორც ბრანდჩემ დაარიგა.

— დღეს რანაირი სუპია? — იკითხა ერნსტმა, რომელიც ვერ არ გადაეყლაპა პირველი ლუკმა.

ელზე დაიხარა, რომ ქმარს მისი შეცბუნება არ შეეძინია, და დაუფიქრებლად პკითხა:

— კი მაგრამ რანაირი უნდა იყოს?

— აბა რა ვიცი, — დაიწრიპინა ერნამ.

— ჩუმად იყავი, — გააფრთხილა გოგონა დედამ, მიაპიტი სახე მიიღო და ბიჭს ბევრი დაუსხა.

ერნსტმა სიმართლე რომ გაიგო, რამდენიმე კვირა ცოლს აღარ დალაპარაკებია. შემდეგ ყველაფერი მოგვარდა.

ელზემ ერთ-ერთ გაზეთში წაიკითხა, ბერლინში ბავშვებს ძალიან ცუდად აჭმევდნო.

— მათ რომ იმპერატორი\* პოლანდიაში არ გაეგზავნათ ასეთი რამ არ მოხდებოდა, — განაგრძო ერნსტმა.

— მასწავლებელი შრამიც ასე ფიქრობს, — თქვა ქალმა.

— ის მეტიხმეტად პოლიტიკოსობს, — გააწყვეტინა ერნსტმა და ტუჩები გაილოკა: — იმპერატორი ცუდი ადამიანი არ არის!

— ასე არ ფიქრობს მასწავლებელი შრამი, — უთხრა ელზემ და გაზეთში კვლავ რაღაც მოხაზა.

ერნსტმა ყურის მარჯვენა ბიბილო მოიქაჩა. ყოველთვის ასე იცოდა, როცა თავს კარგად გრძნობდა:

— პო, იმპერატორი რომ არ ყოფილიყო..., — დაიწყო მან.

— უნდა გვიხაროდეს, თუ შრამი ერნას წაიყვანს, — წარმოთქვა ელზემ, მერე ხელი პირთან მიიღო და თვალები გიჟივით გადმოქაჩა. — ღმერთო ჩემო, იქნებ ასეცაა, — წაიჩურჩულა და ხელი წაავლო თავისი ოიაყავისფერი კოფთის მოჩუქურთმებულ ღილებს.

— კი მაგრამ, რა დაგემართა? — პკითხა ქმარმა.

ელზემ რომ არ უპასუხა, ერნსტი გაბრაზდა:

— აფრენ, ხომ იცი!

ქალმა შუბლიდან თმა გადაიწია და ღრმად ჩაისუნთქა. როგორც იქნა გადალახა წინააღმდეგობა და ხმამაღლა წაიკითხა:

კაცი, რომელიც თავს ღმერთის წინასწარმეტყველს უწოდებს, ჩვენს ახლომახლო სოფლებში დაეხეტება. მან ქადაგებით გაითქვა სახელი. — ვიდრე ბოლომდე წაიკითხავდა, ელზე ცოტა ხანს შეჩერდა და მერე განაგრძო: — ამბობენ, თავისი ღვთიური ძალით სასწაულებს ახდენს და ხალხს პკურნავსო.

— ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა ქალმა და ფანჯრიდან გადაიხედა. შემდეგ კვლავ განაგრძო: — ევანგელისტი მღვდლები ურჩევენ თავიანთ მრევლს არ დაუჯერონ ამ მატყუარას და საჩივარი აღძრეს ამ მკრეხელობის გამო.

\* იგულისხმება ვილჰელმ II, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ პოლანდიაში გააგდეს.



— ეს რას უნდა ნიშნავდეს? — შეეკითხა ერნსტი ცოლს.

— აბა რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ქალმა და კითხვა დაასრულა:

მიუხედავად ამისა ეს სათნო კაცი სოფლებში დადის და ხალხი დიდი გულისუფრით უსმენს მის ქადაგებას.

ელზემ გაზეთი დაკეცა: შემოფოთებული ჩანდა.

— ვიცი, ეს რაც არის, — თქვა ერნსტმა და სიგარეტი მოქაჩა, —

ოპ, ეს ღვთისმოსავეები!

ნეტა, მართალი კია, გაიფიქრა ელზემ და კვლავ დილებს მისწვდა. ერნსტი შემოტრიალდა და ბოხი ხმით განაგრძო:

— ესეც სისულელე იქნება.

ელზემ კი უმაღლესად შესწირა საყვარელ ღმერთს და წინასწარ პატიება სთხოვა.

ეს ყველაფერი ხომ ჩემთვის არ არის, გაივლო გულში და ოთახის თეთრად შეღებილ ჭერს მიაშტერდა, მერე კი დივანზე დაწვა და გაზეთი გვერდზე გადადო. ეს ხომ ცოდვა არაა, გაიფიქრა მან. შემდეგ მაგიდის კიდეს დაეყრდნო და ერნსტს უთხრა, ყავა მოვადულოთო. ქმარი დათანხმდა.

— ერნა, ჩამოდი, ნამცხვრის დაჭრაში მომეხმარე! — გასძახა შვილს ელზემ დერეფნიდან. ბიჭი რომ ისევ გამოჯანმრთელდეს, — არ ასვენებდა ფიქრები ქალს, — მასწავლებელი შრამის მსგავსები ბევრი გამოჩნდება. იგი მართლაც რომ მეტიმეტად პოლიტიკოსობს. გამუდმებით იმას ამტკიცებს, რომ ამ პერიოდში მხოლოდ გერმანულ-ეროვნული უნდა მიიჩნიონ მნიშვნელოვნად და ფრიდრიხ დიდის შემდეგ გოეთემდე ყველაზე დიდი პიროვნება გენერალი ლუდენდორფია.

ოთხშაბათ საღამოს ელზემ და ერნსტი კროგერებს ეწვივნენ. ერნსტს თან წაიყვანეს, ცოტა მაინც გაერთობაო. ელზემ ფიქრით მასწავლებელი შრამიც იქ იქნებოდა.

ქალბატონი კროგერი დარბაზში მაგიდებს მიათრევდა, რადგან წარმოდგენაზე უფრო მეტი ხალხი მივიდა, ვიდრე ელოდნენ. ქალბატონმა კროგერმა ჩახრინწული ხმით სტუმრებს შესთავაზა, ვისაც სურს ყავა დალიოს, მამაკაცებისათვის კი ლუდი გვაქვსო.

— ლუდს რა სჯობია, — ტუჩები გაილოკა ერნსტმა, ელზემ კი მწარედ ჩაილაპარაკა, კროგერები მხოლოდ თავიანთ მოგებაზე ფიქრობენო.

— ასეც უნდა იყოს, — მიუგო ერნსტმა, — ასეთი რამ ადამიანმა ხელიდან არ უნდა გაუშვას. — მერე თავის ქალიშვილს მკლავზე ხელი მოჰკიდა და უთხრა: — კარგად დააკვირდი, ჩემო გოგო, წინასწარმეტყველს ყოველდღე ვერ ნახავ.

— თქვენც აქა ხართ? — გასძახა ეკლესიის მსახურმა შროდერმა.

— ჩვენც გვაქვს უფლება, თუმცა საყვარელ ღმერთთან ისე ახლოს არა ვართ როგორც შენ, — მიუგო ელზემ. იგი ისე იყო აღელვებული, რომ მსახურის ხუმრობას ვერ მიხვდა.

არავინ იცის, რამდენად სათნოდ იქცეოდა შროდერი, მაგრამ კვირაობით კი მღვდელი მის ოჯახში სადილობდა ხოლმე.

ელზემ სიტყვებზე რამდენიმეს გაეცინა, ხოლო შეურაცხყოფილმა შროდერმა თავი დახარა.



ვიდრე იგი ცოლის გვერდით დაჯდებოდა, მკლავები რომ მკერდ-თან მიეზღინა და არც მარჯვნივ იყურებოდა, არც მარცხნივ, ასე თქვა: — არა, ის კაცი დღეს არ მოვა. ამ საღამოს იმიტომ რომ ვერ გაი-ვლის შვიდ კილომეტრს, რომ ნახოს, ვის უნდა მისი წინასწარმეტყვე-ლების მოსმენა.

მართალია, სოფელს თავისი ეკლესია ჰქონდა, მაგრამ მღვდელი ნეზობელ სოფელში ცხოვრობდა. გლეხები იძახდნენ, საკუთარი მღვდლის შენახვა ბევრად ძვირი დაგვიჯდებაო.

ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა: მათთან არავინ მოიძებნე-ბოდა ისეთი, ყველა მცნების შესრულებისათვის რომ ეზრუნა, უარ-ყოფითი კი ის იყო, რომ ეს სოფელი სხვა სოფლებს შორის ყველაზე მომ-ჭირნე ხალხით გამოირჩეოდა. ამიტომაც ერთ-ერთ გლეხს უნდა ეთავა მღვდლის მოყვანა-წყვანა, ეს კი არავის უნდოდა.

ელზემ შეამჩნია, რომ დარბაზში ყველა შეკრებილიყო, იქვე დაი-ნახა ქალბატონი ბრანდჩეც. მასწავლებელი შრამიც აქ იჯდა მარჯვენა მხარეს მალალ სკამზე და ღვინოს წრუპავდა.

ალბათ კიდევ დიდხანს გვალოდინებენ, ფიქრობდა ერნა. ერნსტი ხან ერთ ფეხზე იდგა, ხან მეორეზე.

ელზე კარგ ადგილს ეძებდა თვალით, წარმოდგენის საყურებლად. ხელში საყიდლების ჩანთა ეჭირა, რომელსაც გაზეთი გადააფარა, რათა არავის დაენახა ნივრიანი შემწვარი ძეხვები და რამდენიმე კვერ-ცხი.

როგორც იქნა, სცენის გვერდით აღმოაჩინა სამი თავისუფალი სკამი და დასხდნენ. ქალბატონმა კროგერმა ერნსტს მაშინვე ლუდი მი-ართვა, ელზეს და ერნას კი — ყავა.

— ძალიან კარგი ლუდია, — ქაფი მოიწმინდა პირიდან ერნსტმა და კვლავ ხარბად დაეწაფა.

ელზემ ყავა მოსვა და ერნას უჩურჩულა, ჩემი ყავა უკეთესიაო. წითელი ხავერდის ფარდა რომ შეირხა, ქალმა შვილს უჩრია, სწორად დაჯექი და ფინჯანი კალთაში ჩაიდგო. მერე ხელი მოჰკიდა, ვიდრე ღვთისმოსავი სცენაზე არ გამოვიდა.

კაცს ცისფერი ხავერდის ანაფორა ეცვა და წელზე ხბოს საბელი ერტყა, თითქოსდა საკმარისი ფული არ ჰქონდა, კარგად რომ ჩაეცვა. ერნამ ჩაიკისკისა, მაგრამ დედის შენიშვნაზე გაიტრუნა.

ქალი ღვთისმოსავს მიჩერებოდა, თვალს არ აცილებდა. თუმცა სცენა ნახევრად ჩაბნელებული იყო, ელზემ მაინც შეამჩნია, რომ კაცს ხმელი ფერმკრთალი პირისაზე ჰქონდა და არც ისეთი ახალგაზრდა იყო, როგორც ეგონა. წითურა თმა მხრებამდე სწვდებოდა.

რამდენიმე ქალმა ჩაიკისკისა, ცხვირი მოიწმინდეს და წინასწარ-მეტყველის მკაცრ გადმოხედვაზე მაშინვე ჩაჩუმდნენ. შემდეგ კაცმა მლოცველი მღვდელივით ხელები მაღლა ალაპყრო. ელზეს მოეჩვენა, რომ ხელისგულები ზემოთ ჰქონდა მოქცეული. სცენა განათდა. დუქნის მეპატრონე კროგერს, განათებაზე რომ იყო პასუხისმგებელი, ყურად-ღება უნდა მიექცია, რომ ნათურები არ შეეცვალათ.

წინასწარმეტყველს ნაზი და სუფთა ხელები ჰქონდა. ეტყობა, ჩვე-







ანთო, დაინახა იმდენი ფული შეგროვილიყო, ყველას ეყოფოდა დასარჩევად.

ვანტმაისტერი კუნცმანი რალაცას ინიშნავდა, თუმცა ბიძრე ეს მთავრობა არ აილაგებოდა, ვერაფერს გააკეთებდა.

მასწავლებელი შრამი ფიქრობდა, როგორ ეჭივრებინა წარმეტყველისათვის, რა აზრისა იყო იგი გენერალ ლუდენდორფზე და მის მისიაზე.

ელზე დუმდა. ერნსტმა უჩურჩულა: სადმე წავიდეთ, შენც დალიე ლუდიო. ელზემ ქალბატონ კროგერს ხელით ანიშნა და ორი ლუდი შეუკვეთა, შემდეგ ჩანთა აიღო და ერნა სცენის უკან გაიყვანა, სადაც ღვთისმოსავი სახიდან გრიმს იცილებდა.

იგი ხომ ჩემზე უფროსია, ფიქრობდა შეშინებული ელზე. მერე წინასწარმეტყველს გაანდო, რომ თავისი შვილის გამო მოვიდა აქ. ჩანთიდან გაზეთი რომ ამოიღო, მადისაღმძვრელი ნივრიანი შემწვარი ძეხვები გამოჩნდა.

კაცმა მზერა მათზე გადაიტანა, ელზე შემოატრიალა და უთხრა:

— ასე არ გამოვა, ჩემო კარგო ქალბატონო!

ელზე მიხვდა, რომ ისიც ქალაქელი პროფესორივით ესაუბრებოდა. ისიც შეამჩნია, კაცს რომ ერნას კოფთისკენ გაექცა თვალი, საიდანაც ქათქათა კანი მოჩანდა, გოგონას რომ სირცხვილისაგან თანდათან გაუწითლდა.

— ბიჭის შველაზე მერე ვილაპარაკოთ, — გამოსცრა ქალმა კბილებში.

ელზემ ღვთისმოსავი ვახშმად დაპატიჟა. რომ დარწმუნებულიყო, ნამდვილად მოვაო, დაუმატა, სხვა ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა, და წასვლამდე აუხსნა, სად ცხოვრობდნენ.

ერნსტმა ლუდი ისევ დალია. ელზე მკლავზე დაყრდნობილი მიჰყვებოდა. გზაში გაუმხილა, რომ წინასწარმეტყველი ვახშმად დაპატიჟა.

ერნსტი ჯერ შეყოყმანდა, მერე დათანხმდა. არა უშავს, მოვიდეს, მოგვიყვება, როგორ მუშაობს ხალხიო!

— თავს ნუ მოაბეზრებ შეკითხვებით, — უთხრა ცოლმა, — ხომ იცო, რომ წმინდანია!

— ოპო, წმინდანი! — თქვა და დაუსტვინა. სიმღერა მოუნდა და გაბრაზდა, ერნა ჩუმად რომ იყო. როცა შეეკითხა, როგორ მოგეწონა წარმოდგენაო, გოგონამ მხოლოდ ამოიოხრა.

ელზემ ქალიშვილი სამზარეულოში შეიყვანა და ჭკუის დარიგება დაუწყო. გოგონა რომ გაიპრანჭა, დედამ უთხრა:

— ხომ ხედავ, რა დაემართა შენს ძმას, — და ცრემლები მოიწმინდა. — ოღონდ მასწავლებელმა შრამმა არ გაიგოს, — ხმადაბლა დაუმატა მერე.

— კარგი, — ამოიოხრა ერნამ.

— შენ კარგი შვილი ხარ, ეს ყოველთვის ვიცოდი, — გაამხნევა დედამ.

სალამოს მათ წინასწარმეტყველი ესტუმრა. ჭამის წინ ლოცვა წაკითხა, ძეხვი არ ჭამა, მოხარშული კვერცხი მოითხოვა.



— ახლავე, — თქვა ელზემ და ერნა სამზარეულოში გააგზავნა.  
 — გულმშვიდად მიირთვით, — უთხრა ერნსტმა, — ვინც მუშაობს,  
 უნდა ჭამოს!

ელზემ გაბრაზებით შეხედა ქმარს.

ერნა რომ შემოვიდა და ღვთისმოსავს ყველაფერი წინ დაუწყვეტა  
 კაცმა გოგონას თვალებში ჩახედა. ერნამ ხელი გასწია, როცა  
 მეტყველმა შეხება მოუნდომა.

— რაც შეეხება მთავრობას, მართალი ხართ, — თქვა ერნსტმა და  
 ძხვეცი ჩაკბიჩა. ვერ გაბედა დანა-ჩანგლით ეჭამა.

— დიას, — თქვა ღვთისმოსავმა. იგი მაღიანად შეექცეოდა და თან  
 ერნას თვალს არ აცილებდა.

— ერნსტ! — გაბრაზებით უთხრა ცოლმა.

— უკვე ჩუმად ვარ, — პირი მოიწმინდა ერნსტმა. — კარგად ვიცი  
 ასეთი წმინდანების ამბავი...

მერე ადგა და წაიძღერა:

— გაუმარჯოს იმპერატორს!

ბოლოს ელზემ ვაჟი ოთახში შემოიყვანა. შუქმა თვალი მოსჭრა  
 ბიჭს და ტირილი დაიწყო.

— ნუ გეშინია, შვილო, არავინ გერჩის, — დაამშვიდა დედამ. —  
 თქვენ ხომ გჯერათ, რომ იგი გამოჯანმრთელდება, — შიშით ჰკითხა  
 ქალმა ღვთისმოსავს.

— ჯერ ვერ გეტყვით, — უთხრა მან და ისევ ერნას კოფტას მი-  
 აჩერდა.

— კარგი, — წაიჩურჩულა ელზემ, ბიჭი ტასტზე დააწვინა და ერ-  
 ნა დასაძინებლად გაგზავნა. ღვთისმოსავმა ისინი კიდევ ერთხელ დალო-  
 ცა და გამოემშვიდობა.

— დაფნის გვირგვინი უნდა დავადგათ, — ბოხი ხმით წარმოთქვა  
 ერნსტმა და ის იყო უნდა წამომდგარიყო, რომ ელზემ დასვა, მე გავაცი-  
 ლებო.

ქალმა ღვთისმოსავს დერეფნისაკენ მიმავალი გზა უჩვენა. ერნას  
 ოთახი კი გარედან ჩაკეტა და გასაღები ლოგინში ჩაიდო.

მალე ერნსტმა ხვრინვა ამოუშვა. ელზემ ვერა და ვერ დაიძინა.  
 ხშირად მიდიოდა ბიჭთან, საბანს უსწორებდა, სახეზე ეფერებოდა და  
 ისე ევედრებოდა დიდ ღმერთს შვილის გამოჯანმრთელებას, როგორც  
 არასდროს.

ბიჭი რომ შეიშმუშნებოდა, ელზე წაუჩურჩულებდა, მალე ყველა-  
 ფერი მოგვარდებოდა.

მოგვიანებით ისიც დაწვა.

დილით ერნსტი ყველაზე ადრე ადგა. მეტისმეტად ბევრი დავლიე,  
 ისე რომ მთელი დღე ტუალეტში ვიჯდებო, თქვა და თავლაში შე-  
 ვიდა.

უკეთესად არც ელზეს ჰქონდა საქმე. იგი ზემოთ სირბილით ავი-  
 და და კარი გააღო.

ღვთისმოსავი უკვე მაგიდასთან იდგა და კმაყოფილი იყურებოდა.  
 ერნამ ზურგი შეექცია დედას და დაუყვირა: მომშორდი თავიდანო! ამა-



ზე მერე ვილაპარაკოთო, უთხრა დედამ და მზერა სამზითვო ლოგინზე გადაიტანა, რომელზეც ერნა კვირეების მანძილზე ყოველ საღამოს მონოგრამებს ქარგავდა.

ღვთისმოსავს უნდოდა ბიჭთან მარტო დარჩენა, ელზე სამზარეულოს კართან იდგა და დიდხანს ელოდა. მალე ბიჭის ჩანჩქელში მთელი სახლი გააყრუა. ქალს ეშინოდა, ერნსტმა არ გაიჭიროს! შიშის ვედარ მოითმინა და სამზარეულოში შევარდა.

კიდევ ცოტა ხანს დაიცადეთო, უთხრა ღვთისმოსავმა და ხელები ანაფორაზე გაიწმინდა.

— არა, ველარ დავიცდი, — თქვა ქალმა, შვილი კალთაში ჩაისვა და აქვითინებულს დამშვიდება დაუწყო.

გავიდა ხანი. ერთხელ ელზე ბიჭს რომ ბანდა, ზურგზე რამდენიმე წითელი შესიებული ხაზი შეამჩნია და ღვთისმოსავი დაწყევლა.

ეს ამბავი ასე დასრულდა:

ბიჭი მალე გარდაიცვალა. ელზემ ვერ გადაიტანა შვილის სიკვდილი და თვითონაც მალე მიჰყვა. მასწავლებელმა შრამმა ერნა ცოლად არ შეირთო. იგი გათხოვდა დურგალ არდენტზე და წითურთმიანი ბიჭი შეეძინა.

წინასწარმეტყველის ვაჟი იზრდებოდა და მამისაგან დურგლობას სწავლობდა. ერნსტი სულ დაბრმავდა, დაუხმარებლად ველარაფერს აკეთებდა. ამიტომ ერნა უვლიდა მამას გარდაცვალებამდე. იგი ხომ კარგი შვილი იყო, ასევე კარგი დედა და მეუღლე.

დღესდღეობით დურგლად ერნას შვილი — ახალგაზრდა არნდტი მუშაობს, რომელსაც უკვე მოზრდილი შვილები ჰყავს, აკეთებს კუბოებს, კარებსა და დიდ მოდურ ფანჯრებს.

იგი ძლიერი და მხრებგანიერი ვაჟკაცია. წითურა თმა საფეთქლებზე უკვე გათეთრებია. არაფინ იცის, რომ იგი წინასწარმეტყველის შვილია, იმ წინასწარმეტყველისა, რომელზეც ხანდახან ლუდის მაგიდასთან საუბრობენ ხოლმე.

მას ცუდად წაუვიდა საქმე: დააპატიმრეს პროპაგანდისათვის, რასაც ლამის არმიის დაშლა მოჰყვა. მისი ლაუბობები დედამიწაზე მშვიდობის დასამყარებლად აღარავის მოსწონდა. შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს, გათავისუფლების შემდეგ კი დიდი პენსია დაუნიშნეს, თუმცა ის მაინც უკმაყოფილო იყო, რადგან უნდოდა კვლავაც სოფლებში ეხეტიალა და ექადაგა.

ერთ ხანს მის საქმიანობას მოთმინებით უყურებდნენ. როცა ხალხს თავისუფლება სურს და არა აქვს, უნდა იბრძოლოს, ამბობდა იგი, და ყველა მთავრობა ალაგმვის ღირსია! მაგრამ წინასწარმეტყველის ლაპარაკს აღარავინ უსმენდა. იგი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ყველა სოფელს აქვს თავისი წარსული. და თუ წინასწარმეტყველები არსებობენ, ხალხი ამ წარსულს შემოინახავს.







ინგლისურიდან

თარგმნა რუსუდან ჟიდაშვილმა

სხვა გზა არ არის, ვინმეს უნდა გავუზიარო ჩემი გასაჭირი. იქნებ ქალაქდზე რომ გადავიტანო, ცოტა მაინც გონს მოვეგო.

ჩემი ამ ამბის მორალი ისაა, რომ კაცმა საკუთარ საქმეებს უნდა მიხედო და ზედმეტად არ დაუახლოვდე კარის მეზობელს. სამწუხაროდ, არასოდეს მიზრუნია მხოლოდ საკუთარ თავზე. მთელი დღეები თუ შინა ხარ გამოკეტილი და ორ პატარა ბავშვს უვლი, უთუოდ გჭირდება ხმის გამცემი და დამლაპარაკებელი. და რაკი მეზობელი სახლს ჰყიდდა, მეც მოუთმენლად ველოდი მის ახალ მფლობელს.

განცხადება — „იყიდება“ მაისში ჩამოხსნეს. ერთი კვირის თავზე კი ლამლები გამოჩნდნენ. პირველად დევი ჩამოვიდა სახლთან დაკავშირებულ სამუშაოების ჩასატარებლად. ის იმავე საინჟინრო ფირმაში მოეწყო სამუშაოდ, სადაც ჩემი ქმარი მუშაობდა, და ფრენკმაც არ დააყოვნა მისი ვახშმად მოპატიჟება. განვლილს რომ ვიხსენებ, გული არ მითმენს არ ვთქვა, რომ დევი ავბედითი კაცი გახლდათ, თუმცა უფრო უცნაური ეთქმოდა, თანაც კეთილგანწყობილი, ოღონდაც მეტიხმეტად თავაზიანი. საუბარი ხომ მოძველებული სიტყვებით ჰქონდა მოქარგული.

როუს ლამლი კი სრულიად განსხვავებული იყო. მას მუქი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა, ყოველთვის ხალისიანი ჩანდა. თავიდანვე მოგვეჩვენა ერთმანეთი. ის და დევი თურმე სულ ცოტა ხნის წინ დაქორწინდნენ და ეს მათი პირველი საკუთარი სახლი იყო. როუსი შინ ბეჭდავდა სააგენტოსთვის, და თუ კარგი დარი იდგა, ხშირად ბაღში მუშაობას ამჯობინებდა. ჩვენი მეგობრობა ლობესთან ხანგრძლივი საუბრებით დაიწყო მარწყვისა და პამიდვრის მოყვანის თაობაზე, ხოლო დილაობით ყავამ და კულინარულ რეცეპტების გაზიარებამ ურთიერთობა უფრო განამტკიცა. როგორც ჩანდა, დევი საჭმელებისადმი დიდ ინტერესს არ იჩენდა, როუსს კი უყვარდა მათი კეთება. მას ჩემი სამზარეულო წიგნი „მსოფლიოს გარშემო 80 კერძით“ ვათხოვე და ისიც თავს არ ზოგავდა, მაგრამ ამაოდ. თვითონ როუსმა წონაში მომატება დაიწყო, დევის კი ყველაფერს შავი ქლიავით დაჩურჩული ღორის ფილე ერჩია მუხუდო მოყრილ შემწვარ პურთან ერთად. დიახ, უცნაური ყმაწვილი ჩანდა და არ ჰგავდა არც ფრენკს და არც სხვა მამაკაცების უმრავლესობას...



არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს როუზი დევისტან თავს ბედნიერად არ გრძნობდა. ჯერ ისევ თაფლობის თვე ჰქონდათ, იგი აღფრთოვანებული იყო მეუღლის ტრადიციული თავაზიანობით. დევი თვითონ მიდიოდა საყიდლებზე, როცა როუზს თავი სტკიოდა. ერთ შაბათ-კვირას მთელი ბალი გადაბარა, ერთი კვირის მანძილზე ყიდულობდა მისთვის ყვავილებსა და შოკოლადს — მისთვის ხანდა მის შესანიშნავ ქმედებებს. უნდა ვალიარო, რომ ერთობ კარგი და ყურადღებიანი ქმარი გახლდათ. თუმცა ჩემი ფრენკი უფრო ადამიანური იყო. მართალია, უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა, მაგრამ ნაკლი ვის არა აქვს? აი თუნდაც ის, რომ ჩვენი მანქანის ნაწილებად დაშლა მისი სტიქია იყო.

ხოდა, სწორედ მანქანის გამო მოხდა, რაც მოხდა. ერთ კვირადღეს ჩვენ და ლამლებმა გადავწყვიტეთ მანქანით გასეირნება და ნამუშაოდღევს ერთად წახემსება.

კვირა დილას, თერთმეტ საათზე, ფრენკი ჯერ ისევ ჩვენი ძველი მინი მანქანის ქვეშ იყო გაწოლილი და ცდილობდა გაერკვია გაჟონვის ადგილი.

ბავშვებს ვთხოვე როუზისთვის ეცნობებინათ, რომ პიკნიკის მოწყობა საბოლოოდ ისევ ჩვენს ბაღში მოგვიწევდა. გულმოსული ვიყავი ფრენკზე. „ბედი გქონია, — მივმართე როუზს გაწბილებულმა, — გენიოს მექანიკოსზე რომ არა ხარ გათხოვილი. რაც მანქანა ვიყიდეთ, ღმერთმა უწყის, რამდენი საათი აქვს გატარებული ფრენკს მის ქვეშ. დარწმუნებული იყავი, ბევრად მეტი, ვიდრე საჭესთან“.

როუზმა თანაგრძნობით შემომხედა. „სამაგიეროდ დიდ დროს დევი ფოტოგრაფიას ანდომებს“, — მითხრა მან.

აი, ამგვარად შევიტყე პირველად დევის პობის შესახებ. გამიკვირდა, რადგან არასოდეს დამინახავს იგი აპარატით ხელში. „მისი სურათები უნდა მაჩვენო, — ვთხოვე, — ფრენკიც გატაცებულია ფოტოგრაფიით და ფოტომოყვარულთა კლუბის წევრია“.

როუზი უხერხულად შეიშმუნა. „მე თვითონაც ჯერ არ მინახავს, — აღიარა მან, — მისი თქმით ჯერ ცდებს ატარებს. ყავაზე რას იტყვი, სტელა, დავლიოთ?“ საუბრის თემა შეცვალა როუზმა.

ფოტომოყვარულთა კლუბი სექტემბერში აწყობს ხოლმე თავის წევრთა ნამუშევრების ყოველწლიურ გამოფენას. ეს ამბავი დევისთან ვახსენე. „როგორ ფოტოებს იღებ? — ვკითხე, — პორტრეტებს თუ ხედებს? სასაქილოა, მაგრამ აპარატით არ დამინახიხარ“.

„უფრო ხედებს“, — ჩაიბურტყუნა დევიმ და, ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა, სასწრაფოდ ჰკითხა ფრენკს რამდენიმე რჩევა მანქანის შესახებ. საკუთარ პობისადმი ასეთმა თავშეკავებამ გამაოცა, რადგან ფოტოგრაფთა უმრავლესობას მუდამ ეხალისება ხოლმე თავის ნამუშევრებზე ტრაბახი. აქაც განსხვავებული ჩანდა დევი.

ეჭვი, რომ დევი თავის გატაცებას სერიოზულად არ ეკიდებოდა, კიდევ უფრო გამიღრმავდა მომდევნო კვირის განმავლობაში. ჩვენი საუბრის შემდეგ ხშირად ვხედავდი მას აპარატით ხელში, მაგრამ არასდროს შემიმჩნევია, რომ რამე გადაეღოს. ცნობისმოყვარეობა მძლევედა



გამეგო როუზის აზრი ამის შესახებ. „როგორ მიდის დევის საქმეები? — დავინტერესდი ერთ დღეს, — გაჩვენა თავისი ფოტოები?“

მან ამოიხსრა. „იმ დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც ის ბნელ ოთახში ატარებს, უკვე უამრავი ფოტო უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჯერ არც ერთი არ მინახავს“.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. „არ ვიცოდი, მსგავსად თუ გქონდათ, — ვთქვით, — სად არის?“

„დევიმ ერთ-ერთი საძინებელი გადააკეთა ჩემს მოსვლამდე. იცი, შიგნით არც ვყოფილვარ“.

„ალბათ ხუმრობ! — არ დავუჯერე მე. საკუთარ სახლში ჰქონდეს ოთახი, სადაც არასდროს შესულხარ?“

როუზმა გაიციხა, მაგრამ სიცილი ნაძალადევი გამოუვიდა. „კარებს ამერიკული კლიტე ადევს“, — მითხრა მან.

„ამას როგორ ეგუები, — ვუთხარი გაბრაზებულმა, — ფრენკს ოთახის ჩაკეტვის უფლებას არ მივცემდი. დევის შექმლო სხვა რამისთვის გამოეყენებინა ოთახი. შექმლო...“ — მაგრამ როუზის გამომეტყველებამ შემაჩერა. როგორც ადრე აღვნიშნე, საუბედუროდ არ მეხერხება მხოლოდ საკუთარ საქმეებზე ზრუნვა.

გვიანლა იყო უკან დახევა, როუზს ეჭვი გავუღვიძე. მან გადაწყვიტა გამოერკვია, რა სახის ფოტოებზე ხარჯავდა მისი საყვარელი ქმარი ამდენ დროს იმ დაკეტილ საიდუმლო ბნელ ოთახში.

ვფიქრობ, უძრავი ობიექტის ასამოძრავებლად ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ძალა, როგორც მოკირკიტე ცოლია. სამი დღის განმავლობაში იმდენი უკირკიტა როუზმა ქმარს, რომ მეოთხე დღეს დიდი კონვერტით ხელში ბაღში გამოიჭრა. პამინდვრის კვალი მივატოვე და ღობისკენ გავეჩქარე. „აი დევის რამდენიმე ფოტოსურათი. საკმაოდ კარგია. არ მესმის, რატომ ადრე არ უნდოდა მათი ჩვენება. როგორც თქვა, სინამდვილეში სურდა ალბომის გაკეთება და დაბადების დღეზე ჩემთვის მოულოდნელად ჩუქება.“

ერთი სული მქონდა ფოტოები მენახა. საინტერესოა, როგორ სურათებს იღებდა დევისნაირი წყნარი, ზრდილი ყმაწვილი — იქნებ ლამაზი ადგილების ხედებს? ამ სურათებს შექმლოთ გამოეგლინათ მისი ხასიათის უცნობი მხარეები. მაგრამ რაც კონვერტში დამხვდა, იმას არ ველოდი. ფოტოები ამოვიღე და სწრაფად თვალი შევაავლე. შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით ყურადღებით დავათვალიერე. აქ უმთავრესად ჩვენი სოფლის შიდა და გარე ხედები იყო, ტექნიკურად კარგად შესრულებული, მაგრამ ცოტა მოსაწყენი. მაგრამ, რაც მთავარია, ეს მისი ნამუშევარი არ იყო. ამაში დარწმუნებული ვიყავი. ფოტოები კლუბის გამოფენებზე ადრეც მენახა, ოღონდ ქვევით მიწერილი გვარი კლუბის საზინადარ ჯექ ჰილტონს ეკუთვნოდა.

უკან დასახევი გზა ჯერ კიდევ არსებობდა. შემეძლო ფოტოებისთვის ხოტბა შემესხა, როუზისთვის უკან მიმეცა და ჩემს პამინდვრებს დავბრუნებოდი. დარწმუნებული ვარ ფრენკიც ამასვე მირჩევდა. ამის ნაცვლად დაუფიქრებლად წამოვროშე: „ეს ხომ დევის სურათები არ არის, ჯექ ჰილტონის გადაღებულია, გამოფენაზე ვნახე“.



როუზი გაფითრდა, ფოტოები ხელიდან გამომტაცა და ისევ დახედა. „ასე დარწმუნებული რატომ ხარ? — მკითხა ბოლოს, — ეს ხომ ხედებია, იქნებ ჯეკის ნამუშევრების ნახვის შემდეგ გადაწყვიტა/მსგავსი რამ ეცადა“.

იგი ცდილობდა ამაში ჩემზე მეტად თავისი თანგრძნობლობა ბინა. იოტისოდენა ეჭვიც არ იყო, რომ ჩემ წინ გაფანტული ფოტოები ადრე გაზაფხულზე როუზისა და დევის ბლექლისში ჩამოსვლამდე იყო გადაღებული.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. არ ვიცოდი, რა მეტქვა. ამის რამდენიმე ახსნა არსებობდა, თუმცა არც ერთი არ იყო დიდად დამამშვიდებელი. დევი ან ისეთი ყაიდის სურათებს იღებდა, რომელთა ჩვენება რცხვენოდა, ან თავის ბნელ ოთახში ისეთ რამეს აკეთებდა, რომ არ სურდა როუზს სცოდნოდა. ჩემმა წარმოსახვამ ფრთები გაშალა. ამ ბოლოხანს ბროქსტონში რამდენიმე გაძარცვა მოხდა. საინტერესოა, დევი ხომ არ იყო ამაში გარეული? იქნებ ბნელ ოთახს მოპარული ნივთების სამალავად იყენებდა.

მტკიცედ გადავწყვიტე ჩემი შორსწასული წარმოსახვა ამელაგმა. ბოლოს და ბოლოს, როგორც ალბათ ფრენკი მეტყობდა, რა ჩემი საქმე იყო. უბრალოდ მეზობლის სახლში დაბუდებულმა საიდუმლომ მაიძულა დევისგან მძარცველის ან ლურჯწვერას მსგავსი ბოროტმოქმედის სახე შემექმნა.

როუზს შევხედე. თითქოს ჩემს ფიქრებს ჩასწვდაო, ნერვიულად ჩაიხითხითა და თქვა: „ზუსტად, როგორც ლურჯწვერა, არა? ვიცი, დევი ჭიანჭველასაც არ დაადგამს ფეხს. ჩვენ კი ყოველგვარ სიგიჟეში ვადანაშაულებთ. მოსვენებას არ მაძლევს ის ფიქრი, რა ცოტა რამ ვიცოდი მასზე ქორწინებამდე. უაზრობაა ყველაფერი. სტელა, მითხარი, რომ სულელი ვარ.“

როგორ უნდა მეტქვა, რომ სულელია, როცა ასე სულაც არ ვფიქრობდი. შეიძლება სხვის საქმეში ცხვირს ვყოფდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხომ იმის გამო ხდება, როცა მავანი და მავანი ვლინდება ხოლმე საჭირო მომენტში. „ერთი აზრი მომივიდა,“ — ვთქვი გადაწყვეტით. როუზმა იმედიანად შემომხედა. „ამბობ, კარებს საკეტი აქვსო?“ მან თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. „ამაზე მარტივი არაფერია. სადაც საკეტია, იქ გასაღებიცაა. შენ მხოლოდ უნდა მოძებნო ის დევის ნივთებში და ერთხელაც, როცა შინ არ იქნება, ბნელ ოთახში შეიჭვრიტო. უფრო შენივე სიმშვიდისთვის, თორემ დარწმუნებული ვარ, იქ ვერაფერს ისეთს ივერ იპოვი.“ ბოლო სიტყვები უფრო მის დასარწმუნებლად წარმოვთქვი. პირადად მე საკმაოდ მაწუხებდა, რაც შეიძლება იქ დახვედროდა.

გამოსავალი არც ისე რთული ჩანდა. როუზის თქმით დევის, როგორც ფრიად მოწესრიგებულ ადამიანს, ყველა ცასაღები საგულდაგულოდ დახარისხებული საკიდზე ჰქონდა ჩამოკიდებული. როუზი მაშინვე შინ გაიქცა გასაღების მოსაძებნად.

გამოგიტყდებით, ერთი სული მქონდა, თვითონ შემეჭვრიტა ბნელ ოთახში, მაგრამ თავს მოვერიე, ჩემს პამიდვრებთან მივედი და მოუთ-



მენლად დაველოდე მეგობარს. დიდხანს ლოდინი არ მომიხდა, ის თითქმის მაშინვე დაბრუნდა. სახეზე ეხატა იმედგაცრუება.

„გასაღები იქ არ არის“ — მივხვდი მაშინვე. თავი დაიქნია ჩვენი კონსპირაცია მეტისმეტად შორს წავიდა საიმისოდ, რომ გავჩერებულიყავით. ასაკითაც უფროსი ვიყავი და უფრო გაშლილი ვკრძნობდი, რალაც უნდა მელონა. „აშკარაა, — ვთქვი მე — რომ დევი გასაღებს თან ატარებს. ერთ-ერთ საღამოს მის დაძინებას დაელოდე და გასაღები ჯიბიდან ამოაცალე“.

როუზი შეძრწუნდა. „ამას ვერ გავაკეთებ, — მითხრა მან საყვედურით, — მთხოვ ჯიბეები გავუჩხრიკო, ეს კი მისი წერილების კითხვაზე უარესი იქნებოდა“. მხრები ავიჩეჩე.

„კეთილი, დავიცადოთ და ვნახოთ, — ვუთხარი, — შემდეგი ნაბიჯი დევის მივანდოთ“.

მართალია, როუზს დევისთვის არაფერი უთქვამს ფოტოების შესახებ, მაგრამ მან რალაც იეჭვა. ყოველ შემთხვევაში უფრო ყურადღებანი გახდა. შუა კვირას შინ ყვავილები მოიტანა და სამზარეულო და სააბაზანო შეღება.

ტიპიური გამოხატულება იმისა, რომ სინდისი სუფთა არა აქვს-მეთქი, გავიფიქრე. როუზი და მე ბნელი ოთახის საკითხს აღარ ვეხებოდით, მაგრამ მე ამაზე გამუდმებით ვფიქრობდი. მოვუსშირე მათთან ჩაიზე სიარულს, როცა დევი შინ იყო. ის ყოველთვის ახალ-ახალ გამართლებას პოულობდა ბნელ ოთახში გასაუჩინარებლად. დღეს ეს ახალი გამამჟღავნებლის გამოცდა იყო, ხვალ გრანულირებულ ქალაქდზე ექსპერიმენტი, სხვა დროს ფერად სლაიდებზე ვარჯიში. „ჯერ კიდევ არ გამოძის, — გვეტყოდა ხოლმე გულუბრყვილო ღიმილით თავისი უნაყოფო შრომის ასახსნელად.“

ერთ დღეს როუზმა მთხოვა მივსულიყავი, რათა შპალერის ნიმუშთა კრებულიდან შერჩევაში დავხმარებოდი. დევიმ შესთავაზა საძინებელ ოთახში შპალერის გაკვრა (ისევ იდეალური ქმარი, გავიფიქრე ჩემთვის). ჩაის სმის დროს ფინჯანი გამიტყდა. დევი წამოხტა ტილოს მოსატანად და, როცა ფაიფურის ნამსხვრევებს კრეფდა, მსუბუქად გაიფხაჭხა ხელი. როუზმა ვერც შენიშნა. დევი საქმეს მორჩა, მოიბოდიშა და ბნელ ოთახს მიაშურა — ამჯერად თავისი მოწყობილობის საგულდაგულოდ შესამოწმებლად.

სანამ როუზი სუფრას აალაგებდა, მე განვაგრძე ნიმუშების თვალიერება. ერთი-ორჯერ ავდექი და ბნელი ოთახის კარებს ჩავუარე. იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფრენკი და ბავშვები ალბათ ვახშმად მელოდებოდნენ, მაგრამ გადავწყვიტე დევის ოთახიდან გამოსვლამდე ფენი არ მომეცვალა. არ ვიცი, რატომ. ვფიქრობ, მისმა გამომეტყველებამ მაიძულა. ხოდა, ზუსტად იმ დროს, როცა იმედი გადამიწყდა და მზად ვიყავი ყველაფრისთვის თავი დამენებებინა, ბნელი ოთახის კარი გაიღო. დევი სავსებით მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა.

„გაგაცილებ, სტელა, — შემომთავაზა, როცა წასვლა დავაპირე. — მინდა ფრენკს ქანჩი ვთხოვო“. ჩემი გასაღები ჰოლში საკიდიდან ჩამოხსნა და მომაწოდა. აი მაშინ გავაცნობიერე რალაც უცნაურობა მის ხე-



ლებთან დაკავშირებით. ერთი საათის წინ მარცხენა ხელის ზურგზე ვარდისფერი ნაკაწრი აჩნდა, ახლა კი სადღაც გამქრალიყო და ზედაპირი სრულიად თეთრი ჰქონდა.

ამ ამბავმა უკვე შემაშინა, არაფერი მითქვამს როუსისთვის, რომელიც ისედაც დღითი დღე ფერმკრთალი ჩანდა და ბაღში მუშაობისას თავისებურად აღარ ღიღინებდა. მეცოდებოდა, მაგრამ ვიცი ვიტყუებდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ერთ დილას შემომიარა და სამზარეულოში სკამზე ჩამოჯდა.

„სტელა, — ამოიღულულულა მან. — მეშინია. რას უნდა აკეთებდეს დევი იმ ოთახში? იცი, წუხელ რა გავარკვიე? გასაღებს საწოლის გვერდით მაგიდაზე მდგარ პატარა მუსიკალურ ზარდახშაში ინახავს.“

„ძალიან კარგი, — გამიხარდა, — იქიდან ამოიღე?“

„რა თქმა უნდა, არა. დევის ძალიან ფხიზლად სძინავს. ზარდახშა რომ ამეხადა, დაკვრას დაიწყებდა და მასაც მაშინვე გამოელვინებოდა.“

„რატომ არ გამოიტანე ყუთი ოთახიდან?“ — ვკითხე. „იმიტომ რომ მაგიდაზეა მიჭედელი. ამაზე რაღას იტყვი?“

ერთმანეთს გადავხედეთ. ლურჯწვერას აჩრდილი ახლა რეალურად გვეჩვენა. „შეიძლება ყველაფერი მარტივადაა, — ვთქვი, — ზოგ ადამიანს სჭირდება თავის ცხოვრებაში მეტისმეტად პირადული სხვის თვალს მოაშოროს. ის ოთახი შეიძლება უბრალოდ დევის თავშესაფარია რეალობისგან. — მეტად კმაყოფილი ვიყავი ჩემი ახალი თეორიით. — შესაძლოა იქ მხოლოდ ზის და კითხულობს ვესტერნებს ან საყმაწვილო ისტორიებს წერს, რომელთა შერთვის ჩვენება რცხვენია. რატომ არ ნახავ მის მშობლებს და ყველაფერზე არ დაელაპარაკები?“

როუზმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. „დევი პატარა იყო, მშობლები რომ დაეხოცა. ის დედობილმა და მამობილმა აღზარდეს, რომლებიც ჩვენს შეხვედრამდე ავსტრალიაში გაემგზავრნენ საცხოვრებლად. დევი წერს ხოლმე მათ წერილებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი არ პასუხობენ.“

„და-ძმაც არა ჰყავს ან სკოლის მეგობრები? იმ ხალხს, რომლებიც მას იცნობენ, ქორწილში უნდა შეხვედროდი, არა?“ „ძალზე მოკრძალებული ქორწილი გვექონდა. სულ რამდენიმე კაცი იყო მისი ფირმიდან და მისი დიასახლისი. მაგრამ არც ერთი ნათესავი ან მეგობარი!“ — „უცნაურად არ მოგეჩვენა?“ — „მართალი გითხრა არა. ქორწინებამდე სულ ექვსი თვე ვიცნობდი და ვხედავდი, რომ ყველას მოსწონდა. ის ისეთი კარგი ბუნებისაა“. „მაშ ნამდვილად არაფერი იცი მის ადრეულ ცხოვრებაზე?“

„ნამდვილად არა. მხოლოდ ის, რაც თვითონ მითხრა“. — „იქნებ სჯობს შენი ეჭვები გაუზიარო ბოლოს და ბოლოს, — ვურჩიე, — დაუინებით მოსთხოვე გითხრას, იქ რას აკეთებს“.

როუზი ცოტახნით დადუმდა. უცებ ცრემლები წასკდა. „სულ შენი ბრალია, სტელა, — მოსთქვამდა ის, — ჩვენ ისეთი ბედნიერები ვიყავით ადრე. ახლა როგორ ვუთხრა? მან ისიც არ იცის, რომ ჯეკის ფოტოების შესახებ გავიგე“.



კარგა ხანს ვაწყნარებდი. ბოლოს დავპირდი, რომ რაღაც გზას გამოვნახავდი საიდუმლო ოთახში შესაღწევად. მსურდა დამერწმუნებინა, რომ იმედს არ გავუცრუებდი.



ქართული  
ბიბლიოთეკა

ოდესმე თუ გიცდიათ დაკეტილი კარის გატეხვა? დეტექტიურ მოთხრობებში ეს ხომ ისეთი იოლია. გმირი იღებს ცელულოიდის ზოლს, შეაცურებს მას კარსა და კარების სვეტს შორის, შემდეგ ერთი-ორი მარჯვე მოძრაობა და პოპლა — კარი ღიაა. ბნელი ოთახის უბრალო ამერიკული საკეტი დიდ სირთულეს არ შეგვიქმნიდა. ჩვენი სამუშაო იარაღების ფარდულში ცელულოიდის ნაგლეჯი გამოვძებნე და როუზისკენ გავსწიე. ის მიცდიდა. მისვლისთანავე ჩავკეტეთ წინა და უკანა კარები, ღრანგული ფანჯრებიც კი, თუმცა როუზი საკუთარი სახლის გატეხვას აპირებდა. ის ჯერ ისევ აფორიაქებული ჩანდა. ბნელი ოთახის კართან შევეყოვნდით გამბედაობის მოსაკრებად. მერე ცელულოიდის ზოლი ღრიჭოში შევაცურე, ვიმედოვნებდი — ერთი-ორი მარჯვე მოძრაობა და მორჩა-მეთქი. მაგრამ კარი იოტისოდენადაც არ შეირყა. ისევ შევეცადე, ვექაჩებოდი ზოლს შიგნით თუ გარეთ, ზევით თუ ქვევით; გვერდისკენ გადავხარე, მაგრამ ამაოდ. შემდეგ როუზმა შემცვალა. მას ზოლი მეტად ფართე ერვენა და გაანახევრა. რაღაცამ ნაზად დაიჩხაკუნა. წუთით ვიფიქრეთ, რომ ვაგვიმართლა. მაგრამ ეს მხოლოდ შუაზე გადამსკდარი ცელულოიდის ხმა იყო, კარებს ძვრა არ უჩანდა.

რაკილა ბოროტმოქმედის საქმიანობას გემო გავუსინჯეთ, უკან დახევა აღარ გვინდოდა. როუზმა ივარაუდა, რომ კარგი იქნებოდა გვეცადა გამლები, რომელსაც ასე მოხერხებულად იყენებენ დეტექტიური რომანებისა და სატელევიზიო სერიალების გმირები (ან ავაზაკები). მაგრამ როგორ გვეშოვა გამლები? სად მივსულიყავით და უბრალოდ გვეთხოვა კომპლექტი? რკინეულობის მალაზიაში, ავტოსადგომში? ან იქნებ მეზობლად მძარცველთა თავშესაფარში? „საკეტების გატეხვას სკოლაში უნდა ასწავლიდნენ, — უკმაყოფილოდ ჩავილაპარაკე, — თურმე სასწრაფო დახმარებასავით აუცილებელია. რამდენჯერ დარჩენილან ადამიანები ვარეთ კარის ჩაკეტვის გამო.“ „მათ შეუძლიათ პოლიციას მიმართონ“ — შენიშნა როუზიმ.

„რა თქმა უნდა. აი გამოსავალიც! რატომ ადრე არ მომაფიქრდა?“ მაგრამ ჩვენს ჩანაფიქრს მხოლოდ მაშინ განვახორციელებდით, როცა დევი შინ დიდხანს არ იქნებოდა. სხვაგვარად აზრი არ ექნებოდა. როუზს ჩემი გეგმა გავაცანი და ხელსაყრელ შემთხვევას დაველოდეთ.

ოქტომბერში ფირმა ყოველთვის აწყობს ხოლმე რამდენიმედღიან მენეჯმენტის საკვალიფიკაციო კურსებს თავისი ტექნიკური პერსონალისთვის. ჩვენ დავიყოლიეთ ფრენკი და დევი, რომ ამ კურსებს დასწრებოდნენ. ორივემ მოიწადინა და ერთ პარასკევს დღეს ერთად გაემგზავრნენ ჩვენი მინი მანქანით. ჩვენს განკარგულებაში მთელი კვირის ბოლო იყო.

შაბათ დილას ბავშვები ფილმის ჩვენებაზე ბიბლიოთეკაში წავიყვანე. შემდეგ როუზისთან წავედი და ტექსტზე იქამდე ვავარჯიშე, სა-



ნამ კარგად არ აითვისა. მერე ტელეფონის ყურმილი აიღო და ადგილობრივ პოლიციის განყოფილებაში დარეკა. „მისის ლამლი გელაპარაკებათ, პლამსტრით კრესჩენტის 17-დან. პრობლემა მაქვს და მინტერესებს, დახმარება თუ შეგიძლიათ?“

მცირე პაუზის შემდეგ მორიგე ოფიცერმა ხაზის მეორე ბოლოს თავაზიანად იკითხა, რა სახის დახმარება გვჭირდებათო. „საქმე ეხება... — ენა დაება როუზს, — ჩემი მეუღლე... იცით, ამ კვირის ბოლოს კურსებზე გაემგზავრა და ერთ-ერთ ოთახში ვერ შევდივარ“.

ისევ პაუზა. ოფიცერს უთუოდ აინტერესებდა, რატომ უნდა ყოფილიყო სახლში დაკეტილი ოთახი, რომელშიც დიასახლისი ვერ შედიოდა.

როუზმა აუხსნა: „ეს ჩემი ქმრის ბნელი ოთახია, რომლის გასაღები ჩვეულებრივ თან დააქვს. ჩვენი კატა წუხელ არ დაბრუნებულა. თუმცა მთელი ღამით გარეთ არასოდეს რჩება. ვშიშობ, ბნელ ოთახშია ჩაკეტილი. მისი კნავილი ნამდვილად შემომესმა. როგორ გგონიათ... მე ვგულისხმობ... შეგიძლიათ კარის გასაღებად ვინმე გამოგზავნოთ?“

როგორც იქნა ამოთქვა და შვებით ამოვისუნთქეთ.

პოლიციის ოფიცერს თხოვნა არ გაჰკვირვებია. მან ჰკითხა როუზს მისამართი, ერთხელ კიდევ გაამეორებინა და შეგვპირდა ხელოსნის გამოგზავნას.

მთელი საათი აქეთ-იქით ვაწყდებოდით. მე სამი ფინჯანი ყავა დავლიე. როუზმა ოთხი სიგარეტი მოსწია. წამდაუწუმ ჭიშკართან მივბოდა. ჩვენი მთავარი საზრუნავი ოთახში შეღწევა იყო. ახლა კი თავს ვიმტვრევდით იმაზე, თუ იქ რა დაგვიხვდებოდა, რაც ყველაზე უფრო შემაწუხებელი იყო.

როგორც იქნა, ზუსტად საათისა და ოცდახუთი წუთის შემდეგ სახლთან პატარა ყვითელი ფურგონი გაჩერდა. იქიდან ახალგაზრდა კაცი გადმოსტა და ზარი დარეკა. „მე ლოქსმითი ვარ, — ხალისიანად ვაგვეცნო იგი, სერჟანტმა ბილონესმა მითხრა, რომ რაღაც პრობლემა შეგექმნათ. ფისო ჩაიკეტა, არა?“

მერე ხმამაღლა სტვენით ფურგონთან დაბრუნდა, ჩანთა წამოიღო და კიბე მკვირცხლად ამოირბინა, ბოლოს და ბოლოს მოგვეცა შემთხვევა დავმტკბარიყავით იმ ოსტატური მოძრაობით, რომლის შესახებაც დეტექტივებში წერენ. მან ამოიღო რაღაც დრეკადი პლასტიკატის ზოლი, თითებში აათამაშა და გასაოცრად მოკლე დროში ბნელი ოთახის კარი — როუზის ბოლო კვირების კომპარებში შესასვლელი — როგორც იყო გაიღო.

როუზი და მე უკან ვიდექით. ახალგაზრდამ ოთახში თავი შეყო და თქვა: „ფისოს კვალიც არ ჩანს“. — მან ჩამრთველი მოსინჯა და თითი დააჭირა, ჭერზე ჩამოკიდებული შიშველი ნათურისაგან ძლიერი თეთრი შუქი მოეფინა ოთახს. „მგონი, ეს უნდა იყოს ბნელი ოთახი, — დაასკვნა მან. — იმედია, არაფერი ვაფაფუჭეთ. თუმცა არც ფოტოგრაფიულ მოწყობილობას და არც კატას მე არ ვხედავ“.



მე და როუზმა ნელა წავიწიეთ წინ. ოთახი მოვათვალიერეთ. თითქმის ცარიელი იყო. იდგა პატარა დასაკეცი მაგიდა და ტილოვადაკრული სკამი, ორივე საპიკნიკო კომპლექტის ნაწილი და კედელზე მომჯდომებული შემინული კარადა — სხვა არაფერი. კარადის შიგნით მოჩანდა სამუშაო იარაღების ფართო არჩევანი და ელექტროაღჭურვილობის მსგავსი ნაწილები... ტრანზისტორები, მინიატურული ბატარეები და სხვა ამგვარი საგნები. ერთმანეთს დაბნეულები შევცქეროდით. ნუთუ სულ ეს იყო?

ახალგაზრდა კაცმა სტვენა შეწყვიტა და ცნობისმოყვარეობით შეგვათვალიერა. „აბა თუ სხვა არაფერია, წავალ, — თქვა მან ბოლოს, — ოუკპორტში სხვა სამუშაო მელოდება. მეუღლეები დაბრუნდნენ შვებულებიდან და გასაღებებს ვერ პოულობენ.“

როუზი გამოერკვა. „რა თქმა უნდა, — თქვა, — დიდი მადლობა დახმარებისთვის. ერთი წუთით!“ ხელჩანთიდან ჩეკი ამოიღო და ახალგაზრდა კაცს გაუწოდა. კაცმა გამოართვა, მადლობა გადაუხადა და ძალზე, ძალზე დაინტერესებულმა დაგვტოვა. აღარ უსტვენდა. ჭიშკრისკენ მიმავალმა კი რამდენჯერმე უკან მოიხედა.

თვალს რომ მოეფარა, მთელი ოთახი კუნჭულ-კუთხე დავიარეთ. შევამოწმეთ იატაკის ფიცრები, კედლებზე ხელები მოვაფათურეთ. სკამზეც კი ავძვერით, ჭერისთვის რომ შეგვეხედა. არაფერი!

კედლის კარადა ღია იყო და მის შიგნით ელექტრომოწყობილობები სავსებით ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. მათი მეშვეობით მოყვარულს შეეძლო მინიატურული ტრანზისტორის აწყობა. ერთი საათის შემდეგ შევწყვიტეთ უნაყოფო ძიება. ოთახში არაფერი ჩანდა საეჭვო. გვს მხოლოდ დევის სიცრუე იწვევდა, ბნელ ოთახად რომ ასაღებდა. პასუხი მარტივი ჩანდა — ბნელი ოთახი იყო ადგილი, სადაც განმარტოება შეიძლებოდა. კარებზე საკეტიც გამართლებული იყო, რათა არავის შეეწუხებინა ფირების გამჟღავნებისას. სამწუხაროდ, ეს არ ხსნიდა საიდუმლოს. რატომ ესწრაფოდა დევი განმარტოებას იმ ოთახში, რომელიც ბნელი არ იყო?

ამასობაში როუზმა გადაწყვეტილება მიიღო. „ვწუხვარ, სტელა, მაგრამ აღარ მსურს ამის გაგრძელება. ვიცი, როგორ შეწუხდი ჩემ გამო, რამდენ უსიამოვნებას გადაეყარე. ხოდა, ნულა წამაქეზებ. აშკარაა, ეს დევის თავშესაფარია. მან თავისი დედობილისა და მამობილის შესახებ მიაპბო. მათთან ყოველთვის ბევრი ბავშვი ირიოდა თურმე — ხუთი თუ ექვსი ზოგჯერ. თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა მათთან, მაგრამ არასდროს ჰქონია საკუთარი ოთახი, დარწმუნებული ვარ, ამიტომაც იკეტება, და არ ვაპირებ ამაში ხელი შევუშალო. წამოდი ქვევით, ჩაი დავლიოთ“.

კამათი არ დამიწყია. როუზს ჩავყევი სამზარეულოში, სადაც ჩაის მომზადებას შეუდგა. შეიძლება მას დიდი სურვილიც აქვს ყველაფერი დაივიწყოს, ოღონდ მე არა. ამისდა მიუხედავად როუზის გადარჩენას ჩემს მოვალეობად ვთვლიდი.

პირველი საათი ხდებოდა. დრო იყო ბავშვები ბიბლიოთეკიდან წამომეყვანა. საათს დავხედე და თავი მოვიკატუნე თითქოს წასვლას



ვაპირებდი. „ოჰ, ძვირფასო, — ვთქვი, — კეროლისა და სტივის ბიბლიოთეკიდან წამოყვანის დროა. მე კი 12.45-ზე გამავალ ავტობუსზე დამავიანდა. ნეტა არ ვიყო წასასვლელი. საშინლად მტკივნა თუი“.

გეგმამ გასჭრა. როუზი მაშინვე წამოიჭრა და ბავშვების მოყვანა შემომთავაზა. თან დაუმატა, რომ სამზარეულოში დავრჩენილიყავი და ჩაი მშვიდად დამელია. მოგვიანებით კი ყველას გემრიელად გვასადილებდა.

როგორც კი მანქანის ხმა მიწყდა, მაშინვე ჩვენი სამუშაო იარაღების ფარდულისკენ გავიქეცი. გამოვაძვრინე ფრენკის ელექტრო ბურლი, უკან მოვირბინე და, სანამ გონს მოვიდოდი, ბნელი ოთახის კარში ხვრელი გავხვრიტე. ნახვრეტი დაბლა იყო და ძლივს მოჩანდა. შესაჭვრეტად საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ სტივის პლასტილინით ამოსავსებად საკმაოდ პატარა. როუზის დაბრუნებამდე იატაკიდან ნახერხი ავწმინდე და ბურლი უკან წავიღე. როდესაც მე უკვე სამზარეულოში ვიჯექი და მეორე ჭიქა ჩაის ვსვამდი, თავი მართლაც მტკიოდა. მაგრამ მთავარია უკვე ვიცოდი, როგორ წამესწრო დევი დანაშაულზე.

ბუნებრივია, როუზისთვის არაფერი მითქვამს. დევი და ფრენკი კურსებიდან ორშაბათ საღამოს დაბრუნდნენ. დევიმ როგორც ყოველთვის, როუზს შოკოლადით სავსე კოლოფი და თიხის კათხა მიართვა წარწერით „სუვენირი ბრაიტონიდან“. ფრენკს არაფერი მოუტანია ჩემთვის, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი მისი ნახვით. ის ყოველ შემთხვევაში არ იკეტებოდა ჩემგან ყოველდღე ბნელ ოთახში. ერთხანს გყოყმანობდი, გამეზიარებინა თუ არა მისთვის ჩემი ეჭვები, მაგრამ რა ეჭვები? კონკრეტულად თუ რას ვფიქრობდი დევის სამალავზე? გადავწყვიტე, უკეთეს სამხილს დავლოდებოდი და მერე გამენდო საიდუმლო ფრენკისთვის.

ნიადაგი საგულდაგულოდ მოვამზადე. ხუთშაბათ ნაშუადღევს სტივი და კეროლი დაბადების დღეზე იყვნენ მიწვეულნი ბიჩ პოლში მანქანით ათი წუთის სავალზე. ფრენკი, რომელიც მთელი კვირა აპირებდა თანამშრომლის სანახავად წასვლას, დავარწმუნე აღარ გადაედო თავისი ვიზიტი. როგორც კი წავიდა, მყის როუზს მივაშურე. ის ვახშმისთვის ბრინჯიან ბოსტნეულს ამზადებდა სამზარეულოში. დევი ეხმარებოდა... ეს ვერ გავითვალისწინე. ჩემი გეგმით დევი ბნელ ოთახში უნდა ყოფილიყო. „სალამი, დევი, — მივესალმე ყალბი ღიმილით, — მეგონა, ფოტოებით იყავი დაკავებული.“

„ასეც ვაპირებ,“ — თქვა მან ჩახრინწული ხმით. „დევი გაცივდა, — მითხრა როუზმა, — ვინდა ცხელი რძე თაფლით, საყვარელო?“ „მშვენიერი აზრია,“ — დაეთანხმა დევი ჩახრინწული ხმით, — მაგრამ მოგვიანებით დავლევ. რამდენიმე ფირი დავტოვე გასაშრობად, წავალ, დავხედავ“ — თქვა თითქმის ჩურჩულით. ის დაიხარა როუზის საკონცნელად, შემდეგ სამზარეულოდან გავიდა და ზემოთ ასასვლელ კიბეს აუყვა. როგორც იქნა, გეგმა ამუშავდა.

„ოო, როუზ, — ვთქვი, როგორც კი დევი გაუჩინარდა. — შენთან სათხოვარი მაქვს. ფრენკი ჯერ არ დაბრუნებულა. მე კი ბავშვები წვე-



ულებიდან შეიღზე უნდა მომეყვანა, ხომ არ წამოიყვანდი! ქურაზე რა-  
ღაც დგას მე მივხედავ.

რასაკვირველია, როუზი მოემზადა ბავშვების მოსაყვანად. გამათ-  
რთხილა, ბრინჯი ზედმეტად არ გადამეხარშა, და მანქანისკენ გაემართა.  
სახლში მარტო დავრჩი დევისტან. დროის დაკარგვა არ შეიძლება!

ზევით ავირბინე ბნელი ოთახის კარს მივსაყურე. სიწყნარე იყო.  
ჯიბიდან საშლელი ამოვიღე და ფრთხილად მოვაშორე პლასტელინი  
კარში ჩემ მიერ გაკეთებულ ნახვრეტს. შემდეგ დავიჩოქე და თვალი  
მივაღე.

თავიდან ვერ გავარკვიე, რა ხდებოდა. დევი ჩემკენ ზურგით იდ-  
ვა, მაგრამ შემქძლო დამენახა, როგორ იღებდა რაღაცას კარადის თა-  
როდან. ნახვრეტი იმდენად დაბლა იყო, რომ მხოლოდ მისი სხეულის  
ქვედა ნაწილი ჩანდა. ბოლოს კარადა მიხურა, სკამთან მივიდა და დაჯ-  
და. ახლა უკეთესი სათვალთვალო იყო. მან რაღაც დადო მაგიდაზე, ჟა-  
კეტი გაიხადა და პერანგზე ღილების შეხსნა დაიწყო. შემდეგ მარჯვენა  
ხელი ყელთან მიიტანა და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ელვაშე-  
საკრავი გაიხსნაო.

„ღმერთო ჩემო, — წარმოვთქვი ჩემთვის, — რას აკეთებს!“ ვარ-  
დისფერი კანის ერთი მხარე გადაიხსნა და რამდენიმე მბზინავი მავთუ-  
ლი და ტრანზისტორები გამოაჩინა. კანკალმა ამიტანა. დარწმუნებული  
ვიყავი, რომ ყველაფერი მეჩვენებოდა (ალბათ პალუცინაციები დამე-  
წყო). ყვირილი და აქედან გაქცევა მომინდა, მაგრამ ნახვრეტს თვალს  
მაინც ვერ ვაშორებდი.

დევის მარცხენა ხელი დინჯად მისწვდა მაგიდაზე დადებულ საგანს.  
მარჯვენა ხელით ყელიდან რაღაც ამოიღო და მის მაგივრად სხვა ჩა-  
დო. შემდეგ კანის გადახსნილი ნაწილი იგივე მოძრაობით შეკრა, ჟა-  
კეტი ჩაიცვა და წამოდგა.

არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი სამზარეულოში. მხოლოდ ის ვი-  
ციოდი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ დევი აქ შემოვიდოდა. მე ბრინ-  
ჯის ქვაბზე დავიხარე, რომ ჩემი სახის სიწითლე გახურებული ქურით  
გამემართლებინა.

„სალამი, სტელა, — დევიმ გამიღიმა, — როუზი სად არის?“ მისი  
ხმა სავსებით ნორმალურად ჟღერდა, გაციება სადღაც გაუჩინარებუ-  
ლიყო.

„სტივისა და კეროლის მოსაყვანად წავიდა, — წავილულულე, —  
ახლავე მოვა.“ ყურადღებით შევათვალიერე. „ხმაზე გეტყობა, ყველა-  
ფერი რიგზეა.“

„ო, დიახ.“ იგი სრულიად უმანკოდ გამოიყურებოდა. „მშვენიერი  
მიქსტურა ვიყიდე აფთიაქში. სულ ერთი კოვზი დავლიე და აი, სას-  
წაული მოახდინა. თუ გაცივდი, აუცილებლად უნდა სინჯო.“

ამ დროს როუზი დაბრუნდა ბავშვებთან ერთად. თვალს ვერ ვუს-  
წორებდი. მადლობა გადავუხადე, რაღაც წავიბურტყუნე ქურაში დარ-  
ჩენილი ნამცხვრის შესახებ, სტივისა და კეროლს ხელი ჩავკიდე და ში-  
ნისკენ მოვკურცხლე.



აი ჩემი ამბავიც. მინდა ვიცოდე, რა გავაკეთო. რაც რა საღამოს ვიხილე, არავისთვის მომიყოლია, როუზისთვისაც კი. დარწმუნებული ვარ, არავინ დამიჯერებდა. წარმოვიდგინე, როგორ შეიძლება კოლიციაში და ვამბობ: „უკაცრავად, სერჟანტო! უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი კარის მეზობელი რობოტია. საკუთარი თვალთ ვნახე, როგორ იხსნიდა კანს თითქოს ელვაშესაკრავით და როგორ ცვლიდა სათანადო ნაწილს.“ სერჟანტი, რა თქმა უნდა, თავაზიანად გამილიმებს, დაჯდომას შემომთავაზებს და შეიძლება კონსტებელსაც სთხოვოს, მოგვართვას უნივერსალური ბრიტანული დამამშვიდებელი — ერთი ჭიქა ჩაი. მართალიც იქნება. თვითონვე ხომ არ წავიდე საავადმყოფოში?!

მაგრამ არა, ვერ დავიჯერებ რომ ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფია ან დამესიზმრა. როუზსაც გაუკვირდა დევის ხმის სასწაულებრივი გამოკეთება. დევი ისეთივე კეთილგანწყობილი დარჩა ჩვენდამი. ვერ ვიტყვი, რომ წინააღმდეგი ვარ მისი რობოტობის. ბევრ ნამდვილ მამაკაცს მისი ნახევარი მომხიბლელობაც არ გააჩნია. მხოლოდ ერთი მსურს ვიცოდე, ვინ გამოგზავნა?

შეიძლება რომელიმე ისეთმა დიდმა ფირმამ, როგორცაა JBM, შექმნა სუპერ თანამედროვე ჰუმანოიდური რობოტი, რომელიც ახლა გამოცდას გადის? არც ისე ცუდი იქნებოდა. თუმცა როუზი ამას ნამდვილად არ იმსახურებს. მაგრამ კიდევ მქონდა სხვა ბევრად უარესი ვარაუდი, რაც მოსვენებას არ მაძლევდა. დავუშვათ... მხოლოდ დავუშვათ... რომ ის სულაც არ არის დედამიწაზე შექმნილი!.. დავუშვათ, რომ გამოგზავნილი ინფორმაციის შესაგროვებლად სხვა სამყაროდან რომელიმე უცხო რასისთვის. ამ შემთხვევაში ხომ ჩემი მოვალეობაა განვაცხადო, რაც ვიცი!

აი რაა ჩემი თავსატეხი. ვის შეუძლია მირჩიოს, რა გზას დავადგე?!





## პინე ომელასიდან პიღის



ინგლისურიდან

თარგმნა მარიკა ავაშიძემ

ზარების გუგუნით, მერცხლები რომ ცაში ატყორცნა, ქალაქ ომელასში ზაფხულის ფესტივალი შემოვიდა, ზღვის ბრწყინვალეობა თავს ჯილასავით რომ დადგომოდა. ნავსადგურის გემსართავეები დროშებით აჭრელებულნიყო. ქუჩებში წითელსახურავეებიან სახლებსა და კედლებს შორის, ხავსმოკიდებულ ბაღებსა და ხეივნებში, შესანიშნავი პარკებისა და საერთო საცხოვრებლების მიღმა პროცესია მიემართებოდა. ბევრი რიგიანად გამოიყურებოდა: ხანდაზმულებს გრძელი იისფერი თუ ნაცრისფერი უხეში მანტიები ეცვათ, იყვნენ დარბაისელი გამოცდილი ოსტატებიც, მშვიდ, მხიარულ ქალებს, ჩვილები წამოეყვანათ და გზადაგზა მუსაიფობდნენ. სხვა ქუჩებში მუსიკა უფრო მძლავრად ისმოდა. გუგუნებდა გონგი, ჟღერდა დაირა, ხალხი ცეკვა-ცეკვით მიდიოდა; ბავშვები აქეთ-იქით დაძვრებოდნენ. მათი ხმამალალი შეძახილები მერცხლების ჯვარედინი სრიალის მსგავსად ზემოთ ადიოდა, მუსიკას და სიმღერას ლამის ფარავდა. მთელი პროცესია ქალაქის ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა, სადაც უზარმაზარ სარწყავ მდელოებზე, გრინფილდებს რომ უწოდებდნენ, გოგო-ბიჭები გამჭვირვალე ჰაერში ტიტვლებივით ჩანდნენ. ბიჭებს ფეხები ტალახში ამოსვროდათ. გრძელი, მოქნილი მკლავებით თავიანთ შეუკაზმავ ოჩან ცხენებს აფარჯიშებდნენ დოლისათვის. ცხენებს მხოლოდ აღვირი ეკეთათ, ისიც ლავამის გარეშე. ფაფრებში ვერცხლისფერი, ოქროსფერი და მწვანე ლენტები ჰქონდათ ჩაწნული. ნესტოებათროლებულნი და ძალზე ალგზნებულნი ყალყზე დგებოდნენ ერთმანეთისთვის თავმოსაწონად. ცხენი ერთადერთი ცხოველია, ჩვენი ცერემონიები რომ საკუთარივით შეითვისა. შორს, ჩრდილოეთით თუ დასავლეთით წამომართული მთები ნახევრად გარშემორტყმოდნენ ომელასს. დილის ჰაერი ისეთი კამკამა იყო, რომ „თვრამეტი მწვერვალის“ თოვლის ჯილა მზით გაჩახჩახებულ კარგადიდ მანძილზე კვლავაც თეთრი და ოქროსფერი ცეცხლით იწვოდა ლურჯი ცის ქვეშ. ქარი ისეთი ძალით ჰქროდა, რომ იპოდრომის გარშემო დამაგრებულ დროშებს დროდადრო ტკაცან-ტკაცანით აფრიალებდა ამ ვრცელ მწვანე მდელოებზე, სიჩუმეს რომ მოეცვა. შიგადაშიგ, ხან შორიდან, ხან ახლოდან მოისმოდა მუსიკის ხმა, ხოლო ჰაერის ნაზი მაცოცხლებელი სურნელი ერთ ადგილზე დაგუბებული, ზარების დიდებულ მხიარულ რეკვამი ინთქმებოდა.

მხიარულსაო?! თუმცა რა უნდა თქვას ადამიანმა მხიარულებაზე? როგორ უნდა დავახასიათოთ ომელასის მკვიდრები?



ისე კი მათ უბრალო ადამიანები არ ეთქმოდათ, თუმცა, იცით, მიუხედავად ამისა, მაინც ბედნიერები იყვნენ. მაგრამ მათ წასახალისებელ სიტყვებს მეტად აღარ ვიტყვით, ყველანაირი ღიმილი მოქველდა. ასეთი დახასიათების შემდეგ ადამიანს უნებურად მეფე მოაგონდება, რომელიც ჩინებულ ულაყზეა ამხედრებული და კეთილშობილი რაინდებით გარშემორტყმული, ან ოქროს ტახტრევანში ჩაბრუნებული, ძლიერკუნთება მონები რომ დაატარებენ. თუმცა არაფითარი მეფე იქ არ იყო. ისინი არც ხმლებს იქნევდნენ და არც მონები ჰყავდათ, ბარბაროსები სულაც არ გახლდნენ. მათი საზოგადოების წესები არ ვიცო, მაგრამ, ვეჭვობ, რომ მეტისმეტად ცოტანი იყვნენ, რადგან მონარქიისა და მონობის გარეშეც იოლად ახერხებდნენ ცხოვრებას. ახლაც ასევე ცხოვრობენ სააქციო ბირჟის, რეკლამის, საიდუმლო პოლიციისა და ბომბების გარეშე.

და მაინც, ვიმეორებ, ისინი უბრალო ადამიანები არ იყვნენ, არც ყურთასმენის დამატკობელი მწყემსები, კეთილშობილი ველურები ან რონიული უტოპისტები. სირთულით ჩვენ არ ჩამოგვივარდებოდნენ. უბედურება ის არის, რომ ცუდი ჩვევა გვაქვს, როცა პედანტებისა და სოფისტების მიერ წაქეზებულნი ბედნიერებას დიდ სისულელედ მივიჩნევთ. მხოლოდ ტკივილია ინტელექტუალური, მხოლოდ ბოროტებაა საინტერესო. ხელოვანის ღალატია უარის თქმა ბოროტების ბანალობის აღიარებასა და ტკივილის საშინელ უსასრულობაზე. თუ იოლად ვერ დასძლევ მათ, მაშინ აპყვევი, თუ გტკივა, არა უშავს რა, დაე კვლავაც გეტკინოს, მაგრამ სასოწარკვეთის ქება სიამოვნების დადანაშაულებათ.

ძალმომრეობასთან დაახლოება ყველა სხვა დანარჩენის ხელიდან გაშვებას ნიშნავს. ჩვენ ხომ თითქმის დავკარგეთ შენარჩუნების უნარი, ხელიდან გავუშვით ყველაფერი. ჩვენ მეტად ვეღარ აღვწერთ ბედნიერ ადამიანს და ვერც სიხარულს ვიზეიმებთ. აბა რა გითხრათ ომელასებზე? ისინი მიაპიტი და ბედნიერი ბავშვები არ იყვნენ, თუმცა მათ ბავშვებს სინამდვილეში ბედნიერები ეთქმოდათ. ისინი მოწიფული, საზრიანი, გულფიცხი ზრდასრული ადამიანები გახლდნენ, რომელთაც საცოდავი ცხოვრება არ ჰქონდათ, რა საოცარიც არ უნდა იყოს, მაგრამ ნეტა შემეძლოს უკეთ აღვწერო ეს. ნეტა შემეძლოს თქვენი დარწმუნება. ომელასი ჩემი ნაამბობიდან რომელიღაც ზღაპრულ ქალაქს წააგავს, ოდესღაც ძალიან შორს რომ არსებობდა. იქნებ უმჯობესი ყოფილიყო, თუ მას ისე წარმოიდგენდით, როგორც თქვენი ფანტაზია ინებებდა, იმ ვარაუდით, რომ შესაფერის ადგილს დაიკავებდა.

რასაკვირველია, ყველას ვერ გასიამოვნებთ. მაგალითად, რა აზრის ხართ ტექნიკაზე? ეს რომ არა, არ იქნებოდა მანქანები ქუჩებში ან ვერტმფრენები ქუჩების თავზე; ამ ფაქტიდან გამომდინარე ომელასის ხალხი ბედნიერი ხალხია. მათი ბედნიერება კი ემყარება სწორ არჩევანს. იმის თაობაზე, თუ რა არის აუცილებელი ან არა აუცილებელი, რა უვნებელი, და რა მავნებელი. მიუხედავად ამისა, რაც შეეხება შუა კატეგორიას, კომფორტს, ფუფუნებას, სიმდიდრეს და ა. შ. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ხალხს არ აკლია არც ცენტრალური გათბობა, მეტრო, სარეცხი მანქანები და არც რიგი სხვა შესანიშნავი მოწყობი-



ლობებისა, რაც აქ ჯერ არც კი გამოუგონებიათ: მცურავი შუქურის წყაროები, ელექტროენერგია საწვავის გარეშე, მკურნალი ჩვეულებრივი სიცივისა. შესაძლოა ამათგან არც არაფერი ჰქონდეთ: ამას არა აქვს მნიშვნელობა. მე კი ვფიქრობ, რომ ფესტივალის წინ ბოლო დღეების განმავლობაში ხალხი ომელასში სანაპიროს ყველა ქალაქიდან დასრულზე სწრაფმავალი პატარა მატარებლებით და ორსართულიანი ტრამვაებით ჩამოდის და რომ ომელასის რკინიგზის სადგური სინამდვილეში ყველაზე კოხტა შენობაა ქალაქში, თუმცა იმაზე ჩვეულებრივი, ვიდრე გასაოცარი ფარ-მერს მარკეტი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მატარებლებითაც დავაჯილდოვეთ, ვშიშობ, რომ ზოგიერთ თქვენგანს ალბათ ჰგონია, რომ ომელასი თვალთმაქცობაა — ათასობით ღიმილი, ზარები, აღლუმები, ცხენები და ა. შ. თუ ასეა, გეთაყვა, უყოყმანოდ დაუმატეთ ორგანიზაციები, თუ ორგანიზაციები უშველის ამ ამბავს, ამის მიუხედავად უარი ვთქვათ იმ ტაძრებზე, საიდანაც ლამაზი შიშველი მღვდლები და არაქრისტიანი მონაზვნები გამოდიან თითქმის უკვე მზადყოფნის შესაწყვილებლად ნებისმიერ კაცსა თუ ქალთან, შეყვარებულსა თუ უცხოესთან, თუკი ვინმეს სურს, გადაეშვას აღვირახსნილობის მორევში. პირველად სწორედაც ამ აზრის ვიყავი. ისე კი ნამდვილად უკეთესი იქნებოდა, ტაძრები რომ არ გვქონდეს ომელასში, ან თუნდაც ისეთი ტაძრები მაინც, სადაც ადამიანები არიან. დიახ, გვინდა რელიგია, სამღვდელეობა კი არა, რასაკვირველია, ტიტველ ლამაზმანებს შეუძლიათ ქუჩებში იბორიალონ და ღვთაებრივი სუფლესავით შესთავაზონ საკუთარი თავი შიმშილით შეჭირვებულთ და ვნებით აღტყინებულთ. დაე, შეუერთდნენ ისინი პროცესიას. დაე, დაირები დაუკრან შეწყვილებულთა თავზე და სურვილის სადიდებლად აახმიანონ გონგები — და არცთუ უმნიშვნელო საკითხი — დაე, ამ მომხიბვლელი რიტუალების ნაყოფი ყველას უყვარდეს და იზრუნონ მათზე. ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ — ომელასში არაფერი ითვლება ცოდვად თუ დანაშაულად. მაშ მეტი რაღა გინდათ? პირველად გავიფიქრე, რომ ნარკოტიკები აქ არ იქნება-მეთქი, მაგრამ ეს ხომ პურიტანობაა. მათთვის, ვისაც ეს მოსწონს, შესაძლოა თრიაქის შეუწყვეტელი სიტკბოება ქალაქის გზებზე მოედინება, თრიაქის, რომელსაც პირველად დიდზე დიდი სიმსუბუქე და აღმაფრენა მოაქვს გონებისა და კიდურებისათვის, შემდეგ რამდენიმე საათი უაზრო მიზნედილობა და ბოლოს სამყაროს ნამდვილი მისტერიული და ფარული საიდუმლოებების გასაოცარი ხილვები, ისევე როგორც სექსუალური აღტყინება. და ეს არ არის მავნე ჩვევის განმავითარებელი. მათთვის, ვისაც უფრო მოკრძალებული გემოვნება აქვს, ვფიქრობ, ლუდიცაა აუცილებელი. კიდევ რა, კიდევ რა მიეკუთვნება მხიარულ ქალაქს? რა თქმა უნდა, გამარჯვების შეგრძნება და ვაჟკაცობის ზეიმი, რადგან ჩვენ სამღვდელეობის გარეშე გავახერხეთ ცხოვრება. მოდით, ჯარისკაცებსაც ავუაროთ გვერდი. ხოცვა-ჟლეტაზე აგებული სიხარული სიხარულის მართებული ფორმა როდია. ეს შემადრწუნებელია და ბანალური, უსაზღვრო კმაყოფილების, გამარჯვების გრძნობა, განცდილი არა ვინმე გარეშე მტრის წინააღმდეგ, არამედ დედამიწაზე ყველაზე შესანიშნავ და უმშვენიერეს არსებასთან ურთიერთობაში, დიდმშვენიერებას სამყაროს ზაფხულისა. აი, ომე-



ლასის ხალხს რა უვსებს სიამაყით გულებს. დიახ, გამარჯვება, რომელსაც ისინი ზეიმობენ, არის სიცოცხლის გამარჯვება. ვფიქრობ, რომ ბევრ მათგანს თრიაქის მიღება სულაც არ სჭირდება.

აი, პროცესიების უმრავლესობამ უკვე მიაღწია ვრცელ ფილდებს. სურსათ-სანოვაგის მომმარაგებელთა წითელი და ლურჯი კარვებიდან კერძის მადისაღმძვრელი სუნი მოედინება. გოგონებიც ესაუბრებიან ტკბილით აქვთ გაწეპილი. ერთ კაცს ჭალარა წვერში ღვეხელის ორიოდ ნამცეცი გასჩენია. ქალ-ვაჟნი თავ-თავიანთ ცხენებზე შემსხდარნი სტარტის ხაზთან იწყებენ დაჯგუფებას, პატარა, მსუქანი მოხუცი ქალი იცინის, ყვაფილებს აძრობს კალათიდან. წერწეტა ყმაწვილ კაცებს მისი ყვაფილები პრიალა თმაში აქვთ გარჭობილი. ცხრა თუ ათი წლის ბიჭი განზე მარტო ზის და ხის ფლეიტაზე უკრავს. მოსასმენად გაჩერებული ადამიანები უხმოდ იღიმებიან და უხმოდ მიჩერებიან ბიჭს, მაგრამ ის დაკვრას არ წყვეტს და ვერც ხედავს მათ. მისი მუჭი თვალები მელოდიის ტკბილ, ნაზ ჯადოს დაუბინდავს. და როცა დაამთავრა დაკვრა, ნელ-ნელა დაუშვა ძირს ხელები, ფლეიტა რომ ეჭირა.

თითქოს ეს მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე იყო ნიშანი — სტარტის ხაზთან ახლოს მდებარე პავილიონიდან საყვირის ხმა მოისმა, მბრძანებლური, ყურთასმენის წამლები და სულისშემძვრელი. ცხენები ყალყზე დგებიან ჩამოქნილი კოხტა ფეხებით, ზოგი პასუხად ჭიხვინებს კიდევ. ყმაწვილი მხედრები ცხენებს კისრებზე ხელს დინჯად უთათუხებენ და ჩუმი ხმით ამოშვინებენ: „წყნარად, წყნარად, არაფერია, ჩემო ლამაზო, ჩემო იმედო...“

ისინი სტარტის ხაზთან მწკრივდებიან. იპოდრომის გასწვრივ ბრბო აყვავებულ მინდორს ჰგავს ქარში. ზაფხულის ფესტივალი დაიწყო.

გჯერათ? ფესტივალის, ქალაქის და მხიარულების მიმართ დადებითად ხართ განწყობილი? არა? მაშინ ნება მიბოძეთ კიდევ ერთი რამე აგიწეროთ.

ნახევარსარდაფში, ომელასის ერთ-ერთი შესანიშნავი საერთო საცხოვრებელი სახლის ქვეშ ან იქნებ მისი ერთ-ერთი დიდი კერძო სახლის სარდაფში არის ოთახი. მას ერთი დაკეტილი კარი აქვს, სარკმელები კი არა. სარდაფის მეორე მხარეს, ობობას ქსელმოდებული სარკმლიდან ოდნავ აღწევს ნაცრისფერი სინათლე ბზარებს შორის. პატარა ოთახის ერთ კუთხეში წყვილი გრძელი ჯაგრისი ჭუჭყისაგან გახეშეშებული აყროლებული ჯაგრისით დაჟანგულ ვედროსთან ახლოს დგას. იატაკი მიწისაა, ოდნავ ნესტიანი შეხებისას, როგორც სარდაფის ტალახია ხოლმე ჩვეულებრივ. ოთახი სამი ნაბიჯის სიგრძისაა და ორი ნაბიჯის სიგანის, როგორც ცოცხისა თუ გამოუსადეგარი სამუშაო იარაღების სათავსო. ოთახში ბავშვი ზის. ეს შეიძლება ბიჭი ან გოგო იყოს. ექვსი წლისას ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ათისაა. გონნაკლულია, შესაძლოა ასეთივე დაიბადა, ან შესაძლოა შიშის, შიმშილის ან უპატრონობის გამოა გონნაკლული. იგი ცხვირს იჩიჩქნის და დროდადრო ხელს უაზროდ კიდებს ფეხის თითებს თუ სასქესო ორგანოებს, მოკუზული ზის ვედროსა და წყვილი ჯაგრისიდან ყველაზე შორ კუთხეში. მას ჯაგრისების ეშინია. ისინი თავზარსა სცემენ. თვალებს ხუჭავს, მაგრამ იცის, რომ ჯაგრისები მაინც იქ არიან, კარი კი დაკეტილია და არავინ არ მოვა. კარი მუდამ დაკეტილია და არავინ არასოდეს მოდის.



თუმცა ბავშვს არა აქვს დროის შეგრძნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ზოგჯერ კარი საშინელი ჭრილობით იღება და ერთი ან რამდენიმე ადამიანი ჩნდება. რომელიმე შეიძლება შემოვიდეს კიდევ და წინააღმდეგობას ბავშვს, ადგომა რომ აიძულოს. სხვები არასოდეს არ შიშობენ ან ლოს, შეშინებული და ზიზღიანი თვალებით აცქერდებიან, საჭმლის თანსი და წყლის დოქი საჩქაროდ ივსება, კარი ისევ იკეტება, ხელფალები უჩინარდება, ხალხი კართან არასოდეს არაფერს ამბობს, მაგრამ ბავშვი, ვინც ამ სამუშაო იარაღების სარდაფში ყოველთვის არ ცხოვრობდა და ვისაც შეიძლება კიდევ ახსოვს მზის სხივი და დედის ხმა, ზოგჯერ ლაპარაკს იწყებს. „კარგად მოვიქცევი, — ამბობს ხოლმე, — ოღონდ გარეთ გამიშვი, გეხვეწებით, კარგად მოვიქცევი!“ ისინი კი არასოდეს არ პასუხობენ. ადრე ღამლამობით ბავშვი შველას ითხოვდა და ძალიან ბევრს ტიროდა, მაგრამ ახლა მხოლოდ წკმუტუნით იძახის: „ეააა, ეააა“. თანდათან უფრო და უფრო უკლო ლაპარაკს, გაჩხინკულს ფეხებზე კუნთები საერთოდ არც უჩანს, მუცელი გამობერია, დღეში ნახევარ თას ცხიმოვან ხორბლის საჭმელზე ცოცხლობს. შიშველია, დუნდულები და ბარძაყები ჩირქიანი იარებით აქვს დაფარული, რადგან გამუდმებით თავის საკუთარ განავალში ზის.

ომელასში ყველამ იცის, რომ იგი იქ არის. ზოგი იყო კიდევ მის სანახავად, სხვები მხოლოდ იმის ცოდნითაც კმაყოფილდებიან, რომ იგი იქ არის, და ისიც იციან, რომ იქ უნდა იყოს. ზოგ მათგანს ესმის, თუ რატომ, ზოგს — არა, მაგრამ ყველამ იცის, რომ მათი ბედნიერება, მათი ქალაქის სილამაზე, მათი მეგობრობის სინაზე, მათი შვილების ჯანმრთელობა, მათი სწავლულების სიბრძნე, მათ შემოქმედთა ოსტატობა, მათი მოსავლის სიუხვე და ციურ ამინდთა სიკეთეც მთლიანად დამოკიდებულია ამ ბავშვის შემზარავ ტანჯვაზე.

ჩვეულებრივ ასე უხსნიან ხოლმე ბავშვებს, როდესაც ისინი რვა თუ თორმეტისა ხდებიან და მიხვედრის უნარს იძენენ. ბავშვის სანახავად უმეტესად ახალგაზრდობა მოდის, თუმცა საკმაოდ ხშირად დიდებიც კი, ზოგი ხელმეორედაც. იმის მიუხედავად, თუ რამდენად კარგად იყო ვითარება მათთვის ახსნილი, ეს ახალგაზრდა მაყურებლები ყოველთვის შეცბუნებულნი ჩერდებიან კართან ამ სურათით გულარეულნი. მათ იტანთ ზიზღი, ბრაზი, რისხვა, უძლურება. მათ ხომ თავი მასზე უკეთესები ჰგონიათ, უნდათ, რაღაც გაუკეთონ ბავშვს, მაგრამ უძლურნი არიან. ბავშვი იმ ბილწი ადგილიდან მზის სინათლეზე რომ გამოეყვანათ, დაებანათ, გამოეძლოთ და ნუგეში ეცათ, ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, ომელასის ყოველგვარი კეთილდღეობა, სილამაზე და სიამოვნება იმ დღესვე და იმ საათშივე გაქრებოდა. ასე იყო საჭირო, ასეთი იყო მოთხოვნები. თითოეული სიცოცხლის სიკეთე რომ შეეწიროს ომელასში იმ ერთადერთ ცვლილებას, ათასობით ადამიანის ბედნიერება ერთი ადამიანის ბედნიერებას რომ ენაცვალოს, ეს ქალაქისთვის ნამდვილად დანაშაულის დაშვება იქნებოდა. პირობები მკაცრი და უდაო იყო. ერთ კეთილ სიტყვასაც კი ვერ ეტყუოდი ბავშვს.

ბავშვის ნახვისა და ამ საშინელი პარადოქსის წინაშე დადგომის შემდეგ ახალგაზრდები სახლში ხშირად აცრემლებულნი ან უცრემლო



სიშმაგით ატანილნი მიდიოდნენ. მათ შესაძლოა კვირების ან წლების განმავლობაში ეფიქრათ ამაზე. მაგრამ დრო რომ გადიოდა, უკვე იმის გაანალიზებას იწყებდნენ, ბავშვი კიდევ რომ გაეშვათ, თავისუფლება ვერაფერს მისცემდა, დიდ ხეირს მაინც ვერ დააყრიდა მარტო სითბოთი და საჭმლით ცოტაოდენი სიამოვნებისა, თუმცაღაც მეთისმეტად დეგრადირებული და გონებასუსტი იყო იმისათვის, რომ რაიმე ჭეშმარიტი სიამოვნება განეცადა. იგი ისე დიდხანს იყო დაშინებული, რომ შიშისაგან არასოდეს განთავისუფლდებოდა. მისი მოქმედებები იმდენად ტლანქი და მოუქნელი, ადამიანურ მოპყრობას რომ ემოქმედა და შეეცვალა, ამდენი ხნის შემდეგ მართლაც საცოდაობა იქნებოდა ამ კედლების გარეშე დარჩენილიყო, მას რომ იცავდა, ამ სიბნელის გარეშე, მისი განავალის გარეშე, რომელშიც იჯდა, ყველას ცრემლი აშრებოდა ამ მწარე უსამართლობაზე, სინამდვილის საზარელი სამართლიანობის შეცნობაზე, მის აღიარებაზე. მათი ცრემლი და ბრაზი, მათი კეთილშობილების გამოცდა და მათივე უმწეობის შეგრძნება შესაძლოა მათი სიცოცხლის დიდებულების ჭეშმარიტი წყაროა. მათი ბედნიერება არ არის მოსაწყენი და უპასუხისმგებლო ბედნიერება, მათ იციან, რომ ისინი იმ ბავშვის მსგავსად თავისუფლები არ არიან. მათ იციან სიბრაღული. სწორედ ბავშვის არსებობა და იმის ცოდნა, რომ ის არსებობს, შესაძლებელს ხდის მათი არქიტექტურის კეთილშობილებას, მათი მუსიკის სიმძაფრეს, მათი მეცნიერების სიღრმეს. ამ ბავშვის გამოა, რომ ისინი ასეთი სინაზით ეკიდებიან სხვა ბავშვებს. მათ იციან, ის უბედური რომ არ სლუკუნებდეს იქ სიბნელეში, ფლეიტაზე დამკვრელი მეორე ბავშვი ვერ შეძლებდა მხიარული მუსიკის შექმნას იმ დროისათვის, როდესაც მოხდენილი ახალგაზრდა მხედრები ზაფხულის პირველი დილის მზის შუქზე მწკრივდებიან დოლისათვის.

კიდევ გწამთ ომელასელების? მაგრამ კიდევ არის ერთი რამ სათქმელი და ეს სავსებით დაუჯერებელია.

დროდადრო რომელიმე ქალიშვილი ან ვაჟი, ვინც ბავშვის სანახავად მიდის, სახლში აღარ ბრუნდება სატირლად ან ბრაზის გამოსახატავად. ზოგჯერ უფრო ხნიერი კაცი ან ქალი ერთი ან ორი დღით დადუმდება ხოლმე და შემდეგ ტოვებს სახლს.

ისინი ქუჩაზე ფეხით მარტო მიდიან, აგრძელებენ სვლას გზის გადაუხვევად ლამაზი ჭიშკრების გავლით, გადაივლიან ომელასის დახნულ მიწებზე. თითოეული მათგანი მარტო მიდის, ქალიშვილი თუ ვაჟი, კაცი თუ ქალი. თანდათან ღამდება. მგზავრმა უნდა გაიაროს სოფლის შუკები ყვითლად განათებულ სახლებს შორის, გაიაროს გაღმა, ბნელ მინდვრებზე სიბნელეში. თითოეული მარტო მიდის დასავლეთით თუ ჩრდილოეთით მთების მიმართულებით. ისინი ტოვებენ ომელასს, მიიწევიან სიბნელეში და უკან აღარ ბრუნდებიან. ადგილი, საითკენაც ისინი მიემართებიან, ჩვენი უმრავლესობისათვის კიდევ უფრო წარმოუდგენელია, ვიდრე ბედნიერების ქალაქი. მისი აღწერა მე საერთოდ არ შემიძლია. შესაძლოა, რომ ის არც არსებობს, მაგრამ მათ თითქოს იციან, სადაც მიდიან, მათ, ვინც ომელასიდან მიდის.





გაო სინძიანი

თარგმნა ილია გასპიანაძე



## ლიტერატურის არსისა და როლის დასაბუთება.

2000 წელს ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე  
წარმოთქმული სიტყვა.

არ ვიცი, ბედმა თუ მიზიძგა ამ ტრიბუნისკენ, მაგრამ მსგავს შემთხვევითობას, სხვადასხვა ბედნიერი გარემოება რომ წარმოშობს, სავსებით შეიძლება ეწოდოს ბედი. არ გაერისკავ და იმის მტკიცებას არ შევუდგები, რომ ამქვეყნად უზენაესი შემოქმედი არსებობს, თუმცა სულის სიღრმეში მუდამ მოწიწებით აღსავსე თრთოლვას ვგრძნობდი იმის წინაშე, რაც ჩემთვის მიუწვდომელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავი ათეისტად მიმაჩნდა.

ადამიანს არ შეუძლია სულად იქცეს, მით უმეტეს არ ძალუძს დაიკავოს უმაღლესი ღვთაების ადგილი. საერთოდ რომ ვთქვათ, თუკი სამყაროზე იბატონებს ზეკაცია, იგი მას კიდევ უფრო დიდ ქაოსში გახვევს და უფრო საზარელს გახდის. იმ საუკუნეში, ნიცშეს შემდეგ რომ ჩამოვდგა, ადამიანის მიერ წარმოშობილი უბედურებები, ყველაზე პირქუშ სიას წარმოადგენს ისტორიაში. მაგრამ თავის თავში უკიდურესად შეყვარებულ ფილოსოფოსთა ვერაუთარი გიჟური ბოდვა ვერ შეედრება იმ ადამიანთა მრავალრიცხოვან დანაშაულს, რომელთაც საკუთარი თავის ხალხის ბელადად, სახელმწიფოს ლიდერად თუ ნაციის მხედართმთავრად გამოცხადების გზით სავსებით გაითავისეს ძალადობის ყველა მეთოდი საკუთარ დანაშაულთა

ჩადენისას. თუმცა მე ამ ტრიბუნაზე არ ვაპირებ პოლიტიკასა თუ ისტორიაზე მსჯელობას. მე მხოლოდ ის მინდა, ეს შემთხვევა გამოვიყენო იმისათვის, რათა როგორც მწერალმა, საკუთარი აზრი გამოვთქვა და ჩემი პიროვნული მოგაწვდინოთ.

მწერალს, რომელიც ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანია, შესაძლებელია მხოლოდ უფრო მეტად გამძაფრებული აღქმის უნარი აქვს. თუმცა კი დახვეწილად მგრძობიარე ადამიანი, როგორც წესი, უფრო სუსტია. მწერალი იმიტომ კი არ ლაპარაკობს, რომ ხალხის რუპორია, მასში არ ესხმება ხორცი რაიმე სიმართლეს და მისი ხმაც შეიძლება ძალიან სუსტად გაისმოდეს. მაგრამ რადგანაც ეს კონკრეტული პიროვნების ხმაა, მას დიდი გულწრფელობა და სიმართლე ახასიათებს.

უნდა შევნიშნო, რომ ლიტერატურაც შეიძლება მხოლოდ ცალკეული პიროვნების ხმა იყოს, რომ ეს მუდამ ასე იყო. მაგრამ როგორც კი ლიტერატურა სახელმწიფო პიქნად, ნაციის დროშად, პარტიის რუპორად ან რომელიმე პოლიტიკური და პარტიული დაჯგუფების მაცნედ იქცევა, ასეთი ლიტერატურა მაშინვე კარგავს თავის ოდინდელ არსს, ამასთან სულერთია, პროპაგანდის რომელ მეთოდებს მიმართავს და როგორი ყოვლისმომცველი ძა-



ლისა და ძლიერების მფლობელია იგი. ეს უკვე აღარაა ლიტერატურა, არამედ ძალაუფლების პროდუქტი და სარგებლობის ამოქაჩვის საშუალებაა. ჩვენს საუკუნეში, რომელიც უკვე იწურება, ლიტერატურა სწორედ ამგვარ განსაცდელს შეეჩეხა. პოლიტიკისა და ძალაუფლების დაღი მას უფრო მეტად დააჩნდა, ვიდრე ყველა სხვა ეპოქაში. შესაბამისად, უფრო საგრძნობი გახდა ის გაჭირვებანი, რომელნიც საკუთარ თავზე გამოსცადეს მწერლებმა.

ლიტერატურამ უნდა დაიცვას საკუთარი არსებობის დასაბუთებული მდგომარეობა, არ იქცეს რა ამასთან პოლიტიკის იარაღად. ამიტომ იგი ცალკეული ინდივიდუუმის ხმას უნდა დაუბრუნდეს; მაგრამ რამდენადაც ლიტერატურა უპირველესად ადამიანის გრძნობებს მიმართავს, ის წარმოადგენს კიდევაც ადამიანურ გრძნობათა ნაყოფს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურა აუცილებლად მოწყვეტილი უნდა იყოს პოლიტიკას ანდა, პირიქით, ზემოქმედება მოახდინოს მასზე. ლიტერატურის ეგრეთ წოდებული ტენდენციურობა და მწერლის პოლიტიკური ორიენტირებულობა, მისი მონაწილეობა იდეოლოგიურ ბრძოლებში — არის მძიმე სწეულება, რომელმაც ამ საუკუნეში უდიდესი ზიანი მიაყენა ლიტერატურას. ამიტომ ტრადიციონალიზმისა და განახლების იდეები, რომელთაც კონსერვატიზმისა და რევოლუციურობის ფორმები მიიღეს, ბოლოს და ბოლოს გადაიქცა ბრძოლად მოწინავესა და რეაქციულს შორის, რამაც თავის მხრივ წარმოშვა იდეოლოგიის შეუზღუდავი ბატონობა. მაგრამ როგორც კი იდეოლოგია ერწყმის სახელმწიფო ძალაუფლებას და იქცევა რეალურ ძალად, ლიტერატურა და ცალკეული პიროვნება აუცილებლად იღუპებიან.

იმ დაუსრულებელ უბედურებათა მიზეზი, რომელიც XX საუკუნეში თავს დაატყდა ჩინურ ლიტერატურას და რის შედეგადაც იგი საკუთარი არსებობის უკანასკნელ საზღვარს მიაღწია, იყო ის, რომ

ლიტერატურაზე ბატონობდა პოლიტიკა. ლიტერატურულმა რევოლუციამ, ისევე როგორც რევოლუციურმა ლიტერატურამ, პიროვნება და ლიტერატურა დაღუპვის პირას მიიყვანა. ქვეყნის სახელით განხორციელებული სხვადასხვა ტრადიციული კულტურის წინააღმდეგ გადაიქცა წიგნების ღია აკრძალვად, მათ დაწვად. მწერლებს ფიზიკურად ანადგურებდნენ, ციხეებში სვამდნენ, ასახლებდნენ, უმძიმეს კატორღულ სამუშაოებზე გზავნიდნენ. ამის მაგალითი უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე უამრავია, მსგავსი ბარბაროსობით არც ერთი მონარქია არ გამოირჩეოდა ჩინეთის ისტორიაში. ამის შედეგად წარმოუდგენლად გაძნელდა ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა ჩინურ ენაზე, მე უკვე აღარ ვლაპარაკობ შემოქმედების თავისუფლებაზე.

თუკი მწერალს ფიქრის თავისუფლების მოპოვება სურდა, მის წინაშე მხოლოდ ორი გზა არსებობდა: გაქცევა ან სრული მდუმარება. მაგრამ მწერლისთვის, რომელიც სიტყვასთან მუშაობს, ხანგრძლივი სიჩუმე თვითმკვლელობის ტოლფასია. ამრიგად, მწერალს გაქცევით უნდა გადაერჩინა თავი, თუკი არ უნდოდა, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა ანდა მოეკლათ, თუკი უნდოდა, მისი ხმა გაეგონათ. თუ გადავხედავთ ლიტერატურის ისტორიას, შეიძლება ვთქვათ, რომ მსგავსი რამ ხდებოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც: ციუი იუანიდან მოყოლებული დანტემდე, შემდეგ — ჯოისი, თომას მანი, სოლჟენიცინი და, ბოლოს, ჩინელი ინტელიგენტები, რომლებიც მასობრივად გაიქცნენ ჩინეთიდან ტიანანმენის მოედანზე 1989 წელს მომხდარი მოვლენების შემდეგ. ასეთია იმ პოეტთა და მწერალთა ხვედრი, რომელნიც საკუთარი ხმის შენარჩუნებას ცდილობენ.

მაგრამ მათ ძედუნის მიერ განხორციელებული ყოვლისმომცველი დიქტატურის



წლებში გაქცევაც კი შეუძლებელი იყო, რადგან მთის ტაძრებს, სადაც ფეოდალურ ეპოქაში თავშესაფარს პოულობდნენ ლიტერატორები, ჩხრეკდნენ ან უბრალოდ ანადგურებდნენ. სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა იმ მწერლებსაც კი, რომლებიც ცდილობდნენ ჩუმად ეწერათ. ვისაც უნდოდა, რომ დამოუკიდებლად აზროვნების უნარი შეენარჩუნებინა, მხოლოდ საკუთარ თავთან ლაპარაკი შეეძლო, ამასთან უკიდურესი სიფრთხილე უნდა დაეცვა. უნდა შევნიშნო, რომ სწორედ მაშინ, როცა ლიტერატურა ამგვარ აუტანელ პირობებში იმყოფებოდა, განსაკუთრებით მძაფრად ვიგრძენი მისი საჭიროება, რადგან სწორედ ლიტერატურა აძლევს ადამიანს საკუთარი ცნობიერების შენარჩუნების საშუალებას.

შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავთან ლაპარაკი ლიტერატურის ერთგვარი ათვლის წერტილია და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ენის შემვეობით სხვებთან ურთიერთობა. ადამიანი ენას ანდობს საკუთარ ფიქრებსა და გრძნობებს, დებს, ფარავს მათ წერილობით სიტყვაში, რომელიც შემდეგ წიგნებში ხვდება. ასე იბადება ლიტერატურა. იმ მომენტში ავტორი არ ფიქრობს სარგებლობაზე, მოგებაზე; ის უბრალოდ წერს და არც კი მოუვა ფიქრად, რომ ერთხელაც ამ დაწერილის გამოქვეყნებას შეძლებს. ეს იმიტომ ხდება, რომ წერის პროცესში მწერალი სიბარულს განიცდის, იღებს რა ერთდროულად კმაყოფილებასა და ანაზღაურებას (ჯილდოს). რომან „სასწაულმოქმედ მთებზე“ მუშაობა იმ პერიოდში დავიწყე, როცა ჩემი ნაწარმოებები, რომელნიც მე თვითონ სასტიკი ცენზურისათვის ვავწირე, აკრძალული იყო. მე მათ ჩემთვის ვწერდი, არანაირად არ მქონდა იმედი მათი გამოქვეყნებისა, ვწერდი იმისათვის, რომ გულიდან ნაღველი გადამყროდა.

საკუთარი მწერლური გამოცდილები-სადმი მიმართვისას უნდა შევნიშნო, რომ წიგნის დაწერის დროს ლიტერატურა მწერლისთვის საკუთარი თვითღირებულების გააზრების საშუალებაა. ავტორის მსგავსი მრომის ერთგვარ დასაბუთებას პოულობს, რაც მისთვის უდიდესი სტიმულია. ლიტერატურა იბადება, უპირველეს ყოვლისა, მწერლური მოთხოვნილებიდან — ეს მოთხოვნილება სიამოვნების მიღებაა, — ხოლო რაც შეეხება სოციალურ მსხვერპლს, მან შეიძლება მხოლოდ ნაწარმოების დამთავრების შემდეგ იჩინოს თავი. სიტყვამ მოიტანა და ხაზს ვაფუსვამ იმას, რომ ამგვარი მსხვერპლის ხარისხი სულაც არ არის დამოკიდებული საკუთრივ ავტორის სურვილზე.

ლიტერატურის ისტორიაში მრავლად ვიპოვით საქვეყნოდ განთქმულსა და ჭეშმარიტად უკვდავ ნაწარმოებებს, რომელნიც ავტორის სიცოცხლეშივე არ გამოქვეყნებულან. წერისას ავტორებს შინაგანი მოთხოვნილება რომ არ განეცადათ, მაშინ ისმის კითხვა: რაში სჭირდებოდათ მათ წერა? დღესაც კი, ისევე როგორც ეს შექსპირის ცხოვრების შემთხვევაშია, დიდ სიძნელეს წარმოადგენს ოთხი უნიჭიერესი ადამიანის ცხოვრების გზის შესწავლა — ესენი არიან ავტორები ჩინური ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე დიდი ნაწარმოებებისა: „მოგზაურობა დასავლეთში“, „მდინარეთა ყურენი“, „ძინი, პინი, მეი“, და „სიზმარი წითელ კოშკში“. მაგალითად, ში ნაიანმა საკუთარ თავზე ერთადერთი ჩანაწერი დატოვა თვითდამშვიდების სიტყვებით. მაშ რატომ მოახმარა მთელი თავისი სასიცოცხლო ძალები მან ამ გიგანტურ ნაწარმოებს, რომელსაც ავტორის სიცოცხლეში არავითარი ჯილდო არ მიუღია? განა იგივე ხვედრი არ ერგო თანამედროვე რომანის მამამთავარს — კაფკას ანდა XX საუკუნის ყველაზე ღრმა-



აზროვან პოეტს ფერნანდო პესოსა? ისინი ქმნიდნენ, სულაც არ ფიქრობდნენ რა სამყაროს გარდაქმნაზე, მაგრამ კარგად ესმოდათ, რომ ადამიანს, თუნდაც ძალიან სუსტს, შეუძლია ბევრი მნიშვნელოვანი რამის თქმა. სწორედ ამაშია ენის მაგიური ძალა.

ენა უმაღლესი, კრისტალიზებული სუბსტანციაა კაცობრიობის ცივილიზაციისა. ის მოქნილი, ფაქიზი და მოუხელთებელი რამაა, მაგრამ ამასთან ერთად ძალუძს შეაღწიოს ჩვენს გრძნობებში, შეაღწიოს ყველგან, ერთმანეთს უკავშირებს რა ადამიანის ემოციებს და მის სამყაროს აღქმის უნარს. წერილობითი სიტყვის შემეფეობით, რაც ესოდენ გასაოცარი და მომხიბლავი რამაა, ენა ყოველ ცალკეულ ადამიანს სამყაროსთან კონტაქტის დამყარების საშუალებას აძლევს, მიუხედავად იმისა, რომელ ეპოქაში ცხოვრობს იგი ან რომელი ეროვნებისაა. სწორედ ასე ერწყმის ერთმანეთს ლიტერატურული შემოქმედება, მარადიული სულიერი ფასეულობები და კითხვის რეალურობა.

მეფიქვება, რომ ჩვენს დროში მწერალმა რაღაც განსაკუთრებულად უნდა წამოწიოს წინ (ხაზი გაუსვას) თავისი მიკუთვნებულობა ამა თუ იმ ეროვნული კულტურისადმი. თუკი, მაგალითად, ჩემს წარმომავალსა და მშობლიურ ენაზე ვილაპარაკებთ, მაშინ უნდა ვთქვა, რომ მე, რა თქმა უნდა, ჩინეთის კულტურული ტრადიციების მატარებელი ვარ და ეს სავსებით ბუნებრივია. მაგრამ კულტურა მუდამ მჭიდრო კავშირშია ენასთან, რის შედეგადაც იქმნება რაღაც სავსებით მყარი ფორმები შეგრძნების, აზროვნებისა

და ფიქრის გამოხატვის. მწერლის შემოქმედება ენისმიერი გამოხატულებიდან იწყება, მაგრამ ის თავს იჩენს იმშიც, რისი გამოთქმაც სიტყვებმა ვერ მოასწრეს. და მაინც მან, ვინც <sup>საკუთარი თავი</sup> სიტყვიერ ხელოვნებას მიუძღვნა, სულაც არაა აუცილებელი, რომ მზა და ნათლად გასარჩევი რომელიმე ეროვნული იარაღი მიიკრას.

ლიტერატურული ნაწარმოებები, თარგმანში გადალახავენ რა ქვეყნებისა და ენების საზღვრებს, ამით ისინი სხვადასხვა ისტორიული თუ გეოგრაფიული პირობების შედეგად წარმოშობილ სოციალური საფუძვლებისა და ადამიანური ურთიერთობების ჩარჩოებსაც გადალახავენ და კაცობრიობას აერთიანებენ. უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე მწერლები, გადიან რა ეროვნული კულტურის საზღვრებს მიღმა, განიცდიან ყველაზე მრავალმხრივ კულტურულ გავლენებს, ამიტომაც ხაზგასმა იმისა, რომ რომელიმე ეროვნულ კულტურას მიეკუთვნები (თუკი ეს, რა თქმა უნდა, არაა გამოწვეული ტურისტული სარეკლამო მოსახრებებით) მკითხველებში უცილობლად წარმოშობს უნდობლობას.

ლიტერატურა გადალახავს იდეოლოგიურ შეზღუდულობას, სახელმწიფო საზღვრებს და ეროვნული ცნობიერების ფარგლებს; სწორედ ამგვარად ადამიანის არსებობაც ხომ თავის საფუძველში ამა თუ იმ „იზმით“ არ ამოიწურება. თვით ადამიანის არსებობის ფაქტი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყოველგვარი სახის მსჯელობა მასზე (ადამიანზე — მთ. შ.) ან რომელიც გნებავთ მეცნიერული დისკუსიები. ლიტერატურისათვის არავის დაუწესებია ტაბუ იმაზე, რომ მან მთელი ხმით საჯაროდ განაცხადოს ადამიანური ყოფის სიმწელებზე. მიუხედავად ამისა, მუდამ განისმონდა ხმები, რომლებიც ლიტერატურისათვის სხვადასხვა სახის შეზღუდვების დაწესებას მოითხოვდნენ. ეს მოწოდებები

1. ფერნანდო პესოა (1888—1935) — უდიდესი პორტუგალიელი პოეტი. მისი მნიშვნელოვნება სცდება პორტუგალიის საზღვრებს. მის მიერ პოეზიაში შეტანილი ფორმისეული სიახლეებით დღესაც იკვებება თანამედროვე პორტუგალიური პოეზია. (მთარგმნელის შენიშვნა).



მოდოდა პოლიტიკოსებისაგან, საზოგადო მოღვაწეებისაგან, გარკვეული მორალისა და ზნე-ჩვეულებათა დამცველებისაგან, რომლებიც ცდილობდნენ ლიტერატურის გარანდვას, მის მკაცრ ჩარჩოებში მომწყვდევას და ამით ლიტერატურის რაღაც მორთულობის საგნად ქცევას.

მაგრამ ლიტერატურა არ გახლავთ პოლიტიკის დანამატი და არც რაიმე მოდა, მას საკუთარი სისტემა აქვს ღირებულებებისა, საკუთარი ესთეტიკური სისტემა. ისინი განუყოფლად არიან დაკავშირებული ადამიანის გრძნობებთან და წარმოადგენენ ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების მთავარსა და უდავო კრიტერიუმს. თუმცა თვით ეს კრიტერიუმიც იცვლება ადამიანთა მიერ, რადგან განსხვავებული ადამიანები მუდამ სხვადასხვანაირად აღიქვამენ და გრძნობენ. და მაინც ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმთა სუბიექტურობა საყოველთაოდ აღიარებულ ნორმად იქცევა. ესთეტიკური გააზრების უნარი, რომელიც ლიტერატურული აღზრდის შედეგია, ადამიანებს საშუალებას აძლევს კითხვისას ხელახლა იგრძნონ ის პოეტურობა და სილამაზე, რომელიც ავტორმა ჩადო თავის ნაწარმოებში: ამალღებული და სასაცილო, სევდიანი და აბსურდული, იუმორისა თუ დაცინვის ნოტები — ესე იგი არსებითად ყველაფერი.

მაგრამ პოეტურობა ყოველთვის კი არ ისახება ნაწარმოების ღირიკული ხასიათით. ავტორის შეუკავებელი თვითმოყვარეობა ერთგვარი ბავშვური ავადმყოფობაა, რომელიც აუცილებლად იჩენს ხოლმე თავს, როცა ადამიანი ეს-ესაა სწავლობს წერას (თხზვას). აქვე დავამატებ, რომ თვით ღირიკულობის გაგება, თავის მხრივ, მრავალ შრეს გულისხმობს და უმაღლეს შრეს წარმოადგენს მოვლენების მშვიდი და „ცივი“ გააზრება. ყოფიერების ამგვარი განყენებული შესწავლისას ავტორის პიროვნება თითქოსდა ჩრდილში ექცევა. ამგვარი პოზიცია მწერალს საშუალებას აძლევს მოიპოვოს ერთგვარი „მესამე თვა-

ლი“, რომელიც მკაცრად ადევნებს თვალყურს წიგნის პერსონაჟებსაც და მწერალსაც. ამგვარმა ნეიტრალურმა მსჯერამ შესაძლოა, შეაკავოს ავტორი კატასტროფებისა და ადამიანური არსებობის წყლის მეტისმეტად დაჟინებული გარჩევისაგან. ამასთან ერთად ავტორის სიმწარეს, ზიზღსა და სიძულვილს შესწევს ძალა ადამიანებს თანაგრძნობა, სიბრაღული და ცხოვრების სიყვარული გაუღვიძოს.

როგორც ჩანს, ესთეტიკური სილამაზე, რომელიც ადამიანის გრძნობებში იბადება, არ შეიძლება დაბერდეს, თუმცა ლიტერატურაში, ისევე როგორც საერთოდ ხელოვნებაში, არსებობს მოდა, რომელიც წლიდან წლამდე შეიძლება შეიცვალოს, ამასთან შეფასების კრიტერიუმები, ისევე როგორც სხვაობანი მოდაში, ხშირად განისაზღვრება პრინციპით: კარგია მხოლოდ ის, რაც ახალია და უფრო თანამედროვე. ამგვარად ამქლავნებს ყველგან თავის თავს ბაზრის მოქმედი მექანიზმი, წიგნის ბაზარი კი ამ მიმართებით გამონაკლისს არ წარმოადგენს. მაგრამ თუკი ავტორის ესთეტიკური შეფასებების განსაზღვრა მოხდება მხოლოდ საბაზრო კონიუნქტურით, ეს ლიტერატურის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება თანამედროვე საზოგადოებას, რომელმაც „მომხმარებლის“ სახელი დაიმკვიდრა. მე ვთვლი, რომ მოცემულ შემთხვევაში ლიტერატურა სწორედ რომ „ცივი“ უნდა დარჩეს.

ათი წლის წინ, როცა დავასრულე რომანი „სასწაულმოქმედი მთები“, რომელსაც ჩემი ცხოვრების შვიდი წელი შევალიე, დავწერე პატარა სტატია, რომელშიც ყურადღება მივაქციე სწორედ ამ სახის ლიტერატურას. მე ვწერდი:

„ლიტერატურას არანაირი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან, ის არის, არც მეტი არც ნაკლები, ინდივიდუუმის შიდა საქმე. ამ უკანასკნელის დაკვირვებანი, მოგონებები, ცხოვრებისეული გამოცდილების



ანალიზი, სხვადასხვა სახის შთაბეჭდილებებზე ფიქრი და მცდელობა საკუთარი სულიერი მდგომარეობის გამოხატვისა — ყველაფერი ეს ცხადად აჩენს, თუ როგორი სიაშოვნება მოაქვს მისთვის თვით აზროვნების პროცესს.

ეგრეთ წოდებული მწერალი მხოლოდ-დამხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც საკუთარ თავთან ლაპარაკი და წერა შეუძლია; ამასთან უცხო ადამიანები შეიძლება მას არ უსმენდნენ, არ კითხულობდნენ მის ნაწარმოებებს. მწერალი სულაც არაა გმირი, რომელიც ხალხის სახელით გამოდის, არაა საჭირო მისგან კერპი შექმნათ და მით უმეტეს არ შეიძლება მას დამნაშავე და ხალხის მტერი ვუწოდოთ. სიძნელეები, რომელიც გზაზე ელოდება ავტორსა და მის ნაწარმოებს, მხოლოდ ერთი რამით შეიძლება აიხსნას — ვიღაცას ეს ძალიან სჭირდება. როცა ხელისუფლებას მტრის ხატის შექმნა უნდა, რათა მასების ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს, მსხვერპლად პირველ რიგში მწერალი გვევლინება. ყველაზე სევდიანი ისაა, რომ ზოგჯერ თვით მწერალსაც კი გონების დაბინდების ჟამს დიდ პატივად მიიჩნია შეასრულოს ამგვარი მსხვერპლის როლი.

სინამდვილეში მწერლისა და მკითხველის ურთიერთობანი წარმოადგენს შესვლულებათა ერთგვარ სულიერ გაცვლა-გამოცვლას. აუცილებელი არაა ავტორი და მკითხველი ერთმანეთს შესვდნენ ან პირისპირ ისაუბრონ; ისინი ლიტერატურული ნაწარმოების მეშვეობით უკავშირდებიან ერთმანეთს. ლიტერატურა — ეს ადამიანის მოღვაწეობის ის აღმოუფხვრელი ფორმაა, რომელშიც სავსებით ვაცნობიერებულად და საკუთარი ნებით ჩართულია ორივე მხარე, ე. ი. მკითხველი და ავტორი. აი, რატომ არა აქვს ლიტერატურას რაიმე განსაკუთრებული მოვალეობანი ფართო მასების წინაშე.

ლიტერატურას, რომელსაც ძალუძს საკუთარი ჭეშმარიტი არსის რეალიზება, სა-

ვსებით შეიძლება ეწოდოს „ცივი ლიტერატურა“. იგი კვლავ ცოცხლობს სწორედ იმიტომ, რომ ~~კაცობრიობა~~ გარდა თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, ~~მისწრაფობს~~ მსვეე წმინდა სულიერი ~~საქმიანობისაკენ~~ <sup>საქმიანობისაკენ</sup> გასაგებია, რომ ამგვარი ლიტერატურა დღეს არ დაბადებულა, და იშვა იგი სწორედ იმიტომ, რომ პოლიტიკური და გარკვეული საზოგადოებრივი ძალების მხრიდან ზეწოლის შეჩერების აუცილებლობა განხდა. ამჟამად მან წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს საბაზრო ღირებულებების ძლევამოსილებასა და მომხმარებლური საზოგადოების სულ უფრო და უფრო მზარდ გავრცელებად ნორმებსა და მორალს. მაგრამ გადარჩენისათვის ლიტერატურამ პირველ რიგში საკუთარ მარტოობას უნდა გაუძლოს.

სავსებით ცხადია: თუკი მწერალი დაკავებული იქნება მხოლოდ თავისი მწერლური შრომით, მისი ცხოვრება ადვილი სულაც არ იქნება. მწერლური მოღვაწეობის გარდა, ის იძულებული იქნება არსებობის სხვა საშუალებები ეძებოს. აქედან გამომდინარეობს, რომ ამგვარი ლიტერატურის შექმნა ერთგვარი ფუფუნებაა, მხოლოდდამხოლოდ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. თუკი ამქვეყნად „ცივი ლიტერატურის“ ნაწარმოებები ჩნდება და ვრცელდება, ეს ზდება საკუთრივ ავტორის ან მისი მეგობრების ძალისხმევის წყალობით. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ცაო სიუეცინი და ფრანც კაფკა. ამ ავტორთა სიცოცხლეში მათი ნაწარმოებები არცკი გამოქვეყნებულა, ამიტომ, ბუნებრივია, მათ არ შეეძლოთ რაიმე ლიტერატურული მიმდინარეობა ჩამოეყალიბებინათ, თანამედროვეთათვის კაშკაშა ვარსკვლავები ყოფილიყვნენ. ამგვარი მწერლები საზოგადოების პერიფერიაზე ცხოვრობენ, საკუთარი კუნჭული აქვთ, მთლიანად ჩანთქმულან სულიერ საქმიანობაში და ამით დიდ სიაშოვნებას იღებენ; ამასთან, არანაირად არ მოელოან



რაიმე ჯილდოს, ე. ი. არ ფიქრობენ საზოგადოებრივ აღიარებაზე.

„ცივი ლიტერატურა“ — გაქცევის ლიტერატურაა, რაშიც იგი სიცოცხლესა და სულიერ ძალებს პოულობს, არ აძლევს რა საზოგადოებას საკუთარი თავის დახრჩობის საშუალებას. თუკი ერი არ მიიღებს ლიტერატურას, რომელიც სარგებლობასა და მოვებას უარყოფს, მაშინ ეს არა მხოლოდ მწერალთა უბედურება, არამედ თვით ერის ტრაგედიაა.

მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა დიდი პატივი — შვეციის სამეფო აკადემიის ჯილდო. მე იგი ჩემი მეგობრების წყალობით მივიღე, რომელნიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. ისინი მრავალი წლის მანძილზე, არ ფიქრობდნენ რა მათი შრომის ანაზღაურებაზე და არ ეპუებოდნენ სიძნელეებს, თარგმნიდნენ, გამოსცემდნენ, სცენაზე დგამდნენ ჩემს ნაწარმოებებს. მე მათ ყველას მინდა გამოვუცხადო ღრმა მადლიერება, თუმცა კი არ შემძლია ყველას სახელის ჩამოთვლა, რადგან ეს სია მეტისმეტად გრძელი იქნებოდა.

მე ასევე მადლობას ვუცხადებ საფრანგეთს, რომელმაც მიმიღო. ამ ქვეყანაში, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ლიტერატურითა და ხელოვნებით, მე ვიპოვე პირობები თავისუფალი შემოქმედებისთვის, ვიპოვე მკითხველები და მკითხველები. ბედნიერი ვარ, რომ ახლა არც ისე მარტო ვარ, თუმცა ის, რასაც მე ვეწევი, ე. ი. თხზვა — მეტად პირადი და ინდივიდუალური საქმიანობაა.

კიდევ იმის თქმა მინდა, რომ ცხოვრება სულაც არაა ბრწყინვალე დღესასწაული, ჩვენი დედამიწა კი მშვიდობიან შვეციას არ ჰგავს, შვეციას, სადაც აი, უკვე 180 წელია, ომი არ ყოფილა. არავინ იცის, რომ მომავალი საუკუნე უბედურებებს თავიდან აიცილებს მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი კატასტროფა გასულ ასწლეულში უკვე გადავიტანეთ. ადამიანის მეხსიერება მემკვიდრეობით არ გადადის, როგორც

ბიოლოგიური გენი, კაცობრიობა კი თუმცა გონებას ფლობს, ინდენად ბრძენი არაა, რომ წარსულის გამოცდილება სასიკეთოდ გამოიყენოს. უფრო მეტად მწიფდება ტვინს ძალუძს შვას ისე ბრძენი უბედურებები, რომელნიც შეიძლება თვით ადამიანთა არსებობას კომპარად მოეგლინონ.

კაცობრიობა აუცილებლად პროგრესის ერთი საფეხურიდან მეორეზე არ უნდა აღიოდეს, ცივილიზაცია კი — მე აქ სწორედ კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაზე ვლაპარაკობ — მხოლოდ თანდათანობით და შეუჩერებელ წინსვლას არ წარმოადგენს. საკმარისია გავიხსენოთ ევროპაში განვითარების შეფერხება შუა საუკუნეებში, ქაოსი და ნვრევა აზიის კონტინენტზე ახალ დროში და, ბოლოს, ორი მსოფლიო ომი XX საუკუნეში! ადამიანთა მოკვლის საშუალებები ამ ხნის მანძილზე უფრო მეტად დახელოვნდა, დაიხვეწა, მაშინ როცა თვით კაცობრიობა თავისი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით სულაც არ გამხდარა უფრო ცივილიზებული. კაცობრიობის ისტორიის ზოგიერთ ფაქტს მხოლოდ მეცნიერების მეშვეობით ახსნას ვერ მოვუძებნით, ისევე როგორც არ შეიძლება მათი ხელახლა გამეორება, თუკი ილუზორული დიალექტიკის საფუძველზე აგებული რომელიმე ისტორიული კონცეფციებით ვიხელმძღვანელებთ. მთელი საუკუნის, და უფრო დიდი ხნის, მანძილზე, ზოგიერთი უტოპიები ციებ-ცხელებიან აქტიურობად იქცეოდა, მაგრამ ამჟამად მისგან და მუდმივი რევოლუციური სულისგან კვალიც კი არ დარჩენილა. შედეგად სიმწარეს გრძნობენ ისინიც, ვინც, საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა. თუ ეს ასე არაა?

უარყოფის უარყოფას ყოველთვის არ მივყავართ მტკიცებამდე, რევოლუცია კი მუდამ მშენებლობას როდი მოახწავებს. უტოპიური წარმოდგენა ახალ სამყაროზე ძველის აღმოფხვრას ნიშნავს. სოციალური რევოლუციის მსგავსი თეორია ლიტერატურასაც მისწვდა და ამით შემოქმე-



დების ეს ნაკრძალი ბაღი ბრძოლის არენად იქცა: წინამორბედთა დამხობა, კულტურული ტრადიციების გათელვა და ყველაფრის ნულიდან დაწყება — კარგია მხოლოდ ის, რაც ახალია. ამგვარად, ლიტერატურის ისტორიის ინტერპრეტირება შეიძლება, როგორც განუწყვეტელი ღონისა და კატასტროფებისა.

რეალურად მწერალს არ ძალუძს შემოქმედის (Творец) როლი შეასრულოს, ისევე როგორც არ შეუძლია საკუთარ თავში ქრისტეს ფიგურამდე ამაღლდეს; თუკი გონების დაბინდების უამს ამგვარ რამეს შეეცდება, შეშლილი გარე სამყაროს ქიმურად და ჯოჯოხეთად წარმოიდგენს, სადაც შეუძლებელია არსებობა. თუ ავტორიული „მე“ თავის თავზე კონტროლს დაკარგავს, სამყარო სხვა ადამიანთათვის ჭეშმარიტ გენად იქცევა. განა ასე არაა? ადამიანი საკუთარ თავს მომავალს სწირავს, მის კვალდაკვალ კი ასეთ მსხვერპლად იქცევიან სხვებიც.

თუმცა არ ღირს აეჩქარდეთ და XX საუკუნის ისტორიაზე ნაჩქარევი დასკვნები გავაკეთოთ. თუკი შევეცდებით ამ ისტორიის რომელიმე იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევას, მაშინ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ის ამაოდ დაწერილა, და შთამომავლობას ალბათ მისი ხელახლა გადაწერა მოუწევს.

მწერალი წინასწარმეტყველი არაა, ის ჩვენი თანამედროვე ადამიანია და იმის უნარი აქვს, რომ გამოააშკარავოს ტყუილი, გამოასწოროს ცდომილებანი, გარკვევით დაინახოს, რა ხდება გარემომცველ სამყაროში, მაგრამ ამასთან ერთად დაუინებით უნდა იყურებოდეს თავისსავე თავშიც. თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ მწერლური „მე“ ამ დროს შფოთავდეს, ამიტომაც მაშინ, როცა სამყაროსა და ადამიანებს კითხვებს უსვამს, მწერალს საკუთარ თავში გარკვევაც არ აწყენდა. სხვადასხვა უბედურება და განსაცდელი, ჩვეულებრივ, ვარუდან მოდის, მაგრამ ადამიანმა თავისი სიმხდალის, შიშისა ან

უბრალოდ სისულელის გამო შეიძლება გამრავლოს საკუთარი ტანჯვა და მწუხარება მოუტანოს სხვებსაც.

ადამიანის ქმედებანი ხშირად ამოუხსნელია და მას საკმარისი გუნდობად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორია თვითონ სინამდვილეში. ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მზერის მიმართვას საკუთარ თავზე; ამასთან მსგავსი თვითჭვრეტის წუთებში წარმოიქმნება ერთგვარი სხივები, რომლებიც ადამიანს შიგნიდან ანათებენ.

ლიტერატურა თავისი ბუნებით არაა გამიზნული იმისათვის, რომ რაიმე დაამხოს ან დაანგრიოს. მისი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლია დაინახოს და დაგვანახოს სამყაროსა და ადამიანების ჭეშმარიტი არსი, რომელსაც, როგორც წესი, ცუდად იცნობენ, ანდა ფიქრობენ, რომ იცნობენ, სინამდვილეში კი არასწორად წარმოუდგენიათ. მიმაჩნია, რომ სწორედ სიმართლეა ლიტერატურის უმთავრესი და ურყევი თვისება.

ჩვენ ახალი საუკუნის ზღურბლზე ვდგავართ. იმის თქმას არ შევუდგები, რამდენად ახალია ეს საუკუნე; მაგრამ შევნიშნავ, რომ ლიტერატურული რევოლუცია და რევოლუციური ლიტერატურა, იმ იდეოლოგიის კრახის შემდეგ, რომელიც მათ წინ მიუძღოდა, ჩიხში მოექცნენ. სოციალური უტოპიის აჩრდილი ნისლივით გაიფანტა. ლიტერატურა, მას შემდეგ, რაც განთავისუფლდა სხვადასხვა „იზმებისაგან“, ისევ უნდა დაუბრუნდეს იმ რთულსა და არაწარმავალ გარემოებათ, რომელიც თან ახლავს ადამიანის ცხოვრებას, რადგან ადამიანური ყოფის სიმძიმენი ცოტად თუ შეიცვალა. ისინი ისევ ლიტერატურის მთავარ და მარადიულ თემებად გვევლინება.

ახალი საუკუნე წარმოდგება, როგორც ეპოქა წინასწარმეტყველებისა და დაპირებების გარეშე, რაც, ჩემის აზრით, სულაც არაა ცუდი. მწერლის, როგორც მომავლის მჭვრეტელისა და არბიტრის რო-



ღმა, თავისი თავი ამოწურა. გასულ საუკუნეში გაკეთებული ბევრი პროგნოზი არასწორი აღმოჩნდა. მაშ, არ ჯობია, ყურადღებით დაველოდოთ მომავლის მოახლოებას, ვიდრე მის ირგვლივ ახალი ცრურწმენები შევქმნათ? რაც შეეხება მწერალს, დროა იგი მოვლენათა მოწმისა და თვითმხილველის ადვილს დაუბრუნდეს. მაშინ იგი შეძლებს ცხოვრების სინამდვილის წარმოჩენას.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურა ფაქტების ჩაწერას გავუტოლოთ. უნდა ითქვას, რომ მსგავს ტექსტებში წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებანი იმდენად მწირია, რომ ფარავენ ჩვენგან ამა თუ იმ მოვლენათა წარმოშობის მიზეზებსა და მექანიზმებს. ჭეშმარიტ ლიტერატურას კი დაწვრილებით შეუძლია გვიჩვენოს ისინი, რამდენადაც მას შესწევს ძალა ადამიანის სულის სიღრმეებიდან ახსნას მოვლენათა განვითარების ლოგიკა. ამაშია ლიტერატურის ძლიერება, თუკი, რა თქმა უნდა, მწერალი სწორედ ასე ქმნის ადამიანური ყოფის უტყუარ სურათს და არ ეწევა უაზრო მანიპულაციებს.

მწერლის მიერ ცხოვრების სინამდვილეში ჩაღრმავების ხარისხზეა დამოკიდებული ნაწარმოების ღირებულება და ამ სიმართლის შეცვლა არავითარ სიტყვიერ თამაშს ან მხატვრულ გამოგონებას არ შეუძლია. ცხოვრების სინამდვილეზე ხომ ყველა ლაპარაკობს, ვისაც არ ეზარება, მაგრამ განსხვავებულ ადამიანებს მუდამ განსხვავებულად ესმით ეს სიმართლე. მიუხედავად ამისა, პირველი შეხედვიდანვე ჩანს, რამდენად ზუსტი და უტყუარია ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების სურათი, ან პირიქით — რამდენად დამახინჯებულია იგი. მაგრამ სიმართლის თუ სიყალბის — მხოლოდ როგორც შორს მიმავალი დასკვნების გამოტანის საბაზის — განხილვა უკვე გა-

ნსაზღვრული იდეოლოგიური შინაარსის მქონე ლიტერატურული კრიტიკის საქმეა, რომელსაც არ სურს საკუთარ დოგმებს გადაუხვიოს. ასეთ პრინციპს საკუთრივ ლიტერატურასთან საკმაოდ დაშორებული მიმართება აქვს.

თუკი მწერლის ფიგურას მივმართავთ, მაშინ მისი მზადყოფნა — ორიენტირდეს ცხოვრების სინამდვილეზე — არ დაიყვანება შემოქმედებითი მეთოდის პრობლემაზე — იგი ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული ავტორისეულ პოზიციასთან. სიმართლე თუ სიყალბე, ავტორის კალმიდან რომ იმეებიან, გვაძლევს წარმოდგენას იმაზე, რამდენად გულწრფელი იყო მწერალი, როცა ხელს ჰკიდებდა კალამს. ამ შემთხვევაში სიმართლე წარმოდგება არა მარტო როგორც ლიტერატურული ღირებულების საზომი, არამედ იმავდროულად ეთიკურ დატვირთვასაც იძენს. მწერალი არაა ვალდებული მორალური დამრიგებლის მისია იკისროს. ასახავს რა განსხვავებულ ადამიანებსა და მრავალსახოვან სამყაროებს, იგი ამავე დროს საკუთარ თავსაც გვიხსნის — სულის ყველა საიდუმლო კუთხე-კუნჭულს გვიჩვენებს. მწერლისათვის სიმართლე ლიტერატურაში თითქმის მორალის ტოლფასია, თვით ლიტერატურისათვის კი ეს უმაღლეს მორალს წარმოადგენს.

მართალია, ლიტერატურა გამონაგონზეა დაფუძნებული, მაგრამ მკაცრი მხატვრისათვის იგი ადამიანური ყოფიერების სიმართლის ასახვას გულისხმობს — სწორედ ამ წყაროდან იღებდნენ სასიცოცხლო ძალებს ძველ დროში და ახლაც უკვდავი ქმნილებები. აი, რატომაც, რომ არასოდეს ბერდება არც ბერძნული ტრაგედიები და არც შექსპირის ნაწარმოებები.

ლიტერატურა სრულებით არ წარმოადგენს რეალობის ტვიფარს: იგი აღწევს არა მხოლოდ სინამდვილის გარე ფენებში,



არამედ მის სიღრმეშიც ინერგება. ამხელს რა სიცრუეს, ლიტერატურას ძალუძს **თავისი სიმაღლიდან** ვადმოხედოს ყოფიერების ყოველდღიურ მოვლენებს, თავის მხერაში მოაქციოს ისინი და მათი მიზეზობრივი კავშირი გვიჩვენოს.

რა თქმა უნდა, ლიტერატურა ხატოვან გამოსახვას მიმართავს, მაგრამ სულის ამგვარი მოვზაურობა თვითმიზანს არ წარმოადგენს. ხატი, რომელსაც გამოცდილი აქვს განცდილი სიმართლე, წააგავს ცარიელ კონსტრუქციას, ადამიანური გამოცდილებისაგან მოწყვეტილს, რაც მხოლოდ ავტორის უძღურებასა და უნაყოფობაზე მიუთითებს. ნაწარმოებმა, რომელშიც რწმენა თვით ავტორს არ ჰქონდა, საეჭვოა, მკითხველის გული შეძრას. ლიტერატურა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილებას არ მიმართავს და მწერალიც ოდენ საკუთარი გამოცდილებით როდი კმაყოფილდება. იგი ხედავს და გრძნობს კიდევ რაღაცას, ესეუთქვით, კითხულობს იმას, რაც მანამდე დაწერილა. და თავისებური გადამცემის — ენის დახმარებით მწერალი ყველაფერ ამას საკუთარ გრძნობებში გაატარებს და ჩვენ მას ვიღებთ. სწორედ ამამია ლიტერატურის ენის მაგიური ძალა.

ენა თავის თავში შელოცვისა და კურთხევის ძალას ფარავს — მას სწორედ ასე ძალუძს სულის შეძვრა. ენის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მთხრობელს საკუთარი გრძნობები სხვებამდე მიაქვს. მწერალი ენას არასოდეს მოეპყრობა, როგორც ნიშანთა სისტემას, სემანტიკურ კონსტრუქციას ან გრამატიკულ სტრუქტურას. თუ დავივიწყებთ იმას, რომ ენა ასევე ცოცხალი მოლაპარაკე ადამიანია, ნაწარმოების აზრს ადვილად დავიყვანთ გონების თამაშამდე.

ენა მხოლოდ გარკვეული გავებისა და წარმოდგენების სათავეს არაა. თუკი უშუალო შეგრძნებებით ისაზორობს, ენას ინტუიციისა და გრძნობების კალკიძება შეუძლია. აი, კიდევ უფრო მკაფიოდ თუ რატომ არ ძალუძს ნიშანს ან მშრალ ინფორმაციას შეცვალოს ცოცხალი ადამიანის ენა, წარმოთქმული სიტყვის, ხმის მოდულაციათა და მოლაპარაკის ინტონაციის მიღმა ადამიანის საქციელის მოტივები ან მისი ნამდვილი განზრახვები იმალება. არ შეიძლება მათი დაყვანა მხოლოდ სემანტიკაზე ან სტილისტიკაზე. ლიტერატურის ენამ ცოცხალი ადამიანის სიტყვა ისე უნდა მიიტანოს მკითხველამდე, რომ ეს სიტყვა გაგონილი იქნას. მაგრამ ენის ფუნქცია მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ იგი აზროვნების იარაღს წარმოადგენს, ადამიანს ენა არა მარტო საკუთარი აზრის გამოსახატავად სჭირდება, არამედ იმისთვისაც, რომ საკუთარ თავს მიუგდოს ყური, საკუთარი არსებობა ცნოს.

დეკარტის ცნობილი აფორიზმი მწერლისათვის რომ მიგვესადაგებინა, ასე გაიქვრება: „გადმოვცემ, მაშასადამე ვარსებობ“. მწერლური „მე“ შეიძლება ავტორის ხმა იყოს, ვაიგივებული იყოს მთხრობელთან ანდა მისი წიგნის პერსონაჟად იქცეს და მაშინ ეს იქნება „ის“ ან „შენ“, ესე იგი მთხრობელი სამ იპოსტასად წარმოდგება. საგანთა და მოვლენათა დასახელება საწყისი წერტილია ავტორისეული მსოფლალქმის გასაგებად, აქიდანვე იღებს სათავეს თხრობის სხვადასხვა ხერხები. თხრობის ინდივიდუალური ფორმატისა და ხერხების ძიების პროცესში მწერალი სინამდვილისადმი საკუთარი დამოკიდებულების რეალიზებას ახდენს.

ჩემს რომანებში გმირების ჩვეულებრივ სახელებს ხშირად ვცვლი ნაცვალსახელებით. სხვადასხვა ნაცვალსახელებით — „მე“, „შენ“, „ის“ — მე ერთსა და იმა-



ვე გმირს ვგულისხმობ და ამით მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას მასზე.

სამი განსხვავებული თვალსაზრისიდან ბერსონაჟზე მიმართული მწერა გვეხმარება ერთგვარი დისტანციის გრძნობა შევქმნათ. მაგალითად, თეატრში ამგვარი ხერხი მსახიობს როლის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის მეტ შესაძლებლობას ანიჭებს. ამიტომ გმირის დასახელების სხვადასხვა საშუალებათა მონაცვლეობას ჩემს პიესებშიც მივმართავ.

პროზაული თუ დრამატული ენების შესაძლებლობათა ამოწურვა შეუძლებელია, ამიტომ აბსურდულად მიმაჩნია, როცა აცხადებენ, ლიტერატურის ან ხელოვნების ესა თუ ის სახეობა მოკვდაოა.

ენას, რომელიც კაცობრიობის ცივილიზაციასთან ერთად იშვა, ერთი გასაოცარი თვისება აქვს, ისევე როგორც საკუთარივე ცხოვრებას: მისი (ენის) გამომსახველობითი ძალა მართლაც რომ დაუშრეტელია. მწერლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გახსნას და აჩვენოს ენაში ჩადებული პოტენციური შესაძლებლობანი. მწერალი სამყაროს ჭეშმარიტი შემოქმედი (Творец Сущий) არ გახლავთ, რომელსაც ძალუძს გააქროს ეს სამყარო, თუნდაც იგი საკმაოდ დაბერებული იყოს. ავტორს არ შეუძლია შექმნას ახალი, იდეალური სამყარო, თუნდაც იმდენად აბსურდული, რომ ჩვეულებრივი გონებისათვის მიუწვდომელი იყოს. მაგრამ მწერალს ძალუძს ის, რომ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში თქვას რაღაც ახალი იმ თემაზე, რომელსაც მისი წინამორბედები ოდესღაც შეეხნენ ან თავიდან დაიწყოს ლაპარაკი — იმ ადგილიდან, სადაც ისინი გაჩერდნენ.

მოწოდებანი ლიტერატურის დამხობი-  
აკენ — კულტურული რევოლუციის დრო-  
ნდელი მჭეპარე ლოზუნგებია. ლიტერა-  
ტურა არ მომკვდარა, რადგან თვით მწერ-

ლის მოდრეკა, მისი დაძლევაა შეუძლებელი. ყოველ ავტორს თავისი ადგილი აქვს წიგნის თაროზე, ამიტომ იგი იცოცხლებს მანამ, სანამ მკითხველი ეყოლება. ავტორისათვის უდიდესი უნებება, თუკი კაცობრიობის უძლიერეს ლიტერატურულ საგანძურში დატოვებს წიგნს, რომელსაც ხვალაც წაიკითხავენ.

მაგრამ ლიტერატურა, ეხება ლაპარაკი მწერალსა და მის შემოქმედებას თუ მკითხველსა და მის აღქმას, ინტერესს იწვევს და რეალიზდება სწორედ აწმყო დროში, ახლა, ე. ი. მოცემულ მომენტში. იმის თქმა, რომ ნაწარმოებები თავიდანვე მომავლისთვის იქმნება — ოსტატური გამონაკონია, ეს არის საკუთარი თავის დასხვევის მოტყუება. ლიტერატურა ცოცხალი ადამიანებისათვის იქმნება, ის კონკრეტული პიროვნების თვითდამკვიდრების ფორმაა კონკრეტულ დროში. სწორედ მოცემულ მომენტში, რომელიც თავის თავში მარადიულობას შეიცავს, იფარება თვით პიროვნების არსებობის ფაქტის აღიარება. სწორედ ამაშია ურყევი დასაბუთება, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ლიტერატურა ლიტერატურად მივიჩნიოთ, თუკი, საერთოდ, ამ უზარმაზარი მოვლენისათვის რაიმე დასაბუთების მოძებნაა საჭირო.

თუკი შემოქმედება საარსებო საშუალებათა მოპოვების პრობლემაზე არ დაიყვანება, არამედ წარმოადგენს სიამოვნების წყაროს, როცა ავტორს ავიწყდება, რისთვის და ვისთვის წერს — ამგვარი შემოქმედება აბსოლუტურ მოთხოვნილებად იქცევა: ავტორი წერს მხოლოდ იმ-  
იტომ, რომ არ შეუძლია არ წეროს. ამ შემთხვევაში ლიტერატურა თავისთავად იბადება. ის არაა დამოკიდებული მოვებისა და სარგებლობის ნახვის მოსაზრებებზე და ამაშია ლიტერატურის არსი. შრომის გა-



ნაწილებისას ლიტერატურული შემოქმედება იქცევა პროფესიად, ეს კი მაინცდამაინც ხელს არ უწყობს მის განვითარებას. თუკი მწერლებზე ვილაპარაკებთ, ამან მათთვის შეიძლება მეტად მწარე ნაყოფი გამოიღოს.

განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა ჩვენს დროში დაისვა, ესე იგი იმ ეპოქაში, როცა საბაზრო ეკონომიკამ ყველა სფეროში შეაღწია, წიგნი კი საქონლად იქცა. უნაპირო ბრმა ბაზრის პირობებში გაძლება უჭირს არა მხოლოდ მარტომყოფ მწერალს, არამედ მთელ ასოციაციებსა და მოძრაობებსაც იმ ლიტერატურული დაჯგუფებების მსგავსად, რომლებიც წარსულშიც არსებობდნენ. თუკი მწერალს არ უნდა ბაზრის ზეწოლას დაემორჩილოს და კულტურის იმ პროდქტთა წარმოება-მდე დაეშვას, რომელნიც თანამედროვე მოდის გემოვნებას აკმაყოფილებენ, იგი იძულებული ხდება არსებობის სხვა საშუალებები ეძიოს. არ შეიძლება ლიტერატურის დაყვანა ბესტსელერებსა და პოპულარულ წიგნთა სიაში მოხვედრილ ნაწარმოებზე. ცნობილია, რომ ტელევიზიის აღტაცებული ყურადღების ობიექტს წარმოადგენს არა მწერალი, არამედ უპირველეს ყოვლისა რეკლამა. მაგრამ შემოქმედების თავისუფლება არ შეიძინება ვისიმე წყალობით, მისი ყიდვა არ შეიძლება, იგი ყოველი ავტორის შინაგანი მოთხოვნებიდან იშვება.

გულში ბუდას გახსენებას სულის თავისუფლებაზე ლაპარაკი ჯობია. მხოლოდ ისაა საკითხავი, როგორ ისარგებლებ თავისუფლებით. თუკი იგი სხვა რამეზე გაცვალებ, ჩიტივით გაგიფრინდება, ასეთია თავისუფლება.

მწერალი თავის ჩანაფიქრს ახორციელებს არა იმისთვის, რომ ჯილდო მიიღოს და არა მხოლოდ თვითდამკვიდრებისთვის, არამედ საზოგადოების გამოწვევისათვისაც. ეს გამოწვევა გამომუშავებული პოზა კი არაა. მწერალმა თავი გმირად ან

მებრძოლ-მეომრად არ უნდა წარმოიდგინოს. სიტყვამ მოიტანა და გმირი ან მებრძოლი რაღაც დიდი საქმის ან გმირობის, როგორც ასეთის, ჩასადენად იღწვიან. ეს არ ესება ლიტერატურულ ნაწარმოებს. მწერლის მიერ საზოგადოების გამოწვევა — ეს არის სიტყვა, რომელსაც ნაწარმოების პერსონაჟებს ათქმევინებს ან იყენებს ამა-თუ იმ სიტუაციათა აღსაწერად. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოწვევა ლიტერატურას მხოლოდ ზიანს მოუტანს. ლიტერატურა არაა გააფთრების ძახილი, მან ადამიანის პროტესტი მწუხარე ჩივილად არ უნდა აქციოს. მწერლის პირადი გრძნობები ლიტერატურად მაშინ იქცევა, როცა ისინი მის ნაწარმოებში განზავდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ნაწარმოების პერსონაჟებს ათქმევინოს ან გაუძლოს, ესე იგი მარადიულად იცოცხლოს.

უფრო სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ საზოგადოებას გამოწვევას მწერალი კი არ მიუგდებს, არამედ მისი ნაწარმოები. მწერლის ქმნილება, რომელსაც ძალუძს დროის გამოცდას გაუძლოს, მისი უძძლავრესი პასუხია თანამედროვე ეპოქისა და საზოგადოებისადმი. სხვა უცხო ხმები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ის ხმები, რომლებიც ნაწარმოებიდან მოდის. სწორედ მათშია ის სიტყვები, მკითხველს რომ სჭირდება.

სინამდვილეში ასეთ გამოწვევას საზოგადოების შეცვლა არ შეუძლია, ეს ხომ ადამიანის ნაკლებშესამჩნევი ქესტია, იმ ადამიანისა, სოციალური ყოფის ჩარჩოთა გარდაუვალი სივიწროვის დაძლევას რომ ცდილობს. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს ასეთი პოზიცია, იგი სიამაყეს გამოხატავს საკუთარი პიროვნულობის შეგრძნების გამო. თუკი ადამიანთა მოდგმა თავისი ისტორიის მანძილზე ნაკლებადგასაგებ კანონზომიერებათ მიენდობა და ბრმად გაპყვება დინებას, თუკი სხვა ხმა-



საც არ მიუგდებს უურს — ცალკეულ ადამიანთა ხმებს, — ის გარდაუვლად ჩაეფლობა ტანჯვათა მორევში. ისტორიის გაგების ასეთი პოზიციიდან თუ ამოვალთ, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ლიტერატურა ისტორიის პირდაპირ დანამატს წარმოადგენს. მაგრამ მაშინაც კი, როცა ისტორიის დიდი კანონზომიერებანი შეუკავებლად ეხვევა თავს ადამიანებს, თითოეულმა ადამიანმა საკუთარი ხმა უნდა შეინარჩუნოს. კაცობრიობას თავისი ისტორია აქვს, მაგრამ მას ლიტერატურაც სჭირდება — გამოგონილი გმირები ხომ თავიანთ თავში მართალია მცირე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს შეიცავენ ჩვენი ცოდნისა ჩვენსავე თავზე.

პატივცემულო აკადემიის წევრებო, მაგლობას გიხდით იმისათვის, რომ თქვენ ნობელის პრემია მიანიჭეთ თავისუფალ და

უდრეკ ლიტერატურას, იმ ლიტერატურას, რომელიც არ გაურბის ადამიანთა ტანჯვას, არ უფრთხის პოლიტიკურ/ჩაგვრას და არ პირმოთნეობს პოლიტიკურების წინაშე. მაგლობელი ვარ იმისათვის, რომ თქვენ ამ ყველაზე პრესტიჟულ პრემიას ანიჭებთ ნაწარმოებებს, რომელნიც შორს დგანან საბაზრო აჟიოტაჟისაგან, იქნებ არ იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას, მაგრამ ღირსი არიან იმისა, რომ ადამიანებმა წაიკითხონ. ასევე მაგლობას ვუცხადებ შვეციის სამეფო აკადემიას, რომელმაც შესაძლებლობა მომცა ავსუღიყავი ამ ტრიბუნაზე, რომელიც ამ წუთში მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია; მაგლობას ვუცხადებ იმისათვის, რომ ჩემი მოკრძალებული და სუსტი ხმა, ჩვეულებრივ შეუმჩნეველი ან ძნელად გასარჩევი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, გაგონილი იქნება მთელ მსოფლიოში.





ღირებულებათა გადაფასება მიხეილ ჯავახიშვილთან ანუ  
კვაჭი ჩვენი თანამედროვეა

(კვაჭი კვაჭანტირაძე და თომას მანის „ყალბაზანდ  
ფელიქს კრულის აღსაკრებანი“)

ღირებულებათა გადაფასება ფრიდრიხ ნიცშემ იწინასწარმეტყველა და ოთხი წინის დაწერაც განიზრახა მასზე, მაგრამ მხოლოდ ერთზე შეჩერდა. ესაა „ანტიქრისტე“. მე-20 საუკუნე ამ წინასწარმეტყველებით დაიდალა. მაგრამ ამ მოვლენის, „ღირებულებათა გადაფასების“ ფსიქოლოგიური პრეცედენტი გერმანულ ლიტერატურაში უკვე არსებობდა და იგი გაფრთხილებას შეიცავდა „გონებით ნათავსედარის“ შედეგებზე. მაგალითად, გოეთეს „ფაუსტში“ მეფისტოფელი, რომელმაც კარგად იცის ეს „საქმე“, ეუბნება ვაგნერს: იმ ლოგიკით, მხოლოდ გონებისგან რომ მოდის, — შენ რომ საჭმელს მოამზადებ (გააკეთებ!) — ბავშვებსა და მამუნებს თუ მოატყუებო. გონებისმიერია გერმანულ ენაში ერთი სიტყვაც — ლათინური წარმოშობის „Spekulieren“, რომელიც თავისი პრო-გაგებით აზროვნებას ნიშნავს, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს „დაქვეითდა“ და, როგორც სწერენ, ბირჟაზე გადაინაცვლა, ანუ გარიგების, ადემიციუმობის, სწორედაც სპეკულაციის ფუნქცია შეიძინა, ყველა დიდ ღირებულებათა გადაფასების, დეველვაციის ფონს მოერგო, რასაც კვაჭის ენაზე „გაიმასქნება“ ეწოდება, კვაჭიზე სწერენ „კაცუნა იყო და ვმირის როლი ითამაშაო“, „ფარსის პერსონაჟი ტრაგიკულ სახეს იღებდა“-ო. და, ბოლოს, „ეს დროის ნიშანი იყო და

მისი ხელით დაღდასმულიო“. ხოლო ამ გამონათქვამებში უკვე კვაჭიც ჩანს და წარმოების ადგილიც მსოფლიო ლიტერატურის მდინარებაში, ანუ ის, რომ კვაჭიმ ყველა დიდი ღირებულება ხელყო და თავის დონეზე „დაქვეითებული“, ღირსებააყრილი და გაუფასურებული მიუგდო ადამიანებს. ვმირობაზე, მეგობრობაზე, მიჯნურობაზე, სახელმწიფო მოღვაწეობაზე, — მსოფლიო პიროვნებაზე ორიენტირებული და ყველგან „ფსევდო“. „რას ვინტროვ თავს, ვინ დამიფასებს“ — ამბობს, თითქოს მსოფლიოს გზებზე მოთარეშეს, სულ კაცობრიობისთვის სჭირდებოდეს თავისი მასშტაბური აფფორები. ის, რომ „კვაჭი ფარსის პერსონაჟი იყო და ტრაგიკულ სახეს იღებდა, ეს კი დროის ნიშანი იყო“, — აქ იგი ყველაზე მეტად ენათესავება პ. კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს და თომას მანის ფელიქს კრულს, ისაა, ყვარყვარე, ჯერ რომ რევოლუციონერებს ეხვეწება: თავი დამანებეთ, არ ვარ მე ის კაცი, თქვენ რომ გგონივართო, მერე რევოლუციონერობას შეიფერებს, უფრო გვიან — ეპოქის იმ კრედოს ამიშვლებს, „დროის ნიშანი [რომ] იყო“ და ბოლშევიზმის გაბატონებას უკავშირდებოდა, ანუ მეწისქვილის რევოლუციონერ ქალიშვილს ეუბნება: „ამათ ბოლშევიკური პროგრამა მომთხოვეს, მაგრამ ვერ დავუფქვი და დღეს პანლური მო-



მაყოლეს. ახლა ცოტა ბოლშევიკური ლაპარაკი მასწავლე ჩემო მოპოვებულოო“.

ე. თ. ა. პოფმანს, გერმანელი რომანტიკოსს „კრაისლერიანაში“ ჰყავს ერთი გმირი, მილო, წარმომობით მაიმუნი (დარვინის თეორია არ იგულისხმება, ისაა წარმომობით მაიმუნი), რომელმაც როდერლანთა კეთილშობილ ოჯახში ისწავლა ლაპარაკი, წერა-კითხვა, მუსიკა და ყველა ნატიფი ხელოვნება. სწორედაც ისწავლა და ვერ კი დაიუფლა, ანუ კი არ შეერწყო და შეეთვისა მას, არამედ იმას მიბაძა, ვისთვისაც თავისი შინაგანი განათლებულობით, სწორედაც განათლებულობით და არა იმდენად განსწავლულობით, ბუნებრივია ხელოვნების სული. გარეგნულად მის მაიმუნობას (წარმომობითს!) ველარავინ ამჩნევს, არადა ახლაც მაიმუნია, იმიტომ რომ იმიტაციის, მიბაძვის სპეკულანტურ უნარში გაიწაფე ანუ, კვაჭივით თუ ვიტყვით, ეს საქმე „გააიმასქნა“ და ყველა ჭეშმარიტი ღირებულების გაუფასურებაც აქედან დაიწყო მის ხელში: ყველა რეგალია ვირის კრიალოსანივით „აისხა“; გარეგნულად, თორემ როგორც კი ხმას ამოიღებს, არამის ნაირისთვის მაშინვე ჩანს, რისი რა „შემტყობიცაა“, რადგან: ხელოვნების ნიმუშს (და, საერთოდ, ხელოვნებას) ერთი ჭირვეულობაც სჭირს, (სხვა მრავალ ჭირვეულობათა შორის) „მსგავსი სულით უნდა განიჭვრიტოს“. გავიხსენოთ კვაჭისა და მისი მეგობრების „კომენტარები“ ლუვრში ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ დათვალიერებისას: „აია ჯოკონდა, აი იყო, შარშან რომ მეიპარეს?.. იმე, თლია სულელი ყოფილა მაის ქურდი! რა ღირს აი სურათი? უფასოა, არ გაჰყიდია... ხოლო მცოდნენი მილიონს აფასებენ... გიდი პასუხობს. ახლა კვაჭი: ვინ ტუტუცი მისცემს ვინცხა კაროუნას სურათში თუნდაც ას მანეთს? ... ნიძლავს დავდებ, რომე 100 მანეთად დღესვე ამაზე ლამაზს ხუთ ცოცხალ ქალს ვიშოვი, მაგ ვარტიკაში რავა მივცემ მეტს“ — და ა. შ.).

„კვაჭი კვაჭანტირაძის“ 1925 წლის გამოცემის თავფურცელზე ავტორს მიუწერია სიტყვები: „ვბედავ და ამ წიგნს წრფელი გულით ვუძღვნი მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაჭსა და კვაჭიჭეჭებს უკრძმელნიც ჩვენს კურთხეულ სამშობლოში“. ველთვის უხვად მოიპოვებოდნენ“.

ესლა, როგორ დევაღვირდება კვაჭის ცნობიერებაში სხვა მრავალ დად ღირებულებათა შორის ორი უმთავრესი: 1. ძველი და ახალი აღთქმის ათი მცნება — ყველა დროის მორალური კოდექსის ფუძე და პირველი — სახე. და 2. პატრიოტიზმი ანუ რა შვიდი პუნქტისაგან შემდგარი კოდექსით დადის მსოფლიოს დიდ გზებზე კვაჭი: 1. მხოლოდ მაშინ მიალწევ დიდებას, როცა შენს სუბიექტს გაანთავისუფლებ სინდისისაგან. 2. ყოველი ადამიანი ფიზიკურად უნდა გაანადგურო, თუკი ოდნავ ხელს გიმლის საკუთარი ტრიუმფის მოწყობაში. 3. იმრუშე და დატკბი სიამოვნებით, რადგან ეს უკანასკნელი შინაარსს აძლევს უშინაარსო ცხოვრებას. 4. ნურავის ნურასოდეს ნუ ეტყვი უარს თხოვნაზე, მაგრამ დაპირებული მაშინ შეუსრულე, თუკი იგი იმ დღესვე ან ხვალ შენთვის სასარგებლო იქნება. 5. გიყვარდეს ძლიერი, გეზიზღებოდეს უძლური. 6. ჭეშმარიტების ძიება სისულელეა, ის ჯერ არც ერთ ადამიანს არ უპოვია ამ ქვეყანაზე. 7. ადამიანი ადამიანისათვის მგელია, არა სიყვარული, არამედ სიძულვილია სტიმული წინსვლისა. ახლა პატრიოტიზმი: სამშობლო მისთვის ერთი მცირე ნაგლეჯია მიწისა, რომელთანაც სიძულვილი აკავშირებს. ეს კვაჭია, დედით მეგრელი, მამით გურული. აღზრდა-განათლებით იმერელი, — პირველ აპრილს დაბადებული აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის გზებზე მონაფარდე ავანტურისტის ზიზღით რომ იხსენებს: „ახლა მიგხვდის საქათმეში დავბადებულვარ (სამტრედია! (ლ. თ.) და საღორეში გავზრდილვარო (ქუთაისში „ჩამოყალიბდა“ კაცად! — ლ. თ.) თუნდაც საქართველო ავიღოთ. სამეგრელო



თავისთვის ცხოვრობს, კახეთი თავისთვის, გურია აქეთ მიიწევს, ქართლი იქით. ქვეყანაზე 100 კაცმა ძლივს იცის საქართველოს სახელი... ან რა არის დიდი საქართველო? ბათუმში რომ თავი მისდო დასაძინებლად, ფეხები უნდა ქიზიყს მიაბჯინო, ზოხუმში რომ ცხვირი დააცემინო, სიღნაღიდან გეძახიან ხეირიო და ა. შ.

მთავარი, რაც კვაჭის, როგორც ესთეტიკურ ფენომენის სახეშია მოცემული, არის თამაში. გავიხსენოთ: იგი სულ თამაშობს ანუ არის იმიტატორი; თამაშობს გულწრფელ მეგობარს (და ჭიპი ჭიპურტანიძეს რა უყო), ზოგჯერ თავგანწირულ მიჯნურს (ზოგჯერ! უმეტესწილად ზიზღი და დაღლა რაა თავის გაქირავებულ და „საქმეში გაშვებულ“ ქალებთან); ზოგჯერ თამაშობს წარმატებულ ულაცს (სოფიო შავიძესთან დაკავშირებული აფიორა), თამაშობს ერთგულ სახელმწიფო მოღვაწეს, გენიალურ ფინანსისტს, ღირსეულ რაინდს თავისი ქვეყნისა და ფსევდოწარმოშობის კვალზედ (ისე პეპისა და სილიბისტროს შვილია, ერთი ბინძური დუქანი რომ ძლივს გახსნეს გზის პირას სამტრედიაში!); ხდება ისე, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს მექანიზმიც კი) მასზე დამოკიდებული (გავიხსენოთ რასპუტინთან დაკავშირებული გრანდიოზული აფიორა!) და არის ყველგან „ფსევდო“. აქ ჩნდება თომას მანის ყალთაბანდთან მისი ტიპოლოგიური შედარების ასპექტი, თუმცა განსხვავებაც არსებითია მათ შორის, ანუ: თომას მანთან ფელიქს-კრულის სახიობას, „თამაშს“, „ხელოვნებას“ თავისი მსოფლმხედველობრივი საფუძველი გააჩნია, ხოლო ჯავახიშვილთან სხვა ვითარებაა: ის, რომ თომას მანი, როგორც გერმანელი, უფრო ფილოსოფიური წიაღსვლების მწერალია, მასში უხვადაა ე. წ. „ესსეისტური განმარტებები“ (თეიონააც ამბობს: მე საშინლად გერმანელი მწერალი ვარო) და „იმ“ გაგებით ეს მას ფრიდრიჰ კრისტობ შილერის მსგავსად, ღირსებად არ მიაჩნია!); ჯავახიშვილთან, ისევე, როგორც

ქართულ პოეზიაში, სატოკანება სჯობნის ფილოსოფიას ანუ ეს „სინოზნეც“ და მისი სიყვარულიც ნაწარმოების რომელიღაც შრეებშია ღრმად შეჭრულნი. ეს მხოლოდ ღირსება კიბაქაშვილის პოეზიისა, არამედ — უპირატესობაც. მაგრამ ორივენი — მიხეილ ჯავახიშვილიც და თომას მანიც ერთი და იმავე ეპოქის დიდი წარმომადგენლები, ევროპული რანგის გამოჩენულად მასშტაბური მწერლები არიან და მონათესავე პოლიტიკურ კლიმატზეც მიგვანიშნებენ: დიდი ეპოქების დასასრულის მიჯნაზე ტრაგედია ფარსით იცვლება და კლასიკური ეპოქის გმირის სულიერი ღირებულებების დევალვაციის ფონზე ანტიგმირი ჩნდება: ეს მიმართება არსებობს კვაჭსა და გერმანელ ყალთაბანდს შორის. თუმცა ჯავახიშვილისგან განსხვავებით თომას მანის რომანში ეს დევალვაცია ხელოვანის თემის დეზინტეგრაციაში ჩანს. „ფელიქს კრული“ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი ავტობიოგრაფიებისა და მემუარების თავისებური პაროდიაა (ნეტარი ავგუსტინესა და ჟან ჟაკ რუსოს „აღსარებისა“, გოეთეს „პოეზიისა და სიმართლისა“ და ა. შ.). ეს რომანი, ისევე როგორც „კვაჭი კვაჭანტირაძე“, შარლატანებისა და ავანტიურისტების მოგონებათა ასოციაციას იწვევს (ჯაკომო კაზანოვას, რუმინელი ქურდის — მანოლესკუს და სხვათა მემუარებისას). რომანის დაწერის იმპულსიც მანოლესკუს მემუარებმა მისცეს თომას მანს (ნ. კაკაბაძე), ფელიქს კრულს კალიოსტროს სახითაც პყავს თანამოძმე: საქართველოში მისი ლიტერატურული პარალელია მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, ისტორიული — ამორდია. შემთხვევით არც ის მომხდარა, რომ გერმანელ ლექსიკოგრაფს — რიჰარდ მეკელაინს თავის გერმანულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვა „Hochstapler“ (ყალთაბანდი), რასაც თომას მანი წიგნის სათაურშივე უწოდებს ფელიქს კრულს, ქართულად „უთარგმნია“ — კვაჭი გარეგნულად თო-



მას მანის რომანი ე. წ. პიკარესკული რომანის სახეობაა და უკავშირდება როგორც დასავლეთ ევროპულ ისე საკუთრივ გერმანულ პიკარესკულ რომანს, მაგალათად, გრიგელსპაუზენის „ზიმპლიციუსის ზიმპლიციუსიუსს“, აიჰენდორფის ნაცარქეჩიას, როიტერის „შელმუფსკის“, ხალხურ ჩილენშპიველის და ა. შ.

მაგრამ ეს — გარეგნულად! არსებითი კი ის არის, რომ ამ დაუმთავრებელ რომანში მწერალმა ცენტრალურ პერსონაჟად აქცია ე. წ. „ხელოვანის“ (ანუ ზოგადად, „სულის ადამიანის“) ტიპი, რომელშიც ბიურგერის (საქმის კაცის) „ცისფერთვალეზასა“ და „ქერას“ თვისებები კონცენტრირებულად არის თავმოყრილი (ქერა და ცისფერთვალეზა თომასთან ბიურგერია, საქმის, ცხოვრების კაცია და იგი უპირისპირდება ხელოვანს ანუ სულის ადამიანს, რომელსაც შავი ან მუქი სევდიანი თვალეზა აქვს. „სულისა“ და „საქმის“ (Geist und Tat) ანტითეზა კი თომას მანის შემოქმედების მთავარი თემაა და აი, ფელიქს კრული, მოქმედი, ცხოვრებისა და სინამდვილის კაცი, კვაჭივით პრაქტიკოსი, სიცოცხლითა და ყველა ამქვეყნიური სიამოვნებით მტკბობელი, ობიექტურ ვითარებაზე ისევ და ისევ კვაჭივით ორიენტირებული პიროვნება, მასავით ღიზლი და უზნეოა (რადგან „ნაივურმა“ ადამიანმა არ იცის დანაშაულის შეცნობა, ის ბოროტისა და კეთილის მიღმა დგას, მას სინდისი არა აქვს და ა. შ. ასე სწერენ!), იგი წარმატებულია.

„ხელოვანსა“ და „ბიურგერს“ ანუ „სულისა“ და „საქმის“ კაცს შორის ბრძოლა, რომელიც თომას მანის შემოქმედების ცენტრალური პრობლემაა, „ფელიქსში“ მთავრდება ბიურგერის, საქმის კაცის გამარჯვებით. მაგრამ კვაჭივით ფელიქს კრულმა ხელოვანის ზოგიერთი თვისებაც შემოინახა. მართალია, ე. წ. „სულისა“ და „საქმის“ ანტითეზა მ. ჯავახიშვილთან ისე

ცენტრალური არ არის, როგორც თ. მანთან, მაგრამ, ალბათ, ყველას გვაკონდება მისი შედეგის „ჯაყოს ხიზნების“ ორი პოლარული გმირი — ხევისთავი და ჯაყო და ამგვარად, ამ ასპექტში მანის შემოქმედების პერსპექტივაც ჩნდება. ფელიქს კრულში ხელოვანისეულია ის, რომ მას კვაჭივით ყოველთვის სხვისი ცხოვრებით უხდება ცხოვრება. იგი მუდამ სხვა ადამიანების სამყაროშია გადასული. ის ხან ეპილეპტიკოსია, ხან სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ზოგჯერ — ლიფტიორი, ზოგჯერ კელნერი, ბოლოს — მარკოზი ვენოსტა. საექიმო კომისიის წინაშე ზუსტად ახდენს ბნედიანის შოკის იმიტაციას, ხატავს ისე, რომ არასოდეს ხატვა არ უცდია, თამაშობს ტენისს ისე, რომ აქამდე არ უთამაშნია (სტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ძველად, ბავშვობაში ნათამაშები გადავიწყნია). იგი მუდამ სტოვებს საკუთარ თავს და სხვებში ესახლება ისევე, როგორც კვაჭი, რომელიც ხან ნაპოლეონ აპოლონის ძეა, ხან ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი და ხან სხვა, ანუ კვაჭსაც და კრულსაც აქვთ გასაოცარი უნარი საკუთარი თავიდან განსვლისა და სხვათა ცხოვრებაში ჩასახლებისა. გარდასახვასა და სხვის ცხოვრებაში შინაგანი წვდომის ამ ნიჭით ჯავახიშვილის კვაჭიც და თომას მანის ფელიქს კრულიც ხელოვანს (მწერალს, მსახიობს, მხატვარს და ა. შ.) მოგვაგონებს. მაგრამ ორივე გმირს ყველაფერი პრაქტიკული მიზნებისთვის ჭირდება, რითაც ისინი „საქმის კაცებად“ რჩებიან, ხოლო ამათ „საქმეში“ ელინდება, როგორც ვნახეთ, პროცესი დიდ ღირებულებათა გადაფასების, კლასიკური სულიერების დევალვაციისა და რღვევისა, რაც საუკუნის კატასტროფად აღიქმება იმავე სულიერების პოზიციებიდან.

და, ამგვარად, კვაჭი ჩვენი თანამედროვეა.







რამდენი რამ დარჩა გასაკეთებელი

ახალგაზრდებიდან ალბათ ცოტამ თუ იცის ფილიპე ბერიძის — ამ უცნაური პიროვნებისა და შემოქმედის — ვინაობა. ხოლო, ვინც მას იცნობდა ან მისი ნათარგმნი წაუკითხავს, უთუოდ გულწრფელად მიაგებს პატივს უდროოდ წასულ კაცს მისი დაბადების 70-ე წლისთავზე.

ფილიპე ბერიძე განათლებით ჟურნალისტი გახლდათ, პროფესიით — ლიტერატორი (მთარგმნელი და კრიტიკოსი), სულიერი მოთხოვნილებით — სიკეთის მქნელი.

იგი 1970 წელს ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში და, ღირსებისამებრ დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ფილიპე ბერიძემ სულ 38 წელიწადს იცოცხლა, მაგრამ თავი დაამახსოვრა თანამედროვეთ თავისი უცნაურობებითა და ნაყოფიერი შემოქმედებით. ორივე შემთხვევაში იგი იყო მეტად ორიგინალური.

მუხრან მაჭავარიანმა ფილიპეს უწოდა უნიჭოთა თავსარი და ნიჭიერთა თაყვანი. ოტია პაჭკორიამ კი ასე მოიხსენია თავის „უბის წიგნაკში“: იგი უხეში, უტაქტო, ხშირად უზრდელიც იყო, მაგრამ სუფთა, ნაწვალეზი, მეოცნებე.

თარგმანის თვალსაზრისით მისი ნაოცნებარი მოიცავს ინტერესთა და ავტორთა ფართო წრეს. აი, რა გაანდო მან, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ჟურნალისტსა და გაზეთის რედაქტორს რემ დავიდოვს: „რუსებიდან მიყვარს ლერმონტოვი, მისი მემბოხე სულის გამო, პატივს

ვცემ ადრეულ ბლოკს, დასავლეთევროპელებიდან ვალმერთებ რობერტ ბერნსს, კიპლინგს, ედგარ პოს (?), შეუდარებელია ვერლენი... რემბო. ჩემი ოცნებაა ვთარგმნო მათი ლექსები ქართულად, შევკრა ერთ წიგნად და ვუძღვნა ქართველ ახალგაზრდობას“... (რ. დავიდოვი, „ნატყვევი გულზე“, გაზ. „კაბადონი — 8“, № 14, 1991).

ოცნება ნაწილობრივ შეისრულა: თარგმნა და გამოაქვეყნა რობერტ ბერნსის შვიდი, ხოლო ედგარ ალან პოს სამი ლექსი, აგრეთვე — ალექსანდრე ბლოკის პოემა „სამაგიერო“. ლერმონტოვის, კიპლინგის, ვერლენის, რემბოს ნაწარმოებთა თარგმნა კი ვერ მოასწრო. ყოველ შემთხვევაში, არ გამოუქვეყნებია და არც მის არქივში აღმოჩნდა მსგავსი რამ. მიუხედავად ამისა, ეჭვი არ არის, რომ დაცლოდა, იგი უთუოდ შეასრულებდა დანაპირებს.

დააკვირდით, ზემოთ მოყვანილ ციტატაში როგორ უცდომელ ეპითეტებსა და შეფასებებს იყენებს მთარგმნელი თითოეული საყვარელი მწერლის მიმართ. ცხადია, ფილიპეს, უპირველეს ყოვლისა, მათი პოეტური ნაწარმოებები ჰქონდა მხედველობაში. მ. ლერმონტოვი მისთვის მემბოხე სულის შემოქმედია; პატივსაცემია ადრეული ა. ბლოკი; გასალმერთებელია რ. ბერნსი, ჯ. რ. კიპლინგი, ე. პოს; შეუდარებელია პ. ვერლენი, ა. რემბო. ეს ზუსტად ჩამოკენჭილი ნიშნები დასტურია იმისა, რომ ფ. ბერიძე ახალგაზრდობაშივე



კარგად იცნობდა მათ და მოხიბლული იყო მათი პოეტური შემოქმედებით. გენიალურ პოეზიას ნაზიარები მთარგმნელი ალფრ-თოვანებული იყო არა მარტო ამ პოეტე-ბის ლირიკული შედევრებით, არამედ მათი ლიტერატურული მიდრეკილებებით, რომანტიზმითა და სიმბოლიზმით, ვერსიფიკატორული ნოვატორობით, არაორდინარული პიროვნულობით, ბოქემური ცხოვრების წესით, უხადო ნიჭიერებით... უნდოდა ქართული მკითხველი ღირსეულად გასცნობოდა მათ შემოქმედებას, მათი სულისკვეთებით აღეხარდა ახალგაზრდობა.

საფიქრებელია, ფ. ბერიძე არ დაკმაყოფილდებოდა პოეზიის თარგმანით და მისი რჩეული მწერლების პროზასაც ყურადღებით მოეკიდებოდა.

ვერ ამიხსნია, რატომ გაურია ფილიპემ ამერიკელი ედგარ პო დასავლეთეუროპელ, კერძოდ, ფრანგ და ინგლისელ მწერლებში? იმიტომ ხომ არა, რომ ედგარი ჩამომავლობით ირლანდიელი იყო? თუ ეს, უბრალოდ, წერილის ავტორის ლაფსუსია?

ფილიპეს დავუახლოვდი 1960 წლიდან, როცა ჩვენ ერთად ვმუშაობდით გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში. სწორედ აქ გავეცანი მის შემოქმედებას, ხასიათს, მისწრაფებებს, უცნაურობებს, რომელიც პირველ ხანებში უფრო უხეშობად მეჩვენებოდა.

მის პირველ უცნაურობად მახსენდება ის, რომ ფილიპე გამოსწევდა ხოლმე მისი საწერი მაგიდის შუა უჯრას, რაღაცას ჩასტყეროდა დიდხანს თვალმოუწყვეტლივ და როგორღაც უცნაურად ბურცავდა ტუჩებს. ამ დროს არაფისი არაფერი ესმოდა, თუნდაც ჩამოქცეულიყო რედაქციის ჭერი.

ფილიპე რომ თავისი მაგიდის გამოღებულ უჯრას ჩააჩერდებოდა, ოთახში ყველა ცდილობდა, მისთვის ხელი არ შეეშალა. თურმე ინგლისური ენის გაშლილი სახელმძღვანელო ედო უჯრაში და დამოუკიდებლად სწავლობდა ამ ურთულეს ენას. ისწავლა კიდევ, რაშიც გვარწმუნებს მის

მიერ სწორედ ინგლისურიდან თარგმნილი ნაწარმოებები: ედგარ პოს „კრიზისი“ (1962), „ელდორადო“ და „ულილიუმში“ (1977); კარლ სენდბერგის „სენდბერგის ლნი“ (1966, გ. ხარაიძესთან ერთად) და კრუის „სიგივესთან მებრძოლი კაცი“ (1969); რობერტ ბერნსის ლექსები.

ფილიპე ბერიძე კოლორიტული პიროვნება ვახლდათ. იგი აშკარად გამოირჩეოდა სხვებში. ტანად მაღალს ვერ იტყოდი, მაგრამ საშუალოზე მაღალი ნამდვილად იყო. გამხდარი, უდიპო და უდაბაბო; მოქნილი, ელასტიკური თხელი ტანი ჰქონდა. ქეიფი უყვარდა, მაგრამ მუცელს აქორებდა. თვალად და ტანად სიმპათიური იყო: ლამაზი მოხაზულობის თავი ედგა აღერილ კისერზე. მუბლი მაღალი ჰქონდა და ფართო; თხელ, მუქ წაბლისფერ თმას ხშირად იპარსავდა, განსაკუთრებით ზაფხულობით; უჭუდოდ დადიოდა, კაშნეს იხვევდა საყულოგახსნილ ყელზე; პალსტუხს არ იკარებდა; ვეება სხივოსან თვალებს (ხშირად სევდიანს) აბრიალებდა; ზომიერად ამოზურცული ტუჩები და გამოკვეთილი ნიკაბი დასამახსოვრებელ სახეს უქმნიდა; სიარული იცოდა რაღაც უცნაური, რამდენადმე გვერდული; მოძრაობისას მუხლებში ოდნავ მოხრილი იყო. ზამბარასავით იკუმშებოდა და იშლებოდა. ნაბიჯი მსუბუქი ჰქონდა, თითქოს ვილაცას ეპარება და მყარად არცა დვას მიწაზე. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ძლიერი იყო, ამტანიც, მკლავიც უჭრიდა. მანერები ხაზგასმული ჰქონდა, მკვეთრი იყო მოქმედებაში, დაუცხრომელი, უშეღავათო — კამათში. პოზიციას არასოდეს თმობდა, იბრძოდა თავკამოდებით და ხშირად აგდებულადაც კი მიმართავდა მოწინააღმდეგეს, შეურაცხყოფლადაც, მაგრამ ყოველთვის იგრძნობოდა, რომ იგი მართალი იყო და მოკამათებზე მეტი იცოდა. ერთი ჩვევაც ჰქონდა: ისეთნაირი იუმორით თუ სარკაზმით წარმართავდა საუბარს, რომ ზოგჯერ ვერც კი მიხვდე-



ბოდი, სუმრობდა თუ სერიოზულად გელაპარაკებოდა.

ილიაში მუდამ წიგნები პქონდა ხოლმე ამოხრილი. ჩანთას იშვიათად ატარებდა. ორად ან ოთხად გაკეცილ გაზეთს შილიფად შემოაკრავდა წიგნების მთელ დასტას და ასე დაპქონდა თავის ხელნაწერებთან ერთად. ამიტომ გაზეთის ნაწიბურები მუდამ აპრეხილი იყო.

ფილიპე არცთუ იშვიათად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („მნათობი“, „ცისკარი“, „საუნჯე“, „ლიტერატურული საქართველო“...), ჯერ გამოქვეყნდა მისი პოეტური თარგმანები რუსულიდან და ინგლისურიდან, შემდეგ — კრიტიკული წერილები და პროზაული თარგმანები. თანდათან კი მისმა ნაღვაწმა გადაინაცვლა წიგნებში.

პირველი წიგნი, რომელშიც დაიბეჭდა ფ. ბერიძის პოეტური ნათარგმნი, იყო კრებული „დეკაბრისტი პოეტები“ (თენგიზ ბუაჩიძის შესავალი წერილითა და შენიშვნებით). იგი 1958 წელს გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“.

კრებულში შევიდა ხუთი დეკაბრისტი პოეტის (კონდრატი რილეევის, ვილჰელმ კიუსელბეკერის, ალექსანდრე ოდოევსკის, ვლადიმერ რაევსკისა და თედორე გლინკას) 29 ლექსი თ. ბუაჩიძის, შ. ჩანტლაძის, გ. კლდიაშვილის, ფ. ბერიძის, გ. ქუჩიშვილის, დ. გაჩეჩილაძის მიერ შესრულებული თარგმანებით.

ფილიპეს ხვდა კონდრატი რილეევის პოემის „ვოინაროვსკის“ თარგმნი. მალე გაირკვა, რომ ეს თარგმანი სავსებით მოსაწონი გამოდგა როგორც დედნის მთავარი აზრის სრულყოფილად გადმოცემით, ასევე მთარგმნელობითი ოსტატობის თვალსაზრისითაც. ამას ისიც მოწმობს, რომ 1962 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა („ნაკადული“) ამ პოემის თარგმანი (წიგნი მომწოდდა პოეტმა ომარ დოხნაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ), ხოლო 1987 წელს მესამედ დაიბეჭდა ფ. ბერი-

ძის პოეტური თარგმანების კრებულში „სამაგიერო“ (გამომცემლობა „მერანი“).

თარგმანის შედარებამ დედნთან სავსებით დამარწმუნა ეჭვიანი ფილიპესეული „ვოინაროვსკის“ მიხედვით. თარგმანი საუკეთესო ნამუშევარია. განსაკუთრებით მაინტერესებდა როგორი ქართულით იყო იგი წარმოდგენილი. სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ პოემა უზადო ქართულითაა თარგმნილი, იკითხება წარბეჭად. პოეტური თხრობა სრულიად ბუნებრივად და ლაღად წარიმართება, ეს ჩანს პოემის პირველი სტრიქონებიდანვე:

„ვით მოგზაური, მარტო დევნილი, —  
სტეპებს რომ სერავს არაბეთისას,  
მეც ასე დავალ გულგასენილი,  
და ხმის გამცემიც აღარ მეღირსა.  
სულს მიხუთავდა სუსხი მზარავი,  
კაცთ მძულვარება ვადამელობა,  
ასე მეგონა, ჩემთვის მეგობრად  
არ არსებობდა ქვეყნად არავინ.  
გამომეცხადე, სულ არ გელოდი,  
და მოემატა თვალებს სინათლე,  
წავიდა, გაქრა რაიც მჯეროდა,  
კვლავინდებურად ციდან — შემოდან  
რწმუნის სხივებმა ისევ ინათეს“.

როგორც ვხედავთ, ეს ნაწყვეტი ამავე დროს შემკულია მშვენიერი რითმებით: დევნილი — გულგასენილი, არაბეთისას — აღარ მეღირსა, მზარავი — არავინ, ვადამელობა — ჩემთვის მეგობრად, სინათლე — ინათეს, მჯეროდა — შემოდან, რაც თარგმანს აკეთილხმოვნებს და მხატვრულ სილალეს ანიჭებს.

თარგმანში ყურადღებას იპყრობს არა ერთი პასაჟი. ერთი მათგანია ბუნების აღწერის პოეტური სურათი:

„გაუყვანენ ბილიკს. ბნელმა იათა,  
ტყეში სინათლე გაიშვიათდა.  
ბოლოს მოიცვა არე წყვდიადმა  
და გამოცურდა ზეცაზე მთვარე,  
ტყე ვერცხლისფერად გააჩირაღდნა —



კაენიანი და მგლოვიარე,  
და დაანახვა კარავი მგზავრებს“.

და კიდევ ორი სტროფი, რომელიც ჭე-  
შმარიტად დიდოსტატურად არის თარგ-  
მნილი:

„ხშირად ფეხმარდი ჩვენი ცხენებით  
ველური სტეპი გადავვივლია,  
სადაც აროდეს არა ცხოვრობენ  
და ქვიშა ქარით გადავვივლია“.

და ბოლოს:

„ვფიცავ, თუ ვნახე მტრისგან ნამუსრი  
ჩემი სამშობლოს არე-მიდამო,  
დედა ან შვილი თუ დავინანო,  
მაშინ შემირცხვეს ვაჟკაცს ნამუსი“.

რაც მთავარია, თარგმანში ნათლადაა  
გამოკვეთილი პატრიოტი ეოინაროვსკის  
ვაჟკაცური სულისკვეთება, შინაგანი მღე-  
ღვარება და ტრაგიკული თავგადასავალი.

პოემის მთავარი გმირის (ეოინაროვსკის)  
სევდიანი მონათხრობი ძალუმად იზიდავს  
მკითხველს როგორც დედანში, ასევე თა-  
რგმანში. და არც ის უნდა იყოს მოულოდ-  
ნელი, რომ პოემას პესიმისტური ფინალი  
გააჩნია. ეოინაროვსკის სიცოცხლეს ხომ  
ფასი აღარა აქვს ბრძოლაწაგებული სამ-  
შობლოსა და ერთგული კაზაკი ცოლის  
გარეშე. მისი სამშობლო ხომ გათელილია,  
მეუღლე კი გარდაცვლილი.

1962 წლის გამოცემაში მთარგმნელი  
ურთავს ბოლოსიტყვას, რომელშიც ვკი-  
თხულობთ: „დეკაბრისტებმა რუსული  
ლიტერატურა გაამდიდრეს სამოქალაქო  
მოტივებით, პუმანური, თავისუფლები-  
სათვის ბრძოლის იდეებით... თითოეული  
მათგანის შემოქმედებაში რეალურად, მხა-  
ტვრული დამაჯერებლობით აისახა მაშინ-  
ნდელი რუსეთის სოციალური და პოლი-  
ტიკური ყოფა... მათ შემოქმედებაში ღრმად  
გაიშალა ადამიანის მიერ მოქალაქეობ-  
რივი მოვალეობის შეგნების საკითხი. მათ

პოეზია, მხატვრული სიტყვა მჭიდროდ  
დაუკავშირეს ცხოვრებისეულ მოვლე-  
ნებს...“

რილევეის შემოქმედებაში აღსანიშ-  
ნავია ლირიკულ-ეპიკურის უწყობილო  
როვსკი“. ავტორმა ამ შემოქმედებში ისტორი-  
ული მოვლენების მხატვრული ანალიზის  
მეთოდით გაამყლაფა თავისი პოეზია.  
მძაფრი ფსიქოლოგიური დეტალებით გა-  
დმოსცა პერსონაჟების ცხოვრების ეპიზო-  
დები...“

რილევემა ზუსტი მხატვრული მტრისე-  
ბით გადმოსცა მოღალატე ჯგუფის სუ-  
ლიერი მღელვარება. ავტორს აქცენტი  
გადააქვს გაერთიანებული ძალებით ბრძო-  
ლის აუცილებლობაზე. უარყოფს პირადი  
ინტერესების განხორციელების ცდებს“.

ამ ბოლოსიტყვის უბრალო გადათვა-  
ლიერებაც საკმარისია — ვირწმუნოთ,  
რომ ფ. ბერიძე არა მარტო საუკეთესო  
მთარგმნელი იყო, არამედ მშვენიერად  
ერკვეოდა სათარგმნელ მასალასთან და  
მის ავტორებთან დაკავშირებულ ყოველ  
ნიუანსში — ისტორიულ მოვლენებში,  
ეპოქის სულისკვეთებაში. ეს კი მეტად  
ღირებული მომენტია პროფესიონალი  
მთარგმნელის შემოქმედებაში.

ფილიპე კარვა ხანს მუშაობდა ალექ-  
სანდრ ბლოკის პოემა „ვოზმეზდიეს“ თა-  
რგმანზე. მოგეხსენებათ, ვოზმეზდიე ქა-  
რთულად მრავალნაირად ითარგმნება  
(მისაგები, ნაცვალგება, სანაცვლო, შუ-  
რისგება), მაგრამ მთარგმნელმა მართ-  
ლაც საუკეთესო აირჩია და პოემას უწოდა  
„სამაგიერო“.

თარგმანი ცალკე წიგნად გამოსცა „სა-  
ბჭოთა საქართველომ“ იმავე 1962 წელს  
(„ეოინაროვსკიზე“ ცოტათი ადრე). საინ-  
ტერესოა, რომ ამ წიგნის მხატვარი იყო  
ცნობილი ვრაფიკოსი ლადო გრიგოლია.  
ბატონმა ლადომ წიგნი ვააფორმა სადად,  
მაგრამ მიმზიდველად და კობტად მოარგო  
თეთრი სუპერყდა შავი სასათაურო შრიფ-  
ტითა და ცისფერი ხაზით. შიდა ყდა კი



გააფორმა შავი და წითელი ფერების შეხამებით ცისფერ ფონზე.

პოეტი, მეცნიერი და პუბლიცისტი ემზარ კვიციანიშვილი გვამცნობს: „... მინდა აღვნიშნო, რომ ყველაზე მეტად (ფილიპე — გ. ბ.) გატაცებითა და შთაგონებით ორი პოეტის — ბერნისა და ბლოკის — თარგმანებზე მუშაობდა; ღრმად აქონდა გაცნობიერებული თითოეული მათგანის შინაგანი სამყარო, ტემპერამენტი, არსებითი თავისებურებანი.

დიდი სულიერი ენერჯია შეაღია ალექსანდრ ბლოკის უმნიშვნელოვანესი პოემის „სამაგიეროს“ თარგმნას. აქ თვალნათლივ იგრძნობა რევოლუციის პერიოდის მღელვარე, ნერვული რიტმი. გვესმის „ეპოქის ტრაგიკული ტენორის“ განუმეორებელი ხმა. (კრებული „სამაგიერო“, გვ. 5).

ბლოკის პოემის ბერიძისეული თარგმანი ინტერესით მიიღო როგორც საზოგადოებამ, ასევე ლიტერატურულმა კრიტიკამ. პოემა ითარგმნა ლაღად, მშფოთვარედ, ავტორისეული მგზნებარე პათოსით. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ადგილი პოემის პირველი თავიდან, რომელსაც ხშირად ზეპირად იმეორებდა მისი მთარგმნელი:

„ხანა მრისხანე, სასტიკი, მკაცრი,  
შენ მეცხრამეტე ხარ საუკუნე,  
ღამის წყვდიადში ჩააგდე კაცი,  
აწამებს ფიქრი და გზა უკუნე.

და ხარ დროება, მარად წყეული,  
გადაუფარავს სივრცე უკუნეთს,  
უსისხლო სულის, სუსტი სხეულის,  
უმწეო თხოვნის ხარ საუკუნე.

შემოგყვა ჟამი, ნისლი და მტვერი,  
სადღაც შორიდან შუქი მოგტირის,  
ხარ საუკუნე თავების მტვრევის,  
და ეკონომიური დოქტრინის“.

პოემაში მძაფრადაა წარმოდგენილი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული ქარტესილები რუსეთსა და

პოლონეთში, რომელსაც ვრცლად მოგვითხრობს თავად ავტორი ხატრეანი პოეტური მიგნებებით:



„სულ ორი-სამი რგოლი მტკრუნს  
ამ ანდერძს იტყვის ქვეყანა შეუღლი:  
მოდის ჯილაგი ახალ-ახალი,  
დაარბევს წყვდიადს, მოსპობს, ილამქრებს,  
აღმასად აქცევს უბრალო ნახშირს,  
იგი წამოდგა შრომის წიაღში,  
მედვრად წარდგება ქვეყნის წინაშე, —  
ამას მომაელის დღენი გვიამბობს,  
ფეთქავს ცხოვრება, გამოიდარებს,  
აღმასი ბრწყინავს შორეთიდანაც,  
ამსხვრიე ქვები, ჩემო იაბო“.

ავტორს აწუხებს „მაღლა მფრინაუი და დაბლა დაშვებული შთამომავლობა“. სულით ხორცამდე სძრავს XIX საუკუნის სენი, რომელიც მომავალსაც ეშუქრება:

„გმირობას ჯაბნის დღეს თავხედობა,  
ფსიქონით გვემა მთელი ძალების,  
გამეფდა ქვეყნად ფუჭი ყბედობა,  
აღალს მიათრევს რაზმი წვალებით.

... ..  
ამ საუკუნეს წყველიდნენ, დღესაც  
წყველიან ზიზღით, კვლავ დაწყველიან.  
ვით მოვიშოროთ ნადველი, კვენესა?  
ის რბილად აგებს, ძილი ძნელია“.

პოეტი თავის ვრცელ მონოლოგში თუმცა ბევრ რამეს უწუნებს მეოცე საუკუნის დასაწყისსაც, მაგრამ იმედი აქვს — „სულ სხვა ცხოვრების პანგი გესმოდეს, ვერ შეიცანი დღისით რომელიც“ და პესიმისტურად დაწყებულს ოპტიმისტურად ამთავრებს:

„დიდ არს ცხოვრება, ქვეყანა არ დუმს  
და ლამაზია, როგორც მარადის“.

ალექსანდრ ბლოკი პოეტური სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატია. თარგმანში ხშირად



ჭირს მისი სიტყვიერი მასალის იდენტუ-  
რის შექმნა, მაგრამ ფ. ბერიძეს არ უჭ-  
ირს სიტყვის მომხიბლავად თამაშის უზ-  
რუნველყოფა:

„შენ ალბათ მალე სარკმელის იქით  
იპოვი ნიშანს და არა გიშავს,  
მაგრამ არ იცი, რას ნიშნავს იგი  
და რა ფასი აქვს ამნაირ ნიშანს“.

ან:

„ამ ჭერქვეშ ყველა ამბობს თამამად —  
რა აწუხებს და საქმე რაშია,  
რად არ გაამხელს, როგორ დამალავს,  
აქ გაუგებენ გულის ხვაშიადს“.

ვფიქრობ, ასეთმა შესაშურმა თარგმანმა  
კიდევ უფრო მეტად შეაყვარა პოეტი ქა-  
რთველ მკითხველებს.

ალ. ბლოკის „სამაგიერო“ განმეორებით  
დაიბეჭდა 1987 წელს ფ. ბერიძის პოეტუ-  
რი თარგმანების კრებულში, რომელსაც  
ავრეთვე „სამაგიერო“ ჰქვია.

თარგმანთან დაკავშირებით მახსუნდება  
ერთი ასეთი შემთხვევა: ფილიპეს უყვარ-  
და სხვისთვის ხელის გამართვა. განსაკუთ-  
რებით სწყალობდა ხელმოკლეებსა და  
ხელმოცარულთ.

„სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში პი-  
რველი დღეებიდანვე დავუახლოვდით ერ-  
მანეთს მე და ის. კიდევ ვეწყობოდით და  
კიდევ ვერა. მაგრამ საოცარი იყო: რო-  
გორადაც უნდა გავწყრომოდით თუ შენიშვ-  
ნა მიმეცა მისი ამა თუ იმ საქციელის გა-  
მო, არასოდეს მიწვევდა, არც შემეკამათე-  
ბოდა. ერთი სიტყვით, მპატიობდა. ეს  
მაშინ, როცა ფილიპეს უბატონოდ ბუზსაც  
ვერავინ აუფრენდა.

მალე „შემიკედლა“. მატყობდა ხელმოკ-  
ლეობას და დახმარება განიზრახა. ერთხელ  
შემომთავაზა რუსული ენიდან ქართულად  
სათარგმნი საკმაოდ მოზრდილი „კერძო“  
სამუშაო და მითხრა: ეს მასალა სასწრა-  
ფოდ უნდა ითარგმნოს ამაღამ ან ხვალ გვიახლდა. როცა საბოლოოდ გადავწყვი-

შუადღებდე და ზევ გადაიცეს საქართვე-  
ლოს რადიოთი. თან გამაფრთხილა, აქ  
მრავალი რუსი პოეტის ლექსია ციტირე-  
ბული. ზოგი მათგანი თარგმნილიც კია  
ქართულად, მაგრამ სხვათა თარგმანებს სუ-  
გამოიყენებ, თავად უნდა თარგმნო, თორემ  
პონორარს არ მოგვცემენო.

გამოვართვი, ღამე გავათენე და ნაშუად-  
ღევს წარვუდგინე თოთხმეტკვერდიანი  
თარგმანის ხელნაწერი.

მასალა მიტანისთანავე წაიკითხა. გადა-  
ვაბეჭდინებო — მითხრა და სადღაც გაქ-  
რა. კარებთან კი მომაძახა: ხუთასი-მანეთი  
გერგება ამ თარგმანშიო... ჩემდა საოც-  
რად, ის ნათარგმნი არც შეპირებულ  
დროს და არც შემდეგ გადაცემულა რადი-  
ოთი... სავარაუდოა, რომ ფილიპეს არ  
მოეწონა ჩემი თარგმანი, მაგრამ გული  
არ გამიტეხა. იქნებ გამომცადა — რისი  
შემძლე ვიყავი და ის მასალა სულაც არ  
იყო რადიოთი გადასაცემი.

სულ მეუბნებოდა კი — შენი ვალი მაქ-  
ვსო.

„ვალი“ კი იმითი ვადამიხადა, რომ  
ეურნალისტი, „სოფლის ცხოვრების“ თა-  
ნამშრომელი მისო კოპალეიშვილი, მე და  
ერთი, ჩვენთვის მანამდე უცნობი ქუთა-  
ისელი სტუმარი დაგეპატიოვა რესტორან  
„დარიალში“. მშვენიერი სუფრა გავვიშა-  
ლა. თვითონ გვითამადა. კარგად რომ შევ-  
ქეიფიანდით, უცებ წამოდგა და საიდუმ-  
ლოსავით გავგანდო: მე ახლა უნდა წავი-  
დე, თქვენ მოითხოვეთ, რაც მოგვეგუნე-  
ბოთ, ვააგრძელეთ ქეიფი, ეს სტუმარი არ  
მომიწყინოთ, მალე დაგბრუნდები და და-  
ნახარჯს გადავიხდიო...

გავიდა ერთი საათი, ორი... ფილიპე  
არ ჩანს. არც მე და არც მისოს კაპიკი არ  
კვიჭყავის ჯიბეში. სტუმარსაც წასვლა  
უნდა...

ხელისი ჩაგვიქრა, სალაპარაკო გამოვ-  
ველია, მოვეშვიო. რომ არ მოვიდეს?! მო-  
თმინების ფიალა აგვევსო. სიმთვრალე გა-  
თმინების ფიალა აგვევსო. სიმთვრალე გა-



ტეთ, არაფერი გვეშველებაო... ფილიპე დაბრუნდა.

იწყინა, რომ სუფრისთვის არაფერი შეგვიმატებია. იხმო ოფიციალტი, ააშლევინა ძველი სუფრა და ახალი გააშლევინა... ბოლოს დანასარჯი გადაიხადა, მანქანა დაიქირავა და სახლებში დაგვარიგა. ასეთი წესი ჰქონდა.

მარტონი რომ დავრჩით, განაწყენებულმა ვკითხე: სად იყავი იმდენ ხანს, გულები რომ დაგვიხეთქე-მეთქი მე და მიხოს?

მიპასუხა — შოთა ჩანტლაძე ქეიფობდა სხვა რესტორანში, ფული კი არ ებოდა, დანასარჯს ვინ გადაუხდიდაო.

იმ დღეს ფილიპეს პონორარი ჰქონია აღებული ალექსანდრ ბლოკის „სამაგიეროს“ ცალკე წიგნად გამოცემისათვის. სწორედ მაშინ მაჩუქა იგი წარწერით: „გივის ძმური სიყვარულით. ფილიპე“.

ფ. ბერიძის შემდეგი პოეტური თარგმანი იყო ლესია უკრაინკას დრამა „კატაკომბებში“, რომელიც 1971 წელს გამოსცა „ნაკადულმა“ (რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, მხატვარი კოკა იგნატოვი).

ამ თარგმანის მნიშვნელობასა და დანიშნულებას კარგად წარმოგვიჩინს წიგნის ანოტაცია, რომელიც, ჩემი აზრით, თვით ფილიპეს დაწერილი უნდა იყოს: „ზაფხულის გასულს, 1913 წელს, სურამის მახლობლად, პატარა ქართულ ოდაში გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი ქალი ლარისა კოსაჩი — მშვენება და სიამაყე უკრაინული ლიტერატურისა. სამშობლო მას იცნობდა ლესია უკრაინკას სახელით. მთელი ძალა დიდი პოეტური შთაგონებისა ლესია უკრაინკამ ხალხის გათავისუფლების საქმეს შესწირა. მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უკავია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თემებსა და მოტივებს“.

ლესია უკრაინკას დრამა თეთრი ლექსითაა დაწერილი. მთარგმნელსაც ასევე გადმოუღია და თარგმანში ზედმიწევნით შეუნარჩუნებია ორიგინალის ღირსებანი. ამიტომ თარგმანი მიმზიდველად იკითხე-

ბა. საილუსტრაციოდ გავიხსენოთ თუნდაც დრამის დასაწყისი:

„ეპისკოპოსი



ერქვენული

ძმანო! ვადიდოთ უფალს, ვინც მოგვივლინა წამებული ძმის, ტანჯულ პერიკლეს დიდი მარჯვენა.

გუნდი

დიდება ქრისტეს — ზეციურ უფალს, მიწიერ ბორკილს რომ აცამტვერებს, სულებს რომ უღებს ცოდვათა დიღვეს და მარადიულ სინათლეს აძლევს.

ღიაკონი

ამინ.

ეპისკოპოსი

ჩვენი ძმა მონა იყო წარმართის, ამიერიდან მონა ღვთისაა“.

მაგრამ ნაადრევი გამოდვა მონა ნეოფიტის გაქრისტიანების მცდელობა. ახლად რჯულმიღებულს აინტერესებს, რა უპირატესობას მიანიჭებს მას ქრისტეს მიმდევრობა. მონა ნეოფიტი ჩააფიქრა სიტყვებმა: „ჩვენი ძმა მონა იყო წარმართის, ამიერიდან მონა ღვთისაა“. რატომ უნდა დაიდვას უფალი ქრისტეს უღელი ქედზე და რატომ იქნება ეს უღელი მაინცდამაინც მსუბუქი? მას ამინებს სიტყვები: მონა, უღელი, მოითმინე და დაემორჩილე, ღმერთი, ჯვარცმა, იმქვეყნიური ჯოჯოხეთი, რადგან მონის ცხოვრება ამ ქვეყნადაც ჯოჯოხეთია.

მონა ნეოფიტს სწამს მსოლოდ ერთი რამ — თავისუფლება. მისი რწმენით — თუ ადამიანი თავისუფალია, იგი უსათუოდ ბუნდნიერიც იქნება.



„მე შინდა მხოლოდ თავისუფლება,  
ურომლისოდაც ცხოვრება ჩემი  
უაზროა და უმიზნო გახლავთ.

გულით შევხარი უწმინდეს იმედს —  
თავისუფლება ვიხილო ეგებ  
შორიდან მაინც.

შთამომავლობა ჩემი მოესწროს  
იმ დღეს, როდესაც აღარ იქნება  
სახსენებელი მონის, ჩაგრულის“...

და იგი განუდგა ყოველგვარი მორჩი-  
ლების მოსურნე ადამიანებსა და თვით  
ღმერთსაც კი ამ გადაწყვეტილებით:

„გადავეგები თავისუფლებას,  
მარად მონობის მტერი ვიქნები,  
სიმართლეს ვიცავ, დავიცავ მარად,  
თქვენთან ვერასდროს ვბოვებ საერთოს!“

ლესია უკრაინკას დრამა მეორედ გამო-  
იცა და შევიდა კრებულში „სამაგიერო“.

ფილიპე ბერიძე შემთხვევით არ ირჩევ-  
და სათარგმნ ლიტერატურას. სამივე ზე-  
მოხსენებული ნაწარმოები — კ. რილეევის  
„ვოინაროვსკი“, ალ. ბლოკის „სამაგიერო“  
და ლესია უკრაინკას „კატაკომბებში“ სრუ-  
ლიად სხვადასხვა ხასიათისაა. მათ თარგ-  
მნას უთუოდ ახლავს გარკვეული სირთუ-  
ლებები, მაგრამ მთარგმნელმა კარგად გაა-  
რთვა თავი სიძნელეებს და ქართულ მთა-  
რგმნელობით ლიტერატურას შესძინა შე-  
საშური თარგმანები.

ფილიპე ბერიძე ბუნებით და მოწოდე-  
ბით პოეტი იყო. ამიტომ უმეტესად უც-  
ხოური პოეზიის ნიმუშებს თარგმნიდა, მა-  
გრამ არც პროზას უვლიდა გვერდს. ოლ-  
ონდ, მისგან სათარგმნელად შერჩეული  
თხრობითი ნაწარმოები წმინდა წყლის ბე-  
ლეტრისტიკა კი არ იყო, არამედ გამოჩე-  
ნილ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი ბი-  
ოგრაფიული ხასიათისა („ლინკოლნი“).

ვრცელი რეპორტაჟი მსოფლიოში აღია-  
რებულ სასიქადულო ვეიშის შესახებ ანუ  
სამედიცინო თავგადასავალი („სიუჟეტთან  
მებრძოლი კაცი“), სამეცნიერო-პოპულა-  
რული ლიტერატურა („ბიბლიური თქვე-  
ნებები“). ეს წიგნები გამოდიოდა 30, 40,  
100-ათასიანი ტირაჟებით და დაუყოვნე-  
ბლივ იყიდებოდა.

მათ შორის პირველი იყო კარლ სენდ-  
ბერგის „ლინკოლნი“, რომელიც „გამო-  
ჩენილ ადამიანთა ცხოვრების“ სერიით  
(№ 36) 1966 წელს გამოსცა „ნაკადუ-  
ლმა“, ეს შვიდასგვერდიანი წიგნი კარგად  
მიიღო ქართველმა მკითხველმა და პო-  
პულარული გახდა.

რატომ აირჩიეს ეს წიგნი ფილიპემ და  
გურამმა სათარგმნელად? იმიტომ, რომ  
ამერიკის შეერთებული შტატების ორგზის  
პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი (1809-  
1865) სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწე  
იყო და დიდი გავლენა მოახდინა არა მა-  
რტო თავისი ქვეყნის მოქალაქეებზე, არა-  
მედ მთელი მსოფლიოს ხალხთა მმართველ  
პირველ პირებზე. ლინკოლნი ალალი სიყ-  
ვარული და პატივისცემა მოიპოვა თავისი  
უბრალოებითა და პრინციპულობით, სა-  
მართლიანობითა და კაცთმოყვარეობით,  
გაბედულობითა და ბრძოლისუნარიანო-  
ბით.

ცნობილია, რომ აბრაამ ლინკოლნი  
წარმოშობით დაბალ ფენას ეკუთვნოდა.  
ეს თვითგანათლებამიღებული კაცი სხვა-  
დასხვა დროს ყოფილა მოჯამაგირე, ტყის-  
მჭრელი, მიწისმზომელი, ფოსტის მოხე-  
ლე, ვეჟილი... ამიტომ მისთვის გასაკები  
იყო უბრალო ხალხის სანუკვარი ოცნებე-  
ბი და მზად იყო მხარდასაჭერად.

შემდეგ დაიწყო ნაბიჯ-ნაბიჯ აღმასვლა  
სახელმწიფო მოხელის იერარქიულ კი-  
ბეზე და 51 წლისა პრეზიდენტი გახდა.  
აბრაამი იყო პატიოსანი და უანგარო პი-  
როვნება, ბრწყინვალე ორატორი, გამჭ-  
რიახი პოლიტიკოსი.

მის სახელთან დაკავშირებულია აშშ-ის  
ხალხთა ბედნიერება, მათი სამოქალაქო



და პოლიტიკური ურთიერთობების გაფართოება, ქალთათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება... პრეზიდენტი თავიდანვე თავგანწირვით იბრძოდა მონობის მოსაპოვებლად და 1863 წელს გამოსცა კიდევ კანონი ზანგი მონების განთავისუფლების შესახებ და საერთოდ გააუქმა მონობა თავის ქვეყანაში. ამავე დროს იგი წარმატებით და გონივრულად უძღოდა სამოქალაქო ომს...

ყოველივე ამან აბრაამ ლინკოლნი ეროვნულ გმირად აქცია.

მაგრამ მისი მღელვარე ცხოვრება მაინც ტრაგიკულად დამთავრდა. მეორე ვადით ახალარჩეულ პრეზიდენტს მონათმფლობელებმა არ აბატოეს მათ წინააღმდეგ წარმართული გამანადგურებელი ბრძოლები, აგრეთვე ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და თავიანთ აგენტ ჯ. ბუთს მოაკვლევინეს შტატების მეთაური.

მთარგმნელებმა იცოდნენ, რომ ასეთი ბიროვნების მაგალითზე შეიძლებოდა მთელი თაობების აღზრდა და კარლ სენდბერგის სიყვარულით დაწერილი წიგნი მშობლიურ ენაზე უთუოდ უნდა წაეკითხა ქართველ მკითხველსაც.

რაც შეეხება თარგმანს, იგი ისეთივე უბრალო და მიმზიდველი იყო, როგორც თავად აბრაამ ლინკოლნის ღირსსახსოვარი ცხოვრება.

მომდევნო პროზაული თარგმანი გახლდათ პოლ დე კრუის „სიგიჟესთან მებრძოლი კაცი“ (1969, „საბჭოთა საქართველო“, ტირაჟი 40.000). არც ეს ნაწარმოები გახლავთ მხატვრული პროზა. მისი ავტორი მოკრძალებით სჯერდება საექიმო საქმიანობის შესანიშნავი სპეციალისტისა და გამოცდილი რეპორტიორის ხვედრს. ამ წიგნით, ფაქტობრივად, ვეცნობით ვრცელი ნარკვევის სახით დაწერილ ლიტერატურას, მაგრამ ავტორი იმდენად კარგი მთხრობელია და ისე საქმიანად გვაცნობს მედიცინას, რომ შეუწულებლად გვაკითხებს თავისი მაღლიანი კალმის ნაყოფს. თუმაც რომ საინტერესო აქვს შერ-

ჩეული ფსიქიკურად დაავადებულთა მკურნალობა და მათი ხსნა.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია ირლანდიელი ექიმი ჯეკ ტ. ფერგიუსონი, რომლის ერთადერთი მიზანია ადამიანურ ცხოვრებას დაუბრუნოს თითქმის განწირული ადამიანები, რომელთაც ათეულ წლობით უხდებათ გაუსაძლისი ყოფნა ფსიქიკურ საავადმყოფოებში სრულიად უიმედო მდგომარეობაში.

ჯეკ ფერგიუსონი, რომელმაც XX საუკუნის 50-იან წლებში სასწაულები მოახდინა სამედიცინო პრაქტიკაში, მეტად თავმდაბალი, მაგრამ შეუვალი, მტკიცე თავისთავადობის მქონე ექიმია. იგი არა მარტო საგანგებოდ, ფრთხილად შერჩეული წამლების კომბინირებით მკურნალობს პაციენტებს, არამედ მათდამი სიყვარულით, თანადგომით, ადამიანური მოპყრობით. მისი დევიზია წამალი+სიყვარული.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ფერგიუსონმა საკუთარ თავზე გამოსცადა მკურნალობის ეფექტურობა. მძიმე ცხოვრებამ ჯეკი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ფსიქიკურად დაავადდა, მაგრამ არ შედრკა: თავიც გადაირჩინა და მისი უიღბლო პაციენტებიც იხსნა. კლინიკური გამოკვლევების დროს ჯეკი წარმატებით ეძებდა და პრაქტიკულად იყენებდა ახალ-ახალ სამკურნალო საშუალებებს. იგი საოცრად მკაცრი იყო საკუთარი თავისადმი და ლმობიერი — ავადმყოფებთან. ამიტომ ჯეკ ფერგიუსონს აღმერთებდნენ მისგან განკურნებულები. მისი შურდათ კოლეგებს და ხშირად ხელსაც კი უშლიდნენ წარმატების მოპოვებაში. მაგრამ ბოლოს ყველამ აღიარა ამ გენიალური ექიმის მკურნალობის მეთოდები.

ფილიპე ბერიძის გარდაცვალების შემდეგ „სიგიჟესთან მებრძოლი კაცი“ ზედიზედ მიჰყვა მთარგმნელისა და კრიტიკოსის ხუთი წიგნი. მათ შორის სამი თარგმანისა, აგრეთვე ედგარ პოს ორი ლექსის თარგმანის გამოქვეყნება ჟურნალ „საუნჯეში“.



განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო პოლონელი მწერლისა და მეცნიერის ზენონ კოსიდოვსკის „ბიბლიური თქმულებების“ ქართული თარგმანის (რუსულიდან) გამოცემა ფილიპეს გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ („ნაკადული“, 1976). წიგნი გამოვიდა ასიათასიანი ტირაჟით და საყოველთაო აღიარება მოიპოვა (გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქართველიშვილი, მხატვარი ჯ. ყავლაშვილი).

ფილიპეს 1960-იანი წლების დასაწყისში დაუწყო ზენონ კოსიდოვსკის გახმაურებული წიგნის თარგმნა. მაშინ, კომუნისტურ ეპოქაში, ბიბლიის ცოდნა, მით უმეტეს, ამის გამჟღავნება მოდაში არ იყო და საძრახისადაც კი ითვლებოდა. ამიტომ „ბიბლიური თქმულებების“ თარგმნა სიზიფეს შრომის სადარი იყო ჭეშმარიტად. წარმოიდგინეთ: მაშინ ჯერ კიდევ ქართულად გამოუქვეყნებელი იყო ლეო ტაქსილის „სახალისო ბიბლია“ (გამოვიდა 1973 წელს), მისივე „სახალისო სახარება“ (1974); არც ქართული საბჭოთა ენციკლოპედია არსებობდა (1 ტომი გამოვიდა 1975 წელს); არც რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი იყო გამოსული (1990); თავად „ბიბლია“ ხომ ნამალევეად თუ ჰქონდა ვინმეს, ისიც ძველი თარგმანი... ერთი სიტყვით, ბიბლიის შესახებ მცირე ცნობებიც მოუპოვებოდა ახალგაზრდობას.

მიუხედავად ამისა, მთარგმნელმა შეისწავლა უამრავი საჭირო ლიტერატურა უცხოურ ენებზეც და თარგმანში მიაღწია მეცნიერულ სიზუსტესა და ენობრივ სისადავეს. თარგმანი მართლაც ძალდაუტანებლად იკითხება.

გარდაცვალების წინ ფილიპე ბერიძეს მზად ჰქონდა თარგმანის სრული ტექსტი, მაგრამ მასში ზოგი რამ იყო დასაზუსტებელი და დასახვეწი, განსაკუთრებით ციტატათა ენის, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა სწორად გადმოცემის თვალსაზრისით. ზემოთქმულის დაძლევა იკისრა ბიბლიის დიდებულმა მცოდნემ და ფ. ბერიძის თარგმანის სპეციალურმა სამეცნი-

ერო რედაქტორმა, პოფ. მხექალა შანიძემ.

ცნობილია, რომ ზ. კოსიდოვსკის „ბიბლიური თქმულებები“ მოიცავს ბიბლიის მხოლოდ პირველ ნაწილს ქრისტეშობამდე და ძირითადად განკუთვნილია მსხვერპლ ახალგაზრდობისათვის. ამიტომ მისი გამოცემით „ნაკადულმა“ დიდებული საქმე გააკეთა სწორედ ახალგაზრდობისათვის. თუმცა, „ბიბლიურ თქმულებებს“ ინტერესით ეცნობოდნენ ზრდასრულნიც.

დანამდვილებით არ ვიცი, ვინ მოახერხა ზ. კოსიდოვსკის მოკლე ბარათის მოპოვება, რომელიც მას პოლონურ ენაზე დაუწერია და წიგნის ქართულ გამოცემას აქვს წამძღვარებული ორიგინალისა და თარგმანის სახით. თარგმანში ვკითხულობთ: „მოხარული ვარ და შეამაყება, რომ ჩემს „ბიბლიურ თქმულებებს“ მშობლიურ ენაზე წაიკითხავს ასეთი ძველი და მდიდარი კულტურის ხალხი.

ვიმედოვნებ, წიგნს გულთბილად მიიღებს მკითხველი, ვინაიდან ის გამოხატავს რაციონალურ თვალსაზრისს, რომელსაც იზიარებენ ნათელი აზრის ადამიანები. საქართველო კი... სწორედ ასეთი ნათელი ადამიანების სამშობლოდ შეგულება.

**ზენონ კოსიდოვსკი,  
ვარშავა, იანვარი, 1975“.**

ქართულ სინამდვილეში ჭეშმარიტად გამართლდა პოლონელი ავტორის წინასწარმეტყველება: მისი ნაშრომი მართლაც გულთბილად მიიღეს მკითხველებმა.

სამართლიანად წერდა მურმან ლებანიძე: „მრავალმხრივი იყო ფილიპე ბერიძის ინტერესების სფერო ლიტერატურაში. ფილიპე ბერიძის ცოცხალი პოეტური ინტელექტი თანაბარი გულით სწვდებოდა პროზასა და პოეზიას, აგრეთვე პოეტური თარგმანის პრობლემებს. სიყმაწვილიდანვე ინგლისურ პოეზიაზე შეყვარებული, ბერნსის, ედგარ პოს გატაცებული მთარგმნელი, იგი თვით გახლდათ ლიტერატურ-



რული შემოქმედების საიდუმლოებებს ნა-  
ზიარები და მისი სიტყვა ამიტომ იყო ფა-  
ხეული თანატოლი თუ უფროსი თაობის  
მწერლებისათვის“.

- ფილიპე ბერიძემ ინგლისური პოეზიის  
თარგმანები წარმოგვიდგინა რობერტ ბე-  
რნსისა და ედგარ პოს ლექსებით, რომლე-  
ბიც შევიდა ფილიპეს პოეტური თარგმა-  
ნების ჯერჯერობით ბოლო კრებულში,  
რომელსაც ჰქვია „სამაგიერო“ („მერანი“,  
1987). ამ კრებულიდან ამჯერად განვიხი-  
ლოთ რ. ბერნსის 7 ლექსი და ე. პოს  
„ყორანი“. ამას დავამატოთ აგრეთვე ედ-  
გარის ორი ლექსი, რომლებიც ჟურნალ  
„საუნჯეში“ დაისტამბა 1977 წელს  
(№ 6).

- შოტლანდიელი ბერნსი და ამერიკელი  
პოსის პოეტები არიან, რომელთაც ფილი-  
პე აღმერთებდა. ვასაკებია, რომ მათ ლე-  
ქსებს იგი განსაკუთრებული მონდომებით  
თარგმნიდა, მთელ თავის მთარგმნელობით  
ოსტატობას ავლენდა და მშობლიური ქა-  
რთული ლექსის დონეზე წარუდგენდა მკი-  
თხველს. დავიმოწმოთ ზოგიერთი მათგანი  
რობერტ ბერნსის ფილიპესეული თარგმა-  
ნიდან:

„სამარადისოდ დამტოვე, ჯემი,  
მარტო მიმატოვე,  
ჯემი, ცოდვას ობლობა ჩემი,  
ჩემი სიმარტოვე“. (უსათაურო)

- ან:

„დამისტვინე — მოგეახლო,  
სიხარულო ჩემო,  
დამისტვინე, მოვირბინო  
უცებ ბალის ზემოთ.“

დე, დავწყვევლოს დედაჩემმა  
ზეაპყრობილ ხელით,  
დამისტვინე, სიხარულო,  
დამისტვინე — გელი“. („სიმღერა“)

- ჩამოსახრჩობად გამეტებული მაკფერ-  
სონის პატრიოტული სტრიქონები ამაღელ-

ვებლადაა გადმოტანილი და მორგებულია  
ქართულ ხასიათს:



„ჩემი ბორკილი დაღწეოთ,  
ხმალი მომეცით ისევე,  
თუ არ ავკაფავ გარეწარს,  
საფლავშიც ვერ მოვისვენებ.“

ბრძოლებში ვცვითე სიცოცხლე,  
ვინ დამჯაბნიდა, რომელი,  
გამყიდეს, არ შემეცოდეს,  
ჯალათის თოკი მომელის.

ვაი დედასა, მამულო,  
ფიქრი მომყვება მზარავი,  
მტერი რომ დაგიძაბუნოს —  
კაცი არ დარჩა არავინ“.

(„მაკფერსონი სიკვდილის მოლოდინში“).

რობერტ ბერნსის სიძულვილი ფულით  
გამოწვეული ბოროტებისადმი მძაფრადაა  
გადმოცემული ლექსში „წარწერა ქალა-  
დის ფულზე“:

„მიეც ზეიმის დღენი ბოროტებს,  
ტყავი გახადეს ღარიბს ბოლომდე.  
მე ერთი დარდი მაწუხებს მხოლოდ —  
მტვრად უნდა იქცე ბოლოს და ბოლოს...  
რა ჟამს მიეცა ქვეყნად სუფევა  
და ვის ხელშია ძალაუფლება?“

ჭეშმარიტ პოეტურ სტრიქონებადაა ჩა-  
მოსხმული შვილისადმი მიძღვნილი მო-  
ნოლოგი მამისა:

„არ დამეკარგები, იმედი მმოსავს,  
არ უწერია ჩემს ამაგს მოსრვა,  
შერისხოს შენი ამ ქვეყნად მოსვლა  
ბრიყვთა სამაჯავრო ცდილობს,  
ოფლით მოწეულ თვითიულ გრომსაც  
შენ შემოგწირავ, შვილო“.

(„ჩემს უკანონო შვილს“)

ლექსის ლირიკული გმირის უსაზღვრო  
მელანქოლია დარდად ჩაღვრილა გულში:



„— მე ვერ მიშველის ველარც წვიმა,  
ველარც მაისი,  
გარდასულ დღეთა მწარე ფიქრი, ვაება,  
კვნესა

არ წაიშლება აღარც გაისად,  
არ ეშველება ჭალარას ჩემსას“.

(უსათაურო)

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ფილიპე ბერიძემ თარგმნა ედგარ პოს სამი ლექსი. მათ შორის პირველი ორი — „ულიალიუმი“ (ასეა თარგმანში) და „ელდორადო“ 1977 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯის“ მეექვსე ნომერში. მაშინ იგი ერთადერთი თარგმანი იყო. საბედნიეროდ, ამჟამად არსებობს ამ ლექსების რამდენიმე თარგმანი ქართულ ენაზე. კერძოდ, „ულალიუმი-სა“ — ხუთი, „ელდორადოსი“ — ოთხი. „ულალიუმი“ („ულალუმ“) თარგმნეს კოტე ჯანდიერმა (1981), ვიორჯი ნიშნიანიძემ (1982), ლეილა გამსახურდიამ (1999) და ზვიად მუსელიანმა (1999). იხილეთ ედგარ ალან პო, „ლექსები“ ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბოლოსწინა სამი თარგმანი კი მოთავსებულია სულ ახლახან გამოსულ წიგნში — ედგარ ალან პო, „რჩეული ლირიკა“ (რედაქტორ-შემდგენლები ლეილა გამსახურდია და კოტე ჯანდიერი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2001 წ.).

სავსებით ვეთანხმები ამავე წიგნში გამოთქმულ ქალბატონ ლეილა გამსახურდიას მოსაზრებას, რომ „დიდი პოეტის თარგმნა კადნიერებაა, მაგრამ მისასაღმებელი კადნიერება. რაც უფრო მეტი იქნება დიდი პოეტური ქმნილებების თარგმანი, მით უკეთესია ჩვენი (და ნებისმიერი. — გ. ბ.) კულტურისათვის, რადგან მკითხველს ეძლევა საშუალება (მთარგმნელთა განსხვავებული წარმატების გამო) უფრო უკეთ წარმოიდგინოს ორიგინალის ჭეშმარიტი ღირსება და ხიბლი“ (გვ. 26).

ედგარ პომ თავისი ერთ-ერთი შედეგური „ულალიუმი“ მიუძღვნა უდროოდ გარდაცვლილ 25 წლის მეუღლეს — ვირჯინია კლემს.

„ულალიუმი“ თითოეული მთარგმნელის ნამუშევარი იმსახურებს ცალკე განხილვას. თარგმანები მართლაც მრავალფეროვანი და საინტერესოა, მაგრამ მე ორიოდ სიტყვით მინდა შევჩვენო ფილიპე ბერიძის „ულიალიუმზე“. იგი თარგმანილია ათმარცვლიანი ლექსით, იცავს დედნისეულ მეტრს და მისი სიტყვიერი მასალა სრულად გამოხატავს ავტორის წადილს. ავტორი არამარტო დედნის ტექსტს უძებნის შესაბამის მხატვრულ პარალელს, არამედ — ლექსის სტრიქონთა შორის ნაკულისხმევ აზრსაც. ამდენად, მთარგმნელის მხატვრული სახეები ხშირად სრულია და მიმზიდველი:

„ზეცა ავესო მწუხრს და კაეშანს,  
მჭკნარი ფოთლები თრთოდნენ საშინლად,  
მჭკნარი ფოთლები თრთოდნენ საშინლად,  
ოქტომბრის ღამემ გაითარეშა —  
ისეც ნისლიან ტბაზე მაშინაც  
სქელი და მღვრიე ნისლი დაეშვა,  
ნოდის მხარეში ნისლი გახშირდა,  
ობერის ტბაზე ნისლი დაეშვა  
და ულრან ნოდში ნისლი გახშირდა.

მხატვრული თვალსაზრისით უნაკლოდ მეჩვენება მეოთხე სტროფის თარგმანი:

„... ბნელ ღამეს ფერი ეცვალა მალე  
და განთიადმა სჭექა მეხივით,  
და განთიადმა სჭექა მეხივით,  
ნათელი დილა ახელდა თვალეზს,  
შუქი თრთის, ნისლის სვეტზე შეხლილი,  
ფერდაკარგული ამოდის მთვარე —  
რქასავით მრუდე და მოგრეხილი,  
ამოსრილდა ასტარტის მთვარე  
რქასავით მრუდე და მოგრეხილი“.

თარგმანს მთლიანად შენარჩუნებული აქვს რომანტიკულ-პესიმისტური იერი, მაგრამ რატომღაც მოკვეცილ-შეკვეცილია პოსეული ბოლო სტროფი. ეს ალბათ იმიტომ, რომ იგი დედანში საკმაოდ ბუნდოვანია და იწვევს „აზრთა სხვადასხვაობას მთარგმნელთა და მკვლევართა შორის“



(ლ. გამსახურდია). თუმცა სხვა მთარგმნელებს ეს სტროფი არ გამოუტოვებიათ და წარმოადგინეს სხვადასხვა ინტერპრეტაციით.

„ელდორადოს“ ოთხივე თარგმანიც მეტად საინტერესოა მხატვრული შესრულების თვალსაზრისით და ფრიად ორიგინალურიც.

ელდორადო ის მითიური ქვეყანაა, რომლისკენაც თავის დროზე მიიღწევდნენ ამერიკელი ოქროსმაძიებლები, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს იგი გულდაწყვეტილებმა და იმედგაცრუებულებმა. ლექსის ლირიკული გმირიც ოქროს ძიებით გატანჯული

**ფილიპე ბერიძე:**

ხალისიანი, მამაცი  
რაინდი ლალი, ლამაზი,  
დღე, ღამე, რა გზით, რა დროს —  
მოგზაურობდა, მიჰქროდა,  
საგზლად იმედი მიჰქონდა,  
ეძებდა ელდორადოს.

მაგრამ გულადი რაინდი  
დაბერდა, დრომ არ დაინდო,  
დარდი დაჰყვება ლახვრად,  
იარა, ბევრი იარა  
და ელდორადო კი არა,  
მსგავსიც ვერარა ნახა.

კაცი ბედს როგორ ენდობა? —  
გატეხა უიმედობამ;  
მგზავრის ლანდს ხედავს ამ დროს;  
უთხრა: მითხარი, გამოტყდი,  
სად არის იგი სამოთხე,  
სად არის ელდორადო?

— მოკლე ურიცხვი მთა-ბარი,  
მთანი მაღალნიც, დაბალნიც.  
მთანი, მოსილნი ნისლითა,  
იყავი მხნე და მამაცი,  
თუ გინდა, რომ არ დამარცხდე,  
პოვნა თუ გინდა მისი.

რაინდია, რომელმაც არ დაიმურა ძალა და ენერგია, მაგრამ ისიც ნატურალურდენელი დარჩა. თუმცა, იმედი არ გადაწყურვია საბოლოოდ.

**ერქუნიანი**

ლ. გამსახურდიას *ქვეყანა ქვეყანა* — ელდორადო „ეღვარ პოსთან ჭეშმარიტების ძიების მეტაფორად არის გადაქცეული“. უნდა ვერწმუნოთ.

რაც შეეხება ქართული თარგმანის სრულყოფილებას, ამჯერად ოთხივე თარგმანს რიგის მიხედვით წარვუდგენ მკითხველს, რომელიც თავად დაადგენს — რომელი რომელს სჯობია.

**კოტე ჯანდიერი:**

საკუთარ ნებით,  
ეძებდა გზნებით  
ზამთარ და ზაფხულ სულ მარტო,  
მუდამ უნაგირზე,  
იმედის ნაპირზე  
რაინდი ყრმა ელდორადოს.

გაფრინდა წლები,  
გათეთრდა ძებნით.  
გულს აწევს ჩრდილი და დარდობს.  
სიმღერა კვნესად  
ექცა და ვერსად  
ვერ ნახა ელდორადო.

და ერთხელ გზად  
შემზარავ ლანდს  
შეხვდა და გულისთქმა ანდო —  
„სად არის ის,  
ოქროსფერ მზის  
ქვეყანა — ელდორადო?“

„იარე გზნებით  
მთვარეულ მთების,  
სად მეფობს წყვდიადი მარტო“, —  
პასუხობს ლანდი, —  
„არ დამრე დარდით,  
თუ მართლა გწამს ელდორადო“.

**ინოლა გურგულია:**

ერთი რაინდი  
გზას მიჰყვებოდა,



გზასა (და) ქარში მარტო,  
მიიმღეროდა,  
ასე სჯეროდა,  
ელოდა ელდორადო.

ამაო გზნებით  
წავიდნენ წლები,  
რისთვისაც თავი დადო,  
გამოიგლოვა,  
ვერსად იპოვა  
ლამაზი ელდორადო.  
ექებდა ელდორადოს.

გზაზე აჩრდილი,  
მასვილაწვდილი,  
შემოხვდა, სთხოვდა: ლანდო,  
მითხრა ეგებო,  
საით ვეძებო  
ქვეყანა ელდორადო.

მთვარეზე ადი,  
დაბლობში ჩადი,  
მერე ამაღლდი მთადო,  
თუ გინდა, ახლო  
ოდესმე ნახო  
ლამაზი ელდორადო.

ამ ტექსტებს მხოლოდ იმას დავამატებ, რომ „ულალუმისა“ და „ელდორადოს“ თარგმნის პრიორიტეტი ფილიპე ბერიძეს ეკუთვნის და სწორედ ის გახლავთ გზის გამკაფავი ამ მხრივ.

და მაინც, ფილიპე ბერიძის პოეტურ თარგმანებში ისევე თვალისმომჭრელად კიაფობს ედგარ პოს „ყორანის“ თარგმანი, როგორც თვითონ „ყორანი“ გვალელებს მისი ავტორის პოეზიაში. ქართველმა მთარგმნელებმა განსაკუთრებული ინტერესი და ყურადღება გამოიჩინეს ედგარის პოეტური შედევრის — „ყორანის“ თარგმნისადმი. გარკვეული ძიების შემდეგ დავადგინე და მოვიპოვე ამ ლექსის ძვრამეტი გამოქვეყნებული თარგმანი (ვინ იცის, რამდენია დაუსტამბავი!).

ზვიად მუსელიანი:



მამაცი რაინდი  
წვიმიან ამინდში,  
მზეშიც და თოვლშიაც მარტო  
მინდვრებზე, მთებზე  
სიმღერით გზებზე  
ექებდა ელდორადოს.

დრო კი, მიდიოდა,  
არაფერს ჩიოდა,  
ერთ რამეს ნატრობდა მარტო,  
ენახა მზიური  
ოქროს, მითიური  
ქვეყანა ელდორადო.

მზეს გადაეფარა,  
მგზავრს გადაეყარა,  
მოჩანდა ჩრდილი მარტო...  
„აჩრდილო, მითხარი  
საით ან სად არი  
ქვეყანა ელდორადო?“

„მთებს იქით არის,  
სამეფო მთვარის,  
ხეობას აჭყევი მარტოდ; —  
განსაცდელს შეხვდები —  
თუ არ დანებდები —  
შიაგნებ ელდორადოს“.

„ყორანი“ თარგმნეს და გამოაქვეყნეს: ვაჟა-ფშაველამ (1906), სანდრო შანშიაშვილმა (1909), გ. მეგრელიშვილმა (1918), კონსტანტინე ჭიჭინაძემ (1924), ფილიპე ბერიძემ (1962), გიორგი გამყრელიძემ (1963), გიორგი ნიშნიანიძემ (1980), სტეფანე მხარგრძელმა (1984), ჯემალ ინჯიამ (1986), პორფირე იაშვილმა (1987), სილოვან ნარიანიძემ (1991), ვაჟა შიუკაშვილმა (1992), ვანო ყვავილაშვილმა (1999), გია ბენიძემ (1999), ზვიად მუსელიანმა (1999), ბათუ დანელიამ (2000), კოტე ჯანდიერმა (2001) და კოტე ყუბანეიშვილმა (2001). ფრჩხილებში მითითებულია პირველი გამოქვეყნების წელი.

როგორც ვხედავთ, ფილიპეს თარგმანი რიგით მეხუთეა, ხოლო უშუალოდ ინგლი-



სურიდან თარგმნის თვალსაზრისით — მეორე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას და პროფესიონალი მთარგმნელებიც დამერწმუნებიან, რომ ფილიპესეული თარგმანი ჭეშმარიტად ერთ-ერთი საუკეთესოა ყოველმხრივ და განსაკუთრებით — შესრულების ოსტატობის მხრივ.

უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელმა „ყორანს“ შეუნარჩუნა ავტორისეული ფორმა, რიტმი, გარიტმვის სისტემა, რომელიც თითქმის სავსებით ემთხვევა დედნისას. თარგმანი საოცრად მუსიკალურია და სუნთქავს ცოცხალი რიტმით. მთელი ლექსი ედგარ პოსეული სილალით იკითხება.

ედგარ პოს „ყორანი“ შედგება ექვსსტრიქონიანი 18 სტროფისაგან, რომელშიც მეოთხე და მეხუთე სტრიქონები თავდება ერთნაირი სიტყვებით, რაც განპირობებულია შთაბეჭდილების გასაძლიერებლად და ერთმება მეორე სტრიქონს (door — door — lore). ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ფილიპე ბერიძე იცავს ამ ფორმას (ვნახოთ, მაგალითად, მეორე სტროფი: გოდება — გოდება — გროვდება; ასევე, მესამე სტროფი: მიზანი — მიზანი — მისანიც და ა. შ.).

ცნობილია, რომ ედგარი „ყორანში“ რეფრენად იყენებს სიტყვას, რაც ქართულ თარგმანებში სხვადასხვაგვარად არის გადმოღებული — არასდროს, არა, აღარასოდეს, აროდეს, არასოდეს, ვედარასდროს, არარა, ვერასდროს და სხვა.

ამ მხრივ ფ. ბერიძე ორიგინალურად გამოიყურება ქართულ თარგმანებთან მიმართებაში. მას არ უძებნია სხვა სიტყვა ნევერმორის შესაცვლელად და თარგმანს შეუნარჩუნა ავტორისეული რეფრენი, ვინაიდან იგი ჩათვალა ყველა სხვა ფორმაზე უკეთესად თავისი ქლერადობის გამოც. სხვათა შორის, რუსმა მთარგმნელებმაც (ვ. ჟაბოტინსკიმ, ვ. ფეოდოროვმა და მ. ზინკევიჩმა) მიმართეს იმავე ხერხს და, ვფიქრობ, სამართლიანადაც.

მივაქციოთ ყურადღება: ავტორისეულ „ყორანში“ რეფრენი სამმარცვლიანია, ქა-

რთულ თარგმანთა რეფრენები კი — მრავალმარცვლიანი, თანაც, სხვადასხვა ხარისხისა და სიძლიერის (ხმოვნების) ყორნის, როგორც მოლაპარაკე ფრინველის შესაძლებლობასთან შედარებით. სხადია, ყორანს ნაკლებად გავუჭირდებოდა ორ და სამმარცვლიანი სიტყვის წარმოთქმა. ამიტომ სავსებით ნორმალურად მიმაჩნია კონსტანტინე ჭიჭინაძისეული რეფრენი არა. იგი მარტივიც არის წარმოსათქმელად და საკმაოდ ხშიერიც ორ ერთნაირ ხმოვანს შორის მოქცეული ძლიერი რ-თი.

პოს „ყორანი“ ფაქტობრივად 16-მარცვლიანი ლექსია. ფილიპე იცავს ამ მეტრს. სხვათა შორის, ქართველ მთარგმნელთაგან ფილიპე იყო პირველი, რომელმაც დაიცვა პოსეული გარეგნული ფორმა ლექსისა, მისი თარგმანის სტროფიც ექვსსტრიქონიანია და ბოლო სტრიქონი — რვა მარცვლიანი. ასევე დაცულია სტროფების რაოდენობა — 18.

ახლა ვნახოთ — როგორ ეღერს თარგმანში პირველი სტროფი:

„შუაღამისას დაღლილი, ძველ  
ფოლიანტზე დახრილი,  
ვფიქრობდი შეწუხებული, მისუსტებული,  
მღუმარე,  
თითქოს კაკუნი მომესმა, უცებ  
ჩამთვლიმა როდესაც.“

დაფეთებულმა თვალეზი კარებს მივაპყარ  
უმაღვე,  
„ეს სტუმარია, — ეჩურჩულებ, —  
მოკრძალებული სტუმარი,  
სტუმარი, მხოლოდ სტუმარი“.

როგორც ვხედავთ, ბოლო ორ სტრიქონში სიტყვა სტუმარი ოთხჯერაა გამოყენებული, მაგრამ ეს როდი იწვევს მონოტონურობას. პირიქით, ხაზგასმულად მიანიშნებს დაღლილი, მგლოვიარე და უეცრად დაფეთებული ადამიანის მდგომარეობას.

ადვილი შესამჩნევია ისიც, რომ ედგარ პოსეული „ნათქვამ“ რეფრენს ყოველთ-



ვის იყენებს სტროფის მეექვსე სტრიქონის ბოლო სიტყვად, მის წინ კი აღნიშნავს, რომ იგი ყორანმა დაიხროტინა. ფილიპე, პირიქით, ჯერ ყორანს „აძლევს სიტყვას“ და მერე ამატებს განმარტებას: „Nevermore!“ — ჩხავის ფრინველი; „Nevermore“ — ჩხავის ოხერი...

სატრფოგარდაცვლილი მიჯნურის უკიდურესი მღელვარება ავტორისეული ექსპრესიულობითაა გადმოცემული თარგმანის მეთექვსმეტე (კულმინაციურ) სტროფში:

„მისანო, გადავირევი! დემონი ხარ  
 თუ ფრინველი?  
 ღმერთი იწამე, გიყურებ, თვალები  
 ამოვითხარე,  
 საიქიოში შემთხვევით ლენორას სულს  
 თუ შევხვდები,  
 იმ სხივმოსილი ქალის სულს, მითხარი,  
 მალე მითხარი,  
 ანგელოსები ლენორას რომ ეძახიან —  
 მითხარი,  
 „Nevermore!“ — ჩხავის მკითხავი“.

დედანთან სიახლოვით, აზრის კონცენტრირებულად გადმოცემით, კონკრეტულობითა და რითმების სიზუსტით მომხიბვლელია აგრეთვე მეჩვიდმეტე სტროფი:

„დე, განშორება მაუწყე, მაგ სიტყვას  
 ღმერთი ვაუწყურეს!  
 პლუტონურ ღამის სივრცეში წადი,  
 ებრძოლე ქარიშხლებს!  
 შავი ფრთა არ დამიტოვო, უბედურების  
 სიმბოლო!  
 ჩემი გულიდან ნისკარტი ამოიღე და  
 მანიშნე,  
 რომ აწი მშვიდად ვიქნები, გულის  
 სიმშვიდე მანიშნე,  
 „Nevermore!“ — მაინც არ იშლის“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფილიპე ბერიძისეული „ყორანი“ ქართული პოეტური თარგმანის შენაძენია და

ტოლს არ უდებს ნებისმიერ სხვა თარგმანს, რუსულსაც კი.

უზარმაზარი იყო ფილიპეს ინტერესი პოეზიისადმი. მას ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი არა მარტო ქართული არამედ მსოფლიოს გამოჩენილ პოეტთა შემოქმედება. მეტიც, ზეპირად იცოდა მათი საუკეთესო ლექსები და დიდი დაგემოვნებით წარმოთქვამდა მათ. თარგმანთან ერთად, ფილიპეს სახელი გაუთქვა მისმა მრავალმა კრიტიკულმა წერილმა, თეორიულმა ნაშრომმა, რეცენზიამ, ლექსების მიმოხილვამ, საჯარო გამოსვლამ. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო მისი სადისერტაციო ნაშრომი „ლირიკის გამომსახველობითი თავისებურება“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1966 წელს.

თავის პოპულარულ წიგნში „პაემანი ვერაზე“ გიზო ნიშნიანიძემ ასეთი უცნაური ეპიზოდი ჩართო: „ვერაზე კრიტიკოს ფილიპე ბერიძეს და პოეტ მორის ფოცნიშვილს, პაპიროსის ფული რომ არ ედოთ ჯიბეში, ვიღაცა პიჟონი გადაყრიათ ვერაზე, ბიჭებისთვის სანატრელ „პრიმას“ კი არა, საბატონო „ფილიპ-მორისს“ რომ აფუილებდა ქუჩაში და აზრადაც არ მოსდიოდა სხვისთვისაც მოეწევინებინა ან „სოროკი“ მაინც დაეტოვებინა. ფილიპეს ველარ მოუთმენია, ულენია ყბაში და ერთობ ორიგინალურადაც გაუმართლებია თავი:

— არა, ბიჭო!.. აბა რა მექნა?.. ფილიპე მე ვარ, მორისი შენ და „ფილიპ-მორისს“ კი ეს დეგენერატი აბოლებსო“.

ამ ეპიზოდში მშვენივრადაა გახსნილი ფილიპეს შინაგანი ბუნება და ხასიათი. არა აქვს მნიშვნელობა — მართლა მოხდა ასეთი რამ, თუ გიზო ნიშნიანიძის პოეტური ფანტაზიის ნაყოფია.

ფილიპე ბერიძე უნიჭიერესი კაცი იყო. არ დასცალდა, თორემ იგი ახალ-ახალი ბრწყინვალე თარგმანებით გაამდიდრებდა ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდს.







### მხატვრული სიტყვის ლოგიკა

#### თხრობის ფუნქციის ბუნება

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა და დავ-  
ვესაბუთებინა ის მოვლენები, რომელთა  
მიზეზით რომანის კითხვისას არა-სინამდ-  
ვილის, სწორედ ფიქციის განცდა გვეუფ-  
ლება. უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ ისიც,  
რომ იგივე ხდება დრამატული ნაწარმო-  
ების კითხვისა თუ ცქერისას. მაგრამ ამ  
ფენომენის პირველადი ლოგიკური გაშუ-  
ქების ლოგიკურ-ენობრივ შესაძლებლო-  
ბებს მხოლოდ ეპიკური ფიქცია იძლევა  
და დრამატული ფიქციის მიმართებანი  
მხოლოდ მათგან გამომდინარე აიხსნება.  
ეს ლოგიკური პრობლემები ეპიკური შე-  
მოქმედებისთვის დამახასიათებელ თქმაში,  
თხრობაში, გადმოცემაში იმალება, და ამი-  
ტომ, მხატვრული შემოქმედების სისტე-  
მის შუსტი ენობრივ-თეორიული აღწერი-  
სათვის იგი ყველაზე ნაყოფიერია.

გადამწყვეტ კითხვაზე ეპიკური თხრო-  
ბის ბუნების შესახებ პასუხი ჯერ კიდევ  
არაა გაცემული. აქამდე ჩვენ მხოლოდ იმ  
ფენომენთა აღწერასა და გაშუქებას შევე-  
ცადეთ, რომლებიც ნათელყოფენ, რომ ეპი-  
კური თხრობა კატეგორიულად სხვა  
რიგისაა, ვიდრე ისტორიული (უფრო ფა-  
რთო გაგებით — სინამდვილისეული გა-  
მონათქვამი). თხრობითი პრეტერიტუმის  
ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ იმ სტრუ-  
ქტურულ მომენტამდე მივედით, რომელიც  
წარმოადგენს როგორც პრეტერიტუმის

უბრალო სუბსტრატად ქცევის, ასევე დე-  
იქტიკური ზმნიზედების მნიშვნელობის  
შეცვლის მიზეზს, და რომელიც ქმნის არ-  
სებითად ფიქციას: ეს არის რეალური მე-  
— ორიგოს გაქრობა და ამდენად, სივრ-  
ცისა და დროის რეალური სისტემის გა-  
დატანა ფიქციურ პირებზე, რომლებიც  
— რაც იგივეა — თავის მხრივ ფიქცი-  
ური დროისა და სივრცის სისტემის, ე. ი.  
არა-სინამდვილის სისტემის მე — ორი-  
გოს, შესაბამისად, მე — ორიგინეს წარ-  
მოადგენენ. ამრიგად, ჩვენ საკმაოდ  
ვრცლად ვადმოვეცით ფიქციურ თხრობის  
ფენომენოლოგია, მაგრამ ამ განსაკუთ-  
რებული მოვლენის საბოლოო და გადამწყ-  
ვეტი მიზეზი ჯერ არ დაგვიდგენია. ამ  
კითხვაზე ლოგიკურ-გნოსეოლოგიური  
თვალსაზრისით, შუსტი პასუხის გაცემის  
საშუალებას ისევ და ისევ ისტორიულ  
თხრობასთან შედარება იძლევა.

ჩვენი ამოსავალი მაგალითის, რილკეს  
წერილის მეოხებით უკვე ვადმოვეცით,  
თუ რა უნდა გვესმოდეს სინამდვილისე-  
ული გამონათქვამის ცნებაში. მისი შინა-  
არსი ანუ მისი საგანი ნამდვილია, რად-  
გან იგი გამოთქმულია დოკუმენტში, რო-  
მელიც სინამდვილისეულ გამონათქვამად,  
ისტორიულ დოკუმენტად წარმოგვიდგება.  
ეს კი ნიშნავს, რომ სინამდვილისეული  
გამონათქვამის შინაარსი არსებობს ან არ-  
სებობდა იმისგან დამოუკიდებლად, იქ-  
ცეოდა თუ არა იგი გამონათქვამის საგ-

გაგრძელება. დასაწყისი „საუნჯე“ № 5-6  
1998 წ. და № 1-2, 2000 წ.



ნად. როგორც გამონათქვამის საგანი, იგი ამავე დროს გამოთქმულ სუბიექტსაც მიემაართება, მისი ვანცდის არედ წარმოგვიდგება — და ამიტომ ამ მიმართების კონტროლი შედის ყოველ ისტორიულ მეცნიერებაში, რომლის ამოცანაა ბუნებრივი და საზოგადოებრივი სინამდვილის აღწერა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სინამდვილისეული გამონათქვამის შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ნამდვილ გამონათქვამზე — სუბიექტის გამონათქვამზე ობიექტის შესახებ. გამონათქვამის სუბიექტსა და გამონათქვამის ობიექტს შორის არსებული მიმართება აქ მუდამ რელაციურია — რელაციას გვამცნობს. ამასთან, ობიექტის სინამდვილის ხარისხის, ე. ი. გამონათქვამის ობიექტურობის საკითხისათვის გადამწყვეტია სუბიექტი. მაშინაც კი, როცა, როგორც უკვე ვთქვით (გვ. 24), ობიექტის სინამდვილის ხარისხი, ე. ი. სუბიექტისაგან დამოუკიდებლობა, ნულს, არასინამდვილეს უახლოვდება, რელაცია სუბიექტსა და ობიექტს შორის არ ირღვევა, გამომთქმელი სუბიექტის სინამდვილის სფერო პრინციპში შენარჩუნებულია. ეს იმიტომ, რომ ყოველთვის შესაძლებელია გამონათქვამის შეჯერება, რაც გადამწყვეტია სინამდვილესთან მისი დამოკიდებულების საკითხში.

ნამდვილი გამონათქვამის ეს აღწერა, რომელიც ჩვენი შემდგომი მიზნებისათვის კიდევ უფრო განვავრცოთ, ჯერ-ჯერობით საკმარისია იმის შესაცნობად, რომ ფიქციურ თხრობაში ნამდვილ გამონათქვამთან არა გვაქვს საქმე. ფიქციის არე, რომანის შინაარსი ამ თხრობისათვის ობიექტი არ არის. მისი ფიქციურობა, ე. ი. მისი რა-ნამდვილობა ნიშნავს, რომ იგი მთხრობელისაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ არის იმდენად, რამდენადაც იგი მოთხრობილია, ე. ი. თხრობის პროდუქტია. შეიძლება ითქვას, რომ თხრობა არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მონათხრობი იქმნება; თხრობის ფუნქცია დაახლოებით ისეთივე იარაღია

მთხრობელი მწერლისათვის, როგორც საღებავი და ფუნჯი მხატვრისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ მთხრობელი მწერალი არ არის გამონათქვამის სუბიექტი, იგი მოგვითხრობს არა ადამიანებზე, არამედ მოგვითხრობს ადამიანებსა და გზებს; რომანის მოქმედი პირები მოთხრობილი პირები არიან, ისევე, როგორც ნახატის ფიგურები არიან დახატული ფიგურები. მონათხრობსა და მთხრობელს შორის არის არა რელაციური, ანუ გამონათქვამისეული, არამედ ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულება. ამაში მდგომარეობს ეპიკური ფიქციის ლოგიკური სტრუქტურა, რაც მას კატეგორიულად განასხვავებს სინამდვილისეული გამონათქვამის სტრუქტურისაგან. მხატვრული თხრობისა და ისტორიული გამონათქვამის სტრუქტურისაგან. მხატვრული თხრობისა და ისტორიული გამონათქვამის ფუნქციებს შორის გადის „პოეზიისა და სინამდვილის“ ზღვარი, რომელზეც არ არსებობს გარდამავალი წერტილები ერთი კატეგორიიდან მეორეში და რომელიც გადამწყვეტი კრიტერიუმია მხატვრული სიტყვის ადგილის განსასაზღვრავად ენის სისტემაში.

ეს ზღვარი რომ თხრობის საერთო სფეროს შიგნით გადის, მოულოდნელი და მოუღებელი დასკვნა იქნებოდა ტრადიციული გრამატიკისა და ენის თეორიის თუალსაზრისით რომ არ შეგვეჩუქოს ამ ფაქტის დაბტკიცება იმ ენობრივი პროცესების გამოვლენით, რომლებიც ფიქციის მოთხრობილ არეში მიმდინარეობენ. ეს პროცესები ანუ ფენომენები: პრეტერიტუმის მნიშვნელობის შეცვლა, დეიქტიკური ზმნიზედების გადასვლა ჩვენებითი ველიდან ენის ცნებით — ანუ სიმბოლოთა ველში, შინაგანი პროცესების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენების შესაძლებლობა — მონათხრობსა და მთხრობელს შორის არსებული იმ ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების სიმპტომები და აგრეთვე შედეგია, რაც ფიქციური თხრობისთვისაა დამახასიათებელი. რადგან ეს ენობრივი ფენომენები იმ ფიქციური სა-



მყაროს სიმპტომებია, რომელიც თხრობაში იქმნება და რომელშიც არ არსებობს რეალური სივრცე და რეალური დრო.

ახლა, როცა ჩვენ ამ ფიქციური სამყაროს გადამწყვეტ სტრუქტურულ მომენტად და ამდენად, დასახელებულ მოვლენათა მიზეზად რეალური მე-ორიგოს, ე. ი. გამონათქვამის სუბიექტის გაქრობა ვაღიარეთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფენომენები ორი სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარეობდნენ, რომლებიც თუმც არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ არც ურთიერთკავშირში არიან. საქმე კი სწორედ იმაშია, რომ რეალური მე-ორიგოს არყოფნა და ფიქციური თხრობის ფუნქციური ხასიათი ერთი და იგივე მოვლენაა. ისინი მხოლოდ სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვაგვარად გამოხატავენ იმ ვარემოებას, რომ ეს თხრობა არა-ნამდვილის განცდითაა აღბეჭდილი. ეს განცდა იზადება იმავე წამს, როგორც კი ფიქციური ფიგურები ან მე-ორიგინესი გამოჩნდებიან, ან, რაკი კონტექსტი განგვაწყობს საამისოდ, როცა მათ გამოჩენას მოველით. სწორედ ისინი აყალიბებენ თხრობით შემოქმედებას ფიქციად, მიმესისად. ეს კი, თუ შებრუნებით ვიტყვი, იგივეს ნიშნავს, რომ მიმესისის თხრობითი შემოქმედებისეული თხრობა ქმნის. მხოლოდ აქა აქვს თხრობას ფუნქციის ხასიათი და არა გამონათქვამში, და ჩვენ საშუალება გვქონდა „იურგ იენაჩის“, უფრო მკაფიოდ კი „მალნარის“ დასაწყისის ტექსტზე გენეტიკურად მიგვედევინებინა თვალი, რომ ფიქციონალიზაციის პროცესი ერთადერთია, რომელიც ეპიკურ, ფუნქციურ თხრობას კატეგორიულად ჰყოფს ისტორიული, გადმომცემი თხრობისაგან (სინამდვილისეული გამონათქვამისაგან). ამ პროცესის განხორციელება კი ადამიანურ ფიგურებზე (შესაბამისად, გაადამიანებულ ცხოველებზე ან თვით საგნებზეც კი, როგორც ეს იგაგებსა და ზღაპრებში ხდება) მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ მხოლოდ ადამიანია პი-

რი, ე. ი. არა უბრალოდ ობიექტი, არამედ სუბიექტიც, აღწერილი პირების ფიქციონალიზაციაც სწორედ ამას ნიშნავს: მათ აღწერას არა ობიექტებად არამედ სუბიექტებად.

ერქმენული

ობიექტისა და სუბიექტის ცნებები აქცხადია, სხვა მნიშვნელობას იძენენ, ვიდრე გამონათქვამის რელაციაში. გამონათქვამის ობიექტი გამოთქმულს გულისხმობს, გამონათქვამის სუბიექტი კი თვით გამონათქვამს: ისინი გამონათქვამის ლოგიკის ცნებებს წარმოადგენენ, მაგრამ, როცა ვლაპარაკობ პირზე, როგორც ობიექტზე, ამ ცნებაში სუბიექტის ცნების — ონთოლოგიური მნიშვნელობით პირველ პირში მოლაპარაკე არსების — საპირისპიროს ვგულისხმობ: ადამიანი არის მე, სუბიექტი, ის არის არსება, რომელიც თავის თავს მე-ს უწოდებს. ეს არის ზუსტად საპირისპირო ობიექტის ცნებისა, რაც საგანსა თუ ნივთს გულისხმობს. მე, როგორც სპეციფიკურად მე-ს მთქმელი, ობიექტთა სამყაროს პირისპირ იმყოფება, იმ საგნობრივი სამყაროს პირისპირ, რომელსაც ეკუთვნიან აგრეთვე სხვა ადამიანები, მე-ს მთქმელი სხვა არსებანი. იგი მათ იცნობს ობიექტებად და არა სუბიექტებად, რადგან ყოველი მე-ს მთქმელი სუბიექტი მხოლოდ საკუთარ თავს ცნობს სუბიექტად; ან მხოლოდ მაშინ ცნობს მათ სუბიექტებად, როცა ისინი თვითონ ლაპარაკობენ. მე-ს მთქმელი ანუ პიროვნული ობიექტები არა მარტო საგნობრივ ობიექტებად შემოიძლია აღვიქვა, არამედ სხვაგვარადაც: მათი საკუთარი მეობის საფუძველზე შემოიძლია ურთიერთგაგება დავამყარო მათთან, როგორც შენ-თან.<sup>34</sup> მაგრამ როცა პიროვნული ობიექტი გამონათქვამის ობიექტია, რაც ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა, მის შესახებ შეიძლება ითქვას, მხოლოდ როგორც ობიექტის შესახებ; ნათელეყოთ ეს მაგალითზე: წინადადება, რომელშიც ნათქვამია — „ამ წამში ნას გაახსენდა სიტყვები, რომლებიც მისთვის უთქვამს“ (მუზილი) — უმ-



უალოდ რომანის წინადადებად წარმოგვიდგება — ფიქციური თხრობის და არა გამონათქვამის წინადადებად. მხოლოდ ასეთ წინადადებაში შეიძლება შევხვდეთ შინაგანი პროცესების აღმნიშვნელ ზმნებს, რომლებიც, როგორც უკვე ვნახეთ, ეპიკურ თხრობასთან ერთად ელემენტარულ საშუალებებს წარმოადგენენ მოაზროვნე, მკრძობიარე ადამიანის, მისი განცდის ახლა-და-აქ-მომენტში, მის მე-ორიგინობაში, ე. ი. მისი სუბიექტად ყოფნის სუბიექტურობაში აღსაწერად. მესამე პირთა სუბიექტებად წარმოდგენა, რაც მხოლოდ ფიქციურ თხრობას ხელეწიფება, განმსაზღვრელია ეპიკური ფიქციისათვის, განასხვავებს მას თხრობის ფუნქციის თვალსაზრისით დრამატული ფიქციისაგან, თხრობის მანერით კი — ისტორიული, გადმოცემა თხრობისაგან. ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულება თხრობასა და მონათხრობს შორის სინამდვილეში იგივე მოვლენაა, რაც ფიქციური ფიგურების ანუ მე-ორიგინების სახეზე ყოფნა და სწორედ ამის გამო, რეალურად გამომთქმელი მე-ორიგოს, გამონათქვამის სუბიექტის არყოფნა.

ეს არგუმენტაცია თითქოს წრიულად მოძრაობს. მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა ლოგიკურ წრებრუნვასთან, რადგან თვით მოვლენები აიხსნებიან ერთმანეთით, რადგან თხრობით შემოქმედებაში თხრობა და მონათხრობი ფუნქციურ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან, — მონათხრობი ფიქცია თხრობით აიხსნება, ფიქციური თხრობა კი — ფიქციით. ეს პრინციპულად განასხვავებს ფიქციურ თხრობას ისტორიული თხრობისაგან. თუ ახლა იმ ცნებებს მივუბრუნდებით, რომლებიც დასაწყისში შემოვიტანეთ, ვნახავთ: ცნება „ეპიკური მე“

34. მე-ს პრობლემატიკასთან დაკავშირებით იხ. პ. პოფმანი: „Das Versuchen von sinn und seine Allgemeingültigkeit“ და მისივე მთავარი ნაწარმოები: „sinn und genlichte“, Mchn, 37, თავები I და VII.

იკური მე“ მხატვრული შემოქმედების თეორიის თვალსაზრისით მცდარია; არ რსებობს არავითარი „ეპიკური მე“ რადგან ის, რაც ამ ტერმინით მცდარადია აღნიშნული — ეპიკური თხრობა ისტორიული თხრობისაგან განსხვავებით გამონათქვამის სუბიექტს არ ემთხვევა. ისტორიული დოკუმენტის ავტორი, ისტორიული მე, ამ ნაწარმოების მთხრობელის იდენტურია, ე. ი. მისი გამონათქვამის სუბიექტია. სწორედ ამის გამოა, რომ მას „მთხრობელს“ არ უწოდებენ. ეს ტერმინი ლიტერატურულ სიტყვათხმარებაში (ყველა ენაში) ეპიკურ თხრობას განეკუთვნება, და ის — როგორც რამდენჯერმე უკვე შევნიშნეთ — ავტორის იდენტური არ არის. მაგრამ რადგანაც ეპიკურ მთხრობელზე ლაპარაკი მაინც გრძელდებოდა (იმის გაუთვალისწინებლად, რომ ისტორიული ნაწარმოების ავტორი ასე არ აღინიშნება), ეს ტერმინი ეპიკური თხრობის აღწერისათვის მართლაც შებრკოლების ლოდად იქცა. იგი ხელს უშლიდა თხრობითი შემოქმედების სტრუქტურულ მიმართებათა გაგებას და შეიძლება საერთოდ იმის მიზნადაც იქცა, რომ მისი გამაფორმებელი ელემენტი, ფიქციურობა, შეცნობილი არ იყო. ცხადია, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მეტად ძნელია, მხატვრული თხრობის აღწერისას უარი ვთქვათ მობერხებულ გამაპიროვნებელ ტერმინზე. რადგან, ხელოვნების ყველა საშუალებათა შორის მხოლოდ თხრობას ძალუძს „პიროვნების“ ილუზიის გამოწვევა, რომელიც არა მარტო მის მიერ შექმნილ პირებთან, არამედ მკითხველთანაც „საუბრობს“. შემდგომ მსჯელობაში რამდენიმე ადგილას გამოჩნდება, თუ რა შეცდომებამდე მიგვიყვანა ამან არა მარტო თხრობითი შემოქმედების ლოგიკური სტრუქტურის, არამედ მისი ესთეტიკური პრობლემების შეფასებაშიც. მხატვრული შემოქმედების სისტემის და მისი მკაცრი წესრიგის შესამეცნებლად კი მიზანშეწონილია, მთხრობელის ცნება ჩვეული დამაბნეველი ორასროვნებით კი არ



დავტვირთოთ, ე. ი. ერთნაირად კი არ გამოვიყენოთ ეპიკოსისა და ფუნქციონისათვის, არამედ მხოლოდ პირველისათვის შემოვიწინოთ. იგი შეიძლება გავუთანაბროთ ისეთ ცნებებს, როგორცაა დრამატიკოსი, ლირიკოსი, უფრო შორს თუ წავალთ — მხატვარი, მოქანდაკე, კომპოზიტორი — ე. ი. გამოვიყენოთ ხელოვნების იმ სახეობის აღსანიშნავად, რომელსაც ხელოვანი წარმოადგენს და არა ხელოვნების საშუალებისა, რომელსაც იგი იყენებს.

„მთხრობელის როლზე“ ლაპარაკი ფაქტიურად ისევე მიზანშეწონილია, როგორც დრამატიკოსის ან მხატვრის როლზე. დღესაც არ გაეცილებივართ თავისი დროისათვის იმ დიდად მნიშვნელოვან და ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით მოწინავე შეხედულებებს, რომლებიც კეტე ფრიდემანმა განავითარა თავის ცნობილ წიგნში (1910 წ.) შვილჰაგენის „ობიექტურობის თეორიის“ საბირისპიროდ. ცხადია, კ. ფრიდემანმა სწორად განსაზღვრა „მთხრობელი“, როგორც „მხატვრულ შემოქმედებასთან ორგანულად შეზრდილი მედიუმი“. მაგრამ, რამდენადაც მან ამ მედიუმის ფუნქციური ხასიათი სათანადოდ ვერ განჭვრიტა, ამიტომ მისი სისწორე მხოლოდ მოჩვენებითია, როცა ამბობს: „ის არის შემფასებელი, მგრძობელი, მაცქერალი. იგი კანტის დროიდან კარგად ცნობილი გნოსეოლოგიური შეხედულების სიმბოლიზაციაა, — რომ ჩვენ სამყარო გვესმის არა ისე, როგორც ის თავისთავად არის, არამედ ისე, როგორც იგი დამკვირვებელი გონების მედიუმში გარდაიქმნება“.<sup>35</sup> ანდა როცა სვამს კითხვას: „როგორ ახერხებს მწერალი მოქმედ პირთა სულიერი ცხოვრების შეცნობას?“<sup>36</sup> როცა 30 წლის შემდეგ ი. პეტერსენი მთხრობელს „თამაშის წამყვანს“ აღარებს, „რომელიც სცენაზე მოქმედ პირთა შორის დგას და მათ აღვილზე, მოძრაობასა

და მახვილზე მიუთითებს“.<sup>37</sup> მაგრამ ამავე დროს მას „პრაქტიკულად თავისი ამოცანებით დატვირთული ფსიქოლოგის როლში“ წარმოგვიდგენს, „რომლისთვისაც სულიერი პროცესების აღწერა-გადმოცემა საპასუხისმგებლოა“.<sup>38</sup> უფრო წინათულისდება, რომ აქ საქმე გვაქვს შეტ-საკლებად მეტაფორულ აღწერასთან, რომელიც ლიტერატურულ სიტყვათხმარებაში ისეთ მოარულ სიტყვებზე დაიყვანება, როგორცაა „ავტორიტეტი“ ან „მთხრობელის ყოვლისმცოდნეობა“.<sup>39</sup>

ამ ფართოდ გავრცელებულ, რამდენადაც ვხედავ, საყოველთაოდ გაბატონებულ შეხედულებას<sup>40</sup> საფუძვლად უდევს ფიქციური თხრობის ხასიათისა და ისტორიული თხრობისაგან მისი კატეგორიული განსხვავების არასათანადო შეფასება. ჯეროვნად არაა შევნიშნული ის გარემოება, რომ მთხრობელის (როგორც ეპიკოსოსის) „შემფასებლური“ პოზიცია იგივე არაა, რაც ისტორიკოსის, ლიტერატურის ინტერპრეტატორისა ან ფსიქოლოგის შემფასებლური პოზიცია მათი დაკვირვების შესაბამისი საგნების მიმართ. ეპიკოსოს შემფასებლური პოზიცია მისი სპეციფიკური მიმეტური წარმოსახვის საშუალების, თხრობის ერთ-ერთი ასპექტია, ისევე, როგორც შუქი თუ ჩრდილი, რომლებსაც მხატვარი თავის ნასატში იყენებს. ეს არის მწარმოებლური ფუნქციის ასპექტი, რომელიც იქაც შეიძლება აღმოჩნდეს, სადაც ეს ფუნქცია, როგორც ასეთი, სრულიად, შეუმჩნეველია, არა მარტო დრამატულ შემოქმედებაში, არამედ — როგორც ახლა დაწვრილებით ვნახავთ — ეპიკურ შემოქმედებაშიც. კითხვა, თუ როგორ ახერხებს დრამატიკოსი თავისი

37. I. Petersen: Die Wissenschaft von der Dichtung. Bln. 144, 151.  
 38. იქვე, გვ. 160.  
 39. შეადარე: St. Björk: Romanens formvärrel, Stokholm. 53, x 41-88.  
 40. მაგრამ ამას გადაკრით ეწინააღმდეგება ს. ლანგერი (Feeling and Form 191).

35. K. Friedemann: Die Rolle des Ertählers in der Epile. Lpt. 10, 26.  
 36. იქვე, გვ. 77.



პერსონაჟების სულიერი ცხოვრების შეცნობას; ასეთივე უფლებით შეიძლება დასმულიყო „მთხრობელის“ მიმართ, მაგრამ, როგორც ამ კითხვაზე ვერ ვუპასუხებდით, რომ თითქოს იგი „ცდიდეს“ თავის პერსონაჟებს, ასევე ვერც „მთხრობელის“ შეხედულების წარმომადგენლები ვერ გამოიტანდნენ ასეთ დასკვნას. ეს კი იმისი მაჩვენებელია, რომ ეს შეკითხვა არც ეპიკური შემოქმედის მიმართაა ადექვატური, სხვანაირად, გაცნობიერებული არაა ის გარემოება, რომ ისიც დრამატიკოსივით „Mimesis“-ია, ე. ი. იგი თავის ფიგურებს ქმნის და არა აფასებს. შეიმეცნება ან განსჯის.

თხრობის შემქმნელი ფუნქციის ბუნებაში უკეთ გავერკვევით, თუ ამოსავალ წერტილად მივიღებთ ტერმინოლოგიის ირგვლივ არსებულ ვამათსა და კრიტიკულ მენიშვნებს; სწორედ ამ ტერმინოლოგიის (და არა პერსონიფიკაციისა, რომელიც მეტი მეტაფორულობითა და ამდენად, ნაკლები ობლიგატორულობით ხასიათდება) ბრალი უნდა იყოს ის, რომ სათანადოდ ვერ წარმოჩნდნენ მხატვრულ თანრთა სტრუქტურული და სისტემური ურთიერთმიმართებანი. ამისი მიზეზიც ფიქციური და ისტორიული თხრობის გათანაბრებაა. ლაპარაკია სუბიექტურისა და ობიექტურის ცნებებზე, რომლებიც მხატვრული შემოქმედების გვარებთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, ისეთი მნიშვნელობით გამოიყენება, რომ ეპოსი და დრამა, როგორც ობიექტური გვარები, სუბიექტურ ლირიკას უპირისპირდებიან, მაგრამ ეპოსი „ეპიკური მე“-ს ძალით დრამაზე სუბიექტურია, თუმცა არა იმდენად სუბიექტური, როგორც ლირიკა. შპილჰაგენისა და პოლცის რომანის ნატურალისტური თეორიის მიხედვით, მთხრობელის შექმნისდაგვარად გამოიციხვის, ე. ი. რომანის უკიდურესი დიალოგიზაციისა და დრამატიზაციის შემდეგობით, თითქოს თხრობითი შემოქმედების „ობიექტურობა“ მიიღწევა, რითაც იგი დრამატულს მიუახლოვდება. და თუ ასეთი მოთხოვნა უარყოფილ იქნა, ეს მოხდა იმავე დასაბუ-

თებით, როგორც პეტერსენთან — რომ თხრობითი მხატვრული შემოქმედებიდან თხრობის სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვა დაუსმებელია. მოვიყვანოთ მის ფორმულირებას, რადგან იგი ძალზე ნათლად გამოხატავს ტრადიციულ მთხრობელს: „მთხრობელის შეალეღურ მდგომარეობას განუწყვეტლივ ახლავს თან სუბიექტურის ობიექტივირებისა და ობიექტურის სუბიექტივირების ჯვარედინი პროცესი. თხრობის ობიექტური ფორმა ცდილობს ვამოიწვიოს მთხრობელის ობიექტური ნამდვილობის შთაბეჭდილება ნივთიერი მასალის მოშველიებით: მივიყვანებთ, მოწმეთა გამონათქვამებით... თხრობის ობიექტური ფორმის სუბიექტივირება ხდება მწერლის პირადი ჩარევით, მთხრობელის მიმართვით თავისი მსმენელისადმი, ასევე ახსნა-განმარტებითი, დამრიგებლური, დამკვირვებლური ხასიათის ჩანართებით“<sup>41</sup> და თითქმის იგივეს ამბობდა ჟან პოლი, როცა იგი ეპოსსა და დრამას ადარებდა.<sup>42</sup> „ეპოსზე გაცილებით ობიექტურია დრამა, რომელიც ავტორის პიროვნებას მთლიანად თავისი ნახატის ტილოს მიღმა უდენება და რომელმაც ლირიკულ მომენტთა ეპიკურ თანმიმდევრობაში თავისი ჩართული სიტყვის გარეშე უნდა თქვას სათქმელი“ (ამასთან, შემთხვევითი არაა, თუმცა გაუგებარია, რომ დრამის განსახლვრაში ეპიკურის ცნებაა მოხმობილი).

ეპოსის თეორიაში სუბიექტურის და მის საპირისპიროდ ობიექტურის ცნების შემოტანა შედეგია იმ შეხედულებისა, რომ, როგორც პეტერსენი ამბობს, „თხრობის ობიექტური ფორმა მწერლის პირადი ჩარევით სუბიექტივირებას განიცდის“. მაგრამ ამ ცნებების არაადექვატურ გამოყენებას მხოლოდ ეპიკური მხატვრული შემოქმედების სტრუქტურაში კი არ შეაქვს ბუნდოვანება, არამედ სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების მთელ სისტე-

41. Die Wissensehaft von der Dichtung, 52.

42. Vorschule der Asthetile, 62.



მაში, რადგან აქ საქმე გვაქვს თვით ლოკიკის ცნებებთან. მათი მნიშვნელობა ზუსტად უნდა იყოს გამოკვეთილი, რათა ნათელი გახდეს, რომ ფიქციური თხრობა არასოდეს არ არის „სუბიექტური“ რაკინდ სუბიექტურადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს მისი „საქციელი“.

ამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ თხრობის ხერხების, ან თხრობის ისეთ სტილითა პატარა შკალას, რომლებსაც ჩვეულებრივ ტრადიციული ტერმინოლოგიის ფარგლებში მათი ობიექტურობა — სუბიექტურობის ხარისხის მიხედვით ახასიათებენ ხოლმე.

**მაგალითი 1.**

უბედურება გალიის გასუფთავებისას მოხდა; ჩანს, საგდული მოშვებულყო როგორღაც. შეშინებული მოახლე, რაც გაეწყობოდა, ხელებს იქნევდა, ეძახდა და უსტვენდა, მოსატყუებლად ხან ფრინველს დაანახვებდა, ხან ვემრიელ ლუკმას — როგორც შევარდნის წვრთნისას იციან ხოლმე, მაგრამ ამაოდ.

(ბურგენგრუენი: სამი შევარდენი)

**მაგალითი 2.**

ძალთა ამ მშვენიერი დაძაბვით, საკუთარი თავი რომ დაანახვა, უცებ თითქოს საკუთარ ხელებზე წამოიშარათა იმ სიღრმიდან, სადაც ბედისწერამ ჩააგდო. მღელვარება, მკერდს რომ უბობდა, დაცხრა, როგორც კი თავისუფლება იგრძნო; მალე-მალე კოცნიდა ბავშვებს, ამ საყვარელ ნადავლს, და უდიდესი თვითკმაყოფილებით ფიქრობდა, რა გაძარჯვება მოიბოვა ძმაზე თავისი უდანაშაულობის შეგნების ძალით.

(კლაისტი: მარკიზა ფონო...)

**მაგალითი 3.**

ტრაიბელს ადრე ადგომა სჩვეოდა, — ყოველ შემთხვევაში, კომერციული მრჩევლისათვის, — და რვა საათზე გვიან არასოდეს შედიოდა თავის სამუშაო ოთახში — მუდამ დეზებიან ჩექმებში, ფაქიზად გამოწყობილი... როგორც წესი, მრჩევლის მეუღლეს სულ მალე გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ დღეს იგვიანებდა; და რაკი სულ ორიოდე წერილი თუ იყო შემოსული, გახეთქებში კი, რომლებშიც უკვე

ზაფხულის სუნთქვა იგრძნობოდა, ცოტა რამ ეწერა, ტრაიბელი მოუთმენლობამ შეიპყრო, სწრაფად წამოიღო ცხვირის პატარა სოფადან და ორი გვერდივე მდებარე დიდი ოთახის გახომვას შეუდგა, სადაც წინა დღეს წვეულებას მისწავლია... დეკორაცია ისევე გამოიყურებოდა, როგორც გუშინ, მხოლოდ კაკადუს ნაცვლად, რომელიც ჯერ არ ჩანდა, გარეთ ქ-ნ პონიგს კომერციული მრჩევლის მეუღლის გომიასათვის საყელურში ჩაველო ხელი და აუზის ირგვლივ დაასეირნებდა.

(ფონტანე: ფრაუ ენი ტრაიბელი)

**მაგალითი 4.**

ახლა ყველა ოსტატი ამოძრავდა და სკამებზე განლაგდა — ტიციანი, ფრაბართოლომეო დი სანტო მარკო, და ვინჩი, კაუფმანი (ალბათ ანგელიკა კაუფმანი) — წინ, გვერდით, განზე, უკან, სარკეებთან. დიდებულად და ლაღად, თავისუფალ სტილში ხატავდა ყველა — ცხვირი სახეზე მხოლოდ მინიმუმებული თუ იყო...

(უა პოლი: კომეტა)

**მაგალითი 5.**

იმედია, ვერცერთი მკითხველი ვერ უარყოფს, რომ ვორბლეს სასწავლი გადაკრული სიტყვები დაუჯერებელია მას ეკუთვნოდეს და უბრალოდ ჩემგანა აქვს მოპარული. ანდა ამ მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ სწორედ თქვენმა მონამორჩილმა თავისი „გრენლანდიური პროცესისათვის“, აკადემიური კარიერის პირველივე წელს, ე. ი. კიდევ უფრო ახალგაზრდა ასაკში, ლაიფციგში, ათასჯერ უფრო მეტი იგავი შექმნა და გამოსცა. რადგანაც ვორბლე, როცა იგი ჰენოხმა პრინცის აღმზრდელად დანიშნა, სწორედ წლინახევრით ჩემზე უფროსი იყო — ცხრამეტნახევარი წლისა.

.....

მე ვეკითხები საერთოდ მთელ ქვეყანას, როგორ შეიძლებოდა სხვაგვარად, რომ ნიკოლაუსისათვის ქალაქები მოეტარებინათ? და განსაკუთრებით მახარებს ის, რომ დაც კი, ლიბეტე, ყველაფერში მონაწილეობდა, ხოვით რამეში წინაც კი უსწრებდა...

(უა პოლი: კომეტა)

